

ტარიელ ფუტკარაძე  
TARIEL PUTKARADZE

*60*



ԹՅՈՒՂ ԾԿԹՅՈՒԹՈՒՆ ԼՅՆՅՅՐԻՑՈ



**ტარიელ ფუტკარაძე**  
**TARIEL PUTKARADZE**

***60***

თბილისი  
Tbilisi  
2021

წინამდებარე კრებული ეძღვნება უზენაესი საბჭოს დეპუტატის, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმოწერისა და ცნობილი ქართველოლოგის, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის დაბადებიდან 60 წლის იუბილეს.

კრებულში თავმოყრილია მეცნიერის მოღვაწეობის ამსახველი სტატიები, საიუბილეო დღის მისალოცი წერილები, 2020 წლის 9 მაისს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა და 24-25 ოქტომბერს ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ონლაინკონფერენციების მასალები.

ტარიელ ფუტკარაძის გეგმის მიხედვით, საიუბილეო კრებული 2020 წელს უნდა გამოსულიყო, მაგრამ ქვეყანაში პანდემიით გამოწვეული მდგომარეობის გამო, კრებულზე მუშაობა შეფერხდა.

სამწუხაროდ, თავად იუბილარიც ვერ მოესწრო ამ გამოცემას.

რედაქტორები:

**იამზე ვაშაკიძე**

კავკასიის უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

**სოფიო კეკუა**

ფილოლოგიის დოქტორი,  
ქართული უნივერსიტეტის  
ასოცირებული მკვლევარი

გამომცემლობა გრიფონი

ISBN 978-9941-499-00-5

The presented collection of works is dedicated to the 60th anniversary of the eminent Kartvelologist, Professor Tariel Putkaradze, the deputy of the supreme council of the republic of Georgia, the signer of the Act of Reestablishment of state Independence of Georgia on April 9, 1991

The presented collection unites the articles describing the scientific works of the scholar, the letters and the welcome speeches prepared for his 60-th birthday held online on May 9, 2020 at Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia and the proceedings of the online conference organized by Ilia Chavchavadze Kutaisi public library on October 24-25, 2020 dedicated to Prof. Tariel Putkaradze.

According to Prof. Tariel Putkaradze's plan an anniversary collection of works should be published in 2020, but the book did not come out and the publishing process was shifted because of the pandemic.

Unfortunately the jubilarian himself did not live so long to see this publication.

Editors:           **Iamze Vashakidze**  
Associate Professor, Caucasus University

**Sopo Kekua**  
PhD, Associated researcher at St. Andrew  
the First-Called University

Publishing House Grifoni

ISBN 978-9941-499-00-5

## შინაარსი

წინასიტყვაობა.....	14
ტარიელ ალექსანდრეს ძე ფუტკარაძე – ბიოგრაფია.....	17
<b>I ნაწილი:</b> საიუბილეო დღისადმი მიძღვნილი სტატიები.....	27
სერგო ვარდოსანიძე, ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მცდელობა გარე ძალების მიერ და პროფ. ტარიელ ფუტკარაძის ქართველოლოგიური ნაშრომები.....	29
მანანა ტაბიძე, ლინგვისტური ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები და პროფ. ტარიელ ფუტკარაძის ენათმეცნიერული ნაშრომები.....	37
მერაბ ჩუხუა, ტარიელ ფუტკარაძე – მკვლევარი, ქართველოლოგი.....	49
სოფიო კეკუა, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები.....	55
ლუიზა ხაჭაპურიძე, დავით შავიანიძე, პროფ. ტარიელ ფუტკარაძის მიერ დაფუძნებული საერთაშორისო კონფერენცია „ქუთაისური საუბრები“.....	60
ეკა დადიანი, პროფ. ტარიელ ფუტკარაძის მიერ დაფუძნებული სამეცნიერო ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“.....	67
რიტა ნაქაძე, მერაბ გვაზავა, ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია და სამეცნიერო ჟურნალი „წელინდეული“.....	73
მიხეილ ლაბაძე, თანამედროვე ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები და პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის ახალი სამეცნიერო ჟურნალი.....	78
იოსებ იარღანაშვილი, ლია რუსაძე, ქუთაისის ენის პალატა და გაზეთი „ქართული!..“.....	84

ლოლა ხაჭაპურიძე, სამხედრო გადატრიალება საქართველოში და გაზეთი „ქუჯი“ ქუთაისში.....	89
კესო გეჯუა, მარიკა თედორაძე, პროფ. ტარიელ ფუტყარაძის ხელმძღვანელობით მომზადებული სადოქტორო დისერტაციები.....	94
დავით შანიძე, ფიქრია ჭანტურია, პროფ. ტარიელ ფუტყარაძის ხელმძღვანელობით განხორციელებული სამეცნიერო ექსპედიციები თურქეთელი ქართველების ენისა და კულტურის შესასწავლად.....	108
ნომადი ბართაია, საიდ მულიანი, ფერეიდნელი ქართველები და პროფ. ტარიელ ფუტყარაძე.....	115
<b>II ნაწილი: წერილობითი მილოცვები.....</b>	<b>125</b>
მარინე ქაცარავა, ტარიელ ფუტყარაძე – ქართული ენის თვალსაჩინო მკვლევარი.....	127
ნომადი ბართაია, ტარიელ ფუტყარაძე – 60.....	130
ავთანდილ ნიკოლეიშვილი, მრავალმხრივი მეცნიერული მოღვაწეობითა და პრაქტიკული საქმიანობით გამორჩეული ტარიელ ფუტყარაძე – 60.....	132
იზოლდა რუსაძე, ფუტყარავით მშრომელი ტარიელ ფუტყარაძე.....	134
დალი მაჩაიძე, ნაყოფიერი 60 წლის იუბილე.....	140
გიორგი სოსიაშვილი, სისხლის სათავე.....	142
<b>III ნაწილი: ვიდეომილოცვები.....</b>	<b>153</b>
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ონლაინკონფერენცია, მიძღვნილი პროფ. ტარიელ ფუტყარაძის 60 წლის იუბილესადმი.....	155
სერგო ვარდოსანიძე.....	157
მანანა ტაბიძე.....	161
როლანდ კოპალიანი.....	166
გიორგი სოსიაშვილი.....	168



მაკა ბერიძე.....	171
ნუნუ გელდიაშვილი.....	173
კარლო კოპალიანი.....	176
შალვა კირთაძე.....	177
როლანდ თოფჩიშვილი.....	179
ავთანდილ ნიკოლეიშვილი.....	181
ლევან ჯიქია.....	183
ლევან ბებურიშვილი.....	184
მერაბ ნაჭყებია.....	187
მერაბ ჩუხუა.....	189
ერდოგან შენოლი (ერეკლე დავითაძე).....	191
მაკა სალია.....	192
საიდ მულიანი.....	193
ედიშერ ფუტკარაძე.....	195
ნინო მამარდაშვილი.....	196
ეკა დადიანი.....	197
როინ ყავრელიშვილი.....	198
ბიძინა გურჩიანი.....	199
როლანდ ფუტკარაძე.....	200
გურამ ფუტკარაძე.....	201
მიხეილ ლაბაძე.....	201
ტარიელ ფუტკარაძის სამადლობელი სიტყვა.....	202
ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის XII საერთაშორისო სამეცნიერო ონლაინკონფერენცია, მიძღვნილი პროფ. ტარიელ ფუტკარაძის 60 წლის იუბილესადმი, 24-25 ოქტომბერი, 2020 წელი, როლანდ კოპალიანი.....	204
გიორგი კეკელიძე.....	207
მაკა ბერიძე.....	209
მერაბ ბერიძე.....	211
ავთანდილ ნიკოლეიშვილი.....	213

ნომადი ბართაია.....	215
მაყვალა დავითაძე.....	216
რუსუდან ასათიანი.....	216
<b>IV ნაწილი: პროფ. ტარიელ ფუტყარაძის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის რამდენიმე წახსნაგი.....</b>	<b>217</b>
საქმიანობა საგანმანათლებლო სფეროში.....	219
აკაკი წერეთლის, სამცხე-ჯავახეთის, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტებსა და ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში წაკითხული სალექციო კურსები (1993-2020 წწ.).....	225
ექსპედიციების ხელმძღვანელობა.....	227
საგრანტო პროექტებში მონაწილეობა.....	232
წიგნების/კრებულების რედაქტორობა.....	236
სამეცნიერო შრომები (მონოგრაფიები, წიგნები, სახელმძღვანელოები, სტატიები, სამეცნიერო მოხსენებები) Scholarly works (monographs, books, guidebooks, articles, scientific papers).....	241
სამეცნიერო კონფერენციის / სიმპოზიუმის ორგანიზება (Organising scientific conferences and symposiums).....	367
დანართები.....	381
დანართი №1: საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრი /ხელმძღვანელი – პროფ. ტარიელ ფუტყარაძე/ ქართველოლოგიის ცენტრის ისტორია.....	383
დანართი №2: საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო ღონისძიებები (2010-2020).....	388
დანართი №3: პროფ. ტარიელ ფუტყარაძის ბოლო საგრანტო პროექტი.....	404

## CONTENT

Foreword.....	14
The biography of Tariel son of Alexander Putkaradze.....	17
<b>Part I:</b> The articles dedicated to the 60th Anniversary.....	27
Sergo Vardosanidze, A trial of partitioning of the language and ethnic Unity of Georgians by the external forces and the Kartvelological works of Prof. Tariel Putkaradze.....	29
Manana Tabidze, The modern Challenges of Linguistic Kartvelology and the linguistic works of Prof. Tariel Putkaradze.....	37
Merab Chukhua, Tariel Putkaradze – The researcher, Kartvelologist.....	49
Sopio Kekua, BA, MA and PhD educational Programs of Prof. Tariel Putkaradze.....	55
Luiza Khachapuridze, David Shavianidze, The International Conference “Kutaisi Discussions” founded by Prof. Tariel Putkaradze.....	60
Eka Dadiani, The International Journal “Kartvelian Heritage” established by Prof. Tariel Putkaradze.....	67
Rita Tsakadze, Merab Gvazava, The International Scientific Conference of Kutaisi Ilia Chavchavadze Public Library and the annual scientific Journal “Tselitsdeuli”.....	73
Mikheil Labadze, Actual problems of the contemporary Kartvelology and the new scientific Journal of Prof. Tariel Putkaradze.....	78
Ioseb Iarghanashvili, Lia Rusadze, Kutaisi Language Department and the newspaper “Kartuli!”.....	84
Lola Khachapuridze, coup d’etat in Georgia and the newspaper “Kuji” in Kutaisi.....	89
Keso Gejua, Marika Tedoradze, The PhD Dissertations prepared under the supervision of Prof. Tariel Putkaradze.....	94
David Shanidze, Pikria Chanturia, Tariel Putkaradze’e Scientific Field-works for Study the Language and the Culture	

of the Georgians in Turkey.....	108
Nomadi Bartaia, Said Muliani, Fereidanian Georgians and Prof. Tariel Putkaradze.....	115
<b>Part II: Written Congratulations.....</b>	<b>125</b>
Marine Katsarava, Tariel Putkaradze – The eminent researcher of the Georgian Language.....	127
Nomadi Bartaia, Tariel Putkaradze 60.....	130
Avtandil Nikoleishvili, Tariel Putkaradze – 60 – distinguished person with multifaceted and practical work .....	132
Izolda Rusadze, Tariel Putkaradze hard-working like a Bee.....	134
Dali Machaidze, Harvest 60-th anniversary.....	140
Giorgi Sosiashvili, The head of blood.....	142
<b>Part III: The Transcriptions of the video-congratulations.....</b>	<b>153</b>
The online conference dedicated to 60th anniversary of Tariel Putkaradze at Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia.....	155
Sergo Vardosanidze.....	157
Manana Tabidze.....	161
Roland Kopaliani.....	166
Giorgi Sosiashvili.....	168
Maka Beridze.....	171
Nunu Geldiashvili.....	173
Karlo Kopaliani.....	176
Shalva Kirtadze.....	177
Roland Topchishvili.....	179
Avtandil Nikoleishvili.....	181
Levan Jikia.....	183
Levan Beburishvili.....	184
Merab Nachkebia.....	187
Merab Chukhua.....	189
Erdoghan Shenol (Erekle Davitadze).....	191

Maka Salia.....	192
Said Muliani.....	193
Edisher Putkaradze.....	195
Nino Mamardashvili.....	196
Eka Dadiani.....	197
Roin Kavrelashvili.....	198
Bidzina Gurchiani.....	199
Roland Putkaradze.....	200
Guram Putkaradze.....	201
Mikheil Labadze.....	201
Thanksgiving words of Tariel Putkaradze.....	202
The Online International Scientific conference dedicated to 60 <sup>th</sup> anniversary of Prof. Tariel Putkaradze at Kutaisi Ilia Chavchavadze Public Library - XII, October 24-25, 2020, Roland Kopaliani.....	204
Giorgi Kekelidze.....	207
Maka Beridze.....	209
Merab Beridze.....	211
Avtandil Nikoleishvili.....	213
Nomadi Bartaia .....	215
Makvala Davitadze.....	216
Rusudan Asatiani.....	216
<b>Part IV:</b> The several facets of the scientific and pedagogical activity of Prof. Tariel Putkaradze.....	217
Educational Activities.....	219
The courses he had read at Kutaisi Akaki Tsereteli State University, Samtskhe-Javakheti State University, Sokhumi State University and Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia (1993-2020).....	225
The supervising the expeditions.....	227
Participating in the Scientific Grant Projects.....	232
Editing of the Books/collections of works.....	236

Scholarly works (monographs, books, guidebooks, articles, scientific papers).....	241
Organising scientific conferences and symposiums.....	367
Appendixes.....	381
Appendix №1: Kartvelology Center at Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia /Head – Prof. Tariel Putkaradze/ The history of the Kartvelology Center.....	383
Appendix №2: The scientific events organised by the Kartvelology Center at Saint Andrew the First-Called Georgian University of the Patriarchate of Georgia (2010 -2020).....	388
Appendix №3: The Last Grant Project of Prof. Tariel Putkaradze.....	404

## წინასიტყვაობა

პროფ. ტარიელ ფუტყარაძე ენათმეცნიერთა წრის ის თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომელმაც მოღვაწეობა დაიწყო გასული საუკუნის 80-იან წლებში – ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პერიოდში. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ მის სამეცნიერო ნაშრომებში გადაიკვეთა, ერთი მხრივ, ენობრივი პოლიტიკის და მეორე მხრივ – ლინგვისტური ქართველოლოგიის ამოცანები.

ტარიელ ფუტყარაძის, როგორც სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მეცნიერისათვის, აქტუალური გახდა ის გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას თანამედროვე ქართველოლოგია. გლობალისტურ სამყაროში არსებული საინფორმაციო ომის პირობებში იგი ქართველი ხალხის **ენობრივ-ეთნიკური გადარჩენის** ერთადერთ გზად სახავს მართებული ენობრივი პოლიტიკის დაგეგმვას, შესაბამისად – სამეცნიერო ძალთა: ენათმეცნიერთა, ისტორიკოსთა, ეთნოლოგთა... შემოკრებას **სწორი ორიენტირების** გარშემო და **ერთობლივი არაპოლიტიზებული კვლევების განხორციელებას**.

როგორც თავად აღნიშნავს, „**საერთაშორისო სამეცნიერო თუ საინფორმაციო ველში შეჯერებულ ობიექტურ კვლევათა შედეგების ხელმისაწვდომობა ყველა საზოგადოებას შეუწყობს ხელს, ისარგებლოს საკუთარი ენობრივ-ეთნიკური წარსულის ცოდნის უფლებით... შექმნის ობიექტური თვითაქმისა და ენობრივ-ეთნიკური მეობის გადარჩენის მყარ საფუძველს**“.

პროფ. ტარიელ ფუტყარაძემ, მძიმე 90-იანი წლებიდან მოყოლებული, ღირსეული ხელმძღვანელობა გაუწია ჯერ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში დაფუძნებულ ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს (1992-2011 წწ.), ხოლო შემდეგ – საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრს (2011-2020 წწ.). მან საფუძველი ჩაუყარა რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო კონფერენციებს, დააფუძნა სამეცნიერო პერიოდული გამოცემები (ჟურნალები, გაზეთები); არის არაერთი მონოგრაფიის ავტორი,

სამეცნიერო კრებულის რედაქტორი თუ სარედაქციო კოლეგიის წევრი.

პროფ. ტარიელ ფუტყარაძე საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ეწევა აქტიურ სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას; რამდენიმე უნივერსიტეტში მის მიერ შემუშავებული საგანმანათლებლო პროგრამებით მიმდინარეობს სწავლა. ტარიელ ფუტყარაძის მონოდებია იყო და არის, ნიჭიერ ახალგაზრდებს გზა გაუკვალოს სამეცნიერო სივრცეში, რისი ნათელი დადასტურებაცაა მის აღზრდილთა დასაქმების მაჩვენებელი სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, მათ შორის – დუზჯეს და რიზეს უნივერსიტეტებში (თურქეთი) მკვლევრის, ასოცირებული პროფესორისა თუ მოწვეული ლექტორის პოზიციაზე.

ეროვნული ერთიანობისათვის მებრძოლი მეცნიერი განსაკუთრებულ მზრუნველობას ავლენს ფერეიდნელი და თურქეთელი ქართველების მიმართ, რაც აისახა მის ჩანაწერებშიც:

**„ჩემთვის გამორჩეული პატივი და ვალდებულებაა, ვიმუშაო ქართველი ერის რთული ისტორიის გამო საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა მცხოვრებ ქართველ დოქტორანტებთან..“**

პროფ. ტარიელ ფუტყარაძე ლექციებზე თუ სტუდენტებთან კერძო საუბარში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ჩვენი სამშობლოს ისტორიული მინა-წყალი გაცილებით ვრცელია თანამედროვე სახელმწიფო ტერიტორიაზე, საზღვრებს გარეთ უფრო მეტი რაოდენობის ქართველია და საქართველოს არ ჰყავს დასაკარგავი შთამომავლობა. სწორედ ამ ნიშნით შეიმუშავა მან ქართული სამნიგნობრო ენის დიალექტების ტრადიციულისგან განსხვავებული კლასიფიკაცია, რომელიც ერთიან სისტემაში აქცევს როგორც საქართველოს სახელმწიფო, ისე ისტორიულ საზღვრებში და საზღვრებს მიღმა არსებულ დიალექტებს; შესაბამისად, აერთიანებს ამ დიალექტების (// ენის) მფლობელ ყველა ქართველს, განსხვავებული მოქალაქეობისა თუ აღმსარებლობის მიუხედავად.

**„წუთისოფელში ყველა სიდიდე პირობითი და ფარდობითია. მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ გამოჩნდება, ვინ რა შეჰმატა**



**ეროვნულ, საკაცობრიო თუ კოსმოსურ სიცოცხლეს** – ეს სიტყვები ეკუთვნის ადამიანს, რომელმაც მთელი სიცოცხლე მიუძღვნა ეროვნულ, საქვეყნო საქმეებს. პროფ. ტარიელ ფუტყარაძის იდეებით იზრდებოდნენ და კვლავაც გაიზრდებიან თაობები. მან დაგვანახვა, რომ საბჭოთა იდეოლოგიებისაგან თავისუფალი ლინგვისტური ქართველოლოგია დღეს არის „სამკალი ფრიადი“, რომელიც კვლავ „მუშაკებს“ ელის.

დიდია პროფ. ტარიელ ფუტყარაძის მეცნიერული მემკვიდრეობა; თითოეული ჩვენგანის ვალია, გავუფრთხილდეთ ამ მემკვიდრეობას და ღირსეულად განვაგვითაროთ ქართველოლოგიური კვლევა.

წინამდებარე წიგნის მასალების დამუშავებაში განეული დახმარებისთვის მადლობას ვუხდით თბილისის №133-ე საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის გამგეს, ქალბატონ ირინე თავბერიძეს, ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილეს, ქალბატონ რიტა ნაქაძესა და დასავლური კულტურის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელს, ქალბატონ ია ხაჭაპურიძეს, ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მკვლევარს, ქალბატონ კესო გეჯუას, სტუდენტებს: ანა პაპუნაშვილს, ანა მამუკაშვილს, ანი ცუხიშვილს, მაია ქავთარაძეს, თამთა შავიანიძეს, ფიქრია ჭანტურიას, თამარ მილორაგას და თეონა ჯალაღონიას.

**იამზე ვაშაკიძე**

კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

**სოფიო კეკუა**

ფილოლოგიის დოქტორი,  
ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის  
ასოცირებული მკვლევარი

## ტარიელ ალექსანდრის ძე ფუტყარაძე

### ბიოგრაფია

დაიბადა 1960 წლის 9 მაისს შუახევის რაიონის სოფელ ტომაშეთში.

#### განათლება:

- შუბნის საშუალო სკოლა (1976);
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი (1983); იყო გალაკტიონ ტაბიძის სახელობის სტიპენდიანტი;
- მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურა (1983-1986). საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „სახელის ფორმანარმოების თავისებურებანი სამხრეთ-დასავლურ კილოთა მონაცემების მიხედვით“ (1987); მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება, შიფრი: 10.02.02;
- სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „თანამედროვე ქართული ენის ხმოვანთა სისტემა“ (1998); მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის წოდება; შიფრი: 10.02.01.

#### საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელობა:

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქართველური ენათმეცნიერების“ ავტორი და ხელმძღვანელი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (2005-2010); თანახელმძღვანელი – პროფ. მ. ნაჭყებია;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ქართველური ენათმეცნიერების“ ავტორი და ხელმძღვანელი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (2005-2020); თანახელმძღვანელი – პროფ. მ. ნაჭყებია;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქართველური

- ენათმეცნიერების“ ავტორი და ხელმძღვანელი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (2005-2020);
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ქართველური ენათმეცნიერების“ ავტორი და ხელმძღვანელი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (2008-2020);
  - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ფილოლოგიის“ ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2011 წლიდან 2018 წლამდე (თანახელმძღვანელი – პროფ. გ. ალიბეგაშვილი);
  - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქართული ფილოლოგიის“ ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2018 წლიდან დღემდე (თანახელმძღვანელი 2018 წ. – პროფ. გ. ალიბეგაშვილი; თანახელმძღვანელი 2019 წლიდან – ლ. ბებურიშვილი);
  - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ენათმეცნიერების“ ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (2011-2019), თანახელმძღვანელი – პროფ. მ. ტაბიძე;
  - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „ქართული ფილოლოგიის“ ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (2019 წლიდან დღემდე); თანახელმძღვანელი – ფილოლოგიის დოქტორი ლ. ბებურიშვილი;
  - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ქართველური ენათმეცნიერების“ ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს საპატრიარქოს ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (2011-2018);
  - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ფილოლოგიის“ ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს საპატრიარქოს

წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (2019-2020); თანახელმძღვანელი – პროფ. გ. ალიბეგაშვილი);

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ქართული ფილოლოგიის“ ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (პროგრამა განახლდა 2020 წელს, მაგრამ აკრედიტაცია არ გაუვლია). თანახელმძღვანელი – ლ. ბებურიშვილი;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა „ქართული ფილოლოგიის“ ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (პროგრამა ხელმეორედ განახლდა 2020 წლის ოქტომბერში, მაგრამ აკრედიტაციის ცენტრში არ გაუგზავნიათ);
- მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ქართული, როგორც მეორე ენა) ხელმძღვანელი; თანახელმძღვანელები – ო. მათეშვილი, ნ. პოპიაშვილი, ზ. ბერია.

პროგრამა მომზადდა და აკრედიტაციის ცენტრში გაიგზავნა 2020 წლის 7 დეკემბერს.

### **აკადემიური თანამდებობები და სამეცნიერო აქტივობები:**

- ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი (1983-1990);
- თსუ ახალციხის ფილიალის ერთ-ერთი დამფუძნებელი და ქართული ენის კათედრის პირველი გამგე (1990);
- აკად. თედო უთურგაიძისა და აკად. ქეთევან ლომთათიძის წარდგინებითა და ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს გადანწყვეტილებით, რექტორმა, აკად. მაგალი თოდუამ დანიშნა უნივერსიტეტთან არსებული ქართველური დია-

- ლექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად (1992-2011). აღნიშნული უნივერსიტეტის პროფესორი (1999-2020);
- თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი (2000);
  - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი და ამავე უნივერსიტეტის სრული პროფესორი (2011-2020); ქართველოლოგიის ცენტრის ელ. მისამართი: <https://sangu.edu.ge/ka/article/kartvelologiis-tsentri>
  - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს ფილოლოგიის სექციის თავმჯდომარე (2015-2020);
  - საქართველოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტისა და ქუთაისის ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთა (პროფ. ს. ვარდოსანიძე, პროფ. რ. კოპალიანი) რეკომენდაციით, მისი მონოგრაფია „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“ (2019) წარდგენილ იქნა საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 15 სექტემბერს გამოცხადებულ კონკურსში საქართველოს ეროვნული პრემიის მისანიჭებლად;
  - დიალექტოლოგთა, ეთნოლოგთა და ფოლკლორისტთა ყოველწლიური საერთაშორისო ქართველოლოგიური სიმპოზიუმის – „ქუთაისური საუბრები“ – ორგანიზატორი 1995 წლიდან; ჩატარდა 16 სიმპოზიუმი; ელ. მისამართი: <http://conferences.atsu.ge/Kartvelology/>
  - სამეცნიერო ჟურნალ „ქართველური მემკვიდრეობის“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი 1996 წლიდან; გამოიცა 24 ტომი; ელ. მისამართი: <https://atsu.edu.ge/EJournal/Kartvelology/>
  - საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გაზეთ „ქუჯის“ დამფუძნე-

- ბელი და რედაქტორი (2000-2002); ელ. მისამართი: <http://217.147.235.82/handle/1234/316545>
- სამეცნიერო-პოპულარულ გაზეთ „ქართულის!..“ დამფუძნებელი და რედაქტორი (1998-2003); ელ. მისამართი: <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/316579>
  - სამეცნიერო ჟურნალის – „ილია ჭავჭავაძის სახელობის ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწადული“ – ერთ-ერთი დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი 2009 წლიდან; გამოიცა 10 ტომი; ელ. მისამართი: <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/178671>
  - სამეცნიერო ჟურნალ „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემების“ დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი 2012 წლიდან; გამოიცა 9 ტომი; ელ. მისამართი: <https://sangu.edu.ge/ka/article/kartvelologiis-aktualuri-problem>
  - ქართულ-ინგლისურ-სპარსულენოვან ჟურნალ „სამეცნიერო აზრის“ – რედაქტორი (2012-2015), გამოიცა 2 ნომერი; ელ. მისამართი: <https://sangu.edu.ge/ka/article/kartuli-universitetis-gamotsemeb>
  - სამეცნიერო-საგანმანათლებლო ჟურნალ „სვეტიცხოველის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი (2009-2014);
  - ლიტერატურულ ჟურნალ „განთიადის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი (2010-2020);
  - ამერიკაში გამომავალ გაზეთ „ერთობის“ სარედაქციო კოლეგიის წევრი (2009-2010);
  - საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალ EDUCATON – „განათლების“ ექსპერტთა საბჭოს წევრი (2009-2014);
  - ჟურნალ „ჯვარი ვაზისას“ სარედაქციო კოლეგიის წევრი (2012-2014).
  - „ქართული ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველოს“ დამფუძნებელი (1996);
  - სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრის – „ქართველთა (ქართველური) ენა და კულტურა საზღვრებს გარეშე“ – დამფუძნებელი (2001);

- „იბერიულ-კავკასიური საერთაშორისო სამეცნიერო-სასწავლო ცენტრის“ დამფუძნებელი (2004);
- „საქართველოს სამეურვეო საბჭოების ასოციაციის“ დამფუძნებელი (2004);
- „განათლების ეროვნული ინსტიტუტის“ თანადამფუძნებელი და დირექტორი (2010);
- დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრთან არსებული საზოგადოებრივ-საკონსულტაციო საბჭოს წევრი (2014-2017);
- ქართველთა დედაენის საერთაშორისო ფონდის დამფუძნებელი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე (ფონდის თავმჯდომარე – ზაზა ბაღდავაძე) (2015-2020);
- საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტთან არსებული სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი (2017-2020).

**პროფ. ტ. ფუტყარაძეს გამოქვეყნებული აქვს ენათმეცნიერული ხასიათის 330-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი** (მათ შორის – მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები) და 300-მდე პუბლიცისტური ნერილი.

მისი რედაქტორობით გამოქვეყნებულია 60-ზე მეტი მონოგრაფია და სამეცნიერო კრებული/ჟურნალი.

1984-2020 წლებში უხელმძღვანელა **დიალექტოლოგიურ ექსპედიციებს** აჭარაში, სამცხე-ჯავახეთში, სვანეთში, ლეჩხუმში, სამეგრელოში, ხევსურეთში, იმერხევში, ტაოში; მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა 30 დიალექტოლოგიური ექსპედიცია.

(იხ.: ტ. ფუტყარაძე, პროგრამა-ინსტრუქცია დიალექტოლოგიური (ეთნოლოგიური და ფოლკლორული ტექსტების მომძიებელთათვის“, ქუთაისი, 1997, გვ. 1-46. ინგლისური ტექსტი: Programme-Instruction, for the collectors of dialectologic (ethnographic, folklore text), Kutaisi, 1997, p. 47-60; „ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“).

**პროფ. ტ. ფუტყარაძის ხელმძღვანელობით დაცულია 17 სადოქტორო ნაშრომი, დამუშავების სტადიაშია 11.**

**საერთაშორისო სერტიფიკატი:**

„ოქსფორდ მენეჯმენტ კონსალტინგის“ (Oxford Management Consultants) საერთაშორისო სერტიფიკატი /მენეჯმენტი და ლიდერობა; ამ სერტიფიკატის მიხედვით უფლება აქვს Oxford Management Consultants-ის სახელით ჩაატაროს ტრენინგების ციკლი ზოგადი სათაურით: „გამოცდილებასა და თანამონაწილეობაზე დაფუძნებული სასწავლო მეთოდები“, რომელიც მოიცავს შემდეგ თემებს: ლიდერის უნარ-ჩვევები, კომუნიკაციის თანამედროვე მენეჯმენტი (დისტანციური სწავლება და თანამშრომლობა), პიროვნული უნარ-ჩვევები და გუნდური მუშაობის პრინციპები, დროის მენეჯმენტი, დაგეგმვა და გადაწყვეტილების მიღება და სხვ.

**ციტირების ინდექსი – 1000-ზე მეტი.**

**სამეცნიერო ინტერესების სფერო:**

ქართველური ენათმეცნიერება, ქართველოლოგია, ენობრივი პოლიტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა.

**პოლიტიკური კარიერა და საზოგადოებრივი აქტიურობა:**

- საქართველოს ჰელსინკის კავშირის წევრი (1989);
- საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს წევრი საარჩევნო ბლოკიდან: „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო“ (1990 წლიდან);
- ქ. ბათუმის პრეფექტი (1991); 1991 წლის 31 მარტს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის თემაზე საქართველოში ჩატარებული საყოველთაო რეფერენდუმის ორგანიზატორი აჭარაში.
- ხელი აქვს მოწერილი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე (1991 წლის 9 აპრილი); საქართველოს



სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის გამოცხადებიდან მალევე, უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის – ზვიად გამსახურდიას მხარდაჭერით, ქედის, შუახევისა და ხულოს პრეფექტებთან (სანდრო ბერიძე, შოთა ფუტყარაძე, ბეჟან გობაძე) ერთად ორგანიზება გაუწია აჭარის ავტონომიის გასაუქმებლად რეფერენდუმის ჩატარების მოთხოვნას; კერძოდ, ზემო აჭარის რაიონების საკრებულოთა ყველა წევრმა ხელი მოაწერა მიმართვას საქართველოს უზენაესი საბჭოსადმი, რათა გაუქმებულიყო რუსეთისა და ოსმალეთის გარიგებით შექმნილი აჭარის უკანონო ავტონომია. პრეფექტებისა და საკრებულოების მოთხოვნას კრემლის მხარდაჭერით შეენინა აღმდეგა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მამინდელი უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ასლან აბაშიძე, რომელმაც რუსეთის სპეცსამსახურების დახმარებით დაგეგმა ძალადობაზე ორიენტირებული მიტინგი. მიტინგის დღეს მოსალოდნელი სისხლისღვრის ასაცილებლად ტარიელ ფუტყარაძე ჩავიდა თბილისში და ზვიად გამსახურდიას სთხოვა, გადაეყენებინა ასლან აბაშიძე. ზვიად გამსახურდიამ 26 მაისს დანიშნულ საპრეზიდენტო არჩევნებამდე თავი შეიკავა აბაშიძის გადაყენებისაგან. ბათუმის მიტინგის შემდეგ პროცესები არეულობაში გადაიზარდა, რასაც მოჰყვა ნოდარ იმნაძის მკვლელობა. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პრეზიდენტმა არ გადააყენა ასლან აბაშიძე, რის გამოც ტარიელ ფუტყარაძე გადადგა პრეფექტობიდან;

- საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მდივანი (1990-91). ამავე კომისიის თავმჯდომარე საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დევილობის ბოლო პერიოდში (1999 წლიდან);
- სახელმწიფო გადატრიალების (1991-1992, დეკემბერ-იანვარი) შემდეგ განიცდიდა პოლიტიკურ დევნას; დევნილი უზენაესი საბჭოს გროზნოს (1992-1993), ზუგდიდის (1993) და თბილისის (1998-2005) სესიების მონაწილე. კანონიერი

ხელისუფლების ლეგიტიმურობის შენარჩუნების მიზნით დღემდე უარი აქვს ნათქვამი სადეპუტატო პენსიაზე (როგორც უზენაესი საბჭოს წევრი, სადეპუტატო პენსიის აღებას არ აპირებს მანამ, სანამ სასამართლოს წესით არ შეფასდება 1991-1992 წლების პუტჩი).

- საქართველოში 1991-1993 წლებში განვითარებული მოვლენების შედეგად განხორციელებული ხელისუფლების ძალადობრივი შეცვლის, საქართველოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის, ასევე ხელისუფლების შეცვლის მიზნით ძალის გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტების, გარემოებებისა და თანამდევნი (1991-2003 წლებში მომხდარი და სხვ.) მოვლენების შესწავლის მიზნით საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განკარგულებით (№-174) 2004 წლის 21 თებერვალს შექმნილი სამმხრივი სახელმწიფო კომისიის წევრი (კომისიის სხვა წევრები: ერთი მხრივ – ი. მერაბიშვილი, ი. ოქრუაშვილი, ზ. ადვიშვილი, მეორე მხრივ – მ. არჩვაძე-გამსახურდია, ტ. ფუტყარაძე, მ. რაფავა, მესამე მხრივ – საზოგადოებრიობის წარმომადგენლები: მ. ტაბიძე, გ. ანდრიაძე).

**ოჯახი:** მეუღლე – ია ვაშაკიძე; შვილები: ნათია, რატი, ცოტნე.



**I ნაწილი**

**საიუზილეთო დღისაღმე  
მიძღვნილი სტატიები**



**ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების მცდელობა  
ბარა კალეზის მიერ და პროფ. ტარიელ ფუტყარაძის  
ქართველოლოგიური ნაშრომები**

ვერაზიის გზაჯვარედინზე მყოფ საქართველოს ისტორიულად ურთიერთობა უხდებოდა დიდ იმპერიებთან, რომელნიც ცდილობდნენ კავკასიის ამ ოქროს ჭიშკრის დაუფლებას. უცხოელი მეცნიერები და პოლიტიკოსები, რომლებიც თუნდაც ზერელედ თვალს გადაავლებენ საქართველოს ისტორიას, გაოცებას ვერ მალავენ, თუ როგორ გადაურჩა ეს მცირერიცხოვანი ხალხი ისტორიულ ქარტეხილებს და შეინარჩუნა თავისი ინდივიდუალობა. ეს კითხვა ანუხებდა ილია ჭავჭავაძესაც; მართლაც, რამ გადაგვარჩინა? როგორ შევძელით ათასი ჯურის დამპყრობლებთან გამუდმებული ბრძოლები?! როგორ შევინარჩუნეთ ჩვენი ეროვნული თავისთავადობა?!

ქართველი ერის გადარჩენის საქმეში გადამწყვეტი იყო ერთიანი ქართული ეროვნული ცნობიერება; როგორც „ქართლის ცხოვრება“ გვაუწყებს, ჩვ. წ. აღრიცხვამდე IV-III საუკუნეებში ფარნავაზ მეფე „ქართლსა შინა ქართლოსისა ნათესავთაგანი განავრცობს ენას ქართულს“, შექმნის მნიგნობრობას ქართულს, ამით იგი, პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, გამოხატავს ქართველთა ერთიანობის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ კონცეფციას – პოლიტიკურად, კულტურულად, სულიერად გამთლიანებული საქართველო, ერთიანი სამწერლობო ქართულით შედუღებული. შუა საუკუნეებში ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი ცნობიერების განმტკიცების საქმეში დიდი იყო ქრისტიანობის როლი და მნიშვნელობა. გიორგი მერჩულემ ამ ერთიანობას ასეთი ფორმულირება მოუძებნა: „ქართლად ფრიადი ქუეყანაი აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების“.

X საუკუნეში ჩნდება ტერმინი „საქართველო“, უზენაეს საერო ხელისუფალს – მეფე, ხოლო მაღალ სასულიერო იერარქს, ქართლის კათალიკოსის ნაცვლად, ეწოდება სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი. არც ის იყო შემთხვევითი, რომ ამ დროს გაჟღერდა იოანე ზოსიმეს სიტყვები: „დამარხულ არს ენაი ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა სანამებლად, რაითა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“. ერთიანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და საეკლესიო ცნობიერებით იცხოვრა საქართველომ X-XV საუკუნეებში. მიუხედავად იმისა, რომ XV-XVIII საუკუნეებში საქართველო დაყოფილი იყო სამ სამეფოდ (ქართლი, კახეთი, იმერეთი) და ხუთ სამთავროდ (სამცხე, გურია, ოდიში, აფხაზეთი, სვანეთი), ორ საპატრიარქოდ (მცხეთის და ბიჭვინთა-გელათის), რელიგიურ-კონფესიური თვალსაზრისითაც ქართველი მართლმადიდებლის გვერდით გაჩნდნენ ქართველი კათოლიკენი, ქართველი მუსლიმები, ქართველი მონოფიზიტები; ქართული ენა იყო ის საერთო საფუძველი, რაც მათ აერთიანებდათ. პოლიტიკურად უკიდურესი სეპარატისტის – ოდიშის მთავარ ლევან II დადიანისათვის (XVIII საუკუნე) ქართული იყო სამწიგნობრო ენა, რომელსაც განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდა. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ მან იმერთა მეფის მდივანბეგ მამუკა თავაქარაშვილს „ვეფხისტყაოსანი“ გადააწერინა, განსხვავებით იმათგან, ვინც XXI საუკუნეში „ვეფხისტყაოსნის“ მეგრული თარგმანებით თავს იწონებს.

XIX საუკუნის დასაწყისში ჯერ ქართლ-კახეთი, შემდეგ იმერეთის სამეფო და სამთავროები რუსეთმა დაიპყრო. რუსეთის ხელისუფლებამ გააუქმა საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია – პატრიარქობის ნაცვლად, დანესდა საეგზარქოსო მმართველობა; ეგზარქოსებად კი ინიშნებოდნენ ეროვნებით რუსი მღვდელმთავრები. აიკრძალა ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა, გალობა, მონასტრებიდან გამოძევებულ იქნენ ქართველი ბერ-მონაზვნები, მათი ადგილი დაიკავეს რუსმა სასულიერო პირებმა, უსახსრობის გამო დაიხურა თბილისისა და თელავის სასულიერო სემინარიები, 1817 წელს თბილისში გახ-

სწორედ რუსული სასულიერო სემინარიის მიზანი იყო ეროვნებით ქართველი, მაგრამ ცნობიერებით რუსი სასულიერო პირების აღზრდა.

აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ფეოდალური საქართველოს ეროვნული ცნობიერება სამ საყრდენზე იდგა: 1. ქრისტიანობა, 2. „ქართლის ცხოვრება“, 3. „ვეფხისტყაოსანი“.

სამწუხაროდ, რუსული კოლონიური პოლიტიკის მიზანი იყო „ქართული ქრისტიანობის“ – რუსულით, „ქართლის ცხოვრების“ – რუსეთის ისტორიით, ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ – რუსული ლიტერატურით ჩანაცვლება. მათთვის სრულიად გაუგებარი იყო ქართველების წინააღმდეგობა, ამიტომ გაკვირვებული იმპერატორი ალექსანდრე I საქართველოს მთავარმართებელ ალექსი ერმოლოვს ეკითხებოდა ქართველთა უკმაყოფილების მიზეზებს. ერმოლოვი მომხრე იყო მკაცრი პოლიტიკის: „ეს ხალხი (იგულისხმება ქართველები) ღირსი არ არის ალექსანდრე I-ის სათანო მმართველობის, მას რკინის კვერთხი ესაჭიროება... უდიდესი გმირობაა საჭირო, იღვწოდეს ისეთი ხალხის სასარგებლოდ, რომლის დამახასიათებელი თვისებაა უმადურობა და რომელსაც რუსეთისადმი მიკუთვნება ბედნიერებად არ ეჩვენება“<sup>1</sup>.

XIX საუკუნის II ნახევარში რუსეთმა კიდევ უფრო გააძლიერა კოლონიური პოლიტიკა, რომლის საბოლოო მიზანი იყო ქართველი ხალხის ასიმილაცია და სწრაფი ინტეგრირება რუსეთის სახელმწიფოებრივ სივრცეში. ამ პროცესს მკვეთრად დაუპირისპირდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ილია ჭავჭავაძის მეთაურობით, რომელმაც უმთავრეს ამოცანად დაისახა ქართველი ხალხის ეროვნული და ეკლესიური თავისუფლებისათვის ბრძოლა. „მამული, ენა, სარწმუნოება“ – ეს ღირსებისათვის ბრძოლა იყო, რომელიც აერთიანებდა ყველა სოციალური ფენისა თუ აღმსარებლობის ქართველობას. რუსეთის ხელისუფლებამ ქართველთა ერთიანობის იდეას დაუპირისპირა დენაციონალიზაციის ვერაგული პოლიტიკა. 1885 წლიდან კავკასიის ოლქის გა-

<sup>1</sup> ვ. გურული, „საქართველოს ისტორია“, XIX საუკუნე. თბ., 2005 წ., გვ. 13.



ნათლების მზრუნველის – კირილე იანოვსკის – განკარგულებით ქართული ენა განიდევნა სკოლებიდან. 1888-1889 წლებში დაიწყო რუსული ანბანის საფუძველზე მეგრული ანბანის შექმნა, ასევე საღვთო წიგნების მეგრულად თარგმნა. 1892 წელს გამოვიდა ლევიცკის მიერ შედგენილი რუსული ენის სახელმძღვანელო მეგრული სკოლებისათვის, 1899 წელს თბილისში დაიბეჭდა რუსული ანბანის საფუძველზე შედგენილი პირველი მეგრული საკითხავი წიგნი. ასეთივე ვერაგული პოლიტიკა ხორციელდებოდა სვანების მიმართაც, როდესაც უსლარმა შეადგინა სვანური ანბანი.

რუსული იმპერიული პოლიტიკის ვერაგობა ამხილეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებმა: ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, გიორგი წერეთელმა, იაკობ გოგებაშვილმა, დიმიტრი ყიფიანმა...

XX საუკუნის დასაწყისში ქართველმა ხალხმა ერთიანი სახელმწიფოებრივი და ეკლესიური ცნობიერების წარმატებისკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, რაც გამოიხატა 1917 წლის 12 (25) მარტს, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენით, 1918 წლის 8 თებერვალს ქართული უნივერსიტეტის დაარსებით და 1918 წლის 26 მაისს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენით. ერთიან ქართულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და საეკლესიო ცნობიერებას დიდი საფრთხე შეექმნა ბოლშევიკური ოკუპაციის შემდგომ პერიოდში. სამწუხაროდ, ეს საკითხები ქართველ ისტორიკოსთა შრომებში შედარებით ნაკლებადაა გაშუქებული.

პროფესორმა ტარიელ ფუტყარაძემ თავისი სამეცნიერო საქმიანობის მთავარ მიზნად დაისახა დაეცვა ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი და საეკლესიო ცნობიერება, რომელიც შედუღაბებული არის ქართული სამწერლობო ენით.

მან თავის ნაშრომებში აჩვენა XIX-XX საუკუნეების რუსული იმპერიული პოლიტიკის თავისებურებანი და ის საფრთხეები, რომელთა წინაშეც ქართველი ერი იმყოფება. ამ მხრივ, საინტერესოა მისი მონოგრაფია, რომელშიც დანვრილებით არის განხილული ორი დიდი მეცნიერის, აკადემიკოსების: ნიკო მარისა და ივანე

ჯავახიშვილის ნაშრომები და წარმოჩენილია ის მცდარი პოზიცია, რომელიც, სამწუხაროდ, ნიკო მარს ჰქონდა ქართველოლოგიური მეცნიერების მიმართ.

ერთიანი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი და ეკლესიური სულისკვეთებით არის განმსჭვალული მონოგრაფია „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“ (თბ. 2019 წ.). როგორც ავტორი შენიშნავს: „თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე, დღეს, ჩვენი აზრით, ლინგვისტური ქართველოლოგიის წინაშე დგას ხუთი არსებითი გამოწვევა:

1. საერთაშორისო აკადემიურ ველში ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის საწინააღმდეგო **იდეოლოგემ(ებ)ის დაბალანსება** /თავდაცვა საინფორმაციო ომში/;

2. „რეგიონული ან უმცირესობების ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ **რატიფიცირების** კონტექსტში საქართველოს ენობრივი სიტუაციის ადეკვატური აღწერა;

3. რუსული ენობრივი პოლიტიკის წიაღში შექმნილი **ტერმინოლოგიური დივერსიების** განეიტრალეობით სწორ სახელმწიფოებრივ ორიენტირთა გაბუნდოვნების თავიდან აცილება;

4. ქართული ენის პრესტიჟის შენარჩუნების მიზნითა და თანამედროვე გამოწვევების გათვალისწინებით, **ქართული ენის ტექნოლოგიზება** (ავტომატური ორენოვანი აკადემიური თარგმანის განხორციელება);

5. საქართველოს სახელმწიფო ენის... კონსტიტუციური სტატუსის დაცვის უზრუნველყოფა<sup>2</sup>“.

პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე არ მოერიდა კრიტიკას იოსებ სტალინისა, რომელმაც თავის ნაშრომში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“ გაიმეორა XIX საუკუნის რუსი შოვინისტი მოხელეების – კირილე იანოვსკისა და ივანე ვოსტოროგოვის თვალსაზრისი მეგრელების, აჭარლების, სვანების მიმართ. მეცნიერმა ივანე ჯავახიშვილის მოშველიებით დაგმო ნიკო მარის თვალ-

---

<sup>2</sup> ტ. ფუტყარაძე, „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“, თბ., 2019 წ., გვ. 21.

საზრისი მეგრულის, ჭანურისა და სვანურის დამოუკიდებელ ენებად გამოცხადების შესახებ. თვალსაჩინოებისათვის მას მოჰყავს ნაწყვეტი ივანე ჯავახიშვილის ნიკო მარისადმი გაგზავნილი წერილიდან: „აკად. ნ. მარმა იმ დროს, როდესაც ჩვენი ქართული უნივერსიტეტის გახსნის ნებართვას ვთხოვლობდით, რუსეთის მაშინდელ მთავრობაში წინადადება შეიტანა, რომ თბილისში საჯაროდ რუსული უნივერსიტეტი გახსნილიყო, რა მიზნით? იმ მიზნით, რომ, რათგან რუსეთის სახელმწიფოში მცხოვრები ერნი საერთო ეროვნულ-ნათესაობრივ კავშირსა და შედუღებას მოკლებულნი არიან, მათ ისეთი კულტურული დაწესებულებანი ესაჭიროებათ, რომელნიც ამ შედუღებას ხელს შეუწყობენ“<sup>3</sup>.

პროფესორმა ტარიელ ფუტყარაძემ მდიდარი საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე აღადგინა XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლშევიკური საოკუპაციო ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების ვერაგული პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა ქართველი ერის სრულ დანაწევრება-დაქუცმაცებას. მისი შენიშვნით, ეს ადამიანები – სტალინელი კოლაბორაციონისტები, პირობითად, ორ ძირითად ჯგუფად იყოფოდნენ:

„ა) პირები, რომლებიც ითხოვდნენ სამეგრელოს შეერთებას რუსეთთან ან ნაციონალური ავტონომიის გამოცხადებას 1922-1936 წლებში არსებული „ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის“ ფარგლებში, ასევე – სამეგრელოში მეგრული მეტყველების დამკვიდრებას დაწყებითი განათლების ენად, საქმისწარმოების ენად და პრესის ენად („ჩხოუშიელი“ ავტონომისტები);

ბ) პირები, რომლებიც ითხოვდნენ სამეგრელოს გამოცხადებას „ამიერკავკასიის სოციალისტურ-ფედერაციული რესპუბლიკის“ ადმინისტრაციულ ოლქად და მეგრული მეტყველების დამკვიდრებას დაწყებითი განათლების ენად, საქმისწარმოების ენად და პრესის ენად (ისააკ ჟვანიას ჯგუფი)“<sup>4</sup>.

<sup>3</sup> ტ. ფუტყარაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 51.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 55.

პროფესორმა ტარიელ ფუტყარაძემ მის მიერვე გამოვლენილი საარქივო მასალების ანალიზის საფუძველზე დაწვრილებით განიხილა როგორც „ჩხოშვიელი ავტონომისტების“ (ბუკონია, ბესელიას ჯგუფი), ასევე ისააკ ჟვანიას ჯგუფის ძირგამომთხრელი საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავდა სამეგრელოს ავტონომიას და საქართველოს ამ ძირძველი კუთხის მოსახლეობის ქართული სამწერლობო სივრციდან გაყვანას. მისი მართებული დასკვნით, ლავრენტი ბერიამ, ქართველ მეცნიერთა დახმარებით (არნოლდ ჩიქობავა), იოსებ სტალინის სახელზე გაგზავნილ წერილში დაასაბუთა, რამდენად არამართებული იყო მოთხოვნა სამეგრელოს ავტონომიის და იქ სწავლება-საქმისწარმოების მეგრულად შემოღების შესახებ.

პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის დასკვნით, „ი. სტალინის (ნიკო მარის) თავდაპირველ „სოცოლინგვისტურ“ „თეზის“, რომლის მიხედვითაც საბჭოთა იმპერიის ენობრივი პოლიტიკა იგეგმებოდა 1913-1932 წლებში (და რომელიც ენობრივ-ეთნიკურად ანაწევრებდა ქართველ ერს), იმთავითვე შეენიანაღმდეგნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები (კონსტანტინე გამსახურდია, თედო სახოკია, შალვა დადიანი...) ქართველ ბოლშევიკთა ერთი ნაწილი (ალ. გეგეჭკორი, ლ. ბერია) და ქართველი ენათმეცნიერები: სილოვან ხუნდაძე, არნოლდ ჩიქობავა, ვუკოლ ბერიძე, გიორგი ახვლედიანი, ვარლამ თოფურია... იმხანად უფრო პრაგმატული აღმოჩნდა არნოლდ ჩიქობავას, გ. ახვლედიანის, ვ. ბერიძის და სხვა ლინგვისტების **გარკვეულწილად კომპრომისული თვალსაზრისი**, კერძოდ, მათ არ გაიზიარეს იოსებ სტალინის (/ნიკო მარის) ე.წ. ოთხი ქართველური ენის თეორია და ხელი შეუშალეს სამეგრელოსა და სვანეთში ქართული ენის, როგორც ისტორიული დედაენის, ჩანაცვლებას ადგილობრივი კუთხური მეტყველებებით. **ამ მიმართულებით ლიდერად ჩანს არნოლდ ჩიქობავა.** ზოგადად თუ ვიტყვით, ბოლშევიკების რეპრესიული რეჟიმის პირობებში ენათმეცნიერისაგან ი. სტალინის ენობრივი პოლიტიკის უარყოფა **სამოქალაქო გმირობის** ტოლფასი იყო<sup>5</sup>.

<sup>5</sup> ტ. ფუტყარაძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 90-91.

პროფესორმა ტარიელ ფუტყარაძემ დაწვრილებით განიხილა ქართველთა ენობრივ-ეთნიკური დანაწევრების საფუძვლად გამოყენებული ე.წ. „ოთხი ქართველური ენის“ მომხრეების პოზიცია და გაემიჯნა ამ პოზიციის მიმდევართ. მისი დასკვნით, „რამდენადაც საერთაშორისო ფონდები დაინტერესებული არიან საფრთხის ქვეშ მყოფი უმნიგნობრო ენების გადარჩენით, გრანტების იოლი გზით მოპოვების მოსურნე უცხოელი თუ ქართველი მკვლევრები, ყოველგვარი ლოგიკის გარეშე, დღესაც ცდილობენ „განუვითარებელ ენებად“ თუ „უმწერლობო ენებად“ გამოაცხადონ ქართველურ ზეპირ იდიომთა ერთი ნაწილი. ისინი ხელისუფლებას სთავაზობენ, დასახელებული „უმწერლობო ენები“ ისწავლებოდეს საქართველოს საჯარო სკოლებში... ალბათ, მათგან ზოგს მაინც გააზრებული არ აქვს, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ყოველივე გამოიწვევს, **ერთი მხრივ**, ქართველი ერის დანაწევრებას... **მეორე მხრივ** კი, მეგრელებს, ლაზებს, სვანებს, წოვათუშებს დაუკარგავს **მრავალსაუკუნოვანი ქართული სამნიგნობრო კულტურის ქმნალობაში მონაწილეობის ისტორიას**“<sup>6</sup>.

სამწუხაროდ, ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილისათვის გაუგებარია ის საშიშროება, რომლის შესახებაც პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე წერს. ქართველი ერის დენაციონალიზაციის პროცესი გრძელდება.

### **სერგო ვარდოსანიძე**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია  
პირველწოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

---

<sup>6</sup> იქვე, გვ. 122.

**ლინგვისტური ქართველოლოგიის თანამედროვე  
გამონვავეები და პროფ. ტარიელ ფუტყარაძის  
ენათმეცნიერული ნაშრომები**

*კარგი მოსწავლე მასწავლებლის  
გზას კი არ ტკეპნის, აგრძელებს.*

ქართველოლოგია კომპლექსური, დარგთაშორისი სფეროა. რომ არა კომპლექსურობა, უამრავ მწვავე საკითხს მთლიანობაში ვერ დავინახავდით. ქართველოლოგიის, როგორც დარგთა გამაერთიანებელი პლატფორმის ბოლოდროინდელ გააქტიურებას ბევრი სპეციალისტი მტკივნეული რეაქციით შეხვდა და მიიჩნია, რომ ეს არ იყო ტრადიციული სკოლების გზა. იმთავითვე უნდა უარვყოთ ეს აზრი, რადგან სწორედ ტრადიციული სკოლები ესწრაფოდნენ დარგთა თანამშრომლობას.

ლინგვისტური ქართველოლოგიის თანამედროვე გამონვავეები ფართო გაგებით ეხმიანება ქართველებისა და საქართველოს შემსწავლელ არაერთ ჰუმანიტარულ დარგს: ენათმეცნიერებას, ლიტერატურათმცოდნეობას, არქეოლოგიას, ეთნოგრაფიას, კულტუროლოგიას და ა.შ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსებისა და განსაკუთრებით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჩამოყალიბების შემდეგ საქართველოში ფართოდ გაიშალა გეგმაზომიერი და სისტემური კვლევა ქართველოლოგიის შემადგენელ დარგებში, თუმცა მეცნიერებათა აკადემიისა და ენიმკის ამოცანა მუდმივად იყო თვალსაზრისთა ურთიერთგაზიარება და მონაცემთა შეჯერება.

ქართველოლოგიის მოწოდება არ არის მხოლოდ ის, რომ აღწეროს საკვლევი ობიექტის თავისებურებები, არამედ მისი ამოცანა უნდა იყოს საქართველოს, ქართველი ერის, ქართული ენისა და კულტურის თვითმყოფადობის ფიქსაცია, ამ თვითმყოფადო-

ბის განმაპირობებელი თავისებურებების აღნუსხვა/შეფასება და დაცვა; ასეთი იყო ქართველოლოგიის დანიშნულება მთელი მისი ისტორიის მანძილზე. დიახ, შეიძლება იმ გზას თანამედროვეობას მორგებული ტერმინი **ქართველოლოგია** ყოველთვის არ ერქვა, მაგრამ იმ ამოცანებს, რომლებიც ამ ტერმინმა მოიცვა დღეს, შორეულ წარსულშიც ისახავდა ქართული სამეცნიერო აზრი და წარმატებით კიდევ გადაჭრიდა ხოლმე ყოველ ეპოქალურ გამონევეას: სხვაგვარად ვერ აიხსნება „ქართლის ცხოვრების“ მეისტორიეთა სიტყვაძენი, მაგრამ მკაცრად ობიექტური ჩანანერები, ჰაგიოგრაფ-რიტორთა თეოლოგიური ანალიზი, პეტრინისა და მთანმინდელთა ტერმინწარმოებითი და მთარგმნელობითი კვლევები და ბაგრატიონების საგამომცემლო და მთარგმნელობითი გარჯა (იადიგარ დაუდი, საკანონმდებლო წიგნები...), საბას ლექსიკონი და სხვ.

თანამედროვე მსოფლიო წესრიგს საკუთარი გეზი აქვს არჩეული; ერთიანი ბაზრის, ტერიტორიული გადანაწილების, ტექნიკური პროგრესის და ჭარბი მოსახლეობის მისწრაფებებისა და ინსტინქტების მართვის გასამარტივებლად გლობალიზაციური რეჟიმი ერებისა და სახელმწიფოების ინდივიდუალურობის უარყოფის გზას ორგანიზებულად ადგას... და ამ გზაზე ყველა ხელისშემშლელ ფაქტორს კატეგორიულად იშორებს თავიდან ყველა შესაბამისი ხერხითა და საშუალებით (დისკრედიტაციით, გმობით, სამხედრო ძალით, ეკონომიკური სანქციებით, იდეოლოგიური წნეხით, უნიფიცირებული საგანმანათლებლო და საკანონმდებლო ბერკეტებით...) და ამ ყველაფერს სამეცნიერო შეფუთვით „აკეთილშობილებს“. ამდენად, თანამედროვე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა წარმომადგენლები გზაგასაყარზე აღმოჩნდნენ: ან თავისი წარმოშობის ქვეყნის განვითარებისა და ინდივიდუალურობის შენარჩუნების გზით **საკუთარი** სულიერი მისია უნდა ამოიცნონ და განახორციელონ, ან თანამედროვე მსოფლიო წესრიგი კაცობრიობის უმაღლეს და უნაკლო მიზნად აღიარონ და მასში გათქვეფას დაეშურონ. ეს უკანასკნელი გზა მოფენილია დიდებითა და გრანტებით, მსოფლიო მოქალაქეობის ილუზორუ-

ლი განცდით, მშვიდობითა და სიმდიდრით დაკმაყოფილების უტოპიური დაპირებებით, ერთადერთი მიმართულებით მიმდინარე მდორე მდინარეების ტალღებზე ტივტივის მომადუნებელი მოსვენებით...

რა გზით უნდა იაროს ქართველოლოგიამ? ქართველოლოგია კომპლექსური აზროვნებაა საქართველოს შესახებ, მრავალდარგოვანი და მრავალასპექტიანი, ამიტომაც იყო, რომ უნივერსიტეტის გახსნის იდეაში იმთავითვე ჩაიდო საქართველოსა და ქართველი ერის ინტერესები და ყველა სერიოზული მეცნიერი, რომელიც ამ სკოლიდან გამოვიდა, მტკიცედ უნდა მიუყვებოდეს ამ გზას.

შეიძლება სიტყვა გაგვიგრძელდა, მაგრამ ამ ნანამძღვრების გარეშე სრულყოფილად ვერ ვიმსჯელებთ პროფ. ტ.ფუტყარაძის ქართველოლოგიურ ნაშრომებზე.

ტ.ფუტყარაძის ბიბლიოგრაფია ცხადყოფს, რომ ტრადიციული გრამატიკული ხასიათის კვლევებში 1996 წლიდან მკაფიოდ იკვეთება ზოგადქართველოლოგიური მიმართულების საენათმეცნიერო ხაზი, რაც საფუძვლად უდევს სამეცნიერო ჟურნალის – „ქართველური მემკვიდრეობის“ დაარსებას (I, ქუთაისი, 1996, „ქუთაისის უნივერსიტეტის გამომცემლობა“, გვ. 246-252), ხოლო თავად ჟურნალი აღმოჩნდა საფუძველი და სტიმული სხვადასხვა მიმართულებით ქართველოლოგიური კვლევების გაშლისა. შეიძლება ითქვას, რომ ჟურნალის იდეაში ჩაიდო ენიმკის საუკეთესო გამოცდილება, როდესაც სხვადასხვა ჰუმანიტარული დარგის გადასახედიდან იქნა დანახული ერთი და იგივე საკვლევი საკითხი. ამ კრებულის/ჟურნალის დამაარსებლის – პროფ. ტარიელ ფუტყარაძის მართებული გადანყვეტილებით, ყოველი კრებულის (ჟურნალის) მასალა აპრობირდებოდა სამეცნიერო კონფერენციებზე, რომლებიც კრიზისული 90-იანი წლების განმავლობაში ლამის ერთადერთი ადგილი იყო, სადაც ერთმანეთს ხვდებოდნენ საქართველოს სხვადასხვა ქალაქის უნივერსიტეტების, ინსტიტუტებისა და ცენტრების მეცნიერები და ერთმანეთს უზიარებდნენ საკუთარ იდეებს, მიღწევებს, სვამდნენ შეკითხვებს,



კამათობდნენ, სახავდნენ გეგმებს, ქმნიდნენ თანამოაზრეთა ჯგუფებს, იღებდნენ პრინციპული შინაარსის დეკლარაციებს და სხვ. მაგალითისათვის შეიძლება გავისხენოთ ქართველურ ენა-კილოთა ერთიანობის თემატიკა;

**ქუთაისური საუბრების** მონაწილე ლინგვისტების, ფოლკლორისტების, ლიტერატორების, ეთნოლოგების, არქეოლოგების, ისტორიკოსების, მუსიკოლოგების ნაშრომთა მიხედვით, ქართველურ ენა-კილოთა ერთიანობა და ყველა კუთხის ქართველისათვის საერთო იდენტობის, კულტურული წინსვლის, ერთობლივი ზრუნვისა და სიამაყის საგანი – მრავალსაუკუნოვანი წერილობითი ტრადიციის მქონე ქართული სალიტერატურო ენა – დღესაც მდიდრდება (და უნდა მდიდრდებოდეს) სრულიად ქართველთა ინტელექტუალური ნაღვანით. ეს იდეა მკაფიოდ დასაბუთდა და გაჯერდა წარსულისა თუ აწმყოს წყაროებით, მასალებით, კვლევებით და განმტკიცდა ძალიან მნიშვნელოვანი ინტერდისციპლინური ხასიათის დოკუმენტით, რომელსაც მრავალი საუკეთესო სპეციალისტი აწერს ხელს.

ცხადია, ამ ხანგრძლივსა და საკმაოდ თანამიმდევრულ დისკუსიაში მონაწილეობდნენ განსხვავებული თვალსაზრისის მქონე სპეციალისტებიც.<sup>7</sup> უნდა ითქვას, რომ ამ წრის კონსოლიდაციამაც მოიტანა მნიშვნელოვანი და საინტერესო შედეგი: 1) გამოიკვეთა, რომ ამ საკითხში შუალედური პოზიცია არ არსებობს; 2) მხარეებს დასჭირდათ სრული მობილიზაცია („ქუდზე კაცი“) იმ არგუმენტების მოსაძიებლად, რომლებიც მათ პოზიციას გაამაგრებდა; 3) გამოიკვეთა, რომ უცხოელი ქართველოლოგების ნაწილი (სამწუხაროდ, ქართველოლოგიაში მომუშავე ანგარიშგასაწევ სპეციალისტთა რიცხვი მცირეა) და საქართველოს სახელმწიფოს (პუტჩისშემდგომი საქართველოს) ფონდები და ოფიციალური

---

<sup>7</sup> ძირითადად ამ ტიპის ლინგვისტთა შორის აღმოჩნდნენ ენთუზიასტები, რომლებიც რუსეთის იმპერიისა და საბჭოთა კავშირის ნომენკლატურული ელიტისა თუ სამეცნიერო სკოლების დანინაურებულ სპეციალისტთა ნაწილის გზას მიჰყვებოდნენ და ქართველურ ენა-კილოთა ერთიანობის საკითხს ეჭვქვეშ აყენებდნენ.

ორგანიზაციები ძირითადად ქართველი ერის მთლიანობის დაშლის არგუმენტების ძიებას აფინანსებდნენ და აძლიერებდნენ.<sup>8</sup>

4) ქართველურ ენა-კილოთა ერთიანობის უარმყოფელნი, თუმცა თანამედროვე მსოფლიოს ენობრივი პოლიტიკის ავანგარდს მიჰყვნენ, თავისდაუნებურად დაუპირისპირდნენ არა მხოლოდ „ქუთაისური საუბრების“ მონაწილე სპეციალისტების საოპონენტო ჯგუფს, არამედ „ქართლის ცხოვრების“, საქართველოს მეფემთავრების, ქართველი მწერლებისა და მოღვაწეების, საქართველოს ეკლესიის უდიდესი წარმომადგენლების სახელებსა და მოძღვრებას (რაც მნიშვნელოვანი შეტყობინებაა პოლიტიკური მსოფლიოსთვის, ერთი მხრივ, და ქართველი ერისთვის, მეორე მხრივ. 5) „ქუთაისური საუბრების“ თემატიკამ და პოლემიკამ დაასწრო პოლიტიკური ჩანაფიქრების მთელ რიგს და ამით ან შეაჩერა, ან შეაფერხა, ან გარკვეული კვალიფიკაცია მაინც მისცა იმ მოსაზრებებს, რომლებიც თურმე საქართველოს ტერიტორიული დაშლის, გარეშე სამხედრო ძალის გააქტიურების, სახელმწიფოს ადმინისტრაციული მოწყობის რევიზირების თეორიული საფუძველი უნდა გამხდარიყო.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ქუთაისში განვითარებული ეს „ომი“ პროფ. ტ.ფუტკარაძემ და მისი თანამებრძოლების სხვადასხვა თაობამ (კოლეგებმა, დოქტორანტებმა, სტუდენტებმა...) გადაიხადეს.

ეს მხოლოდ ერთი (თუმცა, უდავოდ, ძალზე მეტყველი) მაგალითია იმ ორგანიზებული სამეცნიერო მოღვაწეობისა, რომელსაც ტარიელ ფუტკარაძე უკვე ათწლეულებია ეწევა. შესაძლოა მისი სამეცნიერო ინტერესების თემატიკა და მასშტაბები იმან განაპირობა, რომ მას სრულიად ახალგაზრდა ასაკში ერგო პატივიც და ტვირთიც, ყოფილიყო საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატი, ქვეყნის დამოუკიდებლობის აქტზე ხელის მომწერი,

---

<sup>8</sup> და ეს მაშინ, როდესაც თანამედროვე მსოფლიოს გლობალიზაციური კურსი ყველა ადამიანს ერთიანად მიიჩნევს კანის ფერის, ეროვნული და ენობრივი კუთვნილების მიუხედავად.

ზვიად გამსახურდიასა და არაერთი თვალსაჩინო მამულიშვილის იდეალების მოზიარე და თანამდგომი. ალბათ, ამიტომ აღმოჩნდა ტ.ფუტკარაძის სამეცნიერო მიმართულება თანხვედრილი ერთიანი და თავისუფალი საქართველოს ისტორიულ გზასთან. მისი მაგალითიც ცხადყოფს, რომ მეცნიერება, მით უფრო ჰუმანიტარული მეცნიერება, უმჭიდროესად უნდა იყოს დაკავშირებული იმ ქვეყანასთან, რომელშიც იშვა პრობლემა, ცოდნა ამ პრობლემის შესახებ, და რომლის წიაღშიც მოიკრიბა ემპირიული მასალა. კვლევას უნდა ჰქონდეს მისამართი, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს დაემსგავსება სანერგე ორმოს თხრას ნერგის ჩარგვის გარეშე. ქვეყნისთვის აქტუალური და მწვავე საკითხების გადასაჭრელად ქვეყნის პრობლემების შესწავლა სულაც არ არის საკითხის პოლიტიზება – ეს პოლიტიკისთვის სწორი რეკომენდაციების მიწოდებაა.

ტ. ფუტკარაძის ნაშრომთა ბიბლიოგრაფია ნათლად აჩვენებს არა მხოლოდ ავტორის უდიდეს შრომისნაყოფიერებას, არამედ იმ თემატურ მრავალფეროვნებასაც, რომელსაც იგი სხვადასხვა დროს შესჭიდებია და უნდა ითქვას, რომ მათი უმრავლესობა ქართველოლოგიისა და თავად საქართველოსთვის აქტუალური და მნიშვნელოვანია:

- 1) ქართველთა ეთნოგენეზისის საკითხები;
- 2) ქართველები (ისტორიული საცხოვრისი, სამწიგნობრო ენა, დიალექტები);
- 3) სხვადასხვა ისტორიულ მომენტში საქართველოს პოლიტიკურ საზღვრებს გარეთ აღმოჩენილი ქართველობა (მესხეთელი მოსახლეობის ეთნოენობრივი დახასიათება (დეპორტაცია), იმერხევის ქართველები, ქართველი მუჰაჯირები, ფერეიდანი...), სამეტყველო თავისებურებები, დიალექტური მასალის მოპოვება-სისტემატიზაცია, ენობრივ-კულტურული იდენტობის ხარისხი;
- 4) ქართველი ემიგრანტების ენობრივი კომპეტენციის საკითხები;
- 5) ქართული ენის სახელმძღვანელოები და ლექსიკონები;
- 6) ქართული ენა-კილოების მრავალფეროვნება და ემპირი-

ული დაკვირვებები მათზე;

7) ძველი ქართული მწერლობა („ქებაი“);

8) ქართული ენის ფონეტიკის საკითხები;

9) აჭარა – მეტყველება, რწმენა, პოლიტიკა...

10) სახელმწიფო ენის კონსტიტუციური და რეალური უფლებები;

11) ტერმინოლოგია, მორფოლოგიის პრობლემური საკითხები;

12) ავტონომიზაციის საკითხები;

13) კარტოგრაფია და თანამედროვე კონიუნქტურა;

14) ონომასტიკა;

15) გრამატიკული ნორმები;

16) ეტიმოლოგიური ძიებანი და სხვ.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებლის სახელობის ქართული უნივერსიტეტი ის კერა აღმოჩნდა, რომელმაც თავი მოუყარა ტარიელ ფუტკარაძის მრავალწამონყებას, მისცა მას საშუალება წარმატებით ეკვლია ჩვენი ქვეყნისათვის აქტუალური პრობლემატიკა, საქართველოს ყველა უნივერსიტეტსა და ბედის უკუღმართობით უცხოეთში აღმოჩენილ გულმხურვალე მამულიშვილებთან ნაცოფიერი თანამშრომლობის გზით ხორცი შეესხა საქართველოს ერთიანობისა და თვითმყოფადობის დაცვის იდეისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ქართული უნივერსიტეტის რექტორმა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლამ არა მხოლოდ პრობები შეუქმნა ამ შრომისათვის, არამედ უდიდესი თანამშრომლობა და შემოქმედებითი მხარდაჭერაც აგრძნობინა ამ ძნელადსავალ გზაზე.

ამ მსჯელობაში მსურს ჩავრთო გამოხმაურება პროფ. ტ. ფუტკარაძის მონოგრაფიაზე „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“, რომელიც უთუოდ უნდა ჩაითვალოს სახელმწიფოებრივი სულისკვეთების, მეცნიერული სიღრმითა და კეთილსინდისიერებით გამორჩეულ ნაშრომად. ეპოქის სპეციფიკის გამო სამეცნიერო ნაშრომის ღირსებათა, როლისა და მნიშვნელობის, საზოგადოებრივ ცხოვრებაზე გავლენის მასშტაბების განსაზღვრა მარტივი საქმე არ არის, რამდენადაც ინფორმაცი-

ულ ზღვაში ძნელია ერთი რომელიმე ხაზის თანმიმდევრულად აღქმა და დანახვა, მაგრამ ჩვენ მაინც შევეცდებით, როგორმე მოვახერხოთ წინამდებარე ნაშრომის არამართო ჩვენეული ანალიზის წარმოდგენა, არამედ საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული პროცესების მიმდინარეობაზე ამ მონოგრაფიული კვლევის გავლენის განსაზღვრა.

რა საკითხებს ეხება პროფ. ტ.ფუტყარაძის სამეცნიერო ნაშრომი და კერძოდ, რომელ სამეცნიერო სფეროს უნდა მივაკუთვნოთ იგი?

წიგნში გატარებულია რამდენიმე მნიშვნელოვანი ანალიზური ხაზი, რომელთა ბოლოს გაკეთებული დასკვნები ფაქტობრივი მონაცემებით გამაგრებული და ისეთი დამაჯერებლობისაა, რომ კამათის ნებისმიერ მოწადინეს გაუძნელდება ამ ფაქტების იგნორირება (წიგნს დანართის სახით ახლავს უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტები, რომელთა უმრავლესობა ადრე არ იყო ცნობილი არა მართო ფართო საზოგადოების, არამედ პროფესიული წრეებისთვისაც).

წიგნის საკვანძო თემებიდან უნდა გამოვყოთ რამდენიმე:

### **1. ქართველთა ენობრივი ერთიანობის საკითხი**

ამ საკითხის არსი ასეთია: ქართული სალიტერატურო (სამწიგნობრო) ენა, რომელიც დღემდე ერისა და ქვეყნის მიერ გადატანილი უამრავი და მრავალგვარი განსაცდელის მიუხედავად, 21-ე საუკუნეს ხვდება სახელმწიფო ენის სტატუსით, სასკოლო და უმაღლესი განათლების, კულტურის ნებისმიერ დაწესებულებაში, ყველა სოციალურ ფენასა თუ ორგანიზაციაში სრულყოფილად მოქმედ და შემოქმედებით ენად, მეცნიერების ნებისმიერი დარგისა თუ სახელმწიფო სტრუქტურებში მოქმედებისათვის მორგებულ ენად და საქართველოში მცხოვრები მოსახლეობის უდიდესი პროცენტის საურთიერთო და სააზროვნო ენად; თავისი ისტორიული არსებობის მანძილზე ახერხებდა გამკლავებოდა ქვეყნის ტერიტორიული დაქუცმაცებისა და ამ გზით სახელმწიფოს ტერიტორიათა მიტაცებისკენ მიმართულ ღონისძიებებში ქართული ენობრივი სამყაროს დიალექტური მრავალფეროვნების

გამოყენების ბოროტგანზრახულ მცდელობებს. ერთი შეხედვით, საქმეში ჩაუხედავ ადამიანს ეს საკითხი შეიძლება გაზვიადებულად მოეჩვენოს, მაგრამ თუ ეს „საქმეში ჩაუხედავი ადამიანი“ ზოგადად ლოგიკურად აზროვნებს, მისთვის წიგნის ის ნაწილები, სადაც დოკუმენტებზე დაყრდნობილი მსჯელობაა მოცემული, საცნაურს გახდის საფრთხის რეალურობასა და მისი თავიდან არიდების აუცილებლობას. ასეთი თავებია: „საერთოქართველური ენისა და თანამედროვე ქართველური ქვესისტემების ისტორიული მიმართების ამსახველი სხვადასხვა სქემის შეპირისპირებითი ანალიზი“, „ქართველური ენობრივი სამყაროს სეგმენტაციის შესახებ ორი ძირითადი თვალსაზრისი /ისტორიული დინამიკა“, „ქართველთა ენობრივი მემკვიდრეობის დაცვის პერსპექტივა“, „ტერმინოლოგიური დივერსიები“.

## **2. თავდაცვა საინფორმაციო ომში**

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესები, რომელთა რეგულირებასა და მშვიდობიანობას, სამწუხაროდ, ბოლომდე ვერ უზრუნველყოფენ ამისთვის მონოდებული და ამ მაღალი მიზნისათვის დამაშვრალი საერთაშორისო ჰუმანიტარული თუ სამხედრო-პოლიტიკური ალიანსები; ამიტომაც მონინავე მსოფლიოს ღონისძიებათა დახვეწამდე საქართველოსთანა ქვეყნებს (კოლონიური რეჟიმებით მოქანცულთ, უცხო სახელმწიფოთა გავლენის სფეროებში მეტ-ნაკლებად ჩარჩენილთ და ეკონომიკური კრიზისებით შეჭირვებულთ) აუცილებლად მართებთ საკუთარ პრობლემებში ღრმად ჩახედვა, საფრთხეების გამოცნობისა და მოგერიების სტრატეგიების შემუშავება და შორსმჭვრეტელობა; ხოლო შორს ის იხედება, ვინც წარსული გამოცდილების ცოდნის მწვერვალიდან გაჰყურებს მომავალს. ვფიქრობთ, ჩვენი სახელმწიფოს მმართველობითი სამსახურებისათვის უალრესად მნიშვნელოვანია ის ფაქტები და მათი ანალიზი, რომელსაც წინამდებარე წიგნი გვთავაზობს. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესოა შემდეგი ნაწილები: „ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის საკითხი საერთაშორისო დოკუმენტებში“ – „ჰაიდი ტალიავინის დასკვნის ერთი ნაწილის

ანალიზი“, „ოთხი ქართველური ენის იდეოლოგიემის შექმნის ისტორია“; „საქართველოს ენობრივი სიტუაცია „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ რატიფიცირების კონტექსტში“ – „საქართველოს სტრატეგიული მიზანი“...

### **3. ქართული ენის ისტორიული ხაზისა და პოლიტიკურ-კულტურული ფუნქციის შენარჩუნება ტექნოლოგიების ეპოქაში**

ქართული ენის და, შესაბამისად, მისი პატრონი ერისა და სახელმწიფოს წინაშე არის კიდევ ერთი გამოწვევა, რომელიც მტრულ დივერსიებს არ უკავშირდება, მაგრამ აუცილებელ ყურადღებას მოითხოვს სახელმწიფოსაგან, რათა ქართულმა ენამ თავისი ოდითგანვე გამოყოფილი უმთავრესი ნიშანი – მონინავე ენად ყოფნის უმნიშვნელოვანესი და გადამრჩენელი უნარი არ დაკარგოს; ეს გახლავთ ენის ტექნოლოგიზების აუცილებლობის საკითხი; ინტერნეტსივრცეში „ფრიადი ქვეყნის“ ქართული ენით დაფარვა ის საშური საქმეა, რომელიც ქართულს მეორეხარისხოვან ენად არ გადააქცევს. შესაბამისად, ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგის ამუშავება ელექტრონული ავტომატური თარგმანის სრულყოფის მიმართულებით, ენის კორპუსთა „ანყოფის“ და საინფორმაციო ბაზების გამდიდრების მიმართულებით სასწრაფოდ მოსაგვარებელია. ამ საკითხებს ეხება და დამაჯერებლად განიხილავს ავტორი მეოთხე თავში: „ქართული ენის ტექნოლოგიზება“ – „ავტომატური აკადემიური თარგმანის საკითხი“, „ერთენოვანი ქართული ტექსტების ეროვნული კორპუსი“.

ენათმეცნიერების ერთ-ერთი თავისებურება ისაა, რომ მისი მონაცემები ან პრაგმატიკასთან დაკავშირებული შესაძლებლობები ხშირად ხდება პოლიტიკის განმაპირობებელი, ან პირიქით, პოლიტიკით განპირობებული ქმედებების თეორიული საფუძველი თუ პირობა. ხდება ისეც, რომ ლიგვისტიკის ამ უცილობელ და ორგანულ თავისებურებას ხელოვნურად „გაპოლიტიკურების“ მცდელობად აცხადებენ, რათა ჰუმანიტარულ დარგებს შორის სწორედ რომ სიზუსტით გამორჩეული ამ დარგის პოლიტიკური მომენტისათვის არასასურველი ზოგიერთი დებულებისა თუ დასკვნის ძალა და გავლენა შეასუსტონ. ალბათ, ამიტომაც იყო,

რომ საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურების მოუღლეელი და მახვილი მზერა განსაკუთრებულად აკონტროლებდა ენათმეცნიერულ თეორიებსა და პრაქტიკას და პოლიტიკისათვის მგრძნობიარე თემებზე მომუშავე სპეციალისტებს გასაქანს არ აძლევდა. ამით უნდა აიხსნებოდეს ის ფაქტიც, რომ ენათმეცნიერთა უმრავლესობა თავს არიდებდა თეორიული ენათმეცნიერების მთელ რიგ საკითხებზე მუშაობას, რათა „შავ სიაში“ არ მოხვედრილიყო და გრამატიკის „უწყინარ“ საკითხებზე მუშაობის შესაძლებლობაც არ დაეკარგა.

პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის მონოგრაფიული კვლევა „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“ თეორიულ ენათმეცნიერებას ეკუთვნის, მაგრამ მკაფიოდ გამოხატული ინტერდისციპლინური ბუნების ნაშრომია, როგორც ეს თანამედროვეობას შეეფერება. წიგნი შთაგონებულია ქართული ენობრივი სივრცის პოლიტიკურ-კულტურული საზღვრების დადგენის, ენის, როგორც ეროვნული მთლიანობის უზრუნველმყოფელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფენომენის, „თვითდაცვითი“ პოტენციალის შეფასების, ენობრივი მთლიანობის დარღვევის ხელოვნური მცდელობების მექანიზმების ახსნისა და „მოგერიების“, ტერმინოლოგიური დივერსიების ამოცნობის იდეით. ცხადია, ყველა დასახელებული საკითხი და ამ საკითხებზე ჩატარებული კვლევები ერთ მონოგრაფიად არ დაბადებულა. ამ საათის მექანიზმივით რთულსა და მრავალნაზნაგოვან წიგნს წინ უძღოდა მრავალი ნაშრომი, საბიბლიოთეკო თუ საარქივო კირკიტი და შრომა, მრავალი ადგილობრივი თუ საერთაშორისო დისკუსია, სიმპოზიუმი და კონფერენცია, სხვადასხვა ფორმატის დებატები და ინდივიდუალური თუ კოლექტიური დაკვირვებები, რომელთა გარკვეული ნაწილი ამ მონოგრაფიის ერთ მთლიან ნააზრევად ჩამოყალიბდა.

მე შევეცადე გადმომეცა პროფ. ტარიელ ფუტყარაძის მონოგრაფიის რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი, თუმცა წიგნი კიდევ უფრო დეტალურ ანალიზსა და შესწავლას იმსახურებს. ვიმედოვნებთ, ნაწილობრივ მაინც შევძელით იმის ჩვენება, რომ ამ მონოგრაფიით სახელმწიფოს ხელთა აქვს კარგად დასაბუთებუ-



ლი, ღრმა ცოდნასა და ანალიზზე დაფუძნებული მზა რეკომენდაციები, შეჯერებული საიმედო ლინგვისტურ, ისტორიოგრაფიულ, პოლიტოლოგიურ და კულტუროლოგიურ მონაცემებთან; თუ სახელმწიფო ინსტიტუტებს ამგვარი ინფორმაციები ნამდვილად ესაჭიროებათ საქართველოს წინაშე თავიანთი უძირითადესი მოვალეობების შესასრულებლად, მაშინ ამ წიგნის ავტორი ამოდ არ დამშვრალა თავის თავდადებულ შრომაში.

ცალკე უნდა გამოიყოს ტ. ფუტკარაძის პოლიტიკური პუბლიცისტიკა და პოლიტოლოგიური ნაშრომები; ისინი გამოირჩევა იმ უმთავრესი ნიშნებით, რომლებიც ყველაზე დასაფასებელია ამ ჟანრების ნამუშევრებში: მკაფიო პოზიცია, დოკუმენტირებული მსჯელობა, აქტუალურობა და კონკრეტულობა.

ხოლო პიროვნების შეფასებისას აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ეს მოუსვენარი, საქართველოს სატკივარის განკურნებაზე გაფაციცებული, ბეჯითი, გამჭრიახი, ოპტიმისტი ადამიანი სამეცნიერო საქმიანობისთვის ჯერ სრულიად ახალგაზრდაა და სამომავლო გამონვევებსაც წარმატებით გაართმევს თავს.

### **მანანა ტაბიძე**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,  
საქართველოს საპატრიარქოს  
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

## ტარიელ ფუტკარაძე – მკვლევარი, ქართველოლოგი

საქართველოს ლინგვისტურმა საზოგადოებამ პროფ. ტარიელ ფუტკარაძის ხმა გამოკვეთილად მოისმინა მაშინ, როდესაც ჩვენში აქტუალური გახდა ახალი დოკუმენტი – „ევროპული ქარტია რეგიონული და უმცირესობათა ენების შესახებ“. იყო და დღემდე რჩება საფრთხე ამ დოკუმენტის განსხვავებული ინტერპრეტაციებისა. საქმის ვითარება განსაკუთრებით რთულდება მაშინ, როდესაც საკითხი დგება ქართველური ენობრივი მემკვიდრეობის შესახებ. ცნობილი წესია, ენობრივ ან ეთნიკურ უმცირესობად მიიჩნევა ამა თუ იმ სახელმწიფოს არაძირითადი მოსახლეობა, მაგრამ როგორ ვიქცევით ჩვენი ენობრივი მრავალფეროვნების შემთხვევაში?

ჩემი ვარაუდით, ერთმნიშვნელოვნად სწორია ტ. ფუტკარაძის თვალსაზრისი, რომელიც იმთავითვე ცალსახად აყალიბებდა ქართული სახელმწიფოსათვის აუცილებელ პოზიციას, რომ **საქართველოში ერთ რომელიმე ქართულ კუთხეში მოსახლე ქართველობის მიჩნევა ენობრივ/ეთნიკურ უმცირესობად, ქართველური ენა-კილოების – სახელმწიფო ენებად საქართველოს ენობრივი პოლიტიკის გარედან დაგეგმვის ხელოვნური მცდელობაა**. რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, დასახელებული ორიენტაცია ავტომატურად დგება ანტიქართულ ფორმატში და იმეორებს მეფის რუსეთის მიერ არაერთხელ აპრობირებულ ქმედებას, რომლის საბოლოო მიზანი საქართველოს სახელმწიფოებრიობის ერთხელ და სამუდამოდ მოსპობა-განადგურებაა. ამიტომაც ტ. ფუტკარაძის გზავნილი იმსახურებს თანადგომასა და მხარდაჭერას, ვინაიდან იმპერიული მიდგომა, რაც არ უნდა დასავლურად იყოს შეფუთული, „ვერასოდეს შეცვლის ფაქტობრივ მიდგომარეობას, რომ არქაული ქართული სამწიგნობრო ენა, რომელსაც უწყვეტი განვითარება/ევოლუციის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია და

მემკვიდრეობითობა ახასიათებს, იქმნებოდა ლაზეთში, სამეგრელოში, მესხეთში, ქართლ-კახეთში, ჰერეთსა თუ სვანეთში“.

ჩემთვისაც საქართველოს კუთხეებში განფენილი ქართველური მდიდარი ენობრივი მემკვიდრეობა ქართული არამატერიალური კულტურის ცოცხალი ძეგლებია მხოლოდ, რომელთაც მოვლა-პატრონობა სჭირდება, მაგრამ ეს არამც და არამც არ ნიშნავს იმას, რომ საშინაო მოხმარების ენა-კილოები საქართველოს უმცირესობათა ენებია. გარდა ამისა, ქარტიის მიხედვით, როგორც მიუთითებს პროფ. ტარიელ ფუტყარაძე, **რეგიონული თუ უმცირესობათა ენები არ მოიცავს ამა თუ იმ სახელმწიფოს ოფიციალური ენის (ენების) ნაირსახეობებს/ვარიანტებს, დიალექტებსა და მიგრანტთა ენებს.** განა შეიძლება, ეჭვი შევიტანოთ ამ დასკვნაში: **ქართული წერილობითი კულტურა ყველა ქართული კუთხის გამორჩეულმა შვილებმა შექმნეს ზოგადქართულ ეროვნულ ენაზე. ამიტომაც ეს ენა ყოველი ქართველის დედაენაა.**

საბედნიეროდ, აქამდე არ გამხდარა პრობლემური ის ვითარება, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაშია დამონმებული. ნუთუ ვინმე გაიზიარებს ქართველთა ეთნოგენეზის იმგვარ თეორიას, რომლის მიხედვითაც, ქრისტეშობის წინ II ათასწლეულის მეორე ნახევრის საქართველოს ეთნიკური რუკა ასე გამოიყურება: კოლხეთის მთიანეთში – **სვანი**, კოლხეთის ბარში – **ზანი**, აღმოსავლეთ საქართველოში – **ქართველი** (?!). ან, საინტერესოა, რა შეფასებას დაიმსახურებს ასეთი მსჯელობა პირველი ქართული უნივერსიტეტის (თსუ-ს) სახელმძღვანელოში რომაა ფიქსირებული: „ქართული და მეგრული იმდენად არის დაცილებული ერთმანეთისგან, რომ თუ ან მეგრელმა არ იცის ქართული ან ქართველმა მეგრული, მაშინ ისინი ერთმანეთს ვერ გაუგებენ“. ე. ი. რა გამოდის: მეგრელი ქართველი არ არის? ამ წიგნით, კორელაცია ქართველი # მეგრელი შემდგარი ფაქტი ყოფილა. არადა, ეს ხომ არ არის ერთადერთი შემთხვევა, გამონაკლისი! ქართული (საქართველოს) ისტორია აუცილებლად მოითხოვს გადაწერას ამ სიტყვის საუკეთესო გაგებით, ვინაიდან სცოდავდნენ არა რიგითი (რიგიანი) ისტორიკოსები მხოლოდ, არამედ – ქართული ისტო-

რიოგრაფიის კორიფეები. მაგალითისთვის მოვიტან ნ. ბერძენიშვილის მსჯელობას: „ქართის ტომის მიერ დაპყრობა-შერწყმა სხვა ტომებისა და შემდეგ თანდათან მისი სახელმწიფოებრივ ორგანიზაციად გარდაქმნა... მას განუზომელ უპირატესობას ანიჭებდა სხვა ტომებთან შედარებით და მოხდა უდიდესი ნახტომი – ქართის ტომმა მცხეთა **დაიპყრო** და აქ შეიქმნა ახალი ქართლი. ამის შემდეგ ამ ტომთა შერწყმა კიდევ უფრო სწრაფი ნაბიჯით წავიდა. **ქართიტომიყლაპია**: იბერები, მესხები, ...ჰერები, ფხოვი, ქართალი, ბაზალი, ეგრე, სვანი, აფხაზი, აფშილი, სანიგი“. ბოლო პერიოდში ამგვარ ფაქტებს, რბილად რომ ვთქვათ, მომაკვდინებელ ლაფსუსებს ჯეროვანი ყურადღება ბ-ნმა ტარიელმა მიაქცია, მგონი, სწორედ ამის დასაძლევად შექმნა სამეცნიერო სიმოზიუმი: „ქუთაისური საუბრები“, ფორმატი, სადაც ქართველოლოგიის ყველა დარგის სპეციალისტს შეეძლო საკუთარი კვლევის შედეგები გამოეტანა განსახილველად და მიეღო ღირებული ინფორმაცია მომიჯნავე დარგის წამყვანი სპეციალისტებისაგან.

მე კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ ისტორიულ-ლინგვისტური წმინდად სამეცნიერო საკითხების პოლიტიზაცია/ინსტიტუციონალიზაციისა, თუმცა, რა თქმა უნდა, ჰუმანიტარული პოლიტიკის კარდინალურ საკითხებში ქართულ სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს საკუთარი პრინციპული პოზიცია, რაც საფუძვლად ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებს უნდა მოიაზრებდეს. მაგრამ ვერანაირად ვერ დავეთანხმები მათ პოზიციას, ვინც ამტკიცებს, რომ თითქოს ამით ტ. ფუტკარაძის „თეორია გასცდა ყოველგვარ სამეცნიერო ზღვარს და ქართველოლოგიას ამით აშკარად დაემუქრა დასავლური მეცნიერებისგან ჩამოშორების და შოვინისტურ დარგად ქცევის საშიშროება“. არა, მეგობრებო, კარგად შენიღბული იმპერიული შოვინიზმის შედეგები ჩვენ უკვე სახეზე გვაქვს **საქართველოს ოკუპაციის** სახით, რომელსაც ჰუმანიტარული მეცნიერების სახელით გაგრძელებას უპირებენ ქვეყნის კუთხეებად დაქუცმაცების გზით. საქართველოს სახელმწიფო ინტერესების დაცვა ვერ ჩადგება იდეოლოგიურად საშიში თამაშების რიგში. პირიქით, საჭიროა გონივრული კომპრომისების

სახით ერთიანი სახელმწიფოებრივი პოზიციის შემუშავება, რაც დაეფუძნება სამეცნიერო კვლევის პოზიტიურ შედეგებს.

და მაინც, ტარიელ ფუტკარაძის მთავარ დამსახურებად მე მივიჩნევ **ქართველოლოგიაში ახალი პარადიგმის შექმნას**, რომლის შესახებაც მსურს ორიოდ სიტყვით სპეციალურად ვისაუბრო.

თუ გადავხედავთ შედარებითი ინდოევროპეისტიკის განვითარების ადრეულ ეტაპებს, იქ ნათლად ჩანს რეკონსტრუქციების პროცედურებში უპირატესობა ძველი სამწერლობო ენების მონაცემებისა, ანუ ამოსავლად მიჩნეული იყო ბერძნული, ლათინური, ავესტა-სანსკრიტის ენობრივი მაჩვენებლები. დღევანდელ ინდოევროპეისტიკაში მსგავსი მიდგომები გადალახულია, თანაც ნარმატებით. ქართველურ სინამდვილეში მსგავსი რამ არ მომხდარა. ჩვენ გვქონდა გამორჩეული მიდგომები ჯანაშვილ-დეეტერსისა, კლიმოვისა, არნ. ჩიქობავასი, გამყრელიძე-მაჭავარიანისა, ირინე მელიქიშვილისა, კარლ-ჰორსტ შმიდტისა, მიხეილ ქურდიანისა, სადაც ხან სვანური მონაცემია უპირატესი (დეეტერსი, ქურდიანი), ხანაც ზანური (შმიდტ-მელიქიშვილი), ან პროტოკავკასიური (არნ. ჩიქობავა); ცალკე პარადიგმას ქმნის სიბილანტა და სონანტა სისტემების მწყობრი სტრუქტურული ანალიზი, რაც საეტაპო მნიშვნელობისა გახდა ქართველოლოგიის ისტორიაში, მაგრამ სამუშაო ვერსიად (ფორმატად) არ გვქონდა ქართული პარადიგმა, უფრო სწორად, რეკონსტრუქციები ქართულის მონაცემთა საფუძველზე განხორციელებული, როდესაც რეკონსტრუირებული სისტემა პრინციპულად ქართულის უპირატეს მონაცემებს ეყრდნობა. და, აი, ასეთი ქართველოლოგიური პარადიგმა ააგო პროფ. ტარიელ ფუტკარაძემ, რომელმაც შეძლო თავი მოეყარა უკვე ჩატარებული ქართველოლოგიური ისტორიულ-შედარებითი კვლევებისათვის, სადაც ერთი (ქართული) პარადიგმის ფარგლებში ქართველური ლინგვისტური მასალის შეჯერება-შეპირისპირება განხორციელდა. ვფიქრობ, ამ მეთოდოლოგიის გამოყენებით მუშაობენ დღეს ქართველოლოგიური ცენტრები ქუთაისში, ზუგდიდში და საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში. **ამ ჯგუფებისათვის, ვფიქრობ, უახლოესი მომავლის**

მთავარი ამოცანაა, შეიქმნეს შემაჯამებელი ხასიათის მონოგრაფია დასახელებული პოსტულატების მიხედვით, სადაც მოხდება განსხვავებული ინტერპრეტაციებისა და რეინტერპრეტაციების ჯეროვანი ანალიზი და განხილული იქნება ერთმანეთის მიმართ მათი თავსებადობის პრობლემა.

და კიდევ ერთი:

ფაქტია, რომ ენის ისტორიული დიალექტების შედარებითი ანალიზის გზით რეკონსტრუირებული სიტყვაფორმები არ ემთხვევა ნებისმიერი სამწერლო ენის რეალურად ფიქსირებულ ფაქტებს, მაგრამ გვიანსაერთოქართველური ენობრივი მდგომარეობისათვის რეკონსტრუირებული არქეტიპები, ალბათ, ყველა ქართველოლოგი-კომპარატივისტი დამეთანხმება, თუ ვიტყვი, რომ ძირითადად ემთხვევა ქართულ ენაში ისტორიულად დამონმებულ ენობრივ მონაცემებს. ამიტომაც სწორია ტარიელ ფუტკარაძის პოსტულატი იმის თაობაზე, რომ ქართველური სამნიგნობრო ენა ეფუძნება საერთოქართველურ ენობრივ მოდელს და არა ქართულს ან სხვა რომელიმე ქართველურ კილოს. დიახ, ეს მოდელი უმთავრესად ქართულია და არა – ზანური, ან – სვანური.

თუ როგორ შეიძლება საერთოქართველური წარმომავლობის სიტყვები ჩვენს თვალწინ გახდეს ტრანსფორმირებული, ანუ ესა თუ ის სალიტერატურო ფორმა ზეპირი მეტყველების ფაქტი, ამას ნათლად აჩვენებს არაერთი ძირ-ფუძის ისტორია ჩვენში. ჩვენ უკვე გვექონდა შესაძლებლობა, გვეჩვენებინა რეალურად, თუ როგორ ხდება უკვე დამონმებული ენობრივი მონაცემის ტრანსფორმაცია ქართველურ დიალექტებში – ზანურსა და სვანურში. ამის საილუსტრაციო ნიმუშად წარმოდგენილი გვექონდა კოლხეთის მეფე აიეტის შვილის საკუთარი სახელის (აფსირტე) შემდგომი განვითარება. მაშინ დადგინდა, რომ არქაულ (ქართველურ სინამდვილეში ყველაზე ძველ) მითოსში დამონმებულ **აფსირტ**-ე ანთროპონიმს უკავშირდება გაცილებით უფრო გვიანდელი პერიოდის ეგრისის მეფე წათე პირველის ძმის საკუთარი სახელი, რომელსაც **ოფსიტ**-ი ერქვა. ამას ემატება **მედ**- ძირის საკითხიც, როცა ქართული მედ-/მედ-იკო, ცნობილი კანონზომიერი ცვალებით,

მეგრულში გვაძლევს ასევე საკუთარ სახელს მად-იკო/მანდ-იკო (ბგერათმესატყვისობა ქართ. ე : ზან. ა, ს.-ქართვ. \*ე). ამავე რიგში დგება ქართ. მოლ-ი : ზან. (ლაზ.) მულა „მოლი“ (ს.-ქართვ. \*მულ-ე); და უფრო მეტიც, როგორც ნესი, არგონავტების მითის ბერძნულად დამონმებულ ვერსიაში ფიქსირდება არა ზანური ალომორფები, არამედ – ქართული, მათ შორის კომპოზიტიცი, რომლებიც მხოლოდ ქართული ენის ნიაღში თუ შეიქმნებოდა. ასეთია ბერძნული **ასფოდელ**-ოს „ასფოთოლა“, რომლის მეგრული შესატყვისია ოშ-ფა [ას-ფენა]. აქ, როგორც ვხედავთ, მოტივაცია-სახელდების პრინციპი ერთგვაროვანია, მაგრამ ბერძნული ნასესხობა ქართულს მიუყვება, რაც უცილობელი ფაქტია. უმთავრესი კი ის გახლავთ, რომ, როცა საკითხად განვიხილავთ, თუ რა ენაზე მეტყველებდა კოლხური სამეფო ოჯახი, პასუხი ერთადერთია – ქართულად, ვინაიდან სამი და მეტი ათასწლეულის წინ ბერძნულში დადასტურებული ენობრივი ნასესხობები, რომლებიც კოლხეთიდან დამკვიდრდა ამ ენაში, პირდაპირ იმეორებენ სალიტერატურო ქართული ენის მონაცემებს.

### **მერაბ ჩუხუა**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,  
საქართველოს ენის დეპარტამენტის ექსპერტთა კომისიის  
თავმჯდომარე

**პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის საბაკალავრო,  
სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო  
პროგრამები**

საქართველოში მოქმედი ყველა უმაღლესი სასწავლებელი ზრუნავს, რომ სტუდენტს შესთავაზოს ძლიერი და მოქნილი საგანმანათლებლო პროგრამა სხვადასხვა მიმართულებით როგორც ბაკალავრიატში, ასევე მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში. თითოეული პროგრამის მთავარ მიზანს წარმოადგენს, სტუდენტმა მიიღოს ხარისხიანი განათლება და კურსის დამთავრების შემდეგ დასაქმდეს არჩეული პროფესიით. აუცილებელია, ნებისმიერი მიმართულებით გვყავდეს პროფესიონალები თავიანთი საქმისა, რაც ქვეყნის ძლიერი მომავლის საწინდარია, მაგრამ ეს მით უფრო საჭიროა, თუ საქმე ეხება ფილოლოგიის მიმართულებას. როდესაც აბიტურიენტი ირჩევს ფილოლოგიის ფაკულტეტს, მას მეტ-ნაკლებად გააზრებული უნდა ჰქონდეს, თუ რა პასუხისმგებლობას იღებს საკუთარ თავზე. ვინაიდან, თითოეული ფილოლოგის ვალია მუდამ იდგეს ენის სადარაჯოზე, დაიცვას ის და იზრუნოს მის გამდიდრებაზე, არ მისცეს ბარბარიზმებს საშუალება, უწყვეტი და უადგილო შემოდინების საფუძველზე ხელი შეუშალოს მშობლიური ენის განვითარებას. ქვეყანას სჭირდება სწორად მოაზროვნე და ეროვნული სულისკვეთებით განმსჭვალული ახალგაზრდობა – თაობა, რომელსაც კარგად ექნება გააზრებული მრავალსაუკუნოვანი ქართული ენის ისტორია, მისი მნიშვნელობა; თაობა, რომელიც არ მისცემს გარეშე ძალებს საშუალებას, გახლიჩოს, დაანანევროს და ცალკეულ ენობრივ ერთეულებად წარმოადგინოს საერთოქართველური ფუძეენა. ამიტომ, საჭიროა უმაღლეს სასწავლებლებში მუშაობდეს ისეთი პროგრამები, რომლებიც სწორ მიმართულებას მისცემს ახალგაზრდებს, მეტ ინფორმაციას მიაწვდის ამა თუ იმ საკითხებზე, რამეთუ, ინფორ-



მაციის დეფიციტს ხშირ შემთხვევაში სავალალო შედეგამდე მივყავართ. სწორედ ამ და სხვა მრავალფეროვანი იდეებით არის განმსჭვალული ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის ავტორობით მომზადებული საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ღირსეულ კონკურენციას უწევენ სხვა უმაღლეს სასწავლებლებში მოქმედ პროგრამებს. კონკურენტუნარიანობა გამოიხატება იმაში, რომ ყოველწლიურად დიდია მოთხოვნა სამივე საფეხურის პროგრამაზე.

პროფ. ტარიელ ფუტყარაძის ავტორობითა და ხელმძღვანელობით, 2005 წლიდან დღემდე, სხვადასხვა უნივერსიტეტში მომზადდა ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა დიდი ნაწილი დღესაც მუშაობს; კერძოდ, ტარიელ ფუტყარაძე გახლავთ:

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა **„ქართველური ენათმეცნიერების“** ავტორი და ხელმძღვანელი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (2005-2010); თანახელმძღვანელი – პროფ. მ. ნაჭყებია;

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა **„ქართველური ენათმეცნიერების“** ავტორი და ხელმძღვანელი სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში (2005 წლიდან); თანახელმძღვანელი – პროფ. მ. ნაჭყებია;

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა **„ქართველური ენათმეცნიერების“** ავტორი და ხელმძღვანელი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (2005 წლიდან დღემდე);

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა **„ქართველური ენათმეცნიერების“** ავტორი და ხელმძღვანელი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში (2008 წლიდან დღემდე);

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა **„ფილოლოგიის“** ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (2011-2018); თანახელმძღვანელი – პროფ. გ. ალიბეგაშვილი;

- საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა **„ქართული ფილოლოგიის“** ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს საპა-

ტრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2018 წლიდან დღემდე; თანახელმძღვანელი – პროფ. გ. ალიბეგაშვილი (2018 წ.); თანახელმძღვანელი 2019 წლიდან – ფილოლოგიის დოქტორი ლ. ბებურიშვილი;

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა **„ენათმეცნიერების“** ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (2011-2019); თანახელმძღვანელი – პროფ. მ. ტაბიძე;

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა **„ქართული ფილოლოგიის“** ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (2019 წლიდან დღემდე); თანახელმძღვანელი – ფილოლოგიის დოქტორი ლ. ბებურიშვილი;

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა **„ქართველური ენათმეცნიერების“** ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (2011-2018);

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა **„ფილოლოგიის“** ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (2019-2020); თანახელმძღვანელი – პროფ. გ. ალიბეგაშვილი;

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა **„ქართული ფილოლოგიის“** ავტორი და ხელმძღვანელი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში (2020 წ.); თანახელმძღვანელი – ფილოლოგიის დოქტორი ლ. ბებურიშვილი.

საგანმანათლებლო პროგრამების მიზანია, სტუდენტს მისცეს ფართო და კომპლექსური საუნივერსიტეტო განათლება ქართული ფილოლოგიის მიმართულებით, გამოუმუშავოს მას ფილოლოგიური კვლევა-ძიებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები; კერძოდ, ჩამოაყალიბოს ისეთი ფილოლოგი მკვლევარი, რომელსაც ექნება ან ქართველური ენათმეცნიერების, ან ქართული ლიტერატურის საფუძვლიანი, სისტემური ცოდნა და შეეძლება დარგის საკვანძო

საკითხების კვლევა ენათმეცნიერებისა და ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე მიდგომათა გათვალისწინებით.

საგანმანათლებლო პროგრამების ძლიერ მხარეს წარმოადგენს პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიციური დონე; კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი სამივე საფეხურზე. აღსანიშნავია, რომ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი ლექციებს კითხულობს საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, ერთი – დუზჯეს უნივერსიტეტში. მათ შორის არიან: პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები, ასოცირებული პროფესორები და მოწვეული ლექტორები.

2012 წელს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდესისა და უნეტარესის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსისა და ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის – ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, ქართულ უნივერსიტეტში შეიქმნა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთათვის უფასო **„ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შემსწავლელი ინტენსიური კურსები“** (კურსები მოცემულ ეტაპზე განკუთვნილი იყო ფერეიდნელი ქართველებისთვის).

ფერეიდნელი ქართველებისთვის ქართული ენის სწავლების ორგანიზება დაევალა უნივერსიტეტის სრულ პროფესორს, ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელს, ტარიელ ფუტკარაძეს, რომელმაც მოამზადა 60-კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამა **„უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთათვის (როგორც ავტოქთონი, ასევე, მიგრანტი ქართველებისათვის) ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შემსწავლელი ინტენსიური კურსები“**. პროგრამის მიზანს წარმოადგენდა, ხელი შეეწყო სხვა ქვეყნების მოქალაქე ეთნიკური ქართველების ინტეგრაციის პროცესისთვის ქართულ საზოგადოებაში. პროგრამის სტრუქტურის გათვალისწინებით, მსმენელს შეეძლო მოსამზადებელი საფეხურის გავლის შემდეგ უმაღლეს სასწავლებლებში ქართულ ენაზე გაეგრძელებინა სწავლა. პროგრამა, რომელზე სწავლის მსურველთა რაოდენობაც ყოველწლიურად იზრდებოდა, წარმატებით ხორციელდებოდა

2012-2016 წლებში.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2018 წლის შემოდგომის სემესტრში შემუშავდა გეგმა „**მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა, ქართული, როგორც მეორე ენა)**“ მოსამზადებლად, რომელსაც ორგანიზებას უწევდა პროფ. ტარიელ ფუტყარაძე. პროგრამის მომზადების საქმიანობა განაპირობა იმან, რომ საქართველოს დანაწიებით, საბაზო და საშუალო საფეხურის სკოლები დღეს არაერთი გამოწვევის წინაშე დგანან. აუცილებელია სკოლების უზრუნველყოფა კვალიფიციური მასწავლებლებით, რომლებიც წარმატებით უპასუხებენ მასწავლებლის პროფესიის მიმართ არსებულ თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს.

პროგრამაზე მუშაობა განახლდა და აქტიურ ფაზაში შევიდა 2020 წლის გაზაფხულის სემესტრში, რომელიც უახლოეს პერიოდში მზად იქნება, წარედგინოს სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი არის პროფ. ტარიელ ფუტყარაძე; თანახელმძღვანელები: ფილოლოგიის დოქტორი ლ. ბებურიშვილი, ფილოლოგიის დოქტორი ო. მათეშვილი, მონვეული სპეციალისტი ნ. პოპიაშვილი, ფიზიკის დოქტორი ზ. ბერია.

ბატონი ტარიელის თვალთახედვით, მიუხედავად განუელი დიდი შრომისა, ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი ქართული ენის განვითარების საქმეში მომავალი თაობისა და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

**სოფიო კეკუა**

ფილოლოგიის დოქტორი,

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ასოცირებული მკვლევარი

**პროფ. ტარიელ ფუტყარაძის მიერ დაფუძნებული  
საერთაშორისო კონფერენცია „ქუთაისური საუბრაჲი“**

საქართველოს ისტორიის უმძიმეს ხანაში, 1992 წლის დეკემბერში ქუთაისში დაფუძნდა დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი. მას შემდგომში ეწოდა „ქართველური დიალექტოლოგიის ინსტიტუტი“, უფრო გვიან სახელდებული იყო „ქართველოლოგიური დიალექტოლოგიის მიმართულებად“. დღეს „ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრია“.

დიალექტოლოგიის ინსტიტუტის საქმიანობის ღირსშესანიშნავ მოვლენად იქცა 90-იან წლებში საქართველოში ერთადერთი ყოველწლიური საერთაშორისო სიმპოზიუმი, სახელწოდებით: „ქუთაისური საუბრები“ – ქართველოლოგთა ლინგვისტურ-ეთნოლოგიურ-კულტუროლოგიური სამეცნიერო ფორუმი; პირველი სიმპოზიუმი 1994 წელს გაიმართა. დღეს ადვილი სათქმელია, მაგრამ თუ გავაცნობიერებთ, რა მდგომარეობა იყო მაშინ საქართველოში, დავრწმუნდებით, რა დიდი ენთუზიაზმი უნდა გვექონოდა ყველას ერთად. ტარიელ ფუტყარაძემ შეძლო, თავისი სულის ცეცხლი სხვათა სულის პატრუქისთვის წაეკიდებინა და სწორედ ამიტომაც იქცა მაშინ ქუთაისი და აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამეცნიერო-კვლევით და საერთაშორისო სიმპოზიუმების ცენტრად. ეს იყო იმდროინდელი ქუთაისის მზიანი ღამე.

იმ მღვრიე პერიოდში კონფერენცია ყოველწლიურად ვერ ჩატარდებოდა, რომ არა ქუთაისის მერის, ბ-ნ თემურ შაშიაშვილის შემობრუნება განსხვავებული პოლიტიკური პლატფორმის, დევნილი კანონიერი ხელისუფლების წევრის – ტარიელ ფუტყარაძისა და, შესაბამისად, დიალექტოლოგიის ინსტიტუტისკენ (ამის შესახებ ერთ-ერთ სიმპოზიუმზე საჯაროდ თქვა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაშინდელმა რექტორმა, დიალექ-

ტოლოგიის ინსტიტუტის შექმნის იდეის ავტორმა, ბ-მა მაგალი თოდუამ: „ამ ადამიანებს იმდენი ჯენტილმენობა და ვაჟკაცობა აქვთ, რომ, მიუხედავად პოლიტიკური ანტაგონიზმისა, ძალა შესწევთ დიდი სამეცნიერო საქმე ერთად აკეთონ“).

მომდევნო წლებში თ. შაშიაშვილმა, დარწმუნდა რა, რომ ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველოლოგიისთვისაც და, საკუთრივ, ქალაქ ქუთაისისთვისაც, თავადვე დაიწყო ამ კონფერენციების დაფინანსება.

სიმპოზიუმში მონაწილეობას იღებდნენ ჩვენი ქვეყნისა და საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრების წარმომადგენლები, როგორც საზღვარგარეთ მოღვაწე ქართველი მეცნიერები, ისე უცხოელი ქართველოლოგები, კერძოდ: ჯ. კაშია (პარიზი, ქართულ-ევროპული ინსტიტუტი); მ. კობაიძე (შვეცია, ლუნდის უნივერსიტეტი); ს. მულიანი (ირანი, ფერეიდუნშაჰრის უნივერსიტეტი); რ. ჭანტურია (შვეცია, ლუნდის უნივერსიტეტი); ი. გიპერტი (გერმანია, მაინის ფრანკფურტი, გოეთეს სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი); კ. ვამლინგი (შვეცია, ლუნდის უნივერსიტეტი); ი. ზიცარი, ვლ. ზიცარი (რუსეთი, სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტი); კ. ტუიტი (კანადა, მონრეალის უნივერსიტეტი); ვ. ფოირშტაინი (გერმანია, გალატენი); პ. მანინგი (გერმანია), ე. პეხმანი (გერმანია, იენის უნივერსიტეტი); ა. ხალიდოვი (ჩეჩნეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი) და სხვ.

ასეთია დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ორგანიზებით ჩატარებულ სიმპოზიუმთა თანმიმდევრობა:

**„ქუთაისური საუბრები – I“** (13-14 მაისი, 1994 წელი); თემა: „ქართველურ დიალექტურ მასალათა მოძიების, ზანურ-სვანური დიალექტური ტექსტების ქართულ სალიტერატურო ენაზე თარგმანებისა და გამოცემის პრინციპები“; წარმოდგენილი იყო 10 მოხსენება.

**„ქუთაისური საუბრები – II“** (9-12 მაისი, 1995 წელი); თემა: „ჭ, ა სონანტებისა და შესაბამისი სრული ხმოვნების, უმლაუტიანი ხმოვნებისა და დიფთონგების მიმართების, მათი დაფიქსირების

საკითხები ქართველურ ენათა დიალექტურ ტექსტებში; წარმოდგენილი იყო 15 მოხსენება.

**„ქუთაისური საუბრები – III“** (2-5 მაისი, 1996 წ.); თემა: „ქართველური დიალექტოლოგიის, ეთნოლოგიისა და ფოლკლორის საკითხები“; წარმოდგენილი იყო 121 მოხსენება.

**„ქუთაისური საუბრები – IV“** (2-4 მაისი, 1997 წ.); თემა: „ადამინათა ერთობა (ეთნოსი, ერი, ტომი, თემი, გვარი) – ლინგვისტური, ეთნოლოგიური, ფოლკლორული ასპექტები“; წარმოდგენილი იყო 87 მოხსენება.

**„ქუთაისური საუბრები – V“** (1-3 მაისი, 1998 წ.); თემა: „სამეცყველო კოდების შერევისა და მოზაიკური კულტურის საკითხები“; სიმპოზიუმი მიეძღვნა არნოლდ ჩიქობავას დაბადების 100 წლისთავს; წარმოდგენილი იყო 68 მოხსენება.

**„ქუთაისური საუბრები – VI“** (2-5 მაისი, 1999 წ.); თემა: „ენობრივ-კულტურული სიტუაციის დინამიკა საქართველოში“; წარმოდგენილი იყო 124 მოხსენება.

**„ქუთაისური საუბრები – VII“** (2-5 მაისი, 2000 წ.); თემა: „ღვთისმსახურება: ენობრივი და კულტურული ასპექტები“; წარმოდგენილი იყო 75 მოხსენება.

**„ქუთაისური საუბრები – VIII“** (4-5 მაისი, 2001 წ.); თემა: „საქართველო ისტორიულ ევრაზიულ სივრცეში (დიალექტოლოგიური და კულტუროლოგიური ასპექტები)“. სიმპოზიუმი მიეძღვნა ვარლამ თოფურისას დაბადების 100 წლისთავს; წარმოდგენილი იყო 70 მოხსენება.

**„ქუთაისური საუბრები – IX“** (11-12 მაისი, 2002 წ.); „დიალექტი, ენა, კულტურა: ენობრივი (კულტურული) სისტემისა და ქვესისტემის გამიჯვნის ზოგადთეორიული პრობლემა“; წარმოდგენილი იყო 34 მოხსენება. სიმპოზიუმზე ენათმეცნიერთა, ეთნოლოგთა, არქეოლოგთა, ისტორიკოსთა და ფოლკლორისტთა მონაწილეობით შედგა საქართველოს, ქართველი ერისა და ქართული ენობრივი სისტემის მიმართ დადასტურებული „ორმაგი სტანდარტის გამანეიტრალებელი“ „მემორანდუმი“:

*„წარმოდგენილ მემორანდუმზე ხელმომწერ ქართველოლო-*

გებს საჭიროდ მიგვაჩნია:

1. ჰუმანიტარულ დარგებში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა პოზიციების შეჯერება და საერთო თვალსაზრისის გამომუშავება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით;

2. წარმოდგენილი პრობლემატიკის შესახებ საერთაშორისო სიმპოზიუმებისა და სემინარების ორგანიზება;

3. საქართველოს ეთნოლინგვისტურ პრობლემატიკასთან დაკავშირებული უცხოური პუბლიკაციების მუდმივი მონიტორინგი;

4. სპეციალური ვებგვერდის შექმნა, მისი სისტემატური განახლება;

5. მრავალენოვანი სამეცნიერო ჟურნალის საინტერნეტო ვარიანტის მომზადება, სადაც ასახული იქნება ქართველოლოგთა სიმპოზიუმის მუშაობის შედეგები...“

**„ქუთაისური საუბრები – X“** (9-10 მაისი, 2003 წ.); თემა: „ღიალექტი, ენა, კულტურა: ქართველოლოგიური პრობლემები“; სიმპოზიუმი მიეძღვნა ბაგრატის ტაძრის 1000 წლის იუბილეს; წარმოდგენილი იყო 83 მოხსენება.

**„ქუთაისური საუბრები – XI“** (23-24 ოქტომბერი, 2007 წ.); მიეძღვნა სტამბოლის ქართულ სავანეში პირველი წიგნის გამოცემიდან 130 წლისთავს; წარმოდგენილი იყო 21 მოხსენება.

**„ქუთაისური საუბრები – XII“** (13-14 ნოემბერი, 2009 წ.); სიმპოზიუმი მიეძღვნა საქართველოში მოციქულთა შემობრძანებასა და ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას; წარმოდგენილი იყო 27 მოხსენება.

**„ქუთაისური საუბრები – XIII“** (17-18 მაისი, 2013 წ.); თემა: „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“. მიეძღვნა ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დაარსებიდან 20 წლისთავს. წარმოდგენილი იყო 30 მოხსენება.

**„ქუთაისური საუბრები – XIV“** (3-4 ნოემბერი, 2017 წელი); მიეძღვნა ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 200 წლისთავს. კონფერენციის მუშაობაში ჩართული იყო 60-ზე მეტი მომხსენებელი. ფუნქციონირებდა სამი სექცია (მიმართულება): 1. ქართველური ენათმეცნიერება, 2. ქართული ფოლკლორი, ლიტერატურათ-



მცოდნეობა, 3. საქართველოს ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია. დაიბეჭდა კონფერენციის სამუშაო პროგრამა.

**„ქუთაისური საუბრები – XV“** (13-14 ივნისი, 2019 წელი); თემა: „თურქეთსა და ირანში მცხოვრებ ქართველთა ენა და კულტურა“. კონფერენციაზე წარმოდგენილი იყო 50-მდე მოხსენება. მუშაობდა სამი სექცია (მიმართულება): 1. ქართველური ენათმეცნიერება, 2. ქართული ფოლკლორი, ლიტერატურათმცოდნეობა, 3. საქართველოს ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია. დაიბეჭდა კონფერენციის სამუშაო პროგრამა.

**„ქუთაისური საუბრები – XVI“** (7-8 ნოემბერი, 2020 წელი); მიეძღვნა პროფ. მარინე ქაცარავას 80 წლის იუბილეს; წარმოდგენილი იყო 70 მოხსენება.

ოფიციალურ ნაწილთან ერთად, გვინდა გავისხენოთ ერთიც: მართალია, კონფერენციები დამახასიათებელ რეჟიმში მიმდინარეობდა, მაგრამ ქვეყნის იმდროინდელი მდგომარეობის გამო, გამორჩეული იმერული პურობა ვერ გვექონდა; ამიტომაც ბატონმა ალექსი ჭინჭარაულმა კაფიაც მოგვიძღვნა:

„ეს სამი დღეა, ტარიელს  
კარცერში ვყავართ ჩასმული,  
მთელ თორმეტ საათს ვმუშაობთ  
კვერცხნაჭამი და ჩა-სმული“.

დიდი პატივისცემით მოვიგონებთ სიმპოზიუმების ყველა მონაწილეს. ჩვენი სტუმრებიდან დღეს ბევრი ცოცხალი აღარაა. მათგან ბევრი რამ ვისწავლეთ; მათთან ურთიერთობა ყველა ჩვენგანისა და, საერთოდ, მთელი უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის დიდი გაკვეთილები იყო; მადლობა მათ ყველაფრისათვის.

...და ამ საქმეთა შემოქმედი 1992 წელს 32 წლის იყო. წელს, 9 მაისს იგი 60 წლის გახდა. ვულოცავთ მეგობრების, მადლიერი მოსწავლეების სიყვარულით! იმზეგრძელოს კვალნათელიანმა ტარიელ ფუტკარაძემ!

P.S. წლების განმავლობაში სიმპოზიუმებში მონაწილე მეცნიერ-

თა არაერთი წერილი დაიბეჭდა რესპუბლიკურ გაზეთებში. ყველა მათგანს თავი მოვუყარეთ ანსუ დიალექტოლოგიის ინსტიტუტის საიუბილეო კრებულში: „დიალექტოლოგიის ინსტიტუტი 20 წლისა“, ქუთაისი, 2013. აქვე შემოგთავაზებთ პირველი სიმპოზიუმის საქმიანობით აღფრთოვანებული ან განსვენებული ენათმეცნიერის, ბ-ნი მიხეილ ალავიძის წერილს ჩვენი არქივიდან:

**ლუიზა ხაჭაპურიძე**

ფილოლოგიის დოქტორი, ქუთაისის  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული  
პროფესორი

**დავით შავიანიძე**

ისტორიის დოქტორი, ქუთაისის  
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული  
პროფესორი

She 3/2 m...  
57 ...  
3 ...

She 3/2 m ...  
W 3/2 m ...

25/12 = ...  
...

21.11.1994

- 21. ... ( ... )
- 22. ...
- 23. ... ( ... )
- 24. ...

**პროფ. ტარიელ ფუტყარაძის მიერ დაფუძნებული  
სამეცნიერო ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“**

ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“ არის ერთ-ერთი წარმატებული და უმნიშვნელოვანესი სამეცნიერო პროექტი, რომლის დამფუძნებელი და სულისჩამდგმელი გახლავთ პროფესორი **ტარიელ ფუტყარაძე**. ის დაარსების დღიდან ამ ჟურნალის მთავარი რედაქტორია.

მოკლედ ჟურნალის ისტორიის შესახებ:

ჟურნალ „ქართველური მემკვიდრეობის“ დაარსების იდეა ჩაისახა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებულ დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, რომლის დირექტორიც 1992 წლის დეკემბრიდან იყო ბატონი ტარიელი (ის ამჟამად ამ ინსტიტუტის მემკვიდრე ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში ერთ-ერთ მიმართულებას ხელმძღვანელობს). მან დიალექტოლოგიის ინსტიტუტში არაერთ სამეცნიერო წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია **„ქუთაისური საუბრები“**, რომელიც პირველად 1994 წლის 3-4 მაისს გაიმართა. შთაბეჭდავი იყო კონფერენციის თემატიკა, მომხსენებელთა რაოდენობა... იბეჭდებოდა კონფერენციის პროგრამა და მასალები (თეზისების სახით). აღნიშნული კონფერენციის მნიშვნელობიდან და მასშტაბიდან გამომდინარე, გაჩნდა იდეა, შექმნილიყო ისეთი ჟურნალი, რომელშიც კონფერენციაზე წარმოდგენილი მოხსენებები სრულად დაიბეჭდებოდა. თანაც იმ პერიოდში ახლად ჩამოყალიბებულ დიალექტოლოგიის ინსტიტუტს საკუთარი სამეცნიერო ორგანო ფართო შესაძლებლობებს მისცემდა; ჟურნალი გახდებოდა ერთგვარი პლატფორმა, სადაც განთავსებოდა არა მხოლოდ სამეცნიერო კონფერენციის – ქუთაისური საუბრების – მასალები, არამედ დიალექტოლოგიის

ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ სამეცნიერო ექსპედიციებში მოპოვებული და დამუშავებული ახალი ქართველური დიალექტური ტექსტები, რომლებიც ფართო სამეცნიერო საზოგადოებისათვის გახდებოდა ხელმისაწვდომი.

ტარიელ ფუტყარაძის ძალისხმევით ჩანაფიქრი მალევე რეალობად იქცა; 1997 წელს გამოვიდა ჟურნალის პირველი ნომერი. მასში შევიდა 1996 წლის 2-5 მაისს ჩატარებული კონფერენციის – „ქუთაისური საუბრები – III-ის“ მასალები. ქართველოლოგიური ჟურნალის დაარსება მართლაც დროული და შორს გამიზნული გადაწყვეტილება იყო. თუ გავიხსენებთ გასული საუკუნის 90-იან წლებში საქართველოში არსებულ მძიმე პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ ვითარებას, როცა ქვეყანაში სამეცნიერო ღონისძიებები, ფაქტობრივად, გაიშვიათებული იყო, ამ პერიოდში ქუთაისში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ახლად დაარსებულ დიალექტოლოგიის ინსტიტუტში სამეცნიერო აქტივობების („ქუთაისური საუბრების“ ჩატარება, სამეცნიერო ჟურნალის შექმნა) დაგეგმვა და განხორციელება მისი ორგანიზატორისა და დამფუძნებლის მხრიდან რთული და გაბედული, შეიძლება ითქვას, რისკის შემცველი ნაბიჯიც იყო. მაგრამ წარმატება ხომ რისკის გარეშე ვერ მიიღწევა! რისკის შედეგების განჭვრეტა და მუდმივი სწრაფვა სიახლეებისკენ ბატონი ტარიელის პიროვნული მახასიათებლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შტრიხია!

დიდია ჟურნალის მნიშვნელობა არა მხოლოდ დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმოჩენისა და ფართო სამეცნიერო საზოგადოებისათვის მისი გაცნობის კუთხით, არამედ ქართველოლოგიის სფეროს განვითარებისათვის. ჟურნალში გამოჩენილ და ღვაწლმოსილ მეცნიერთა კვლევების გვერდით იბეჭდება ახალგაზრდა მეცნიერთა ნაშრომები, რაც აუცილებელი ფაქტორია მეცნიერების წინსვლისა და განვითარებისათვის.

მრავლისმთქმელია ჟურნალის სახელწოდება „ქართველური

**მემკვიდრეობა“**, რომელიც ზედმინევენით გამოხატავს ჟურნალის პროფილს, მისი შექმნის მიზანს და დანიშნულებას: ის ემსახურება ქართველთა ენობრივ-კულტურული მემკვიდრეობის კვლევასა და პოპულარიზაციას როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამის ნათელი დადასტურებაა ჟურნალში გამოქვეყნებული ნაშრომები, რომლებიც მოიცავს ქართველოლოგიის სხვადასხვა მიმართულებას; შეეხება ქართულ სამნიგნობრო ენას, ქართველურ დიალექტებს, ქართველთა ეთნოგრაფიულ ყოფას, ისტორიას, არქეოლოგიას, ლიტერატურულ მემკვიდრეობას, ზეპირსიტყვიერებას, კულტუროლოგიას... ჟურნალში იბეჭდება აგრეთვე დიალექტოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ ჩანერილი ახალი დიალექტური ტექსტები, როგორც ჩვენი ენობრივ-კულტურული საგანძურის ნაწილი.

შინაარსთან ერთად თავიდანვე განისაზღვრა ჟურნალის **ფორმატი, დიზაინი, ტექნიკური მხარე**, რაც ასევე აკადემიურად განხორციელდა.

ჟურნალს აქვს თავისი **გერბი – ოქროს სანმისი**, რომელიც არის სიმბოლო ქართველთა უძველესი და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობისა.

შემუშავდა ჟურნალში **სტატიის გაფორმების საერთო წესები**, მოთხოვნები, რომლებიც წლების განმავლობაში თანდათან იხვენებოდა თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ამჟამად ჟურნალს ჰყავს მრავალრიცხოვანი **სარედაქციო საბჭო**, რომლის შემადგენლობაში შედიან დარგის სპეციალისტები როგორც საქართველოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან და სამეცნიერო ცენტრებიდან, ასევე უცხოური უნივერსიტეტებიდან.

ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“ არის რეფერირებადი და რეცენზირებადი პერიოდული გამოცემა; გამოდის წელიწადში ერთხელ. დღემდე გამოცემულია 24 ნომერი.

ზოგადი სტატისტიკა ასეთია:

„ქართველური მემკვიდრეობის“ I ტომში დაბეჭდილია 51 სტატია; II ტომში – 60 სტატია; III ტომში – 40 სტატია; IV ტომში –

56 სტატია; V ტომში – 34 სტატია; VI ტომში – 36 სტატია და ქართველური დიალექტური ტექსტები; VII ტომში – 22 სტატია და ქართველური დიალექტური ტექსტები; VIII ტომში – 48 სტატია; IX ტომში – 72 სტატია; X ტომში – 64 სტატია; XI ტომში – 60 სტატია; XII ტომში – 69 სტატია; XIII ტომში – 46 სტატია; XIV ტომში – 27 სტატია და ისტორიული დოკუმენტები (XIX საუკუნის ქართველ სასულიერო და საერო მოღვაწეთა მიერ ქართული ენის დასაცავად წარმოებული ბრძოლის ამსახველი მასალა); XV ტომში – 46 სტატია; XVI ტომში – 42 სტატია და ქართველური დიალექტური ტექსტები; XVII ტომში – 61 სტატია; XVIII ტომში – 32 სტატია და ქართველური დიალექტური ტექსტები (ქუთაისელ ებრაელთა მეტყველება); XIX ტომში – 34 სტატია და ქართველური (მეგრული) დიალექტური ტექსტები; XX ტომში – 42 სტატია; XXI ტომში – 60 სტატია; XXII ტომში – 33 სტატია და ქართველური (მეგრული და იმერული დიალექტური ტექსტები); XXIII ტომში – 45 სტატია, XXIV ტომში – 42 სტატია.

ჟურნალის ცალკეული ნომრები ეძღვნება მნიშვნელოვან ისტორიულ მოვლენებს, ფაქტებს, ღვანლმოსილ მეცნიერთა მნიშვნელოვან საიუბილეო თარიღებს, რითაც ჟურნალი წარმოაჩენს და საზოგადოებას აცნობს მათს როლსა და მნიშვნელობას საქართველოს ისტორიაში.

ჟურნალ „ქართველური მემკვიდრეობის“ ყველა ნომერი გაციფრებულია. ჟურნალში დაბეჭდილი ყველა პუბლიკაცია (სტატია, დიალექტური ტექსტები) განთავსებულია ინტერნეტსივრცეში, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე (<https://atsu.edu.ge/EJournal/Kartvelology/>) და ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის.

ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი მუშაობს იმისთვის, რომ ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“ განვერიანდეს საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში.

ჟურნალის პერიოდულობისა და მაღალი სტანდარტის შენარჩუნება თითქმის საუკუნის მეოთხედის განმავლობაში იოლი არ იყო. ჟურნალის არსებობის მანძილზე იყო რთული პერიოდებიც (სხვა-

დასხვა ხასიათისა), მაგრამ მისი პერიოდულობა არ დარღვეულა; ის დღემდე შეუფერხებლად და რეგულარულად გამოდის, რაც ჟურნალის მყარ საფუძვლებზე და მისი მთავარი რედაქტორის უდავოდ დიდ დამსახურებაზე მიუთითებს. ჟურნალის გამოცემის პროცესში აქტიურად არიან ჩართული ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლები, რომლებიც ტარიელ ფუტყარაძის ხელმძღვანელობით გუნდური პრინციპით მუშაობას დღემდე აგრძელებენ.

მე, პირადად, მქონდა ბედნიერება, ვყოფილიყავი მომსწრე როგორც „ქუთაისური საუბრების“, ისე ჟურნალ „ქართველური მემკვიდრეობის“ დაბადებისა. არაერთხელ განმიცდია ის დიდი სიხარული, რომელიც ამ კონფერენციების ჩატარებასა თუ ჟურნალის თითოეული ნომრის გამოცემას ახლდა.

ჩემთვის განუზომლად მნიშვნელოვანია როგორც „ქუთაისური საუბრები“, ისე ჟურნალი „ქართველური მემკვიდრეობა“. ჩემი (და არა მხოლოდ ჩემი) პირველი ნაბიჯები მეცნიერებაში სწორედ ამ კონფერენციას, ჟურნალს და თავად ბატონ ტარიელს უკავშირდება. „ქართველურ მემკვიდრეობაში“ დაიბეჭდა ჩემი პირველი სამეცნიერო ნაშრომი. აქვე სიამაყით აღვნიშნავ ერთ სასიამოვნო ფაქტსაც: ბატონი ტარიელის მრავალრიცხოვანი მოწაფეებიდან მე მერგო პატივი ვყოფილიყავი მისი პირველი დოქტორანტი. 2001 წელს მისი ხელმძღვანელობით დავიცავი სადისერტაციო ნაშრომი არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში (მყავს თანახელმძღვანელიც: პროფ. რევაზ შეროზია). ჩემთვის დიდი ბედნიერებაა, ვიმუშაო ხელმძღვანელისა და მასწავლებლის გვერდით კოლეგის რანგში და ვემსახურო იმ დიდ საქმეს, რასაც ქართველთა ენობრივ-კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად ზრუნვა და კვლევა ჰქვია.

მეცნიერის (ზოგადად ადამიანის) წარმატებას მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მისი პიროვნული თვისებები. ტარიელ ფუტყარაძეს ბევრი ნიშანი გამოარჩევს: ნიჭიერება, პროფესიონალიზმი, აკადემიზმი, კრიტიკული აზროვნება, ენერგიულობა, გაბედულება, ორგანიზატორული ნიჭი, იდეისა და საქმისადმი



ერთგულება, უდიდესი პასუხისმგებლობა, ყოველივე ქართული-სადმი უზომო სიყვარული, ახლის ძიების წყურვილი, შრომის-მოყვარეობა, ლიდერის გამოკვეთილი თვისებები, გუნდური მუშაობის უნარი, კოლეგიალურობა, სტუდენტებთან უშუალო ურთიერთობა... მას აქვს განსაკუთრებული უნარი, შეიცნოს ადამიანის ხასიათი, შესაძლებლობები... ირგვლივ იკრებს ნიჭიერ და შრომისმოყვარე ადამიანებს, რომელთაც უშურველად, უანგაროდ გადასცემს თავის ცოდნას, გამოცდილებას. სწორედ მისი დამსახურებაა დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა ერთიანი გუნდის შექვრა. ინსტიტუტმა წლების განმავლობაში არაერთხელ განიცადა რეორგანიზაცია თუ ოპტიმიზაცია, რომლის შედეგადაც ინსტიტუტის შემადგენლობა თანდათან შემცირდა, თანამშრომლები გაიფანტნენ, თუმცა სულიერი და ფიზიკური ერთობა დღემდე არ დაგვიკარგავს.

ბატონი ტარიელის გვერდით ყოფნა ერთნაირად საინტერესოა როგორც სტუდენტებისა და დოქტორანტებისთვის, ისე კოლეგებისთვისაც.

მჯერა, ჟურნალის 24-წლიანი ისტორიის მანძილზე დაგროვილი გამოცდილება და შთამბეჭდავი შედეგები მომავალი წარმატებების საწინდარი იქნება!

ჟურნალ „ქართველურ მემკვიდრეობას“ და მის დამფუძნებელსა და მთავარ რედაქტორს – ბატონ ტარიელ ფუტყარაძეს ვუსურვებ სამეცნიერო ველში დიდხანს აქტიურად ყოფნას და ქართველოლოგიის სფეროში ახალ წარმატებებს!

**ეკა დადიანი**

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის  
ხელმძღვანელი,  
ჟურნალ „ქართველური მემკვიდრეობის“  
პასუხისმგებელი რედაქტორი

**ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის  
საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია და სამეცნიერო  
ჟურნალი „ნელინდეული“**

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია და სამეცნიერო ჟურნალი „ნელინდეული“ დაფუძნდა 2009 წელს. კონფერენცია ტრადიციულია, ტარდება ყოველი წლის შემოდგომაზე, ოქტომბერში. დღემდე გაიმართა 11 კონფერენცია და, შესაბამისად, გამოიცა „ნელინდეულის“ 11 ნომერი.

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საავტორო ეროვნული პროექტების – საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციისა და სამეცნიერო ჟურნალ „ნელინდეულის“ – დაარსების იდეა ეკუთვნის პროფესორ ტარიელ ფუტყარაძეს.

კონფერენციის არსებობამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბიბლიოთეკის სამეცნიერო ფუნქციის განვითარება-სრულყოფასა და ბიბლიოთეკის, როგორც საინფორმაციო-სამეცნიერო ცენტრის, ცნობადობის გაზრდას. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ ყოფილა კონფერენციის დაფუძნების მთავარი მიზანი, რალა თქმა უნდა, ერთ-ერთი იყო. ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ქართველოლოგიური მიმართულებისაა და მისი დაფუძნების უმთავრესი მიზანი იყო და არის:

**ეროვნული, ქართული მეცნიერების ხელშეწყობა და განვითარება;  
საქართველოს ერთიანობის იდეის ირგვლივ ქართველოლოგთა  
და ბიბლიოთეკათმცოდნეთა ერთიანი ველის შექმნა.**

მარტივი მიდგომით, თითქოს არაფერი ემუქრება ქართველთა ერთიანობას, მაგრამ, სამწუხაროდ, არსებობენ ადამიანები, რომელთაც სურთ, გაყონ ქართველი ერი და წარმოაჩინონ საქართველოს ცალკეული კუთხეები და დიალექტები, როგორც ქარ-

თველი ერისაგან დამოუკიდებელი, განსხვავებული კულტურები. ცნობილია, საიდან მომდინარეობს ეს. ყოველივე 200 წლის წინ დაიწყო, როცა რუსეთი ცდილობდა, დაექუცმა ცეზებინა ქართველი ერი და საამისოდ არაერთი იდეოლოგემაც შექმნა.

ეს საინფორმაციო ომი დღემდე გრძელდება, ამიტომაც პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის იდეის გარშემო გაერთიანდა თანამოაზრეთა ჯგუფი: მერაბ გვაზავა – ფილოლოგი, ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის იმჟამინდელი დირექტორი, რიტა ნაქაძე – ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე, ამირან ხვადაგიანი – იმჟამად ქუთაისის საკრებულოს თავმჯდომარე, გიზო თავაძე – მწერალი, იმჟამად ქუთაისის მერიის კულტურის სამსახურის ხელმძღვანელი, ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ანსუ-ს პროფესორი, მერაბ კეზევაძე – ქუთაისის ცენტრალური არქივის დირექტორი, ისტორიის დოქტორი, ნომადი ბართაია – ანსუ-ს პროფესორი, რუსუდან სალინაძე – ანსუ-ს სრული პროფესორი, მაია მიქაუტაძე – ანსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ეკა დადიანი – ანსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ლუიზა ხაჭაპურიძე – ანსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ნანა ხვედელიანი – საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტის განყოფილების გამგე; ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის თანამშრომლები: აღმოსავლური კულტურის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი, ანსუ-ს ასოცირებული პროფესორი ლეილა ქველიძე, იშვიათი გამოცემების განყოფილების გამგე, ისტორიის დოქტორი რუსუდან კაშია, იშვიათი გამოცემების განყოფილების | კატეგორიის ბიბლიოთეკარი ლია რუსაძე, ქართველოლოგიის განყოფილების | კატეგორიის ბიბლიოთეკარი, ისტორიკოსი ემზარ ჭანტურიძე, დასავლური კულტურის საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი შორენა ხადური, დასავლური კულტურის საინფორმაციო ცენტრის | კატეგორიის ბიბლიოთეკარი, გერმანისტი მანანა პაპავა.

დასაწყისი მარტივი ნამდვილად არ ყოფილა, რადგან ბიბლიოთეკას ასეთი მაღალი დონის კონფერენციის ჩატარების გამოცდილება არ გააჩნდა, მაგრამ ბატონი ტარიელ ფუტკარაძის

ძალისხმევით, საქართველოს საბიბლიოთეკო სფეროს წარმომადგენლებს შემოუერთნენ ქართველი და უცხოელი ქართველოლოგები. კონფერენცია შედგა, უფრო მეტიც, ტრადიციად იქცა.

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ყოველწლიური ქართველოლოგიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია მოიცავს რამდენიმე მიმართულებას: კულტურულ მემკვიდრეობას, ენათმეცნიერებას, ეთნიკურ და პოლიტიკურ ისტორიას, ზეპირსიტყვიერებას, განათლებას, ბიბლიოთეკათმცოდნეობას.

11 წლის განმავლობაში კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა 580 ქართველი და უცხოელი მომხსენებელი, ხოლო „წელიწადეულის“ 11 ნომერში გამოქვეყნდა 552 სამეცნიერო სტატია. კონფერენცია გზას უკვლევს ახალგაზრდა მეცნიერებს, ეხმარება მათ საკუთარი სამეცნიერო კვლევების სწორი ორიენტირებით წარმართვაში. აღნიშვნას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ბიბლიოთეკის დირექტორთა ცვლილება არ აისახება კონფერენციის იდეაზე.

კონფერენციის დამფუძნებლები და თანამოაზრეთა გუნდი ერთგულია კონფერენციის მიზნებისა და ორიენტირების, თუმცა ახერხებს განსხვავებული პოზიციის მქონე ქართველოლოგებთან ურთიერთობასაც.

კონფერენციაში მუდმივად მონაწილეობს საქართველოს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი სასწავლო, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი თუ საინფორმაციო ცენტრი: ივანე ჯავახიშვილის, აკაკი წერეთლისა და შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტები, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს ეროვნული მუზეუმი, ეროვნული მუზეუმის ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური ცენტრი, ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ფოთის

კოლხური კულტურის მუზეუმი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ზუგდიდის საჯარო ბიბლიოთეკა, ქუთაისის ცენტრალური არქივი და სხვ.

ვრცელია საერთაშორისო თანამშრომლობის არეალი: აშშ, ფლორიდა, სახელმწიფო უნივერსიტეტის გოლდსტეინის ბიბლიოთეკა; ეგვიპტის ტექნიკური თანამშრომლობის ფონდი, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური, ირანი – ისპაჰანისა და თეირანის უნივერსიტეტები; თეირანის უნივერსიტეტის კავკასიურ კვლევათა ინსტიტუტი, აზერბაიჯანი – ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი; თურქეთი – სტამბოლის, რიზეს, დუზჯესა და სინოპის უნივერსიტეტები; გერმანია – იენის ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტი; აშშ – მასაჩუსეტსი, მაუნთ ჰოლიოკის კოლეჯი; ერაყი – ბაღდადისა და ქუფას უნივერსიტეტები; ეგვიპტე – კაიროს უნივერსიტეტი; უკრაინა – ტარას შევჩენკოს კიევის ნაციონალური უნივერსიტეტი და სხვ.

კონფერენცია საქართველოს ერთიანობის ერთგვარ სიმბოლოდაც იქცა. მის საქმიანობაში ჩართული არიან ქართველოლოგიის სფეროში მომუშავე თურქეთისა და ირანის ეთნიკური ქართველები.

2016 წელს, კვლავ პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის ინიციატივით, ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის ტრადიციული საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია გახდა თემატური – თითოეული კონფერენცია ეძღვნება საქართველოს ცალკეულ კუთხეს. ბატონი ტარიელ ფუტკარაძის წინადადება ეყრდნობოდა შემდეგ არგუმენტაციას:

- **მხოლოდ თითოეული კუთხის სამეტყველო, ეთნოგრაფიული, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვ. მახასიათებლების სიღრმისეული კვლევისა და ანალიზის შემთხვევაში წარმოჩნდება სრულად საქართველოს კუთხეების ისტორიული როლი ზოგადქართული სამნიგნობრო კულტურისა და სახელმწიფოს შექმნა-შენარჩუნებაში;**

- **ასეთი დაკონკრეტება-ჩაღრმავება უფრო ნათლად ასახავს**

საქართველოს თითოეულ კუთხესთან დაკავშირებული სამეცნიერო საკითხების მრავალფეროვნებას, თითოეული საკითხის ადგილობრივ თავისებურებას, მათს უმჭიდროეს კავშირს ერთიან ქართულ კულტურასთან.

ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ბატონი ტარიელ ფუტყარაძე გახლავთ ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის სამეცნიერო ჟურნალ „ნელინდეულის“ სულისჩამდგმელი, შესაბამისად, არის კრებულის მთავარი რედაქტორი.

„ნელინდეულში“ იბეჭდება ქუთაისის საჯარო ბიბლიოთეკის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები, ასევე რეცენზირებული ქართველოლოგიური (ენათმეცნიერული, ლიტერატურათმცოდნეობითი, ფოლკლორული, ისტორიოგრაფიული, კულტუროლოგიური, ეთნოლოგიური...) გამოკვლევები. ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ბიბლიოთეკა „ივერიელში“.

<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/1/simple-search>

დიდია პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის ღვაწლი. მისი ნებისმიერი იდეა, ქმედება თუ სამეცნიერო კვლევა ემსახურება ქართველი ერის კონსოლიდაციისა და ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის უმნიშვნელოვანეს საქმეს.

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის სახელით, ვულოცავთ ბატონ ტარიელს 60 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჩვეული ოპტიმიზმით, შემართებითა და მხნეობით გაეგრძელებინოს ერისა და ქვეყნის მსახურება.

**რიტა ნაქაძე**

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის  
დირექტორის მოადგილე

**მერაბ გვაზავა**

ლიტერატურათმცოდნე

**თანამედროვე ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები  
და პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის ახალი სამეცნიერო  
შურნალი**

2010 წლის 8 ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმინდესისა და უნეტარესის – ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში შეიქმნა ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, რომლის ხელმძღვანელადაც დაინიშნა ამავე უნივერსიტეტის პროფესორი, ცნობილი ქართველი ენათმეცნიერი **ტარიელ ფუტყარაძე**. ცენტრი დღეს ფუნქციონირებს, როგორც ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის სტრუქტურული ერთეული.

ქართველოლოგიის ცენტრის ერთ-ერთ პირველ გამოცემას წარმოადგენს პროფ. ტარიელ ფუტყარაძის ნაშრომი **„ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები და ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ამოცანები“**, რომელიც 2011 წლის დასაწყისში გამოიცა (და ერთი წლის შემდეგ სტატიად გამოქვეყნდა მისი ავტორის მიერვე დაარსებულ სამეცნიერო ჟურნალში **„ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“** [ტომი I, გვ. 9-38]).

2011 წლის 25-26 ნოემბერს, პროფ. ტარიელ ფუტყარაძის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, ქართველოლოგიის ცენტრმა ჩაატარა პირველი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: **„ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“**, რომლის მონაწილეებმა მიიღეს საგანგებო მემორანდუმი. მისი ტექსტი, გარკვეულწილად, სწორედ ხსენებული ნაშრომის ძირითად გზავნილებს ეყრდნობა: „ყველა ერს, ეთნოსსა თუ ეთნიკურ ჯგუფს

აქვს უფლება, ამომწურავი ინფორმაცია ჰქონდეს საკუთარ ენობრივ, ეთნიკურ, სახელმწიფოებრივ თუ კულტურულ ისტორიაზე. ობიექტური ჰუმანიტარული მეცნიერება ქმნის ხალხთა და სახელმწიფოთა შორის მშვიდობის ურყევ საძირკველს, პოლიტიკური მიზნებით დეფორმირებული „მეცნიერება“ კი – ომის იდეოლოგიას“ (იხ. „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები, ტომი I, 2012, გვ. 253-256; ხაზგასმა ჩემია – მ.ლ.).

„სხვა მეცნიერებების მსგავსად, ქართველოლოგია ინტენსიურად ვითარდება ბოლო ორი საუკუნის მანძილზე; ამ პერიოდში საქართველო მეტწილად ანექსირებული იყო რუსეთის იმპერიის მიერ; შესაბამისად, ქართველოლოგიის დაგეგმვისა თუ განვითარებისადმი მკაფიოდ ჩამოყალიბდა რადიკალურად განსხვავებული ორგვარი მიდგომა: 1. იმპერიის გეოპოლიტიკურ ინტერესებზე ორიენტირებული კვაზიქართველოლოგია; 2. ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებზე ორიენტირებული მეცნიერული ქართველოლოგია“, – აღნიშნავს პროფ. ტარიელ ფუტკარაძე ზემოთ ხსენებული ნაშრომის შესავალში (გვ. 9). აქედან გამომდინარე, იგი თანამედროვე ქართველოლოგიის უპირველეს პრობლემად მიიჩნევს **ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ისტორიის გაყალბებას**, რომლის ისტორიასაც ნაშრომშივე ვრცლად მიმოიხილავს.

არსებითად, სწორედ ამ უპირველესი პრობლემიდან გამომდინარეობს ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ამოცანებიც: „21-ე საუკუნის დასაწყისიდან გარკვეული ძალები ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის დაანწევრებასა და მის იურიდიულ გაფორმებას აქტიურად ცდილობენ ევროსაბჭოს დოკუმენტების მოშველიებითაც; კერძოდ, არის მცდელობა, საქართველოს თავს მოახვიონ „რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ არასწორი ინტერპრეტაცია. „ენის ქარტია“, იურიდიული და კულტურული თვალსაზრისით, მაღალი დონის დოკუმენტია, მაგრამ მისი არასწორი ინტერპრეტაციის შემთხვევაში, ის შეიძლება ნებისმიერი ძლიერი ქვეყნის დეზინტეგრაციის საფუძვლად იქცეს. „ენის ქარტიის“ ორგვარი ინტერპრეტირების შედეგად ქართველი თუ ევროპელი ექსპერტები ქართვე-



ლური ენობრივი სამყაროს ორგვარ კვალიფიკაციას იძლევიან: 1. ტრადიციული ქართული და ზოგი უცხოური წყაროების კვალად, ქართველური ენობრივი სამყარო წარმოდგენილია ერთი ენით – ქართული ენით – და 20-ზე მეტი დიალექტით; 2. მეფის რუსეთისა და საბჭოთა რუსეთის იმპერიების ოფიციალური პოზიციის ინერციით, ქართველური ენობრივი სამყარო წარმოდგენილია ოთხ /ან სამ/ დამოუკიდებელ ენად, რომელთაგან მეგრული, ლაზური და სვანური კვალიფიცირდება რეგიონულ ან უმცირესობის ენად“, – მართებულად აღნიშნავს პროფ. ტარიელ ფუტყარაძე (გვ. 16). მისი თქმით, მიმდინარე ეტაპზე, ქართველოლოგიის ცენტრს აქვს სამი ძირითადი ამოცანა:

1. **საფრთხის ქვეშ მყოფი ქართველური ხალხური მემკვიდრეობის, განსაკუთრებით კი საქართველოს საზღვრებს მიღმა მცხოვრები ქართველების (ტაოელების, ლივანელების, ლაზების, მაჭახლელების, შავშელების, ინგილოების/ჰერების, ფერეიდნელების) დიალექტების, ფოლკლორის, ეთნოგრაფიული მასალის დოკუმენტირება და კვლევა.** (ამ ამოცანის შესრულება შესაძლებელი იქნება თურქ, აზერბაიჯანულ და ირანულ კოლეგებთან ერთობლივი პროექტების განხორციელებით).

2. **„მეგრულ-ლაზური, სვანური, ტაოური, ლივანური, ინგილოური და ფერეიდნული ლექსიკის შესწავლა ქართველთა სამნიგნობრო ენის სალექსიკონო ბაზის გამდიდრების მიზნით“** (სარეკომენდაციო სიტყვათა ელექტრონული ლექსიკონის შექმნა).

3. **აკადემიურ ენციკლოპედიებსა და ელექტრონულ ცნობარებში (როგორც საერთაშორისოში, ასევე ეროვნულში) ქართული ენისა და კულტურის შესახებ არსებული მცდარი ტერმინოლოგიური კვალიფიკაციების, არაზუსტი ინფორმაციებისა და არაადეკვატური რუკების კომენტირება, გამომცემელთათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება.** რუსულ იმპერიულ ველში შექმნილი ე.წ. აფხაზური და ოსური შეფერილობის ისტორიულ-ტერიტორიული იდეოლოგიების კრიტიკული ანალიზი (ვრცლად იხ. გვ. 17-18).

ამ ამოცანათა შესაბამისად, 2019 წლის თებერვლიდან, ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის

სკოლის ქართველოლოგიის ცენტრმა შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით დაიწყო ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2018 წლის კონკურსში გამარჯვებული სამწლიანი პროექტის: „ქართველურ-თურქულ სამეცნიერო კოდთა შერევის კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჭაჯირების შთამომავალთა მეცნიერების მიხედვით“ განხორციელება (FR-18-14869, ხელმძღვანელი – პროფ. **ტარიელ ფუტკარაძე**, კოორდინატორი – **მიხეილ ლაბაძე**, მონაწილენი: **სოფიო კეკუა**, **კესო გეჯუა**, **მაკა სალია-ბეშიროღლუ**, **ფევი ჩელები**).

პროექტის მთავარი მიზანია თურქეთში მცხოვრებ ქართველურენოვან მუჭაჯირთა მეცნიერებაში ქართველურ-თურქული სამეცნიერო კოდების შერევის კანონზომიერებათა დადგენა, ასევე – ზოგადად მეცნიერების ნიმუშების ჩანერა, შესწავლა და შეპირისპირებითი ანალიზი.

საანალიზო მასალა ჩაინერება თურქეთის იმ მხარეებში, სადაც დღემდე ცხოვრობენ 1878-1883 და 1914-1917 წლებში აჭარიდან, ტაოდან, ლივანადან, შავშეთ-იმერხევიდან, მაჭახელადან, ლაზეთიდან გასახლებულ მუჭაჯირთა ქართველურენოვანი შთამომავლები.

მომავალშიც, ქართველოლოგიის ცენტრის ყველა პროექტი, რაღა თქმა უნდა, განხორციელდება დასახულ მიზნებთან სრულ შესაბამისობაში: „ქართველოლოგიისთვის განსაკუთრებით აქტუალურია რუსეთის იმპერიის მიერ შექმნილი ისტორიულ-ტერიტორიული იდეოლოგიების კრიტიკული ანალიზი; ასევე, აუცილებელია აფხაზ, ოს და სხვა მეცნიერებთან ერთად ერთობლივი კვლევების განხორციელებით ენათმეცნიერების, ისტორიოგრაფიის, ეთნოლოგიისა და სხვა მომიჯნავე დარგების გათავისუფლება იდეოლოგიზებული დებულებებისგან“ (იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 27-28).

ამ თვალსაზრისზე დაყრდნობით, ტარიელ ფუტკარაძემ დააარსა ჟურნალი „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“, რომლის პირველი ტომიც 2012 წელს გამოვიდა. ჟურნალი

წარმოადგენს საერთაშორისო რეცენზირებად სამეცნიერო გამოცემას. მასში იბეჭდება ქართველოლოგიური გამოკვლევები ენათმეცნიერების, ეთნოლოგიის, ისტორიის დარგებში, ასევე – ქართველოლოგიის ცენტრის ყოველწლიური საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების მასალები, რეცენზიები... ჟურნალის სარედაქციო კოლეგიაში შედიან კვალიფიციური მეცნიერები როგორც საქართველოდან, ისე უცხოეთის ქვეყნებიდანაც (თურქეთიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, რუსეთიდან [ჩრდილო კავკასიიდან], იაპონიიდან, ირანიდან, შვედეთიდან...). გამოცემა ვრცელდება როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული სახითაც. აქამდე გამოცემულია ცხრა ტომი.

ჟურნალის დასახელებიდან გამომდინარე, მასში დაბეჭდილი თითოეული სტატიის მთავარი თემა მეცნიერული ქართველოლოგიის აქტუალურ პრობლემებს უკავშირდება. აღსანიშნავია ისიც, რომ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმგვარ მასალებს, რომლებიც უმეტესად, ინტერდისციპლინარული კვლევების საფუძველზეა მოპოვებულ-დამუშავებული.

2020 წლიდან, ქართველოლოგიის ცენტრმა დაიწყო მუშაობა **„ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემების“** საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებში გასანევრებლად. საამისოდ, ჟურნალის სამეცნიერო აპარატი გაიმართა საყოველთაოდ მიღებულ სტანდარტთა შესაბამისად. ძირითადად, შეიცვალა სტატიათა გაფორმების, მოცულობისა და რეზიუმირების წესები: თუ აქამდე ისინი ძირითადად ქართულ ენაზე იბეჭდებოდა, ამიერიდან დაიბეჭდება ინგლისურადაც. რეზიუმეთა ნაცვლად, სტატიებს დაერთვება აბსტრაქტები; დამკვიდრდა ასევე, ე.წ. „მთავარი თემის“ ცნება: განსაკუთრებული მნიშვნელობის გამოკვლევა სტატიის სახით შესაძლოა დაიბეჭდოს პარალელურად ორ ენაზე: ქართულად და ინგლისურად. გარდა ამისა, გაიზარდა სარედაქციო კოლეგიის წევრების რაოდენობა. შესაბამისად, დამკვიდრდა შემოსული მასალების სამდონოვანი „ბრმა შეფასების“ წესი: **ექსპერტი – სარედაქციო კოლეგიის წევრი – მთავარი რედაქტორი.**

ასე რომ, უახლოეს მომავალში საერთაშორისო რეცენზირებად

სამეცნიერო გამოცემებს შეემატება ქართველოლოგიის ცენტრის განახლებული, ორენოვანი სამეცნიერო ჟურნალი.

**მიხეილ ლაბაძე**

ფილოლოგიის დოქტორი,  
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის  
ცენტრის ასოცირებული მკვლევარი

### ქუთაისის ენის პალატა და გაჯეთი „ქართული!..“

ჩვენი ქვეყნის ენობრივი პოლიტიკა და მასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები ყოველთვის, ყველა საუკუნეში, აქტუალური იყო და არის. ამის ძირითადი მიზეზი სახელმწიფო ენის ფუნქციის შეზღუდვის ელვისებური პროცესია, რომელიც აშკარად იგრძნობა. სამწუხაროა, რომ ქართული სახელმწიფოებრიობის, ქვეყნის ძლიერებისა და ერთიანობის მარადიული სიმბოლო სინმინდის დაკარგვის, უცხო ენათა არასასურველი გავლენის საფრთხის წინაშე აღმოჩნდა.

მეოცე საუკუნის ბოლოს პრობლემები უფრო აშკარად წარმოჩნდა: სხვადასხვა მიზეზის გამო, გარკვეულწილად შემცირდა სახელმწიფო ენის მოქმედების არეალი, მოიშალა მისი დაცვის მექანიზმი... ამ პროცესის შესაჩერებლად შეიქმნა სახელმწიფო ენის მუდმივი კომისია, ხოლო უფრო მოგვიანებით, პრეზიდენტის ბრძანებულებით, საქართველოს ენის სახელმწიფო პალატა... და ვიდრე ზემოჩამოთვლილი სტრუქტურები დაიწყებდნენ ფუნქციონირებას, ქუთაისში უკვე არსებობდა სახელმწიფო ენის პოლიტიკის დამცველი უწყება და მას არცთუ ხანმოკლე ისტორია აქვს.

ჩვენს ქალაქში გაცილებით ადრე დაიწყო აღნიშნული პრობლემების მოგვარებისთვის ზრუნვა: ჯერ კიდევ 1995 წელს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის, **ბატონი ტარიელ ფუტყარაძის**, ინიციატივითა და ძალისხმევით, 1995 წელს ამავე ინსტიტუტში შემუშავდა „საქართველოს სახელმწიფო ენის ფუნქციონირების მაკონტროლებელი კომისიის პროგრამა-პროსპექტი“. პროექტს იმხანად მხარი დაუჭირა ქსუ ქართული ენის კათედრამ, რის შემდეგაც ქუთაისში 1996 წლის 3 ივნისის №403 განკარგულებით შეიქმნა „საქართველოს სახელმწიფო

ფო ენის ფუნქციონირების მაკონტროლებელი კომისია“, ხოლო შემდეგ – „ენის სამსახური“, რომელმაც, მართალია, იურიდიული სტატუსი ვერ მიიღო, მაგრამ მის საფუძველზე, საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის შექმნის შემდეგ, 1997 წლის 19 ივნისს (ქუთაისის მერის №311 ბრძანებულებით), დაარსდა საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველო. მისი მიზანი იყო სახელმწიფო ენობრივი პოლიტიკის გატარება, ქართული ენის კონსტიტუციური სტატუსისა და სალიტერატურო ენის ნორმათა დაცვის უზრუნველყოფა.

არ არსებობდა სფერო, სადაც ენის სამმართველოს უფლებები მეტ-ნაკლებად არ გავრცელებულიყო, მაგრამ ძირითადად, მუშაობის სამი მიმართულება გამოიკვეთა:

1. პრაგმონიმების სფერო – ქალაქის გარეგაფორმების ენობრივი მხარის კონტროლი;

2. ტერმინოლოგიის სფერო – ქალაქის ტერიტორიაზე განთავსებულ წარმოება-დანესებულებებში (მიუხედავად მათი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა) საქმისწარმოების ენისა და ტერმინოლოგიის ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შესაბამისად გამართვა; ზოგადად, ტერმინოლოგიური მუშაობა ყველა სფეროში ტერმინების ქართული შესატყვისების შემუშავებასა და დამკვიდრებას ითვალისწინებდა;

3. სახელმწიფო ენის სასურველ დონეზე სწავლების მიზნით აქტიური თანამშრომლობა ქალაქის სასწავლო დაწესებულებებთან.

1998 წელს გამოვიდა ქუთაისის სამმართველოს გაზეთი „ქართული!..“, 2003 წლამდე სულ გამოიცა 39 ნომერი. თემატურად მრავალფეროვანმა გამოცემამ მაშინვე დაიმსახურა მკითხველთა ყურადღება, განსაკუთრებული აღფრთოვანებით კი მას ქართული ენის პრობლემებით შეწუხებული საზოგადოება შეხვდა. რუბრიკაში: **ჩვენ, ენა და ქუჩა** ქალაქის გარეგაფორმების (აბრების, რეკლამების) ენობრივ გაუმართაობაზე იყო საუბარი; **სიტყვები პროფილში ანუ ენის მარგალიტები** სიტყვათქმნადობის პროცესს განიხილავდა; **სწორმეტყველება** მართლწერის სხვადასხვა წესს აცნობდა მკითხველს...

ერთ-ერთი გამორჩეული რუბრიკა იყო **საქმისწარმოება და ტერმინოლოგია**; აქ განიხილებოდა ბარბარიზმებით, კალკები-თა და ე.წ. „პარაზიტი“ სიტყვებით შედგენილი დოკუმენტები და მათი სწორი ფორმები იყო მოცემული.

ენობრივ საკითხს ეთმობოდა კიდევ ერთი რუბრიკა – **სახელმწიფო ენა და თანაქალაქელები**, რომელშიც საუბარი იყო სახელმწიფო ენის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხებზე; სარედაქციო კოლეგია იწვევდა სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანებს სამსჯელოდ, რომლებიც ერთხმად ასკვნიდნენ, რომ ენის სინმიზის დაცვა აუცილებელია.

რუბრიკები: **უცხო სიტყვები, რატომ ვამბობთ ასე** სხვადასხვა სიტყვისა და გამოთქმის წარმომავლობასა და შინაარსს გვიხსნიდა...

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რუბრიკა **სახელმწიფო ენა და სკოლა**, რადგან მშობლიური ენის სიყვარული და პატივისცემა, მზრუნველობა და დაცვა ადამიანს სკოლის ასაკიდანვე უნდა შეეძლოს. სწორედ ამიტომ საქართველოს ენის სახელმწიფო პალატის ქუთაისის სამმართველომ ერთ-ერთ აქტიურ საკითხად მიიჩნია, ქალაქში არსებულ სასწავლო დაწესებულებებში გასცნობოდა ქართული ენის სწავლების მდგომარეობას; ამ მიზნით პირველად ჰუმანიტარულ ლიცეუმს ეწვია, სადაც მაშინ ქართული ენისა და ლიტერატურის ერთი ჯგუფიც კი ვერ შედგა: მოთხოვნა მხოლოდ უცხო ენაზე იყო... გაზეთის სარედაქციო კოლეგია მოუწოდებდა საზოგადოებას, ეროვნულობა არ დაევიწყებინა პრაგმატიულობის ხარჯზე.

შეიძლება ითქვას, პირველად საქართველოს ისტორიაში, ქართული ენის პოპულარიზაციისათვის, იმერეთის მხარის მასშტაბით, ტარდებოდა კონკურსი „დედაენა“ (ქართული ენის საუკეთესო მცოდნეთა გამოსავლენად), რომელშიც სასწავლო დაწესებულებების ასობით მოსწავლე მონაწილეობდა, კონკურსის მონაწილეები კი აქტიურად მსჯელობდნენ ენობრივ პრობლემებზე გაზეთ „ქართულში!..“.

რუბრიკა **მასწავლებელთა დასახმარებლად** ბევრ საინტერესო

მეთოდურ რჩევას აძლევდა პედაგოგებს.

გაზეთი „ქართული!..“ სხვა ფილოლოგიურ საკითხებსაც მიმოიხილავდა; რუბრიკაში „ლიტმცოდნეობა“ ქართველ მწერალთა შემოქმედება განიხილებოდა, ასევე, მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობოდა ინფორმაციას საქართველოს ისტორიის, გეოგრაფიისა და მართლმადიდებლური თემატიკის შესახებ...

გაზეთი „ქართული!..“ არა მხოლოდ საკუთარ ეროვნულ საკითხებზე მსჯელობდა, არამედ სხვა ერებისა და ენების წარმომავლობის ისტორიასაც განიხილავდა; რუბრიკა „სხვა ენები და ერები“ არქეოლოგიური გათხრების დროს მოპოვებულ უნიკალურ ნივთებს, ენობრივ გამოცანებს, მსოფლიოს ხალხთა დამწერლობებსა და მათში განსხვავებულ ყოფა-ცხოვრებას გვაცნობდა.

ენობრივი თვალსაჩინოებების კონტროლისა და მათი ქართული სალიტერატურო ენის ნორმების შესაბამისად გამართვისათვის თავიდანვე სწორად არჩეული გზა გაზეთშიც აისახებოდა – თუ ენის პალატის ქუთაისის სამმართველო რომელიმე დაწესებულებაში აღრიცხავდა ენობრივ დარღვევას, მეპატრონეებს ეგზავნებოდა შეტყობინება მასზე მითითებული დარღვევის სახით, შინაარსითა და გასწორების ვადით; გაუსწორებლობის შემთხვევაში, გაზეთში ქვეყნდებოდა იმ ენობრივ თვალსაჩინოებათა ნუსხა, რომელთა გასწორებაც, მიუხედავად არაერთგზის გაფრთხილებისა, ვერ მოხერხდა.

ქუთაისის ენის სამმართველო აქტიურად თანამშრომლობდა ანტიმონოპოლიურ სამსახურთან; საბჭოს ტრადიციულ სხდომებზე განიხილებოდა წარმოდგენილი პროექტები და ქართული ენის შესაბამისად სწორდებოდა. ენის სამმართველო მუშაობდა საქმისწარმოების ენისა და ტერმინოლოგიის დასახვეწად; შექმნილი იყო ორი კომისია, რომელთაგან ერთ-ერთი ორიენტირებული იყო ქართულენოვანი ტერმინოლოგიის გამართვა-დანერგვაზე, ხოლო მეორე – სამედიცინო სფეროში არსებული ენობრივი პრობლემების აღმოფხვრაზე.

ქუთაისის ენის სამმართველო, სალიტერატურო ენასა და ტერმინოლოგიასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების



მიზნით, თანამშრომლობდა თბილისის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტთან.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისის ენის სამმართველო და მისი გაზეთი „ქართული!“ იმ პერიოდის საქართველოს ენობრივი პოლიტიკის დამცველ-მზრუნველი, სალიტერატურო ენის ტკივილისა თუ სიხარულის მემატინანეა...

და ბოლოს... ქუთაისის ენის სამმართველოსა და გაზეთ „ქართულის!“ რედაქციაში მუშაობდნენ ის ადამიანები, რომლებიც იმ უფერულ წლებში ბატონმა ტარიელ ფუტკარაძემ, როგორც თავად იტყოდა, „ფერადოვნებით“ ამოარჩია და გამოარჩია: ქეთევან ყურაშვილი, იოსებ იარღანაშვილი, სოფიო სულაბერიძე, ლოლა გაბრიაძე, ვარლამ დათაშვილი, ლია რუსაძე... და ყველა ის გულანთებული ქართული ენის მოყვარული, სხვადასხვა სახელისა და გვარის მქონე პროფესიონალი თუ არაპროფესიონალი მოქართულე, რომლებიც უდიდესი ენთუზიაზმითა და სიფაქიზით ცდილობდნენ მშობლიური ენის სინმინდის დაცვას.

#### **იოსებ იარღანაშვილი, ლია რუსაძე**

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის  
იშვიათ გამოცემათა და რესტავრაციის განყოფილების  
სპეციალისტები

**სამხედრო გადატრიალება საქართველოში და  
გაზეთი „ქუჯი“ ქუთაისში  
(დაბეჭდილია სამეცნიერო ჟურნალ „ნელინდეულში“, ტ. X, 2018)**

ჩვენ დანვრილებით არ ვისაუბრებთ პუტჩზე, რომლის გამოც დავკარგეთ აფხაზეთი და სამაჩაბლო. უამრავი დევნილით, ომში თუ მიტინგებზე დახოცილი ადამიანებით აივსო ბედკრული საქართველო, რუსეთთან არაპირდაპირი ომი დასრულდა პუტჩისტების „გამარჯვებით“, საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობითა და რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას ჯერ დევნილობით, ბოლოს – მკვლელობით.

მაშინ, როცა დაიხურა ოპოზიციური გაზეთები – „საქართველოს სამრეკლო“, „იბერია სპექტრი“, 2000 წელს ქუთაისში დაიბადა ქალაქის ჰელსინკის კავშირის ორგანიზაციის გაზეთი „ქუჯი“; მთავარი რედაქტორი – **ტარიელ ფუტკარაძე**, რედაქციის წევრები: ონისე ბანძელაძე (ლიტერატურა), გიორგი დანელია (საზოგადოება), გიორგი ლომსიანიძე (ისტორია), ტარიელ ფუტკარაძე (პოლიტიკა), თეა ცირეკიძე, ლოლა ხაჭაპურიძე (პასუხისმგებელი რედაქტორი).

გაზეთმა 2 წელს იარსება, გამოიცა 39 ნომერი; გამოდიოდა ოთხშაბათობით, ჰელსინკის კავშირის დამფუძნებელთა საიდუმლო შეხვედრების დღის – „ჯუმაშხას“ აღსანიშნავად. გაზეთი ვრცელდებოდა მთელს საქართველოში.

გაზეთის აქტუალობასა და მრავალფეროვნებას იმ პერიოდში (თუმცა დღესაც ძალზე მნიშვნელოვანია, როგორც საქართველოს უახლესი წარსულის უტყუარი მატრიანე) განაპირობებდა სხვადასხვა სახის რუბრიკა:

**ინფორმაცია კოლხური კოშკიდან** – იბეჭდებოდა დევნილი უზენაესი საბჭოს განცხადებები, სესიებისა და სხდომების დღის წესრიგი; მაგ.:

„2000 წლის 23 დეკემბერს ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომა, რომელზეც გაკეთდა განცხადება ე. შევარდნაძისა და ვ. პუტინის მიერ დადებულ ხელშეკრულებაზე ცალმხრივი უვიზო მიმოსვლის შესახებ“; აღნიშნულ ფაქტს უზენაესი საბჭო მიიჩნევდა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ტერიტორიის ანექსიის მცდელობად, რაც ეწინააღმდეგებოდა უზენაესი საბჭოს კონსტიტუციის პირველი თავის პირველი მუხლის მეორე აბზაცს – „საქართველოს ტერიტორია ერთიანი და განუყოფელია“;

„2001 წლის 27 იანვარს შედგა უზენაესი საბჭოს მორიგი სხდომა, სადაც განიხილეს საკითხი მინისტრთა კაბინეტის რეორგანიზაციის შესახებ“; იმავე წლის 24 თებერვალს უზენაესი საბჭო აქვეყნებს განცხადებას: „ყველა აქტი, რომლებიც მიღებულია საქართველოს უკანონო ხელისუფლების მიერ, მათ შორის – პარლამენტის არჩევნების დანიშვნის აქტი გამოცხადდეს იურიდიული ძალის არმქონედ“;

2001 წლის 20 მარტს კოლხურ კოშკში ჩატარდა უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა, რომელზეც მიიღეს მიმართვა მსოფლიოს ქვეყნების, მთავრობების, პარლამენტების, ადამიანის უფლებათა დაცვის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის, გაეროს, ეუთოს, ევროსაბჭოსადმი, რათა მათ დაეგმოთ ხუნტა, ელიარებინათ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და იურიდიულად დახმარებოდნენ ხალხის მიერ არჩეულ კანონიერ ხელისუფლებას. ამავე წლის 31 მარტს უზენაესმა საბჭომ გამართა სხდომა, რომელიც ეძღვნებოდა საქართველოს რესპუბლიკაში საერთო სახალხო რეფერენდუმის ჩატარების 10 წლისთავსა და საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის – ზვიად გამსახურდიას დაბადების 62 წლისთავს...

**ფრაგმენტები ჩვენი დღევანდელი ყოფიდან** – რუბრიკაში წარმოდგენილი იყო წერილები ყოფითი ცხოვრების საჭირობოროტო საკითხებზე, მაგ., წერილი „რატომ აძლევს ხელს ფაქტობრივ ხელისუფლებას ქუჩაში მოწყობილი პიკეტები“ („ქუჯი“, №1, გვ.4, 2000) ეხება უშუქობას და მასთან დაკავშირებულ ქუჩის პიკეტებს;

ასევე გვხვდება წერილები უწყლობის, უგაზობის, სანჯავის არარსებობისა და პურის გაძვირების თაობაზე;

**მრუდე სარკე და სინამდვილე** – მოგვითხრობს შევარდნაძისა და მისი ხელისუფლების გამონათქვამებზე ქვეყნის „აღმშენებლობასთან“ დაკავშირებით, რომ თითქოს დაძლეულია კორუფცია, გამსახუდიას „ფაშისტურმა“ მმართველობამ დააუძლურა ქვეყანა, მაგრამ მათ „ფეხზე წამოაყენეს“ – ყველაფერი „შესანიშნავადაა“; მაგ., „საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის ძირითადი მიმართულების პროექტში“ დაიბეჭდა ე. შევარდნაძის სიტყვა, სადაც ამბობს: „უდიდესი პასუხისმგებლობა ერის წინაშე მავალდებულებს ვებრძოლო კორუფციასა და კონტრაბანდას...“; მოცემულ წერილს უპირისპირდება საზოგადოებრივი აზრი (რეალობა): „ადამიანი, რომელიც სისხლით არის ხელისუფლებაში მოსული და მონაწილეობდა ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების დამხობაში, სამშობლოსადმი რა მოვალეობებზე საუბრობს და თავად დამნაშავე, როგორ ებრძვის კორუფციას?!.“ („ქუჯი“, №2, გვ.4, 2000);

რუბრიკაში **კადრები ქუთაისის უახლესი წარსულიდან** ასახულია ქუთაისელთა ცხოვრება პუტჩისა და პუტჩის შემდგომ პერიოდებში; მიტინგების დარბევა, გაუსაძლისი პურის რიგები, მხედრიონელთა თარეში და ძარცვა... მოცემული რუბრიკა ძირითადად ეყრდნობა ქალაქ ქუთაისის მოსახლეობის წერილებს მათი თავგადასავლებიდან;

რუბრიკა **საქართველოს სხვა ახალი ამბები** გვანჯდის საყურადღებო ინფორმაციებს: „თბილისში სვანეთის უბანში ლუთერანული ეკლესია დააფუძნა და თავადაც დამკვიდრდა ლუთერანი მოძღვარი ოტო ქუმელი“; „შემოტანილია ცუდი ნარკოტიკები, რის გამოც მონამლული და საავადმყოფოში მოხვედრილი 9 ახალგაზრდიდან 5 გარდაიცვალა“; „ხონისა და სენაკის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ლტოლვილები შეასახლეს“; „ასპინძიდან თურქეთში გაიტანეს ასნლოვანი ხეებით დატვირთული ტრაილერი“; „ერთ-ერთმა ობიექტმა (სახლმმართველობამ) ტყუილი დაპირებებით აყვანილი 600 თანამშრომელი 4-თვიანი მუშაობის

შემდეგაც უხელფასოდ დატოვა, რის გამოც მათ საჩივარი შეიტანეს სასამართლოში, თუმცა ესეც უშედეგოდ“ და სხვ.

რუბრიკაში **ისტორიის გაკვეთილები** წარმოდგენილია წერილები და ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, თავისუფლები-სათვის მებრძოლი ცნობილი ისტორიული პირების ცხოვრებიდან;

რუბრიკა **ჩვენი რწმენა** ეთმობა რელიგიური ხასიათის წერილებს, წმინდანთა ცხოვრების ამსახველ ეპიზოდებს, მათ გამო-ნათქვამებს, ტროპარ-კონდაკებს;

**ცნობები დანარჩენი მსოფლიოდან** ასახავს, მაგ., როგორ ხვდებიან ახალ წელს სხვადასხვა ქვეყანაში;

რუბრიკა **პოეზია** მკითხველებს აცნობს თინათინ მღვდლიაშვილის, გია ბენიძის, ჯემალ შონიას, (ან განსვენებული ქუთაისელი პოეტის – გივი ტყეშელაშვილის), ერთი სიტყვით, ცნობილ თუ ნაკლებად ცნობილ ქართველ პოეტთა და მწერალთა ნაწარმოებებს;

**მეცნიერებაში** წარმოდგენილია ძალზე საყურადღებო კვლევითი ხასიათის სტატიები ლიტერატურაში, ისტორიაში, ეკონომიკაში...

**სპორტის** რუბრიკაში საუბარია სპორტის სფეროში არსებულ პრობლემებზე, მისი განვითარების შემაფერხებელ გარემოებებზე;

რუბრიკაში **სხვადასხვა** წარმოდგენილია: „ექიმის რჩევები“ (აღნიშნულ რუბრიკაში თანამშრომლობდნენ ჰელსინკის კავშირის წევრი ექიმები), კროსვორდი ანუ „ტვინსანნეხი“, იმ პერიოდში შექმნილი სატირულ-იუმორისტული ფორმის ხალხური გამონათქვამები და ანეკდოტები (გაზეთის ტერმინით – „კვიმატი“); მაგ.: „ორი ქუთაისელი ხვდება ერთმანეთს, ერთი მეორეს ეუბნება: „ხომ იცი, ტყუილს მოკლე ფეხები აქვს“. მეორე პასუხობს „კარგი, თუ ძმა ხარ, ეგ რომ მართალი იყოს, მაშინ მთელი პარლამენტი ბარძაყში გადატეხილი უნდა დადიოდეს“...

რუბრიკაში **დონე** დასმულია ინტელექტუალური კითხვები (მაგ.: რომელ ქართველ კომპოზიტორს ეკუთვნის რომანსი ილიას ლექსზე: „მესმის, მესმის“, რომელ მოქანდაკეს ეკუთვნის ილიას საფლავის ძეგლი...);

**დიასახლისის რჩევები** – აღსანიშნავია, რომ რედკოლეგიას

ხშირად სწერდნენ მკითხველი ქალბატონები, რომლებიც სთავაზობდნენ საზოგადოებას თავიანთ კულინარიულ რეცეპტებს. მათში ერთი თვალის გადავლებითაც შესამჩნევია, მაშინდელი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ადამიანთა მწირი რაციონი და როგორც ქუთაისელები ამბობდნენ, „არაფრისგან საჭმლის კეთების ხელოვნება“. აქ მოიაზრება: იმ პერიოდისთვის ცნობილი „პეჩენიები“, სახელწოდებით – „სიგუები“, „მურაბის ნამცხვრები“; „ბადრიჯნის საცივი“, „ტყუილი სუპი“ (ანუ უხორცო), სოიოს კოტლეტები, ასევე სოიოსგან დამზადებული „ვითომ ჩამუშული“ და სხვ.;

რუბრიკაში **ქუჯის ფოსტა** დაბეჭდილია მკითხველთა სამადლობელი წერილები, ზვიად გამსახურდიას პოლიტიკური კურსის მომხრეთა მოსაზრებები რიგ საკითხებთან დაკავშირებით.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქუთაისში გამომავალი გაზეთი „ქუჯი“, მასში დაბეჭდილი სტატიებითა და პირადი წერილებით, XX-XXI საუკუნეების მიჯნაზე მყოფი საქართველოს რეალური ისტორიაა; იგი, საკუთრივ, მოქალაქეთა ხელით დაწერილი წიგნია სამშობლოს იავარქმნით გამოწვეულ პირად უბედურებაზე, რომელიც უთუოდ დააფიქრებს „ქართველის ბედის მძებნელ“ მომავალ თაობებს.

**ლოლა ხაჭაპურიძე**

ჟურნალისტი

## **პროფ. ტარიელ ფუტკარაძის ხელმძღვანელობით მომზადებული სადოქტორო დისერტაციები**

პროფ. ტარიელ ფუტკარაძის მრავალმხრივი სამეცნიერო მოღვაწეობა მიმართულია საქართველოსა და ქართველური ენობრივი სამყაროს წინაშე დღეს არსებული გამოწვევებისაკენ, რომელთა საპირწონედაც იგი წარმოადგენს შესაბამის საყურადღებო რეკომენდაციებს მიმდინარე საინფორმაციო ომში საქართველოს თავდაცვისა და უსაფრთხოებისათვის.

2020 წლის მონაცემებით, პროფ. ტარიელ ფუტკარაძემ სამეცნიერო ხელმძღვანელობა გაუწია იმ ჩვიდმეტ დოქტორანტს, რომელთაც წარმატებით დაიცვეს სადოქტორო დისერტაცია; გარდა აღნიშნულისა, ოფიციალური დაცვისათვის მზადდება კიდევ თერთმეტი სადისერტაციო ნაშრომი.

პროფ. ტ. ფუტკარაძის ხელმძღვანელობით მომზადებული სადოქტორო ნაშრომების თემატიკაში გათვალისწინებულია როგორც ქართულ სალიტერატურო ენასთან დაკავშირებული წმინდა გრამატიკული საკითხების შესწავლა, ისე ქართველური ქვესისტემების კვლევა ისტორიულ ჭრილში. ქვემოთ წარმოვადგენთ ამ ნაშრომებსა და მათს ავტორებს.

### **ქუთაისის ა. წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში მომზადებული სადისერტაციო ნაშრომები:**

1. ეკა დადიანი – „კავშირებითის ნაკვეთი მეგრულში (სხვა ქართველურ ქვესისტემებთან მიმართებით)“, თანახელმძღვანელი: პროფ. რ. შეროზია, 2001 წელი (დისერტაციის დაცვა შედგა თბილისში, ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში).

სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია კავშირებითის ნაკვეთი-

ბი მეგრულში როგორც ფორმობრივი, ისე ფუნქციურ-სემანტიკური თვალსაზრისით; განხილულია -ა/-ე ნიშნებით გაფორმებული კავშირებითისა და -კო (ოკონ) სუფიქსიანი ე.წ. „პირობითის“ ნაკვთები, აგრეთვე -ნი ელემენტიანი ფორმები; ქართულ სალიტერატურო ენასა და სხვა ქართველურ ქვესისტემებთან მიმართებით გაანალიზებულია საერთო და განსხვავებული ტენდენციები. დისერტაციაში ახლებურადაა გააზრებული ნაკვთთა ტერმინოლოგიისა და წარმოების საკითხები. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ მეგრულში კავშირებითისა და ე.წ. „პირობითის“ ნაკვთები, ფუნქციის თვალსაზრისით, ძირითადად ერთნაირია: ორივე რიგის ფორმებით გადმოიცემა კავშირებითის კილოს სემანტიკა. მათ შორის სხვაობა ძირითადად დროის აღნიშვნაშია: კავშირებითის ფორმები მომავალ დროს გამოხატავენ, „პირობითის“ ფორმები კი – წარსულ დროს. უმთავრესი ფუნქციის გათვალისწინებით, ნაშრომში „პირობითის“ ფორმებს „ნამყო კავშირებითი“ ეწოდა, რადგან ტერმინი ზუსტად გადმოსცემს ნაკვთის შინაარსს.

**2. მაია მიქაუტაძე – „ქართული ენის ფონემატური სტრუქტურის საკითხები V-XI საუკუნეთა წერილობითი ძეგლების მიხედვით“, 2004 წელი (დისერტაციის დაცვა შედგა თბილისში, ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში).**

სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია სამეცნიერო ლიტერატურაში საკამათოდ ქცეული V-XI საუკუნეთა ქართულის ზოგი ფონემის, ბგერისა თუ ბგერათკომპლექსის კვალიფიკაციის, შესაბამისად, სათანადო გრაფემათა ფუნქციის საკითხი, კერძოდ, განმარტებულია [ვ], [წ], [უ], [უჲ], [წი] | [ვი], [ჲ], [ი], [ეჲ], [ოჲ], [უჲ], [აჲ], /ხ/, /ვ/ სეგმენტები.

უძველესი წერილობითი ძეგლების მონაცემთა დეტალური ანალიზისა და სამნიგნობრო ქართულისთვის ახლებურად დასმულ მოსაზრებათა გათვალისწინების საფუძველზე, საინტერესოდაა განხილული არქაული ფონემატური სტრუქტურის არაერთი საკითხი.

წარმოდგენილ შრომაში დაზუსტებულია, თუ რა ფონემები და



ბგერები გვექონდა V-XI საუკუნეების ქართულში და რითი გად-  
მოიცემოდა ისინი. კერძოდ, დაფიქსირებულია **ჴ, Q, 9, Կ, Է, 3, 7,**  
**Ի** და **ვ, ჴ, უ, ჳ, ხ, ჳ, ღ, ი, Զ** გრაფემათა გამოვლენის სიხშირე  
**#-V, #-C, V-V, C-C, CS-V, CN\_V, V\_#, C\_#** პოზიციებში; შეძლებისდაგ-  
ვარად, მაქსიმალურადაა წარმოჩენილი მოცემული გრაფემებით  
გადმოცემული სავარაუდო ბგერები თუ ბგერათკომპლექსები,  
გარკვეულია კონკრეტულ გრაფემათა ფუნქცია-დანიშნულება და  
ახსნილია ბგერათა განსხვავებული დანერილობების მიზეზი. გარ-  
და ამისა: გარკვეულია ორთოგრაფიული ნორმების დარღვევებისა  
და ე.წ. „აღრევათა“ მიზეზები.

**3. ლუიზა ხაჭაპურიძე – „ქართველი მართლმადიდებელი მრევ-  
ლის მეტყველება (ლექსიკური და ფრაზეოლოგიური ერთეულები)“,**  
2005 წელი (დისერტაციის დაცვა შედგა თბილისში, ა. ჩიქობავას  
სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში).

გამოკვლევა ეფუძნება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერ-  
სიტეტის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის  
მომძიებელთა ჯგუფების მიერ გასული საუკუნის 90-იან წლებში  
საქართველოს სხვადასხვა კუთხეში (იმერეთი, სამეგრელო, სვანე-  
თი, რაჭა) მოპოვებული გაბმული მეტყველების ნიმუშებისა და  
ლვთისმსახურებასთან დაკავშირებული კითხვარებით მოპოვებულ  
მასალებს; აგრეთვე, ავტორის მიერ წლების მანძილზე ჩანერილ  
ტექსტებს. გამოკვლევაში მრევლის მეტყველება შესწავლილია  
ლექსიკოლოგიური თვალსაზრისით; გაანალიზებულია რელიგიურ  
ტერმინთა თუ ფრაზეოლოგიურ ერთეულთა ერთი ნაწილის სე-  
მანტიკა და მორფოლოგიური სტრუქტურაც.

**4. ლელა ავალიანი – „არაბულიდან მომდინარე პროფესიის  
აღმნიშვნელი ტერმინები ქართულ სალიტერატურო ენასა და დი-  
ალექტებში“,** თანახელმძღვანელი: დოც. მარიამ ნედოსპასოვა,  
2005 წელი (დისერტაციის დაცვა შედგა თბილისში, გ. წერეთლის  
სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში).

სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია ქართულ სალიტერა-

ტურო ენასა და დიალექტებში არსებული არაბული წარმოშობის ან არაბული ფუძეებისაგან წარმოები პროფესიის აღმნიშვნელი ათეულობით ტერმინის ისტორია. აღნიშნული ლექსიკური ერთეულები დაჯგუფებულია დერივაციული საშუალებების მიხედვით (გამოვლენილია აქტიური მორფოლოგიური ყალიბები). „ვეფხისტყაოსნის“ აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მასალებისა და სპარსულ-თურქული მონაცემების საფუძველზე, წარმოდგენილია ცალკეულ სიტყვათა ფონეტიკურ-სემანტიკური ტრანსფორმაციები.

**5. სოფიო ტყეშელაშვილი – „თანხმოვანთკომპლექსები ქართული ენის ფერეიდნულ დიალექტში“, 2006 წელი (დისერტაციის დაცვა შედგა თბილისში, ა. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში).**

სადისერტაციო ნაშრომში შესწავლილია ფერეიდნული მეტყველებისთვის დამახასიათებელი თანხმოვანთკომპლექსები; კერძოდ, დისერტაციაში პირველადაა წარმოდგენილი ქართული ენის ფერეიდნული დიალექტის თანხმოვანთა სინტაგმატური ანალიზი, დაწვრილებითაა განხილული როგორც ჩქამიერი, ასევე სონორი ბგერების შემცველი კომპლექსების პოზიციები. დადგენილია თითოეული თანხმოვანთიმედევრობის სიხშირე, გამოვლენილია ამ ქართული კილოსთვის დამახასიათებელი ძირითადი, დასაშვები და აკრძალული კომპლექსები.

ნაშრომში თანხმოვნები დაყოფილია ორ ძირითად კლასად: სონორებად (მ ნ რ ლ ვ) და ჩქამიერებად. თავის მხრივ, საწარმოთქმო ადგილის მიხედვით, ჩქამიერები წარმოდგენილია ორ ჯგუფად: I რიგისმიერებად (ბ ფ პ ვ ჭ, დ თ ტ, ძ ც ნ ზ ს, ჯ ჩ ქ ყ შ) და II რიგისმიერებად (გ ქ კ ლ ხ ყ წ ჰ). გამოკვლევა ასევე საინტერესოა სამეტყველო კოდთა შერევის შესწავლის კუთხითაც.

**6. გიგა ქამუშაძე – „იანეთში რეპატრიირებული მოსახლეობის თურქული მეტყველების თავისებურებანი“, თანახელმძღვანელი: პროფ. მარინე ჯიქია, 2006 წელი (დისერტაციის დაცვა შედგა**

თბილისში, გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში).

სადისერტაციო ნაშრომში პირველადაა წარმოდგენილი დეპორტაციამოვლილი და საქართველოში რეპატრიირებული მოსახლეობის მეტყველების ანალიზი. კვლევის საფუძველზე გამოვლენილია, რომ ამ ხალხის მეტყველება ძირითადად თურქულია, მაგრამ მას განცდილი აქვს სხვა ენათა გავლენებიც, კერძოდ, იანეთელ რეპატრიანტთა თურქულ მეტყველებაში ბუნებრივია პ, ტ, წ, ჭ, კ, ყ ბგერები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ თურქული ქართულის ძლიერ გავლენას განიცდიდა; საუკუნეების წინ მესხეთში ჩამოსახლებულ თურქულ ტომთა ამჟამინდელი მეტყველება აირეკლავს ასიმილირებულ ავტოქთონ ქართველთა სუბსტრატულ ფენას. საყურადღებოა ისიც, რომ ქართულის სპეციფიკური ბგერები ჩანს არა მარტო ქართული წარმომავლობის სიტყვებში, არამედ თურქულ სიტყვებშიც; ბალ>პალ, დუდაკ>ტოტახ და სხვ. ქართული სუბსტრატი ძლიერ თვალსაჩინოა აგრეთვე ლექსიკაში. შეიძლება ითქვას, რომ სოფლის მეურნეობის ზოგიერთ დარგში ტერმინოლოგია ქართულია.

**7. მიხეილ ლაბაძე – „მურლულის ხეობაში მცხოვრებ ავტოქთონ ქართველთა – ლაზთა და ლივანელთა – მეტყველების თავისებურებანი“** (სამეტყველო კოდთა შერევის საკითხები)“, 2013 წელი (დისერტაციის დაცვა შედგა ქუთაისში, ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში).

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია საქართველოს ერთ-ერთი ისტორიული კუთხის, ლივანას/ლიგანას/ნიგალის ნაწილის – მურლულის ხეობაში მცხოვრებ ავტოქთონ ქართველთა – ლაზთა და ლივანელთა მეტყველების თავისებურებების შესწავლა. კვლევის ობიექტად განსაზღვრულია მურლულურ-ლივანური, მურლულურ-ლაზური კილოკავები, ათინა-ართაშენის საზოგადოებებიდან მურლულის ხეობაში გადმოსულ ლაზთა შთამომავლების მეტყველება, ქართველურ (ლაზურ-ლივანურ) კოდთა და თურქულის შერევით შექმნილი ქართველურ-თურქული პიჯინი.

შესაბამისად, ნაშრომში, დისერტანტის მიერ მოპოვებული დიდ-ძალი საილუსტრაციო მასალის საფუძველზე, გამოვლენილ-დადგენილია მურღულუღურ-ლივანურისა და მურღულუღურ-ლაზურის თავისებურებები, მურღულუღურ კილოკავთა შორის მსგავსება-განსხვავება, პირველადი და მეორეული ენობრივი მოვლენები კილოკავებში, ქართველურ სამეცყველო კოდთა გადართვის მთავარი მახასიათებლები; განხილულია ქართველურ-თურქული ურთიერთგავლენის ძირითადი საკითხები. თეორიული საკითხები დამუშავებულია თანამედროვე მეთოდოლოგიური ბაზის გათვალისწინებით.

**8. ხათუნა ბაბუნაშვილი – „ქართულენოვანი ინტერნეტსივრცე – პრობლემები და პერსპექტივები (საინფორმაციო სააგენტოების ლექსიკა)“, 2016 წელი (დისერტაციის დაცვა შედგა ქუთაისში, ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში).**

სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებულია ქართულენოვანი ინტერნეტსივრცის პრობლემები, პერსპექტივა და საინფორმაციო სააგენტოების ლექსიკის კრიტიკული ანალიზი. ასევე მიმოხილულია ვრცელი ინფორმაცია გლობალური ქსელისა და ინტერნეტენის შესახებ, გამოცდილების გაზიარების მიზნით, შესწავლილია ფრანგული ენის ტექნოლოგიების ძირითადი საკითხები და გაანალიზებულია ქართული საინფორმაციო სააგენტოების: „ინტერპრესნიუსის“, „პირველისა“ და „მედიანიუსის“ ვებგვერდების ლექსიკა.

ნაშრომში წარმოდგენილია ის საფრთხეები, რომლებიც ქართულ ენას ინტერნეტსივრცეში ემუქრება. კვლევის შედეგად შემუშავებულია რეკომენდაციები, რომლებიც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს როგორც ქართული ენის ტექნოლოგიების, ასევე, ქართული ინტერნეტენის განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების პროცესში.

**9. მარკა თედორაძე – „ენობრივი ერთეულის სტატუსის განმსაზღვრელი კრიტერიუმები (საუკუნოვანი დისკუსია ქართვე-**

**ლური ენობრივი სამყაროს სეგმენტაციის შესახებ), 2018 წელი** (დისერტაციის დაცვა შედგა ქუთაისში, ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში).

სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებულია ბოლო ასწლეულში ქართველური ქვესისტემების განსხვავებული კვალიფიკაციების ისტორია და ამ სხვადასხვაობის საფუძველი. კრიტიკულადაა განხილული ის სამეცნიერო ნაშრომები, რომლებშიც წარმოდგენილია ენისა და კილოს გამმიჯნავი კრიტერიუმები; მათი გათვალისწინებით, გაშლილია საინტერესო მსჯელობა ქართველური და გერმანული ენობრივი სამყაროს სეგმენტაციის ისტორიის შესახებ. ნაშრომის მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს საისტორიო წყაროების შეპირისპირებითი ანალიზიც; აქ მოიაზრება ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები, საქართველოს ეროვნულ არქივში, ქუთაისის ცენტრალურ არქივში, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივსა და საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცული მასალები – სხვადასხვა დროს მიღებული პოლიტიკური გადაწყვეტილებები, საზოგადო მოღვაწეთა შეხედულებები და სხვ. მასალათა ნაწილი საზოგადოებისათვის უცნობია და საყურადღებო ინფორმაციას შეიცავს საკვლევ თემასთან დაკავშირებით.

**10. ქეთევან გურჩიანი – „თურმეობითის მწკრივთა წარმოება სვანურ კილოებში (დიალექტურ მონაცემთა შეპირისპირებითი ანალიზი)“, 2018 წელი.**

სადისერტაციო ნაშრომში ოთხივე სვანური კილოს მიხედვით მოცემულია პირველი თურმეობითის, მეორე თურმეობითის, მესამე თურმეობითისა და მეოთხე თურმეობითის მწკრივთა ფორმოზომები და ფუნქციურ-სემანტიკური დახასიათება. წარმოჩენილია როგორც სვანურ კილოებს შორის არსებული მსგავსება-განსხვავება, ასევე სვანური მონაცემების მიმართება ქართული სალიტერატურო ენისა და სხვა ქართველური ქვესისტემების მასალასთან. გამოვლენილია როგორც საერთოქართული კანონზომიერებები, ასევე, საკუთრივ სვანურისთვის დამახასიათებელი

თავისებურებები. გაანალიზებული მასალის საუძველზე, კვლევის მიხედვით დადგენილია, რომ სევანურ კილოთა ზმნური პარადიგმები, კონკრეტულად, თურმეობითის მწკრივთა ფორმანარმოების წესი და მანარმოებელი აფიქსები არსებითად არ განსხვავდება ქართული სამნიგნობრო ენისა და სხვა ქართველური ქვესისტემების მონაცემებისაგან.

**საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში მომზადებული სადისერტაციო ნაშრომები:**

**11. სვეტლანა ადამია – „ორპირიან და ორვალენტიან ზმნურ ფორმათა სრული პარადიგმა (სამნიგნობრო ქართულსა და ქართველურ დიალექტებში)“, 2015 წელი.**

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია ქართული ზმნის ისეთი სრული პარადიგმის აგება, რომელიც გააიოლებს ქართული ზმნის კომპიუტერულ მოდელირებას. ნაშრომში წარმოდგენილია ქართული ზმნური ყალიბების (ფორმების) შესწავლის ისტორია და კრიტიკული ანალიზი. მოცემულია ორპირიან და ორვალენტიან ზმნურ ყალიბთა ფორმანარმოება სალიტერატურო ქართულისა და იმერულ-მეგრული კილოების მონაცემთა მიხედვით, ასევე – ორპირიანი და ორვალენტიანი ზმნური ყალიბების, მათი მწკრივების, პირისა და რიცხვის ფორმების სემანტიკური დახასიათება. ნაშრომის ღირებულ ნაწილს წარმოადგენს დანართი: აქ მოცემულია სალიტერატურო ქართული ენის ერთი ზმნის ორპირიანი და ორვალენტიანი ყალიბის უღლება, რომელიც მოიცავს 700 ფორმას. ნაშრომი გარკვეულწილად გააიოლებს ქართული ზმნის სწავლებას /ბავშვებისა და უცხოელებისათვის/ და, რაც მთავარია, ხელს შეუწყობს ქართული ენის ტექნოლოგიზებას; კერძოდ: ენაში არსებული ყველა ზმნური ფორმის აღნუსხვა და თითოეული მათგანის სემანტიკის განსაზღვრა საშუალებას მოგვცემს, ავაგოთ ქართული ენის ზმნის მოდელირებისთვის საჭირო ალგორითმი.

**12. ხატია ჯანგაძე – „ქართული ენის ტაოური და იმერხეული დიალექტების ფონემათა სინტაგმატური ანალიზი“, 2015 წელი.**

ნაშრომი წარმოადგენს ცდას, გაკეთდეს ცოცხალი მეტყველების ფონემატური სტრუქტურის ზუსტი ანალიზი ქართული ენის ტაოური და იმერხეული დიალექტების ფონზე; დაწვრილებითაა განხილული ხმოვანთკომპლექსებისა და თანხმოვანთკომპლექსების ყველა პოზიცია; დადგენილია მათი გამოვლენის სიხშირე და აღნიშნული კილოსთვის დამახასიათებელი ჰარმონიული, ბუნებრივი, დასაშვები თუ აკრძალული კომპლექსები. ზოგ შემთხვევაში წარმოდგენილია კომპლექსთა ტრანსფორმაციის ისტორიაც. გარდა ამისა, მოცემულია ბევრი უკვე ცნობილი ფაქტის ახლებური ინტერპრეტაცია. ბოლოს წარმოდგენილია ტაოური და იმერხეული დიალექტების შედარებითი ანალიზი და მათი მიმართება სალიტერატურო ქართულთან. დანართის სახით მოცემულია ტაოური და იმერხეული დიალექტების ზეპირი მეტყველების ნიმუშები, რომლებიც ჩანერილია 2006 – 2014 წლებში ტაო-კლარჯეთში ექსპედიციების დროს. დისერტაცია, გარკვეულწილად, სწორედ ამ მასალას ეყრდნობა.

**13. იაშა თანდილავა – „საერთოქართველური ზმნური ძირები ლაზურში“, 2015 წელი.**

სადოქტორო დისერტაციაში გაანალიზებულია ლაზურში დადასტურებული საერთოქართველური ზმნური ძირ-ფუძეები. ნაშრომში წარმოდგენილია სპეციალურ ლიტერატურასა (ნ. მარი, ი. ყიფშიძე, ა. ჩიქობავა, ს. ჟღენტი, ჟ. დიუმეზილი, ირ. ასათიანი, გ. კარტოზია...) და თანამედროვე ლაზურ მეტყველებაში დაფიქსირებული საერთოქართველური ზმნური ძირები; ლაზური ვარიანტები შეპირისპირებულია ქართული სალიტერატურო ენისა და სხვა ქართველური ქვესისტემების მონაცემებთან.

მოცემულია საერთოქართველური ზმნური ძირების სისტემური ანალიზი. შესწავლილია, ერთი მხრივ, სპეციალურ ლიტერატურაში გაანალიზებული ლაზური ზმნური ძირ-ფუძეები, მეორე მხრივ კი – ისეთი ზმნური ფორმები, რომლებიც ცოცხალ მე-

ტყველებში გამოიყენება, თუმცა არ არის ასახული სამეცნიერო გამოკვლევებში. სულ გაანალიზებულია 262 ერთეული.

ლაზური ზმნების ფორმანარმოების შესაძლებლობათა წარმოსაჩენად ნაჩვენებია ქარ- ზმნური ძირისგან ნანარმოები ყალიბები (დანართში ცხრილების სახით მოცემულია ყველა შესაძლო ზმნური ფორმა). კვლევის საფუძველზე დასკვნის სახით აღნიშნულია, რომ ლაზურში არსებული ზმნური ძირ-ფუძეები ძირითადად საერთოქართველურია: დასტურდება როგორც სალიტერატურო ქართულში, ასევე სხვა ქართველურ დიალექტებში; ვლინდება ისეთი ფორმებიც, რომლის შესატყვისი სალიტერატურო ენაში არ ჩანს, თუმცა დაცულია კილოებში.

**14. ეკა ჭკუასელი – „ქართული რელიგიური წეს-ჩვეულებები და ხალხურ დღეობათა სარიტუალო ლექსიკა (სვანეთისა და სამეგრელოს ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით)“, თანახელმძღვანელი: პროფ. რ. გუჯეჯიანი; 2015 წელი.**

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია საწესო-სარიტუალო ტერმინების ფორმოზრივ-სემანტიკური ანალიზი საქართველოს ორი კუთხის, სვანეთისა და სამეგრელოს, ტრადიციულ ყოფაში დაცული ჩვეულებების საფუძველზე, ამ რიტუალთა პირველადი მნიშვნელობის მიკვლევა და რელიგიური ტერმინების განვითარების ისტორიის კვლევა.

განხილულია სვანეთსა და სამეგრელოში არსებული რიტუალები და დღეობები, ასევე – „ლოცვის“ მნიშვნელობით დაცული ჭუამ- /ხვამ- და მზერ- /მზირ- ძირებით წარმოდგენილი სემანტიკური ერთეულები და ამ ორი კუთხის ეთნოგრაფიულ ყოფაში ლოცვის/დალოცვის (ღვთისადმი, წმინდანისადმი აღვლენილი სავედრებელი) მნიშვნელობით დაცული რიტუალი. განხილულია რელიგიურ წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებში განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე სარიტუალო პურის გარკვეული სახეობები, რომელთაც საწესო დანიშნულება აქვთ. დაწვრილებითაა განხილული თითოეული რიტუალი და ტერმინთა ეტიმოლოგიური წარმომავლობა.



**15. ნერიმან ალბაირაქი – „იუსუფელის რაიონის ჰიდრონიმია და ტოპონიმია“, 2018 წელი.**

დისერტაციაში განხილულია იუსუფელის რაიონის ტოპონიმები, მიკროტოპონიმები და ჰიდრონიმები სოფლებისა და ხეობათა მიხედვით. სოფლების, მათი უბნების, მდინარეთა/ღელეთა ძველი (ადგილობრივი) სახელები წარმოდგენილია ისე, როგორც ადგილობრივი მოსახლეობა (ეთნიკური წარმომავლობის განუსხვავებლად) წარმოთქვამს. იქვე ნაჩვენებია ოფიციალურად მიღებული თანამედროვე თურქული სახელებიც. ტოპონიმთა, მიკროტოპონიმთა და ჰიდრონიმთა უმრავლესობა ეტიმოლოგიზებულია. ნაშრომში ასევე მიმოხილულია საკვლევე არეალის დასახლებული პუნქტების, ხეობების, მდინარეებისა თუ ღელეების ის სახელწოდებები, რომლებიც დასტურდება ოსმალურ საარქივო მასალებში. დანართში წარმოდგენილია თურქეთის რესპუბლიკის ოფიციალური დაწესებულებებიდან მიღებული სათანადო ცნობები და ავტორის მიერ არქივში მოძიებული დოკუმენტების ასლები; ასევე, კომპაქტდისკების სახით – იუსუფელის სოფლების სურათები და ვიდეომასალები.

**16. ფევი ჩელები – „დუზჯეს მხარეში (თურქეთის რესპუბლიკა) მცხოვრები ქართველების მეტყველების თავისებურებანი“, 2018 წელი.**

ნაშრომის მიზანია ქართველ მუჰაჯირთა მეტყველების შესწავლა და მისი სპეციფიკური მახასიათებლების გამოვლენა (დღემდე არსებული სიტუაცია არ იძლეოდა, ზოგადად, მუჰაჯირთა ტაბუდადებული თემის საფუძვლიანი კვლევის საშუალებას); მასალა მოპოვებულია დისერტანტის საველე მუშაობის შედეგად – მუჰაჯირთა ხანდაზმული შთამომავლებისაგან.

დუზჯელი ქართველები, ძირითადად, აჭარიდან წასულთა შთამომავლები არიან, ამდენად, მათი მეტყველება უფრო აჭარულ დიალექტს უახლოვდება, ბევრი თავისებურება, რომლებიც დუზჯეს ქართულს სალიტერატურო ქართულის ან სხვა ქართული დიალექტებისგან შესამჩნევად გამოარჩევს, თურქულის

გავლენას მიეწერება.

ნაშრომში წარმოდგენილია ქართველურ-თურქულ, ასევე ქართველურ დიალექტურ სამეტყველო კოდთა შერევის ყველა ძირითადი სახეობა; გაანალიზებულია დუზჯეს რეგიონში დღემდე პოვნიერ ქართულ ანთროპონიმთა (სახელთა, მეტსახელთა...) და პატრონიმთა (გვართა, მეტგვართა...) თავისებურებანი. დუზჯელი ქართველები დღეს არაბული (და ასევე თურქული) ანთროპონიმიკით სარგებლობენ, თუმცა მათ ქართულ ყაიდაზე ასხვაფერებენ. რაც შეეხება მიკროანთროპონიმიკას (მეტსახელებს), ისევე, როგორც ადრე, დღესაც მთლიანად ქართულია.

ნაშრომს ბოლოში ერთვის დუზჯელ ქართველთა ზეპირსიტყვიერების ნიმუშები, ასევე – კომპაქტდისკები, რომლებზეც აღბეჭდილია დუზჯეს სოფლების სურათები და ვიდეომასალა.

**17. კესო გეჯუა – „მეგრული სიტყვა-ფორმები და ქართველთა სამნიგნობრო ენის ლექსიკური ფონდი“, თანახელმძღვანელი: პროფ. რ. შეროზია; 2020 წელი.**

სადისერტაციო ნაშრომში განხილულია მეგრული მეტყველების ლექსიკის ორგვარი პერსპექტივა უძველესი დროიდან დღემდე. ისტორიული მიმოხილვის მიხედვით, წარმოჩენილია მეგრული დიალექტის ადგილი და როლი ქართველურ ენობრივ სივრცეში. ნაშრომში მიმოხილულია მეგრული დიალექტის სიტყვაფორმები, როგორც ქართული სამნიგნობრო ენის ისტორიული შენაკადი ქართველ მეცნიერთა, მწერალთა თუ საზოგადო მოღვაწეთა მიხედვით. გაანალიზებულია მეგრული ლექსიკა კ. გამსახურდიას, ლ. ქიაჩელის, ნ. წულეისკირის შემოქმედებიდან, ასევე სულხან-საბა ორბელიანისა და ილია ჭყონიას ლექსიკონებიდან. მოპოვებულ მასალაზე დაყრდნობით ნაჩვენებია მეგრული ლექსიკის კვალიფიკაციის პრობლემა „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ ძველ (რვატომეული) და ახალ გამოცემებში. კვლევის საფუძველზე გამოტანილია დასკვნა, რომ მეგრული ლექსიკა ოდითგანვე იყო მრავალსაუკუნოვანი ქართული სამნიგნობრო ენის საბაზო ლექსიკა, ამდენად ახალ რედაქციაში ფართოდ უნდა

გაეხსნას გზა მეგრულ (ასევე ლაზურ თუ სვანურ) სიტყვაფორმებს შესაბამისი კვალიფიკაციით.

ქვემოთ წარმოდგენილია დამუშავების პროცესში არსებული სადისერტაციო თემები (ავტორების მითითებით).

**საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში:**

1. ანა მოდებაძე – „ქართული ენის სახელის ფორმანარმოების მოდელირების პრინციპები“;
2. ნატო ბერიძე – „ზმნური სიტყვანარმოება ქართულში“;
3. გოქან ილმაზი – „სამეტყველო კოდთა იერარქია შავშეთის რაიონის მოსახლეობაში (ისტორიული დინამიკა)“;
4. ბელა სარია – „იაკობ გოგებაშვილის ლინგვისტურ-პედაგოგიური კონცეფცია თანამედროვე კონტექსტში“;
5. მანანა ხვინგია – „რუსულ-ქართული მანქანური თარგმანი (სინტაქსური ანალიზი)“;
6. მარინა მწყერაშვილი – „სოციალური ქსელების საკომუნიკაციო ენა ქართულ რეალობაში“;

**აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში:**

7. თინათინ მილორავა – „ზმნის ფორმანარმოება ქართული ენის ტაოურსა და იმერხეულ დიალექტებში“;
8. საიდ მულიანი – „ქართული ენა ირანში“;

**სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში:**

9. ლია ოთინაშვილი – „ქართულ-ინგლისური ორენოვანი მთარგმნელი პროგრამის რესურსები (ქართული ენის ეროვნული კორპუსი და მორფოლოგიურ-სინტაქსური ანალიზატორი)“;

**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში:**

10. რუსუდან გონაშვილი – „ენისა და სამშობლოს კონცეპტთა ლინგვოკულტურული ასპექტები ქართველ მწერალთა მიხედვით“;

(ილია ჭავჭავაძე, ნიკოლო მინიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ლევან გოთუა... გიორგი სოსიაშვილი, აკა მორჩილაძე, ლაშა ბულაძე)“;

**11. მარიამ ჯვარიძე** – „თემის ნიშნები სამცხურსა და ჯავახურში“.

საამაყო, გაზარდო და სამეცნიერო ხელმძღვანელობა გაუწიო ამდენ დისერტანტს, დააყენო სწორ გზაზე. პროფ. ტარიელ ფუტკარაძის ხელმძღვანელობით მომზადებულ სადისერტაციო ნაშრომთა თემატური მრავალნახნაგოვნება მოწმობს, რომ ქართული სამნიგნობრო ენის მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრი საკითხია შესასწავლი და გადასაწყვეტი.

### **კესო გეჯუა**

ფილოლოგიის დოქტორი,  
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის  
ცენტრის ასოცირებული მკვლევარი

### **მარია თედორაძე**

ფილოლოგიის დოქტორი,  
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასისტენტი-პროფესორი

**პროფ. ტარიელ ფუტკარაძის ხელმძღვანელობით  
განხორციელებული სამეცნიერო ექსპედიციები  
თურქეთელი ქართველების ენისა და კულტურის  
შესასწავლად**

მეცნიერება ემპირიული მასალის გარეშე, ფაქტობრივად, ვერ იარსებებს და ჭეშმარიტების დადგენაც შეუძლებელია. იმისათვის, რომ ენათმეცნიერებაში ხელშესახები მასალა მოიპოვო, მნიშვნელოვანია რიგი ღონისძიებების გატარება. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანი, ხერხემალი, დიალექტოლოგიური კვლევა-ძიებინა, გახლავთ ველზე მუშაობა, ცოცხალი მეტყველების ფიქსაცია და შემდეგ ფიქსირებული მასალის სკრუპულოზური შესწავლა.

დიალექტოლოგიურ ექსპედიციებში აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის სპეციალობის სტუდენტები ჯერ კიდევ ქუთაისის დიალექტოლოგიური ინსტიტუტის დაარსების დღიდანვე არიან ჩართული. ექსპედიციებს შორის, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტაოსა და იმერხევის სოფლებში მეცნიერული საქმიანობა ეროვნული მნიშვნელობის საქმე გახლავთ.

1996 წლიდან ქართველური დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი აწყობს დიალექტოლოგიურ ექსპედიციებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში. 1998 წლიდან დიალექტოლოგიის ინსტიტუტის ორგანიზებითა და თანამშრომელთა აქტიური მონაწილეობით სავსე დიალექტოლოგიურ, ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ პრაქტიკას გადიან უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენა-ლიტერატურისა და ისტორიის სპეციალობების სტუდენტები. ექსპედიციაში ჩართული არიან აგრეთვე ქართველური ენათმეცნიერების სპეციალობის მაგისტრანტები და დოქტორანტები. წარმოგიდგენთ ტარიელ ფუტკარაძის ხელმძღვანელობით განხორციელებულ

ექსპედიციებს:

1996 წლის 13-19 ივლისს მესტიის რაიონის სოფელ ლენჯერში მოენყო სამეცნიერო ექსპედიცია, რომლის მიზანი იყო ენათმეცნიერული, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული მასალის მოპოვება. ექსპედიციაში მონაწილეობდნენ: ტ.ფუტყარაძე (ხელმძღვანელი), მ.დოგრაშვილი, ლ.ხაჭაპურიძე, ლ.ლომთაძე, დ.შავიანიძე, დ.ბაკურაძე, ვ.თავხელიძე, ლ.რუსაძე, ი.გაბელაია, ე.დადიანი, ნ.ნაკანი, ნ.ოკუჯავა, ლ.ბენდელიანი, ი.ლომიძე, დ.ხარაბაძე, ი.ვაშაკიძე, რ.თოფჩიშვილი.

1998 წლის 13-27 ივლისს ტყიბულში (სოფ. კურსები, ჭყეპი), ხონში (სოფ. მათხოჯი, კუხი), ხობსა (სოფ. ქვალონი) და ქუთაისში მოენყო ანსუ ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტების II-III კურსის სტუდენტთა დიალექტოლოგიური, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული სასწავლო საველე ექსპედიცია. მასში მონაწილეობდნენ: ტ.ფუტყარაძე (ხელმძღვანელი), დ.ბაკურაძე, დ.შავიანიძე, გ.ზარქუა, რ.ხაჭაპურიძე, რ.კაშია, მ.ფეიქრიშვილი, ე.დადიანი, ლ.ხაჭაპურიძე, ლ.ლომთაძე, ი.ვაშაკიძე.

1999 წლის 25 ივლისიდან 9 აგვისტომდე ცაგერის რაიონის სოფლებში (ლაჯანა, ორბელი), ხონის რაიონის სოფლებში (მათხოჯი, კუხი), მარტვილის რაიონის სოფ. დიდ ჭყონში და ქუთაისში მოენყო ანსუ ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტების II-III კურსის სტუდენტთა დიალექტოლოგიური, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული სასწავლო-საველე ექსპედიცია. მასში მონაწილეობდნენ: ტ.ფუტყარაძე (ხელმძღვანელი), მ.დოგრაშვილი, ლ.ავალიანი, დ.ბაკურაძე, დ.ფირცხელანი, დ.შავიანიძე, რ.ხაჭაპურიძე, ლ.ლომთაძე, რ.კაშია, ე.დადიანი, ნ.ოკუჯავა, ლ.ხაჭაპურიძე.

2000 წლის 11-24 ივლისს ცაგერის რაიონის სოფლებში (ლაჯანა, სპათაგორი, ორბელი, ლაილაში, ლუ, ხოჯი, ლაცორია) მოენყო ანსუ ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტების II-III კურსის სტუდენტთა დიალექტოლოგიური, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული ექსპედიცია. მასში მონაწილეობდნენ: ტ. ფუტყარაძე (ხელმძღვანელი), მ. დოგრაშვილი, ლ. ავალიანი, დ. ბაკურაძე, დ. ფირცხელანი, დ. შავიანიძე, რ. ხაჭაპურიძე, ლ. ლომ-

თაძე, რ. კაშია, ე. დადიანი, ლ. ხაჭაპურიძე, ნ. ნაკანი, ქ. ბაქრაძე, ნ. ოდილავაძე, გ. ქამუშაძე.

2001 წლის 20 ივლისიდან 5 აგვისტომდე დუშეთის რაიონის სოფლებში (ბარისახო, გუდანი, ჭალისოფელი, რომკა, ბუჩუკურთა, კორში, გველეთი, აჭე) მოენყო ანსუ ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტების II-III კურსის სტუდენტთა დიალექტოლოგიური, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული ექსპედიცია. მასში მონაწილეობდნენ: ტ.ფუტკარაძე (ხელმძღვანელი), მ.დოგრაშვილი, რ.ხაჭაპურიძე, ე.დადიანი, ნ. ნაკანი, ნ.ოდილავაძე, გ.ქამუშაძე, ვ. დათაშვილი, მ.მიქაუტაძე.

2002 წლის ივლისში ასპინძის რაიონში მოენყო ანსუ ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტების II-III კურსის სტუდენტთა დიალექტოლოგიური, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული ექსპედიცია. მასში მონაწილეობდნენ: ტ. ფუტკარაძე (ხელმძღვანელი), მ. დოგრაშვილი, ს.კუბლაშვილი, ე. ჭანტურიძე.

2003 წლის ივლისში ქვემო სვანეთში (ლენტეხის რაიონი) მოენყო ანსუ ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტების II-III კურსის სტუდენტთა დიალექტოლოგიური, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული ექსპედიცია. მასში მონაწილეობდნენ: ტ. ფუტკარაძე (ხელმძღვანელი), მ.დოგრაშვილი, მ.მიქაუტაძე, გ.ქამუშაძე, დ.ფირცხელანი, დ.შავიანიძე.

2004 წლის 19 ივლისიდან 3 აგვისტომდე ქობულეთის რაიონის სოფ. აჭყვისთავში მოენყო ანსუ ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტების II-III კურსის სტუდენტთა დიალექტოლოგიური, ფოლკლორული და ეთნოგრაფიული ექსპედიცია. მასში მონაწილეობდნენ: ტ.ფუტკარაძე (ხელმძღვანელი), მ.დოგრაშვილი, ე. დადიანი, ს.კუბლაშვილი, გ.ქამუშაძე, გ.ზარქუა, დ.შავიანიძე, ვ. დათაშვილი, მ.მიქაუტაძე.

2005 წლის 20-31 ივლისს საჩხერის რაიონის სოფლებსა (იციქისი, საკობია, ორლუ, სავანე, ჭორვილა, სხვიტორი, იტავაზაქი, დურევი, ცხამი, კალვათა, საირხე, ქორეთი, ჭალა, სპეთი) და ქუთაისში მოენყო ანსუ ფილოლოგიისა და ისტორიის ფაკულტეტების II-III კურსის სტუდენტთა დიალექტოლოგიური, ფოლკლორული

და ეთნოგრაფიული სასწავლო-საველე ექსპედიცია. მასში მონაწილეობდნენ: ტ.ფუტყარაძე (ხელმძღვანელი), მ.დოგრაშვილი, ე.დადიანი, დ.შავიანიძე, ვ.დათაშვილი, მ.მიქაუტაძე.

2012 წლის ივლისსა და აგვისტოში მოენყო ისტორიისა და არქეოლოგიის სპეციალობის II კურსის სტუდენტთა ეთნოგრაფიული ექსპედიცია-პრაქტიკა სამეგრელოსა (წალენჯიხა, სოფლები: ჯვარი, ენერფერდი, მუჟავა) და ვანის რაიონში (ამალღება, ბზვანი, შუამთა, სულორი, ციხესულორი, ყუმური). მონაწილეობდნენ: დ.შავიანიძე (ხელმძღვანელი), ლ.ხაჭაპურიძე, რ.ხაჭაპურიძე.

2006-2019 წლებში ივლისისა და აგვისტოს თვეებში ტარიელ ფუტყარაძისა (ხელმძღვანელი) და ეკა დადიანის ორგანიზებით რეგულარულად ეწყობოდა დიალექტოლოგიური პრაქტიკა-ექსპედიციები ტაო-კლარჯეთის სოფლებში (ხევაი, ქობაი, ბალხი, ზედვაკე, ქვაბითავი, ქართლა, ქოქლიეთი, ივეთი, წყალსიმერი, შოლტისხევი, ბზათა, იფხრევილი, იმნიეთი, მანატბა, ხოხლევი, ხეწვრილი, აგარა, უსტამისი და ა.შ.) მონაწილეობდნენ: ანსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ენა-ლიტერატურის სპეციალობის III კურსის სტუდენტები და ქართველური ენათმეცნიერების სპეციალობის მაგისტრანტები. ექსპედიციაში სხვადასხვა დროს ჩართული იყვნენ: მ.მიქაუტაძე, ლ. ხაჭაპურიძე, მ.დოგრაშვილი, შ.კირთაძე, ლ.ლომთაძე, დ.ბაკურაძე და სხვ.

ჩვენ პატივი გვქონდა, მონაწილეობა მიგველო ტაო-კლარჯეთში განხორციელებულ 3 ექსპედიციაში. მრავალ ადამიანს აქვს საშუალება, ტურისტული გზით ენვიოს ისტორიული საქართველოს ამ ნაწილს და მოინახულოს იქაური ისტორიული ძეგლები, თუმცა სხვა მნიშვნელობის მქონე ექსპედიციები. მთავარი დანიშნულება ამ პრაქტიკა-ექსპედიციებისა ტაოსა და იმერხევში არის, პირველ რიგში, საქართველოსა და თურქეთის მოქალაქეების ურთიერთგაცნობა პოზიტიური ნახნაგებით, ამ ორი ქვეყნის კეთილმეზობლობის პირობებში გაქრობის პირას მყოფი ქართული დიალექტური მასალების ჩანერა მათი გადარჩენის მიზნით და, როგორც თავად ტარიელ ფუტყარაძე აღნიშნავს, საქართველოსა და თურქეთის აკადემიური წრეების კულტურულ-სამეცნიერო-სა-



განმანათლებლო „ზიარჭურჭლის“ შექმნა გასულ საუკუნეებში ჩამოყალიბებული იდეოლოგიების დაბალანსების მიზნით, შემდეგ კი – ქართველი სტუდენტებისათვის თურქეთის მოქალაქე ავტოქთონი ქართველების მეტყველებისა და ისტორიული ქართული კულტურის ძეგლების გაცნობა.

აღსანიშნავია, რომ „ჩვენებურთა“ მეტყველება და კულტურა უფრო და უფრო ექცევა თურქული ენისა და კულტურის გავლენის ქვეშ, ამიტომ ასეთი ტიპის საველე გასვლებს (როცა მკვლევრებსა და სტუდენტებს ურთიერთობა აქვთ ადგილობრივებთან და ეს ურთიერთობა ხშირად ექსპედიციის შემდეგაც გრძელდება), დიდი მნიშვნელობა აქვს „ჩვენებურების“ ისტორიული ცნობიერების შენარჩუნებაში. შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენი ექსპედიციები ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძაფია, რომელიც „იქაურ“ ქართველებს „აქაურებთან“ აკავშირებს. იმ კულტურული ურთიერთობის შენარჩუნებასა და გაღრმავებაში, რომელიც ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტს, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს და სხვა მრავალს თურქეთელ ქართველებთან აკავშირებს, ლომის წილი სწორედ ტარიელ ფუტკარაძეს მიუძღვის. ის ფაქტი, რომ სტუდენტები, ახალგაზრდა მკვლევრები ჩადიან ტაოსა და იმერხეში და კომუნიკაციას მარტივად ახერხებენ იქაურ ქართველებთან, ბატონი ტარიელის თავდაუზოგავი შრომისა და თითქმის უკვე 15-წლიანი ექსპედიციების შედეგია.

ტაო-კლარჯეთის ექსპედიცია ძალიან წარმატებული ტრადიციაა აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და უკვე რამდენიმე წელიწადია, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებისთვისაც.

საქართველოს ისტორიული ტერიტორიები სხვა სახელმწიფოს საზღვრებშია მოქცეული. ამდენად, აღნიშნული ექსპედიციის გარკვეულ სპეციფიკას ეს გასათვალისწინებელი მოცემულობაც ქმნის. სხვა ქვეყანაში, სხვა ღირებულებებთან, ტრადიციებსა და მენტალობასთან მეტ-ნაკლებად ასიმილირებულ მოსახლეობაში

საველე პრაქტიკები ადვილი საქმე როდია; პროფესორმა ტარიელ ფუტყარაძემ სიღრმისეულად შეისწავლა თურქეთელი ქართველების ცნობიერება, ინტერესები, პიროვნული ნახნაგები და სწორედ ეს გახლავთ აღნიშნული ექსპედიციის წარმატების ფორმულა.

ბატონი ტარიელის პიროვნული თვისებები ტაო-კლარჯეთის ექსპედიციის ხანგრძლივობისა და შედეგიანობის განმაპირობებელი ნიშანია. ამაზე მიუთითებს ის ნათელი, უტყუარი ფაქტი, რომ ტაოსა და იმერხევის ადგილობრივი მოსახლეობა მასთან მეგობრობს, ის უყვართ და მას გულითადად მასპინძლობენ. მათი სიყვარული პროფ. ტარიელ ფუტყარაძემ მოიპოვა უდიდესი პატრიოტული სულისკვეთების გამოვლენით, იქაური ქართველებისა და თურქეთის სახელმწიფოს პატივისცემით და იმ დიდი ენერგიით, რაც მოახმარა ტაოსა და იმერხევის სოფლებში თითოეულ ქართველთან უწყვეტი ჯაჭვის შეკვრით, რომელიც მათთან ყოველწლიურად ჩასვლითა და ექსპედიციით გვირგვინდება.

ვფიქრობთ, აუცილებელია, აღინიშნოს ის თვისებები, რომლებსაც ფლობს ბატონი ტარიელი, როგორც ექსპედიციის ხელმძღვანელი. იგი სამართლიანად, ზომიერად, მკაცრი მეთოდებითა და მეგობრული დამოკიდებულებით ახერხებს, თითოეული სტუდენტი თავისი გუნდის აქტიურ წევრად აქციოს; შორსმჭვრეტელობის უნარი შესაძლებლობას აძლევს, სწორად განსაზღვროს სტუდენტთა დიალექტოლოგიური სამუშაო გარემო და პირობები, რათა მათ სრულად გამოავლინონ თავიანთი შესაძლებლობები. ასევე აღსანიშნავია ექსპედიციის თეორიული ნაწილიც, რომელიც ბ-ნმა ტარიელმა შეიმუშავა და ზედმინევით დაგეგმა – ეს გულისხმობს ექსპედიციის წევრთა შემზადება-მობილიზებას საველე სამუშაოებზე გასვლისათვის. მისი, როგორც ხელმძღვანელის, როლი შეუდარებელია მუშაობის დაწყების პროცესშივე. პროფ. ტ.ფუტყარაძე დიდ ძალისხმევას დებს ექსპედიციის წევრთა ერთგუნდად შეკვრისა და მონესრიგებულად მუშაობის საქმეში.

მისი ხალასი იუმორი და უშუალო დამოკიდებულება ექსპედიციის წევრებს ეხმარება რთული და დაძაბული სამუშაო

საქმიანობის შემსუბუქებაში.

ყოველ ექსპედიციას თან ახლავს გარკვეული სახის წინააღმდეგობრივი ველი, გაუთვალისწინებელი შემთხვევები თუ მოსალოდნელი სირთულეები. ფორსმაჟორული მომენტები კარგად გამოავლენს ადამიანის შინაგან თვისებებს. 3 ექსპედიცია საკმარისი აღმოჩნდა, რომ ბ-ნი ტარიელი ასეთ გადამწყვეტ მომენტებში გვეხილა, როგორც ნამდვილი წინამძღოლი, მამაცი ადამიანი და ძლიერი პიროვნება.

ბედნიერია, ვინც მასთან ერთად ყოფილა ტაო-კლარჯეთის დიალექტოლოგიურ ექსპედიციაში, რადგან ძალიან მცირე დროში ბ-ნი ტარიელი ახერხებს, სტუდენტებს ნამდვილი სამშობლო გააცნოს, დააფიქროს წარსულზე და მისცეს ძალიან დიდი მოტივაცია ქვეყნის საკეთილდღეო საქმეების კეთებისა.

#### **დავით შანიძე, ფიქრია ჭანტურია**

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის ქართველური ენათმეცნიერების მიმართულების დოქტორანტი

## ფერეიდნელი ქართველები და პროფ. ტარიელ ფუტყარაძე

ვიდრე უშუალოდ დიდი ქართველი მეცნიერის, საზოგადო მოღვაწისა და მამულიშვილის – ტარიელ ფუტყარაძის ურთიერთობას შევეხებოდეთ ფერეიდანთან, საჭიროდ ვთვლით ორიოდ სიტყვით წარმოვაჩინოთ საქართველოსა და ფერეიდანს შორის არსებულ ურთიერთობათა ზოგადი სურათი.

საქართველოსა და ფერეიდანს შორის შეიძლება გამოიყოს ურთიერთობათა ორი მთავარი პერიოდი:

I – XIX ს. 70-იანი წლებიდან XX ს. 90-იან წლებამდე, ანუ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენამდე.

II – XX ს. 90-იანი წლებიდან დღემდე.

ურთიერთობათა პირველი პერიოდი შეიძლება დავყოთ სამ ეტაპად:

**პირველი ეტაპი** – XIX ს. 70-იანი წლებიდან XX საუკუნის 20-იან წლებამდე, როცა საქართველოში პირველად გამოჩნდნენ ფერეიდნელები: ათამ ონიკაშვილი (1871), ყოლამ ჭუსეინ ონიკაშვილი და ყოლამ-რეზა ხუციშვილი (1907), მაყაშვილი და მისი სიძე ნასრულაძი (1900-1902), სეიფოლა იოსელიანი (1922).

ათამ ონიკაშვილი პირველი ფერეიდნელი იყო, რომელმაც ჩამოიტანა ამბავი ფერეიდნიდან. მანამდე ჩვენ მხოლოდ ინფორმაციის დონეზე თუ ვიცოდით ბუნდოვნად, რომ ფერეიდანში ცხოვრობდნენ შაჰ-აბასის მიერ გადასახლებული ქართველები, მაგალითად: „და რაც-ოდენნი შეიპყრეს, ცოლშვილიანად აჰყარეს და წაასხეს რომელიმე ფერისას“ („ქართლის ცხოვრება“, 1959: 401);

ათამ ონიკაშვილი ფერეიდნიდან სამუშაოდ გადასულა თავრიზში; იქ მუშაობა დაუწყია ინგლისელ ინჟინერთან, რომელიც მოხიბლულა მისი გონიერებითა და განსწავლულობით. ათამს უამბია ინგლისელისთვის თავისი წარმოშობისა და თავისი ხალხის ბედკრული ისტორიის შესახებ. როცა ინგლისელი თავის სამ-

შობლოში ბრუნდებოდა, მას ათამისთვის შეუთავაზებია, რომ თუ სურვილი ექნებოდა, წაიყვანდა ბაქომდე, საიდანაც ის შეძლებდა თავის სამშობლოში ჩასვლას. ათამს სიამოვნებით მიუღია ეს წინადადება.

ასე აღმოჩნდა 1871 წელს პირველი ფერეიდნელი ქართველი საქართველოში.

ამის მერე ფერეიდნიდან საქართველოში ჩამოვიდნენ ყოლამ ჰუსეინ ონიკაშვილი და ყოლამ-რეზა ხუციშვილი (1907), რომელთაც შვიდი თვე დაჰყვეს საქართველოში; მათი ჩამოსვლის მთავარი მიზანი ფერეიდანში ქართული სკოლის დაარსებისთვის ნიადაგის მომზადება იყო, რასაც ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ყურადღებით მოჰყიდებია და განუხილავს კიდევ საკითხი შესაბამისი თანხების მოძიებასთან დაკავშირებით („ისარი“, 1907, 24. V).

მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1922 წელს ფერეიდნიდან საქართველოში ჩამოსვლა ისეთი განათლებული და გავლენიანი პირის – ხანისა, როგორც სეიფოლა იოსელიანი იყო (1887-1834).

ურთიერთობათა პირველი პერიოდის პირველ ეტაპზე თუ ათამ ონიკაშვილი იყო პირველი ქართველი, რომელიც ჩამოვიდა ფერეიდნიდან საქართველოში (1871), სეიფოლა იოსელიანი აღმოჩნდა ბოლო (1922).

ამის მერე 1972 წლამდე, ანუ მთელი ნახევარი საუკუნე, ფერეიდნელი არ გამოჩენილა საქართველოში. პირიქით კი იყო რამდენიმე შემთხვევა.

თუ პირველ ეტაპზე ჩვენი მხრიდან ოფიციალური დამოკიდებულება ფერეიდნის მიმართ დადებითი იყო, რა გასაკვირია, საზოგადოებაში ინტერესი მის მიმართ დიდი ყოფილიყო. სწორედ ამან განაპირობა, რომ 1894 წელს საქართველოდან ფერეიდანში ჩავიდა ლადო აღნიაშვილი, რომელმაც მრავალმხრივ შეისწავლა იქაურობა და წიგნად გამოაქვეყნა.

მართალია, საგანგებოდ არ ჩასულა ფერეიდანში, მაგრამ 1916 წელს ირანის ამ რაიონში შემთხვევით მოხვდა რუსეთის ჯარში მომსახურე ქართველი ოფიცერი პავლე ლორთქიფანიძე, რომე-

ლიც ასე გადმოსცემს ფერიდნელთა მაშინდელ განწყობას: „მათ ძალიან უნდოდათ ქართული სკოლების გახსნა. მთხოვდნენ როგორმე დავხმარებოდი მათ დედა-ენის შოვნაში. მათ მითხრეს, ჩვენი ქალები წინილასაც რომ დაკარგავენ, მთელი ღამე არ სძინავთ. საქართველომ სამასი ათასი ადამიანი დაკარგა და ნუთუ ჩვენზე აღარ ფიქრობსო. ქართველებს ჩვენ გადაშენებულები ხომ არ ვგონივართო“ (ონიკაშვილი 2004: 70).

1927 წელს ფერეიდანში ჩავიდა ამბაკო ჭელიძე, რომელმაც ასევე აღწერა იქაურობა და წიგნად გამოაქვეყნა.

1944 წელს ირანში ჩავიდა კინორეჟისორი ირაკლი კანდელაკი და შექმნა დოკუმენტური ფილმი „ფერეიდნელი ქართველები“.

1944 წლის მერე წყდება ურთიერთობა საქართველოსა და ფერეიდანს შორის.

უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო დათბობა საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის, რაც განაპირობა თანამშრომლობამ ეკონომიკის სფეროში. გამომდინარე აქედან, მიეცა საშუალება კინორეჟისორ გურამ პატარაიას, 1969 წელს დოკუმენტური ფილმის შესაქმნელად ჩასულიყო ფერეიდანში. მას თან ახლდნენ: კინოოპერატორი ირაკლი ონოფრიშვილი, კონსულტანტი ირანისტი მაგალი თოდუა და ჟურნალისტი ლამარა ბოკერია. შედეგად, 1970 წელს შეიქმნა დოკუმენტური ფილმი „შორია გურჯისტანამდე“.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ფილმის ეკრანზე გამოჩენით იწყება პირველი პერიოდის **მეორე ეტაპიც**, რომელსაც გვირგვინად დაედგა 1970-იან წლებში (1972-1980 წწ.) ფერეიდნელთა ორ ათეულამდე ოჯახის მუდმივსაცხოვრებლად ჩამოსვლა საქართველოში.

### **ურთიერთობათა მეორე პერიოდი**

მას მერე, რაც საქართველომ აღიდგინა სახელმწიფოებრიობა და ირან-საქართველოს შორის დამყარდა უპრეცედენტო თანაბარ-უფლებიანი სახელმწიფოებრივი კავშირი, მთლიანად შეიცვალა ურთიერთობა საქართველოსა და ფერეიდანს შორის.

დიას, უპრეცედენტო, რადგან ირან-საქართველოს მრავალ-საუკუნოვან ურთიერთობათა ისტორიაში, რომელიც სათავეს იღებს ირანის სახელმწიფოს დაარსებიდან, ანუ ჩვენს წელთაღ-რიცხვამდე მეხუთე საუკუნიდან, მსგავსი რამ პირველად მოხდა.

როგორც კი საქართველომ აღიდგინა სახელმწიფოებრიობა, ირანის ისლამური რესპუბლიკა იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ცნო მისი ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო-ებრიობა. ამით დაიწყო სრულიად ახალი პერიოდი საქართველოსა და ფერეიდანს შორის ურთიერთობაში.

1993 წელს გაიხსნა ირანის ისლამური რესპუბლიკის საელ-ჩო საქართველოში, ხოლო 1994 წელს – საქართველოს საელ-ჩო ირანის ისლამურ რესპუბლიკაში. აი, ასე მოხვდა პირველად ოცამდე კაცი საქართველოდან ფერეიდანში. საქართველოსა და ფერეიდანს შორის გზა უკვე გახსნილი იყო და ფერეიდანში შესა-ძლებელი გახდა სხვადასხვა სახით ჩასვლა; ასე, მაგალითად:

1998-2017 წლებში ფერეიდანში სამეცნიერო მივლინებით იმ-ყოფებოდნენ ენათმეცნიერები: თედო უთურგაიძე, დარეჯან ჩხუ-ბიანაშვილი (1998): მარინე ბერიძე, ლია ბაკურაძე, რუსუდან რამიშვილი, გიორგი ცოცანიძე, ზაქარია ფურცხვანიძე, ნიკო ნა-ხუცრიშვილი, ელენე ნაპირელი (2008-2017 წწ.).

2000 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან სამეცნიერო მივლინებით ფერეიდანში გაემგზავრა მცირე სამეცნიერო ექსპედიცია ეთნოლოგ ოთარ მიმინოშვილის, მიხეილ როსტომაშვილისა და ჩემი მონაწილეობით.

2012 წელს ფერეიდანში იმყოფებოდა თავისუფალი უნივერ-სიტეტის სტუდენტური სამეცნიერო ექსპედიცია გიორგი კაცი-ტაძისა და ერეკლე ასტახიშვილის ხელმძღვანელობით, რომლის მასალებიც გამოქვეყნდა წიგნის სახით.

2014 წელს, ტარიელ ფუტკარაძის ინიციატივითა და ხელმძღვა-ნელობით, შედგა ექსპედიცია ირანში, რომლის საფუძველზეც მომზადდა სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის წიგნი: „ორი გზა ფერეიდანამდე“. მასზე დაყრდნობით და ბატონი ტარიელის კონსულტანტობით, 2016 წელს აჭარის ტელევიზიის ჟურნა-

ლისტთა ჯგუფმა გადაიღო ოთხნაწილიანი დოკუმენტური ფილმი ფერეიდანზე.

2015 წელს შესანიშნავმა მწერალმა და მეცნიერმა გიორგი სოსიაშვილმა გამოაქვეყნა მხატვრული და ამავე დროს მეცნიერულ მასალაზე დამყარებული ნოველების კრებული „ვერცხლის ყვავილები“.

2011-2016 წლებში სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უნმიდესისა და უნეტარესის, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ფერეიდნელი ქართველებისათვის დაფუძნდა საზაფხულო სკოლა და ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შემსწავლელი ერთწლიანი უფასო სასწავლო კურსები პროფ. ტარიელ ფუტყარაძის ხელმძღვანელობით.

ტარიელ ფუტყარაძის ინიციატივითა და ორგანიზატორობით, ამავე უნივერსიტეტში შედგა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მეოთხე საერთაშორისო კონფერენცია თემაზე – „ირანის ქართველები: ისტორია და პერსპექტივები“ (თბ., 2014, 28-29 მაისი), რომელიც მიეძღვნა საქართველოდან ირანში ქართველთა გადასახლების 400 წლისთავს.

ტარიელ ფუტყარაძემ ისტორიული უკუღმართობით სამშობლოდან უცხო მიწებზე გაფანტულ ქართველთა ისტორიის კვლევა თურქეთელი ქართველებიდან დაიწყო, რასაც მალე ფერეიდნელები მიემატნენ. ეს დაუდგრომელი სულის ადამიანი ყველანაირად ცდილობს დააკავშიროს ისინი ერთმანეთთან და მათ შორის გააბას სიყვარულის ძაფები.

ტარიელ ფუტყარაძის, ამ სტუმართმოყვარე ადამიანის ოჯახის კარები, სხვებთან ერთად, მუდამ ღიაა ფერეიდნელი ქართველებისთვის.

ფერეიდნელი ქართველების სიყვარული საქართველოსა და ქართული ენისადმი და ქართველთა განსაკუთრებული დამოკიდებულება მათ მიმართ საყოველთაოდ ცნობილია; ფერეიდნელ-



მა ქართველებმა შექმნეს ცისარტყელას მითი, რომ ეს სიყვარული მარადიული გამხდარიყო: ლეგენდის თანახმად, თუ წვიმის შემდეგ ცისარტყელასთან მიხვიდოდი, საქართველოში აღმოჩნდებოდი. ოთხასი წლის შემდეგ ეს სურვილი ასრულდა და ბატონი ტარიელი ერთ-ერთი პირველი მერცხალი იყო, ვინც ცისარტყელა გადაკვეთა, მაგრამ ამჯერად საქართველოდან – ირანში, რასაც მოჰყვა ძალიან ბევრი და სასიკეთო შედეგი.

ბატონი ტარიელი, რომელიც ფერეიდნელ ქართველებსა და ფერეიდნულ დიალექტს გაეცნო უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, ერთ-ერთია მათ შორის, ვისაც აქვს ფერეიდნელ ქართველებთან ახლო მეგობრული ურთიერთობა და სამეცნიერო კავშირები.

სწორედ ბატონი ტარიელის მხარდაჭერით, ფერეიდნელ ქართველთა პირველმა ჯგუფმა შეძლო მოკლევადიანი კურსის გავლა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში. აქ ამ პერიოდში ასწავლიდნენ გამოჩენილი ქართველი პროფესორები: სერგო ვარდოსანიძე, როინ მეტრეველი, ვახტანგ გურული და თავად ბ-ნი ტარიელ ფუტყარაძე, ხოლო ფერეიდნელებს, ტრენინგის გარდა, შეეძლოთ საქართველოს სხვადასხვა ღირსშესანიშნავი ადგილის მონახულება.

ირანის ქართველები ცნობილი არიან, როგორც ფერეიდნელი ქართველები, მაგრამ სხვადასხვა ისტორიული პერიოდისა თუ მოვლენის გამო, ისინი სხვა ადგილებშიც დასახლდნენ. სამხრეთ ირანის ხუზესტანის პროვინციაში ვახუშტი ბარათაშვილის შთამომავლები ცხოვრობენ. ბატონი ტარიელის მონვევით, ხუზესტანის ქართველების წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტში გამართულ პირველ სამეცნიერო კონფერენციაში, რომელიც ირანში ქართველთა გადასახლების 400 წლისთავს მიეძღვნა. ბატონი ტარიელის სულიერი მხარდაჭერა ძალზე ეფექტური იყო ამ მიმართულებით კვლევის გასაგრძელებლად.

ბატონი ტარიელის ურთიერთობა ირანის ქართველებთან იმ-

დენად ფართო და ღრმაა, რომ ირანში მოგზაურობის დროს ყველა, ვინც ქართული კულტურითა და ენით იყო დაინტერესებული, იცნობდა მას და ისიც ყველას ცნობდა. ირანში ყოფნის დროს იქაური ქართველები ერთმანეთს ეჯობებოდნენ ბატონი ტარიელის მასპინძლობაში.

ისპაჰანში ყოფნისას მან მოინახულა ისტორიული ადგილები, როგორებიცაა ნაყუე ჯაჰანის მოედანი (შაჰ-აბასის მოედანი), ჩეჰელსოთუნი (ორმოცსვეტიანი სასახლე), ჩარბალი (ოთხთა ბაღი). საინტერესო და კურიოზულია შენი ქვეყნისა და ხალხის გამაუბედურებლის მიერ აშენებული ღირსშესანიშნაობების ცქერა.

ისპაჰანში ყოფნისას მასპინძლები იყვნენ: სასტუმრო აზადის მეპატრონე ფერეიდნელი ქართველი – ჰამიდ გუგუნაშვილი და ჰელენ იოსელიანი – ცნობილი მხატვარი და კალიგრაფისტი, რომელიც არის ცნობილი ფერეიდნელი ქართველის – სეიფოლაჰ ხან იოსელიანის შვილიშვილი. ელენი, წლები იყო, იცნობდა ბატონ ტარიელს და მოუთმენლად ელოდა მას. ბატონი ტარიელის კაბინეტში დაკიდულია ჰელენის ნამუშევრები მისი და სეიფოლაჰ ხან იოსელიანის ღვანლის დასაფასებლად

ნაჯავაზბადში, სადაც ბოლო დროს ფერეიდნელი ქართველების დიდი ნაწილი ფერეიდნიდან გადასახლდა, ბატონი ალი ჰოსეინ რაჰიმი (ალექსანდრე დავითაშვილი) და ბევრი სტუმარი ელოდა ბატონ ტარიელს. ალექსანდრეს უზომოდ უყვარდა ქართული კულტურა და ენა. შთამბეჭდავია მისი მოგონებები მეუღლესა და მცირეწლოვან შვილებთან ერთად საქართველოში პირველ მოგზაურობაზე დამოუკიდებლობის პირველ წლებში. ძალიან საინტერესო იყო მის მიერ ირანელი სიძისთვის წაყენებული პირობა, რომ მას მხოლოდ იმ შემთხვევაში მიათხოვებდა ქალიშვილს, თუ ქართულ ენას ისწავლიდა; სიძემ არა მხოლოდ ქართული ენა ისწავლა, არამედ ქართულად მღეროდა – შესანიშნავად ასრულებდა ტკბილქართულ ხალხურ სიმღერებს.

ფერეიდანში ძალიან დატვირთული სამუშაო დღეები იყო. ბატონ ტარიელს ბევრი მეგობარი ჰყავდა და ბევრს სურდა მისი

მასპინძლობა; ყოველ შემთხვევაში, ჩვენი სახლი მთავარი შტაბი იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, რადგან ისინი სულ მოგზაურობდნენ და სტუმრობდნენ. მარტყოფში ძალიან საინტერესო იყო ალი ასლანის ბაღში სტუმრობისას კამათი მის მწერალ სიმამრთან, რომელიც ამტკიცებდა, რომ საქართველო ირანს ეკუთვნოდა და მხოლოდ რუსეთმა, გულისტანის ზავის თანახმად, წაართვა ირანს; ეს, რა თქმა უნდა, ისე, როგორც ირანულ წიგნებში წერია: სხვა წარმოდგენა და ინტერპრეტაცია არ შეიძლებოდა ჰქონოდა ადამიანს. ბატონმა ტარიელმა დოკუმენტურად და მეცნიერულად ახსნა საქართველოს დამოუკიდებლობა და ბოლოს ისაუბრა დღევანდელითაზე, რომ ირანსა და საქართველოს – ორ ქვეყანას – შორის კარგი მეგობრული ურთიერთობაა და ძალიან დიდია ფერეიდნელი ქართველების, როგორც დამაკავშირებელი ხიდის, როლი ამ ურთიერთობაში.

სოფელ თორელში, როგორც ყოველთვის, აბუღასემ აჰმადი იყო მასპინძელი. ის, მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლება არ მიუღია, ძალიან კარგად ერკვევა ფერეიდნულ საკითხებში. აბუღასემი საქართველოში ექსკურსიის ერთადერთი წევრია, რომელიც ყველაფერს იწერდა რვეულში. იგი თავისი სახლის ზედა სართულში სამუზეუმო ექსპონატებად ინახავს ძველ საოჯახო ნივთებსა და შრომის იარაღებს (ხალიჩა, ხელის წისქვილი, თითისტარი...), რომელთაც მისი წინარები იყენებდნენ.

სოფელ აღჩაში ჰაჯი ასყარ ქარიმის ოჯახში ჩანერილ იქნა იქაური ცოტათი განსხვავებული დიალექტური მასალები, როგორც დანარჩენ სოფლებში,

სოფელ ჩულურეთშიც, როგორც ყოველთვის, ჰამიდ რეზა ასლანი იყო მასპინძელი. სოფელ ვაშლოვანში (სიბაქი) ახალგაზრდა გოგინაშვილზე გულდანყვეტილი დარჩა ბატონ ტარიელი, იმიტომ რომ მთელი გულით და სულით ეპატიჟებოდა, მაგრამ დრო აღარ იყო. სოფელ ჯაყჯაყში, ჰამიდის დახმარებით, გაიმართა ძალიან საინტერესო საუბრები იქაურ ქართველებთან. ამ თვალსაზრისით, არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო რეზვან ბათუაშვილის ქალიშვილის ქორწილში სტუმრობაც, სადაც საინტერესო შეხვედ-

რა შედგა მარტყოფელ თუ ახლომახლო სოფლებიდან მოწვეულ ქართველებთან.

ბატონმა ტარიელმა ფერეიდნელი ქართველების აღქმასა და ცნობიერებაში გარდამტეხი როლი შეასრულა. მისი თაოსნობით არაერთი ღონისძიება და კონფერენცია გამართულა ფერეიდნელი ქართველების შესახებ, ხოლო მისი ხელმძღვანელობითა და იდეით გადაღებული დოკუმენტური ფილმების საშუალებით საქართველომ უფრო კარგად გაიცნო ფერეიდნელები.

### **ნომადი ბართაია**

ფილოლოგიის დოქტორი,  
ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
პროფესორი, აღმოსავლური ფილოლოგიის  
დეპარტამენტის ხელმძღვანელი

### **საიდ მულიანი**

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის ქართველური  
ენათმეცნიერების მიმართულების დოქტორანტი



**II ნაწილი**

**ნერვიოზობითი მილოცვები**



**ტარიელ ფუტკარაძე – ქართული ენის თვალსაჩინო  
მკვლევარი**

„სიყვარულს ყველაფერი შეუძლია, მაგრამ მოვალეობას – მასზე მეტი“ (გოეთე). პროფესორ ტარიელ ფუტკარაძის მრწამსიც ესაა. საბედნიეროდ, სწორედ ასეთი პიროვნება გახდა 28 წლის წინათ ჩვენი კოლექტივის ღირსეული წევრი. ჩვენ არაერთხელ სიამაყით აღგვინიშნავს, რომ ბუნებამ შესაშური გულუხვობა გამოიჩინა ჩვენი უნივერსიტეტის ქართული ენის კათედრის (ახლა მიმართულების) მიმართ. აქ ნიჭიერი ლექტორ-მასწავლებლები იყრიდნენ თავს, არ იშურებდნენ ცოდნასა და ენერგიას, რათა ჩვენი დიდებული ენის თავისებურებები გაეცნოთ ახალგაზრდებისათვის. ეს ტრადიცია ახლაც წარმატებით გრძელდება; 1992 წლიდან ჩვენმა კათედრამ გულთბილად მიიღო ერუდიტული, ფართო დიაპაზონის მკვლევარი – ენათმეცნიერი ტარიელ ფუტკარაძე. მიუხედავად ჩვენ შორის ასაკობრივი სხვაობისა, დავმეგობრდით და ერთად ვემსახურებით ჩვენთვის საყვარელ საქმეს. არასოდეს გვექონია უთანხმოება, დაახლოებით, ერთნაირი სიმპათიები გვექონდა. ეს აადვილებდა ჩვენს მეგობრობას, თანაც ტარიელის მეუღლე – ქალბატონი ია კიდევ უფრო გვაახლოვებდა და მყარს ხდიდა ჩვენს ურთიერთობებს. ქალბატონი ია ვაშაკიძე კი თვითონ არის განსახიერება სათნოების, ნიჭიერებისა და სილამაზისა. მან ტარიელს მტკიცე ერთგულებით სავსე ოჯახი, სამი არაჩვეულებრივი შვილი აჩუქა, გვერდში უდგას და ამშვენებს მის ცხოვრებას.

ბატონი ტარიელი მრავალმხრივი პიროვნებაა, უშიშარი, პირდაპირი. დიდი გაბედულება იყო საჭირო, რომ 1994 წლის 13-14 მაისს გამართულიყო დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის პირველი სამეცნიერო კონფერენცია (ინსტიტუტის დირექტორი ბატონი ტარიელი გახლდათ).



პირადად, მომსწრე ვარ, საქართველოსთვის უმძიმეს პერიოდში რამდენი დაბრკოლების გადალახვა უხდებოდა ტარიელს, ეს კონფერენცია რომ ჩატარებულიყო, რათა საქართველოს გამოჩენილი მეცნიერები, ომის შემდგომ მძიმე პერიოდში დაქანცულები, ერთმანეთს სიხარულით შეხვედროდნენ და მაღალ მეცნიერულ დონეზე ემსჯელათ, ეპაექრათ.

ეს დღე დასაწყისი იყო იმ დიდი სამეცნიერო მუშაობისა, რომელიც ტარიელის ხელმძღვანელობით წარიმართა. დიალექტოლოგიის ინსტიტუტში მან შემოიკრიბა ახალგაზრდების ჯგუფი. მისი დაუცხრომელი ენერგია გადამდები იყო თანამოაზრეებისათვის. მათი მონდომებით ტარდებოდა „ქუთაისური საუბრები“, იმ დღეებში მეცნიერების ზეიმი მარტო უნივერსიტეტში კი არა, მთელ ქალაქში იგრძნობოდა. ამ სიმპოზიუმების განსაკუთრებულობა იმაშია, რომ ისინი შინაარსობრივად მრავალფეროვანი და კომპლექსურია. ამ სიმპოზიუმებში მონაწილეობენ ლინგვისტები, ეთნოლოგები, ფოკლორისტები, ისტორიკოსები. რაც მთავარია, აქ წაკითხული მოხსენებების პუბლიკაცია ხდება როგორც თეზისების, ისე სტატიების სახით ქართველოლოგიურ სამეცნიერო ჟურნალში „ქართველური მემკვიდრეობა“. სწორედ აქ ჩანს ტ. ფუტყარაძის, როგორც სამეცნიერო საქმიანობის ორგანიზატორისა და ხელმძღვანელის, როლი. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ ტარიელის თანამოაზრეების თავდაუზოგავი შრომა. სწორედ ამ ერთობლივი მუშაობის შედეგია, რომ ენათმეცნიერების საკითხებით დაინტერესებულნი წელს „ქართველური მემკვიდრეობის“ უკვე 24-ე ტომს მიიღებენ.

მრავალმხრივია ტ. ფუტყარაძის დაუცხრომელი თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობა. მისი მიზანი უაღრესად კეთილშობილურია, ემსახუროს თავის ქვეყანას, ჩვენს დიდებულ ენას, ჩასწვდეს მის თავისებურებებს. განსაკვიფრებელია მის მეცნიერულ ნაშრომთა სიმრავლე: მონოგრაფიები, სტატიები, რეცენზიები, რაც შედეგია უსაზღვრო შრომისმოყვარეობის, ნიჭიერების, დაუცხრომელი ენერგიისა. ქართული ენის კანონზომიერებების შემსწავლელთათვის სამაგიდო წიგნებია „ქართველოლოგიის შე-

სავალი“ (2011), „ქართველები“ (2005).

ტ. ფუტკარაძე დიდ დროსა და ენერგიას ახმარს ახალგაზრდა მეცნიერთა ხელმძღვანელობას. იგი მომთხოვნი და მკაცრია, მაგრამ გულისხმიერი. საინტერესოდ გამოიყურება ტარიელი, როცა მისი დისერტანტი დისერტაციას იცავს. ამ დროს მისთვის არ არსებობს ირგვლივ მყოფნი, არსებობს მხოლოდ მისი აღზრდილი, არ უნდა გამოეპაროს კათედრასთან მდგომს არც ერთი სიტყვა. დაძაბულია, მაგრამ არ იმჩნევს და ძალიან ბედნიერი, როცა ყველაფერი წარმატებით მთავრდება. ასეთი დღეები კი ბევრია მის ცხოვრებაში.

ტარიელისათვის ქუთაისი გამორჩეულად ძვირფასია, მშობლიური. იგი ქალაქის მნიშვნელოვან ღონისძიებებში ყოველთვის მონაწილეობს, ჰყავს ბევრი მეგობარი. უყვარს მათთან ყოფნა, მოლხენა, შესანიშნავად თამადაობს კიდეც.

ერთ წერილში ყველაფერს ვერ გასწვდები. ზემოთ თქმული მხოლოდ შტრიხებია მეცნიერის პორტრეტისათვის.

ჩვენო ტარიელ! გილოცავ საიუბილეო თარიღს. დიდხანს იცოცხლე შენს სათაყვანო ოჯახთან ერთად. შენისთანა მზრუნველი, სამშობლოზე შეყვარებული, ერთგული პიროვნება ძლიერ სჭირდება ჩვენს ქვეყანას და ქართულ ენას.

**მარინა ქაცარავა**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ემერიტუსი პროფესორი

## ტარიელ ფუტკარაძე – 60

1992 წელს გვერგო პატივი, ვყოფილიყავი იმ ცნობილ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის, რომლებიც მიწვეული იყვნენ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიალექტოლოგიის ინსტიტუტის დაფუძნებასთან დაკავშირებით.

უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა მაგალი თოდუამ მაშინ ასე განაცხადა: თუ რამე მამოძრავებდა რექტორად მოსასვლელად, ეს იყო უნივერსიტეტში დიალექტოლოგიის ინსტიტუტის დაარსება. მე მივმართე ენათმეცნიერების ინსტიტუტს, კერძოდ, თედო უთურგაიძეს, თუ ვინ შეიძლებოდა ყოფილიყო ამ ინსტიტუტის ხელმძღვანელი. მან მირჩია ტარიელ ფუტკარაძე.

ასე ჩაუდგა ტარიელ ფუტკარაძე ამ ინსტიტუტს სათავეში და იმავე წლიდან მოეფინენ საქართველოს სხვადასხვა კუთხეს დიალექტოლოგიურ მასალათა მოსაპოვებლად ინსტიტუტის თანამშრომლები, რომლებიც მერე „ტარიელის ფუტკრებად“ იქნენ მონათლული.

დადგა პირველი ლალიანობის წელი. შეიკრიბა მეტად მრავალფეროვანი მასალა, რომელიც მეცნიერულ განსჯას მოითხოვდა.

ასე ჩაეყარა საფუძველი დიალექტოლოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო კონფერენციებს, რომლებიც მალე გასცდა დიალექტოლოგიის ვიწრო წრეს და გადაიქცა ქართველოლოგიურ საერთაშორისო სამეცნიერო ფორუმებად.

ოცდასამი ტომი დევს დღეს ქართველოლოგიის წიგნის თაროზე, ამსახველი ამდენივე სამეცნიერო კონფერენციაზე განხილული პრობლემებისა.

შეგახსენებთ, რომ ეს კონფერენციები დაიწყო ყოველმხრივ გაუსაძლის 90-იან წლებში და აი, მაშინ ტარიელ ფუტკარაძემ რექტორის – მაგალი თოდუასა და იმერეთის მხარის გუბერნატორის – თეიმურაზ შაშიაშვილის მხარდაჭერით, ქართველოლოგთა

ოაზისად აქცია ქუთაისის უნივერსიტეტი.

ტარიელ ფუტკარაძის მრავალმხრივ ქართველოლოგიურ მეცნიერულ ნაშრომთა უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა, მაგრამ არ შეიძლება ერთი მათგანი არ დავასახელოთ, ეს არის მდიდარ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობითა და ღრმა მეცნიერული ანალიზით დაწერილი მისი ერთ-ერთი ბოლო წიგნი – „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“.

ხაზგასმით გვინდა აღვნიშოთ, რომ ეს წიგნი არის ერთგვარი რეზიუმე მისთვის საინტერესო იმ პრობლემებისა, რომლებიც აისახა ზემოხსენებულ ქართველოლოგიურ შრომათა 24 ტომში.

გამოჩენილ მეცნიერს, გამორჩეულ ორგანიზატორს, მომავალ თაობათა საუკეთესო აღმზრდელს, ეროვნულ მოღვაწეს და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე პიროვნებას, ჩემს მეგობარ ტარიელ ფუტკარაძეს ვულოცავ სახელოვან 60 წლის საიუბილეო თარიღს; ვუსურვებ ამ შემართებით და ასე ნაყოფიერად წინსვლასა და დიდხანს სიცოცხლეს.

### **ნომადი ბართაია**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, აღმოსავლური ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

**მრავალმხრივი მეცნიერული მოღვაწეობითა და  
პრაქტიკული საქმიანობით გამოჩენილი  
ტარიელ ფუტკარაძე – 60**

ტარიელ ფუტკარაძე ქართველოლოგიურ მეცნიერებაში დღეს-დღეობით მოღვაწე იმ მკვლევართა ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია, რომლებიც არა მარტო თავიანთი ორიგინალური მეცნიერული შეხედულებებით გამოირჩევიან, არამედ ამ შეხედულებათა გასავრცელებლადაც იღვნიან მეტად აქტიურად. ბატონი ტარიელის დაბადებიდან მესამოცე წლისთავის აღსანიშნავად ნათქვამ ამ პატარა მისასალმებელ სიტყვაში ხაზგასმით მინდა აღვნიშნო ის ფაქტი, რომ ხანგრძლივი დროის განმავლობაში დაუცხრომელი ენერგიით წარმართული ყოველდღიური საქმიანობით, იგი თავის შესაძლებლობებს მრავალი მიმართულებით ავლენს საკმაოდ წარმატებულად; კერძოდ:

– ნაყოფიერად იღვწის ქართული ენათმეცნიერების პრობლემურ საკითხთა ახლებური თვალთახედვით გასააზრებლად;

– აქტიურად ცდილობს მისეულ არგუმენტებზე დაყრდნობით გადააფასოს ქართველოლოგიურ მეცნიერებებში დამკვიდრებული არაერთი შეხედულება;

– ათეული წლებია, წარმატებით იღვწის თურქეთსა და ირანში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებთან კავშირ-ურთიერთობების კიდევ უფრო მეტად განსამტკიცებლად და მათი ისტორიისა და ეროვნული იდენტობის შესასწავლად;

– აქტიურ საქმიანობას ეწევა ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის მეცნიერებაში გზის გასაკვალად;

– ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ამ უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორის, ბატონი მაგალი თოდუას მიერ დაარსებული ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი მისი ხელმძღვანელობით დღესაც განაგრძობს წარმატებულ

საქმიანობას; ამ მიმართულებით წარმართულ მეცნიერულ კვლევას ტარიელმა საერთაშორისო მასშტაბები შესძინა;

– ამ დიდ საქმეს მყარი საფუძველი ბატონმა ტარიელმა ანდრია პირველწოდებულის სახელობის საპატრიარქოს ქართულ უნივერსიტეტშიც ჩაუყარა;

– ესოდენ ნაყოფიერ სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად, იგი ეროვნულ მოძრაობაშიც იყო და არის აქტიურად ჩართული.

მინდა ძმური სიყვარულითა და უღრმესი პატივისცემით მივულოცო მას დაბადებიდან სამოცი წლის იუბილე და ვუსურვო, კვლავაც დიდხანს ეღვანოს ასეთი აქტიური შემართებითა და დაუცხრომელი ენერგიით!

### **ავთანდილ ნიკოლეიშვილი**

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

## ფუტკარივით მშრომელი ტარიელ ფუტკარაძე

პირველად მისი სახელი და გვარი 1986 წლის ოქტომბერში გორში გავიგონე დიალექტოლოგთა VIII სამეცნიერო სესიაზე, სადაც თვითონაც მონაწილეობდა, მაგრამ ჩემთვის უცნობი მიზეზის გამო ჩამოსვლა აგვიანდებოდა და ამ ღონისძიების საორგანიზაციო კომისიამ, აკად. ქეთევან ლომთათიძის ხელმძღვანელობით, სესიის გახსნა ბ-ნი ტარიელ ფუტკარაძის ჩამოსვლამდე დროებით, ორიოდე საათით, გადადო. მაშინ ბ-ნი ტარიელი სრულიად ახალგაზრდა, 26 წლის ავტორიტეტისანი ყმაწვილი იყო. უკვე გარკვეული წონაც ჰქონდა სამეცნიერო საზოგადოებაში.

გარეგნობით სასიამოვნო შესახედავი, ნიჭიერი, უნარიანი... 1992 წლის ივნისში აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის – ბ-ნი მაგალი თოდუას ინიციატივითა და სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტთან ახლადშექმნილი დიალექტოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორად მოიწვიეს (ეს ინსტიტუტი ცოტა უფრო ადრე შეიქმნა, მაგრამ მას ბ-ნი მაგალი ხელმძღვანელობდა). ის ენერგიულად ჩაუდგა სათავეში ამ საქმეს და რამდენი იშრომა, რომ მართლაც ინსტიტუტი ჩამოეყალიბებინა. შემდგომ ეს ქართველურ ენათა დიალექტების, ფოლკლორის, ეთნოგრაფიისა და ონომასტიკის შემსწავლელი ერთადერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი საქართველოში, რომლის აკვანი ქ. ქუთაისში დაირწა, ქართველოლოგიის ცენტრად ჩამოყალიბდა. თუ ბ-ნი ტარიელის სიტყვებს დავიმოწმებთ, „დიალექტების შესწავლას 2-3 საუკუნის ისტორია აქვს. ჩვენს ქვეყანაში ამ საქმის ტრადიცია არსებობდა, მაგრამ დიალექტების მეცნიერული შესწავლა დაიწყო XX საუკუნის დასასრულს, როცა დაარსდა ეს ინსტიტუტი.

ბ-ნმა ტარიელმა თანამშრომლებად ჩვენივე ისეთი კურსდამთავრებულები შეარჩია, რომელთაც შეატყო, რომ ეს საქმე

მოსწონდათ, უყვარდათ და დასახულ მიზანს არ უღალატებდნენ. ახალგაზრდა ხელმძღვანელის არჩევანმა, უმრავლეს შემთხვევაში, გაამართლა.

ბ-ნი ტარიელი არის პირიანი კაცი. მის გამოთქმულ ყოველ ლექსიკურ ერთეულს აქვს ძალა, სარგებლობს ავტორიტეტით. ყველაზე კარგი ის არის, რომ მისი ასეთი საამო და ვაჟკაცური თვისებები თითქოს გადამდებია. ასეთ საქმიანობას მიაჩვია მან მის ირგვლივ მყოფი ადამიანები. ისინიც აღზარდა საქმის მოყვარულებად, მშრომელებად, სიტყვის პატრონებად. ასწავლა ანგარიშვალდებულება მინდობილი საქმისადმი. „ფუტკარაძე“ მარტო ბ-ნი ტარიელი კი არა, მისი ახალგაზრდა თანამშრომლებიც გახდნენ. ასე რომ, ბ-ნმა ტარიელმა საუკეთესო კადრები მოიზიდა (მერე ბევრმა მათგანმა სადოქტორო დისერტაცია დაიცვა), ერთიან, მოსიყვარულე, შეკრულ კოლექტივად ჩამოაყალიბა და დღესაც უკვე დიალექტოლოგიის ინსტიტუტიდან სხვადასხვა განყოფილებასა და დეპარტამენტში დასაქმებულები, ერთმანეთთან მეგობრობენ და ერთმანეთის ჭირი და ლხინი გათავისებული აქვთ. ბ-ნმა ტარიელმა დიდი შრომის შედეგად შექმნა ძვირფასი ბიბლიოთეკა, რომელიც უნივერსიტეტის ყველა თანამშრომლის საყვარელი ადგილი გახდა. დაიწყო და საფუძველი ჩაეყარა ქართველოლოგთა ერთადერთ ლინგვისტურ-ეთნოლოგიურ-კულტუროლოგიური სამეცნიერო ფორუმების – „ქუთაისური საუბრების“ მომზადებასა და ჩატარებას, დაარსდა ბეჭდური ორგანო – კრებული „ქართველური მემკვიდრეობა“, საგანმანათლებლო ცენტრმა გამოუშვა სამეცნიერო-პოპულარული გაზეთი „ქართული!..“ და სხვა.

ბ-ნი ტარიელის გაკეთებულ საქმეებზე საუბარი შორს წაგვიყვანს, მაგრამ აქ იმიტომ ვახსენეთ, რომ ყველამ კარგად დაინახოს ახალგაზრდობიდანვე ბ-ნი ტარიელის სწრაფვა უკეთესობისაკენ, საქმის სიყვარული და ამ დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანის სურვილი... ამავდროულად თვითონაც, ამ დროს უკვე დოცენტი, მუშაობდა სადოქტორო ნაშრომზე.

მასხენდება 1998 წელი. თბილისი, ენათმეცნიერების ინსტიტუტი. ბ-ნი ტარიელის მიერ სადოქტორო დისერტაციის დაც-



ვა. სხდომათა დარბაზში დამსწრე საზოგადოების ადგილი რომ არ იყო, დერეფანში ფეხზე იდგნენ ბ-ნი ტარიელის მეგობრები, კოლეგები, უახლოესი ნათესავები, თანამშრომლები... იქაც არ ეტეოდა ხალხი. ბ-ნი ტარიელის დასაფასებლად საქართველოს ყველა კუთხიდან იყვნენ ჩამოსულები. ქუთაისიდან ქართული ენის კათედრის წევრები დიალექტოლოგიის სამეცნიერო ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად წავედით. არ დამავინყდება დისერტაციის დაცვის შემდეგ თბილისის ერთ-ერთ რესტორანში საგანგებოდ ამ დღისთვის გამართული მდიდრული ვახშამი. მათ შორის უხვად იყო ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხის, მაღალმთიანი აჭარისათვის დამახასიათებელი კერძები და ტკბილეული. არც ის დამავინყდება, როგორ მოილხინა იმ საღამოს რესტორანში ბ-ნი ტარიელის მამამ. ახლაც თვალწინ მიდგას მისი ბედნიერებით სავსე სახე, მისი ცეკვა... და, როცა ამ სურათს ვხედავდი, მიუხედავად იმისა, რომ უკვე დაბინდდა, ასე ვთქვათ, შემოგვაღამდა და ქუთაისის დელეგაციას ჩვენს ქალაქში წამოსვლა გვაგვიანდებოდა, მაინც არც ერთი ჩვენგანი არ აჩქარებულა. მე კი ვფიქრობდი, ბედნიერია მშობელი, რომელსაც ბ-ნი ტარიელისთანა კარგი შვილი ჰყავს, აი, ვის აქვს საქმე საცეკვაოდ-მეთქი.

ტარიელ ფუტკარაძე... ბევრის მთქმელია ეს სახელი და გვარი. მართლაც რომ „ვეფხისტყაოსნის“ გმირი ტარიელია. მასავით ზრდილი, თავიდანვე ხელმძღვანელ მუშაკად ჩამოყალიბებული, ბევრი კარგი და დადებითი თვისებით შემკული, ნამდვილი ჯენტლმენი, გამოირჩევა დახვეწილი მანერებით, იცავს საზოგადოებაში მიღებული ქცევის წესებსა და ნორმებს, ძუნწად მოლაპარაკე, არც სხვებისგან უყვარს ბევრი საუბრის მოსმენა, საკუთარ მეუღლეზე შეყვარებული და ოჯახის მოყვარული, შვილებისთვის თავგადადებული მშობელი...

რაც შეეხება გვარს – ფუტკარაძეს, ბ-ნი ტარიელი სწორედ ფუტკარივით მშრომელი, ნამდვილი ფუტკარია, წარმოშობით – აჭარელი, რომელსაც სულითა და გულით უყვარს მთელი საქართველო. თითქოს ტარიელის სათქმელი გადმოგვცა პოეტმა:

„ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო, ყველა ჩემი სამშობლოა, საყვარელი საქართველო“.

მართლაცდა, ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხე-კუნჭული აქვს შემოვლილი დიალექტოლოგიურ პრაქტიკაზე ყოველ ზაფხულს თავის სტუდენტებთან ერთად და პრაქტიკის დამთავრების შემდეგ, ძალიან ცოტა ხანში, ისეთ საინტერესო კონფერენციებს ატარებს, არასპეციალისტებიც კი ესწრებიან.

არაერთხელ მითქვამს, ერთ დღეში ხუთი დღის საქმის გაკეთებას ასწრებს, თანაც ყველას მაღალხარისხოვნად და არც იღლებს. მაგალითად, 2017 წლის 16 მაისს დავასახელებ. მან ამ დღეს დოქტორანტთა და მაგისტრანტთა სამეცნიერო კონფერენციაზე თავისი მომზადებული 11 დოქტორანტი გამოიყვანა. ასეა ყოველთვის.

უყვარს თავისი აღზრდილები და თითოეულ მათგანს თავის საყრდენად თვლის. ახარებს მათი ყოველი წარმატება. ცდილობს თითოეული მათგანი დაასაქმოს, საქმე არ გამოუღიოს.

დანყებული საქმის ბოლომდე მიყვანა ბ-ნი ტარიელ ფუტკარაძის ცხოვრების წესია. რა თქმა უნდა, ამ საქმეში აქტიურად რთავს თავის აღზრდილებსაც. ეს კი ხელმძღვანელი მუშაკის ერთ-ერთი დადებითი თვისებაა. კარგად ახერხებს ამა თუ იმ პიროვნებისათვის ავტორიტეტის შექმნას.

ბ-ნი ტარიელი ადვილად არჩევს მტყუნანსა და მართალს და ვაჟკაცურად ყოველთვის სიმართლის მხარეს დგას. აქვს საკუთარი შეხედულებები. ხშირად – სწორი, მართალი, მაგრამ ხანდახან განსხვავებული მოსაზრების მქონეცაა. ამას კი ვერაფრით შეუცვლი. თუ თქვა, მორჩა და გათავდა. მიაჩნია, რომ ის სწორია. ვაი, მას, ვინც არ გაუგონებს და მის მხარეს არ დადგება... ნეტავი მას, თუ ვინმე შეიყვარა, ამოიჩემა... და ეს „ნეტავი მას“ მქონდა 2016 წლის მაისის თვეში, მაშინ, როცა პროფესორ მიხეილ ალავიძის 100 წლის აღსანიშნავ საიუბილეო საღამოს ვამზადებდით და ბ-ნი ტარიელი ამ ხსოვნის საღამოსა და პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო სესიის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომ-

მარე იყო. მასთან ხშირმა შეხვედრამ და საქმიანმა ურთიერთობამ მისი ბევრი დადებითი თვისება გამოამზეურა ჩემს თვალში.

ბ-ნი ტარიელი ახლო მეგობრებისა და თანამშრომლების ყოველდღიურობით ცხოვრობს. უყვარს მათ გვერდით დგომა; არ აკლდება ჭირსა თუ ღზინში. ეს კი მისგან არ არის ადვილი საქმე, იმიტომ რომ ბ-ნი ტარიელი ქუთაისის უნივერსიტეტში კვირაში ერთი დღით ჩამოდის. ის, ძირითადად, თბილისში, ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტშია დასაქმებული და ამის გარდა, საქართველოს ნებისმიერ უმაღლეს სასწავლებელთან აქვს კავშირი და საქმიანი ურთიერთობა. 2017 წლის შუა ივლისში ქ-ნი ლუიზა ხაჭაპურიძის მამის დაკრძალვაზე ვნახე. იყო 40 გრადუსამდე სიცხე. ბერძენებსავე იდგა ოჯახში ჩასასვლელ ჭიშკართან იმავე წუთებში თბილისიდან ჩამოსული, თითქოს ყველაფერს აკვირდებოდა, იბარებდა მომსვლელს და ყურადღებას აქცევდა სტუმრებს. ბოლოს ჭირის სუფრასაც უთამადაო, გავიგე. აი, როგორი უნდა იყოს ხელმძღვანელი, – გავიფიქრე გულში. თუ ერთგულა, ვერავინ აჯობებს.

ბ-ნი ტარიელი ქართული ენის მიმართულების ღირსეული წევრი (სრული პროფესორი) და ერთადერთი მამაკაცია. ყველაფერს კარგად ართმევს თავს. რამდენი წიგნის ავტორი და თანაავტორი, რედაქტორი და რეცენზენტია, ამას ვინ დაითვლის... აქვს უამრავი სტატია. მათ შორის ბევრი – თავის დოქტორანტებთან ან კიდევ – უკვე აღზრდილებთანაც. ჰყავს უამრავი დოქტორანტი. მისი ხელმძღვანელობით ბევრმა ახალგაზრდამ უკვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და ბ-ნი ტარიელის მხარდაჭერით ქართული ენის სამსახურში ჩადგა, ბევრი კიდევ ამ საქმისათვის ემზადება.

პატივცემულო მკითხველო! ბ-ნი ტარიელზე დანერვილი აქ ზღვაში წვეთია იმასთან შედარებით, რაც მას შეეფერება, რაც მან საქმე აკეთა, იღვანა და იკაიკაცა. რასაც ის საქმიანობს, იმისი აღწერა და გადმოცემა ვის შეუძლია... ჩემი ეს მოსაზრება რომ კარგად გადმოცე, ნაწყვეტს მოვიშველიებ შოთა რუსთაველის პოემიდან: „ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებინ“.

ამიტომ ნუ მიწყენს ბ-ნი ტარიელი, თუ აქ ყველაფერი სათანადოდ ვერ ავსახე, ისედაც ძალიან გულდანწყვეტილი დავრჩი; მე მხოლოდ მცირე მონახაზი გავაკეთე, რომ საზოგადოებისათვის მეცნობებინა: არსებობს ენათმეცნიერი, დაუღლეი მშრომელი, გულმხურვალე პატრიოტი, ბევრი დადებითი თვისებით შემკული პიროვნება, რომელიც ამშვენებს არა მარტო ქართული ენის მიმართულებას, არამედ – ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს.

**იზოლდა რუსაძე**

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ასოცირებული პროფესორი

## ნაყოფიერი 60 წლის იუბილე

ნაყოფიერი 60 წლისა და ძნელი ქართველობის იუბილეს გილოცავ, ტარიელ ფუტკარაძე, წარსულის გონიერად გამთვალისწინებლო, ანმყოში მუხლჩაუხრელად მოქმედო და თავდაუზოგავად მზრუნველო უკეთესი მომავლისათვის. გილოცავ, ქართველთა ერთიანობის მოსურნეო, სამშობლოსათვის შვილთა და მოყვარეთა შემომკრებლო!

გილოცავ, იცი, ვისი გვარისაც ხარ, ფუტკარივით მშრომელო, სასიცოცხლო ნექტარის შემგროვებლო ქართველთა სიტყვიერებისა და სულიერების ყვავილებიდან, ამით მსაზრდოებლო და სხვებისაც მასაზრდოებლო. გილოცავ, მრავალთათვის მარგებელია უხვი ნამუშავევი შენი, ყველასთვის ვერც იქნება – ზოგი თვრება თაფლით... ზოგს ალერგიაც აქვს... გილოცავ, რომ დღემუდამ ცდილობ მამულის პატრონობას და ახერხებ კიდევ შენს წილ მსახურებას სიტყვითა და საქმით.

გილოცავ, მთიან აჭარაში, ღირსეულ ქართველთა ოჯახში დაბადებულ და ბაბუის აგებულ იმ სახლში გაზრდილო, ორი შესასვლელი რომ ჰქონდა: ერთი – ქვედა სართულის, ძირითადი სამყოფელისა; მეორე – ზედა სართულის, სასტუმროდ და საწოლად განკუთვნილის. გარედან მიდგმული კიბით მალღებოდი იქ შესასვლელად, მანამდე „ვეფხისტყაოსნის“ ორ ეპიზოდს ხედავდი კედელზე დახატულს, როგორც ძილის წინ საფიქრალს, შენი სახელისა და საკეთებელის გასააზრებელს... ის ნახატები თქვენთან მომსვლელთა თუ ღამისმთევველ სტუმართათვის მასპინძელთა სულის გასაღებია, სახლის პატრონის სავიზიტო ბარათია დღემდე, ვილაც გამვლელისათვის ეგებ მხოლოდ თვალსერი... გილოცავ, იქ ფეხადგმულმა ისე იარე, რომ ფარ-ხმალი არ დაგიყრია „ქაჯთა, ძნელად საომართა“ წინაშე. გილოცავ, რომ შენს წილს ტარიელობ, შენი ძმებითა და მეგობრებით, ფრიდონ-

ავთანდილებით...

დედაშენს ვულოცავ ამ დღეს, შენთვის სიცოცხლის მომცემს, შენს გამზრდელს, შენი ახალგაზრდობის გარანტსა და დიდი ოჯახის დედაბოძს; ვულოცავ შენს ძვირფას მეუღლეს – იას; თქვენს ღირსეულ შვილებს – სისხლხორცსა თუ შემომატებულთ. დაგილოცავ უსაყვარლეს შვილიშვილებს. ვულოცავ შენს სიმტკიცეს – საამაყო ძმებსა და მათ ოჯახებს.

მრავალჟამიერ შენი ჯანსაღი, შინაარსიანი და წარმატებული სიცოცხლე, მოყვასის იმედო და ერთგულო მეგობარო!

### **დალი მანაიძე**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის  
ეროვნული ბიბლიოგრაფიის ფონდის განყოფილების უფროსი  
სპეციალისტი

## სისხლის სათავე

– პირველად იყო სიტყვა – დაიწერჩულა და შეცრიატებულ ცას აჰხედა. ვერ გაიგებდი სათოვლედ ემზადებოდა, თუ ცრემლები უნდა გადმოეყარა. იგრძნო, რო რალაც დასრულდა, ეგრე კინოკადრებივით გაურბინა თვალწინ დამოუკიდებლობის დღეებმა. თითქო ერთი კარგი, ტკბილი სიზმარი ნახა და ცრიატი დღის გათენებას დაესრულებინა თავისუფლების ღამეული ხილვა.

ოთახში მიიხედ-მოიხედა, წამოდგა, გაიარ-გამოიარა, ბოლთას სცემდა და თავის თავს ეწერჩულებოდა: „პირველად იყო სიტყვა...“

– სიზმარია, თუ ცხადი? – ისევ სარკმლისკენ გაექცა თვალი და ცას შეაცქერდა. მიხვდა, რო საიდანღაც აკვირდებოდა ტახტრევანზე გარინდებული ღმერთი. მძინარე მეუღლეს დახედა. დაღლილი თანამეცხედრის ძილს მინებებულ სახის ნაკვეთებზე შიში იყო გამოსახული, გაურკვეველი მომავლის შიში.

\* \* \*

– და, ამაზე მეტი ბედნიერება რა გინდა? – ჩაიციხა კაცმა და თეთრ წვერში წამიერად გაუჩინარდა მისი უცნაური ღიმილი.

– ნეტარება რომ გინდა, ჯვარცმაც უნდა გინდოდეს. ტანჯვის გარეშე, ტკივილის გარეშე აღდგომა არ არსებობს, ტარიელ!

მიდიოდა მოხუცი და უკან მისდევდა.

ახალი ნაწვიმი იყო, ლაგაზიან ფერდობზე ფეხი უცურავდა, ერთი-ორჯერ წაიფორხილა, თავი ძლივს შეიმაგრა. მოხუცი უფრო ყოჩაღად მიდიოდა. რამდენჯერმე შედგა და ტარიელს მიაჩერდა. ბერიკაცის უძირო მზერაში თითქო მთელი მისი მოდგმის გზა ჩანდა. მის თვალებში რო ჩაგეხედა, პაპის პაპის პაპის განვლილ წუთისოფელსაც იპოვიდი. უცნაური თვალები ჰქონდა.

მარდად ავიდა მოხუცი ფერდობზე. ტარიელიც ფეხდაფეხ მიჰყვა. ბერიკაცის საოცარმა მზერამ თითქო ამირანის ძალა მისცა.

მყაფარ ფერდობზე აკვალული ბილიკი მარდად აიარა, ფეხი აღარ გასცურებია. მთაზე ასულმა თვალები დახუჭა, ღრმად ჩაისუნთქა და ისეთი შეგრძნება ჰქონდა, რო მთელი ცა მის სულში ჩავიდა. ასეთი რამ არასოდეს არ ეგრძნო. ბედნიერი იყო და რატომ იყო ბედნიერი, ვერ ხვდებოდა. თვალი გაახილა. მთის კორტოხიდან ნასრანისფერი ქაფივით ჩანურულიყო ნისლი ხეობაში.

– აქ შენ სახლს აღადგენ... მოვა დრო, აღადგენ, როგორც მდინარე იღებს სათავეს, ჯერ სულ პანანკინდელა ნაკადული მოდის, მერე სხვა ნაკადულები უერთდებიან გზადაგზა და ერთი შეხვრეპა წყალი ბოლოს მდინარე ხდება. სისხლიც ეგრეა. აქ არის შენი სისხლის სათავე, საფუტკრეთში.

ღვთის მწერია ფუტკარი, მხოლოდ მას შეუძლია ველურ ყვავილებში თაფლი ეძებოს, მინაშია ის თაფლი, მინიდან ამოაქვთ ყვავილებს და ფუტკარი რო არ არსებობდეს, თაფლის არსებობას ვერც გაიგებდა ადამის მოდგმა.

– ხო, ეგრეა? – ტარიელმა თავი დაუქნია.

– ის კი არა, ღმერთსა და კაცს შორის შუამავალია ეგ დალოცვილი, სანთელი თუ არ დაანთე, ლოცვა უმარილო გამოდის. ინვის ფუტკრის ნახელავი და ლოცვა მიაქვს ღმერთთან.

უყურებდა ამ უცნაურ მოხუცს, რომელსაც ძალიან ნაცნობი სახე და თვალ-მზერა ჰქონდა, მაგრამ ვერაფრით გაიხსენა. მოხუცი ხვდებოდა ამას და ელიმებოდა.

– სისხლის სათავე... აქედან იღებს სათავეს შენი სისხლი, შენი მოდგმის ძარღვებში რო გადანანილდა, საფუტკრეთიდან იღებს. მე აქ ვცხოვრობ, ტყის პირზე, ახოს შუაგულში.

ყავარაყრილი ქოხი ეხლავა შეამჩნია, ხან მოხუცს შეაცქერდებოდა, ხან იმ ქოხს, რომელიც ფერდობზე ამოსვლისას ვერც დაინახა და თითქო უცბად მოხუცის თვალებიდან დაიბადა.

– საფუტკრეთიდან დაშვებული სისხლი დაატრიალებს წისქვილის დოლაბს.

ვერაფერს მიხვდა.

– შენ იქნები მენისქვილე! – თავზე ხელი გადაუსვა მოხუცმა, – ასეა, შენ იქნები.



\* \* \*

ბათუმის ნაპირს მომდგარმა გემმა, რომელზეც ერთ-ერთი ევროპული ქვეყნის დროშა ფრიალებდა, უცნაურად დაიკვივლა. გემის საყვირიდან დარხეული ბგერებით აევსო სული, თვალებში-ლულული გარინდებულებო და თავის თავს ეჩურჩულებოდა.

– პირველმა გემმა ჩაუშვა ლუზა ისევ დამოუკიდებელი ქვეყნის ნავსადგურში...

უცბათ გაკრთა საფუტკრეთში ნანახი კაცის სახე, რომელიც ვერაფრით ამოეხსნა, ცხადში ნახა თუ სიზმარში, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, რამდენი კარგი სიზმარი გადანონის ცხოვრების წლებს, რომლებიც უკვალოდ გამქრალა და ფერფლად ქცეული ყრია ტვინის ბნელ ხვეულებში.

კაბინეტიდან აივანზე გავიდა, ზღვას გადახედა და ვერ მიხვდა, ცა იყო თუ ზღვა, ისე კრიალებდა ნამურდისფერი სტიქიონი, ზღვა და ცა თითქო ისე შეერთებულიყო, როგორც ცხადი და სიზმარი.

– ბედნიერი ხარ! – ხმა მოესმა.

მიუყურადა: იმ მოხუცის ხმა იყო, საფუტკრეთში რო ესაუბრებოდა.

– ხომ გითხარი, ის სისხლი წისქვილის ბორბალს დააბრუნებს-მეთქი. აჰა, დაიწყო ტრიალი ბორბალმა და დოლაბიც დაიძრა, სარეკელამაც იწყო ხტუნვა. გამჩენმა მოდგმაში გამოგარჩია, მშობლიურ კუთხეში დაგაბრუნა, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ პირველი გემს დახვდი; ეს რას ნიშნავს, აბა დაფიქრდი?..

ზღვა ზანტად ირწეოდა, ვნებაჩამცხრალი ტალღების ფშვინვა ჩაესმოდა და საოცარ ნეტარებას გრძნობდა, ბედნიერება ერქვა ამას.

\* \* \*

„აღსრულდა ჩვენი წინაპრების ოცნება, წამებულთა სულები დაგვცქერიან ზეციდან... გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!“ – წამებული პრეზიდენტის ათრთოლებულმა ხმამ და ტაშის გრიალმა ლამის ჩამოაქცია ვეება დარბაზის ქერი.

– ღმერთო!

სხეული დაუბრუჟდა, ეჩვენებოდა, პრეზიდენტის ნაცვლად ის მოხუცი კაცი იდგა ტრიბუნასთან, საფუტკრეთში რო აიყვანა და საკუთარი სისხლის სათავე აჩვენა.

ტაში არ ცხრებოდა, ზანზარებდა დარბაზი.

თვალეები რამდენჯერმე დახუჭა და გაახილა, დაცვარული შუბლი ხელსახოცით შეიმშრალა.

„აღსრულდა ოცნება...“ თან იმ მოხუცს ხედავდა, თან ზვიადს.

„გათავისუფლდა სისხლი, მიექანება წისქვილის ღარისკენ. ბევრი წავიდა ჩვენგან ამ ოცნებით, რალა სხვებზე ვამბობ, მეც ეგრე წავედი, სიზმარში ყოველთვის თავისუფალი ვიყავი, სიზმარში არასოდეს მყოლია ბატონი, მონურად არასოდეს მიცხოვრია, მაგრამ ვხვდებოდი, რო არ ვიყავი თავისუფალი და გული მეზარებოდა. იხტიბარს მაინც არ ვიტყხდი, როცა შენი ქვეყანა თავისუფალი არ არის, ვერასოდეს იგრძნობს შენი სული თავისუფლებას. ის კი არა, გარდაცვალების მერეც კი გიჭირს ცად ამალღება, დამძიმებული სულიო, ხომ გაგიგია? დამონებული ქვეყნის შვილს აქვს დამძიმებული სული. ჩვეულებრივ სულზე გაცილებით დიდი დრო გჭირდება ცაში ასასვლელად, უფალთან მისაახლოვებლად. მხოლოდ სიზმარში ვიყავი თავისუფალი ქვეყნის თავისუფალი შვილი. აი შენ... ბედნიერი კაცი ხარ, სიზმარშიც თავისუფალი ხარ და ცხადშიც. შენ ხარ შენი თავის ბატონი და არასოდეს არ ივლი სულდამძიმებული.“

– გილოცავ!

მეგობარი გადაეხვია, ჩაეხუტა, ფიქრი ნისლივით შემოეფანტა.

– ჭეშმარიტად აღსდგა!.. თქვა და თანამებრძოლს გაუღიმა ტარიელმა.

\* \* \*

– თმის ბენვი რო არ ვარდება ადამიანს ღვთის ნების გარეშე, ხო იცი?

– ვიცი.

– რამდენი ხანი ელოდა ჩვენი მოდგმა ამ დღეს, ხო გითხარი.

– მითხარი, ამ კურთხეულ ქალაღზე საფუტკრეთიდან დაშვე-

ბული სისხლის ზედაშეთი უნდა დაწერილიყო ჩვენი გვარი.

– ბევრს შეჯავრდები.

– რატო შევეჯავრდები?

დამოუკიდებლობის აქტი გაშლილიყო და ვიდრე ხელს მოაწერდა, ისევ იმ უცნაური მოხუცის ხმა ჩაესმა.

– რომ არსებობ, იმიტომ შეჯავრდები.

კალამი მოიმარჯვა, ისე სათუთად შეეხო ფურცელს, თითქო თავის პაპის პაპის, თავის მოსახელე კაცის სული ჰქონდა გაფენილი.

– დევნას დაგინყებენ, არც ლანძღვას დაგაკლებენ, მაგრამ... არ შედრკე!

გაელიმა, ისევ ნაუგლო ყური.

– ბევრჯერ შეეცდებიან შენს ნაქცევას, ყველაფერი გაივლის და... გამდიდრდები.

ხელისმომწერთა რიგში ვილაც იდგა მის უკან, ტარიელი არ ჩქარობდა, საფუტკრელი მოხუცის ხმა საოცარ სიამოვნებას გვრიდა.

– გამდიდრდები... – ისევ ჩაესმა.

– მე სიმდიდრე არ მინდა, – ჩაილაპარაკა. სხვებმაც გაიგეს მისი ნათქვამი, ოღონდ ვერ მიხვდნენ ვისი მისამართით იყო ნათქვამი.

– მიხვდები, რაც არის სიმდიდრე!

კალამი ნაზად შეახო ფურცელს, რომელსაც თვალთუხილავი განზომილებიდან ცად ამაღლებული უთვალავი ქართველის მზერა დაჰყურებდა, ხელი მოაწერა, სახელის ინიციალი და გვარი ამოაგვირისტა და მოეჩვენა, რო სისხლით დაწერა, კალმიდან სისხლი მონვეთავდა, თუმცა არ მოეჩვენა, სისხლის სუნი იგრძნო, შეცბა, ტიტებისფრად აელანძა სახე.

სისხლის სუნი...

\* \* \*

– რას უნდა ნიშნავდეს, ნეტა, რაზე ამიხდება.

მისხალ-მისხალ აღიდგინა ეს უცნაური ხილვა. თითქო გრძელი სიზმარი იყო, ჭირის ოფლში გახვითქულმა გამოიღვიძა, მაგრამ ეს უშველებელი, დაუმთავრებელი სიზმარი მხოლოდ ერთი სურათი იყო:

ცხვრის ტყავზე გამოჭრილი საქართველოს რუკა ეჭირა ხელში და კვამლი ასდიოდა, ნელ-ნელა იწვოდა მთა-გორებამოტივრული უცოდველი კრავის ტყავი, კვამლი უწვავდა თვალებს, ცრემლი მოსდიოდა, ველარ იგებდა კვამლი ადენდა ცრემლებს, თუ ცეცხლმოდებული ქვეყნის სიმწარე. კავკასიონიდან მოიკლაკნებოდა შავი სვეტები...

სარეცელზე წამომჯდარი სიზმარზე ფიქრობდა. წყალი მოსვა, თვალები რამდენჯერმე მოისრისა, თითქო სიზმრიდან წამოსული კვამლი ისევ იგრძნო. ვერც წამოიდგენდა, რო სულ რამდენიმე თვეში გადამწვარი რუსთაველიდან ადენილი კვამლი დასწვავდა თვალებს და ჭირისუფლის კურცხალს ადენდა.

მალე აუხდა სიზმარი. იწვოდა თბილისი... ის კაცი მალ-მალე რო ეცხადებოდა, საფუტკრელი კაცი, თითქო სამუდამოდ გამქრალიყო, იტყოდი, რო არც ეარსება. მიხვდა, რო საკუთარ სამშობლოში დევნილის ხვედრიც უნდა ეგრძნო და უდაბნოში დაკარგულივით ეხერხეტა.

– ნუთუ, ეს იყო სულ... – თქვა და ისე მიმოიხედა, თითქო ვილაცის პასუხს ელოდა.

– თავისუფლებისთვის ისჯებიან ადამიანები. თავისუფლება თუ გინდა, სასჯელიც უნდა აიტანო. ეს აღმართი, შენი გოლგოთა, სხვების გოლგოთაზე უფრო ძნელი ასავლელია, მაგრამ უნდა აიარო, ჩვენ ჩვენ წილ მაცხოვარს დავატარებთ ადამიანები, რამხელა ადგილიც უკავია შენში კაცთა მხსნელს, იმხელა „ვიადოლოროსა“ და ჯვარცმის ტკივილები გელის, თუმცა აღდგომის ნეტარებაც არანაკლები იქნება. გზას გაჩვენებს უფალი... – საფუტკრელი კაცის ხმა იცნო და თვალები გაუბრწყინდა, უცნაურმა სიხარულმა დაუარა სხეულში.

– ის, რაც დასასრული გგონია, სინამდვილეში დიდი კარიბჭე აღმოჩნდება ხოლმე, შენ ამ კარიბჭის ზღურბლთან დგახარ!

\* \* \*

– ნუ გეშინია, – მეუღლეს წასჩურჩულა.

– არ მეშინია, – მხარზე თავი მიადო ქალმა.

- ეს გზა უნდა გაგვევლო; ვიცოდი, რო ეს ამბავი მოგველოდა.
- საიდან იცოდი? - ამღვრეულ თვალებში მიაჩერდა ქმარს.
- დამოუკიდებლობის აქტზე ხელისმოწერის წამიდან ვიცოდი. ქალს აღარაფერი უთქვამს.
- მაცხოვარი ვინც დიდებით შეაბრძანა ზეციურ ქალაქში, სწორედ მათ გაიმეტეს, მათ აფურთხეს და ლანძღვა-გინებით გაუყენეს გოლგოთას.
- სად წავიდა ის ხალხი?
- ცოლს ცრემლიან თვალებში მიაჩერდა.
- ვინ ხალხი?
- ვინც გაიძახოდა „გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოსო“.
- ხალხი გაიფანტა! მამლის ყივილს ვინ ჩივის, შებინდება-საც არ დაელოდა ზოგი ჩვენი თანამებრძოლი - მწარედ ჩაიღიმა ტარიელმა, - ესეც გაივილის, ხო იცი, რას გვეუბნება ეკლესიასტე.
- ვიცი, რო გაივილის, თუმცა... აღდგომის მოლოდინში მყოფ მაცხოვარსაც კი უჭირდა ტკივილების ატანა.
- აღდგომა რომ თენდება, აღარავის ახსოვს ტკივილები!

\* \* \*

მალ-მალე იხსენებდა „აიაში“ ძმადნაფიცებთან თავშეფარებული იმ ბედნიერ წამებს - დამოუკიდებლობის გამოცხადების წამებს... ეშინოდა, ვაითუ დავიწყების ნკვარამში ჩაძირულიყო. ბავშვობის რამდენი ვარდისფერი დღე ჩანთქმულა არყოფნის თვალშეუდგამ უფსკრულში. როგორ გინდა, შენი ცხოვრების ძვირფასი წუთები და წამები დავიწყებას გამოსტაცო, მაგრამ არყოფნაც მსხვერპლს ითხოვს, შენი გარდასული, ვარდისფერი დღეებია მისი საგზალი.

ყველაფერს დასთმობდა, ყველა დღეს გაიმეტებდა, ოღონდ ის, ის ფურცლები გადაერჩინა.

მეგობრებთან ერთად უჯდა ქართულ სუფრას და გოლგოთაზე შემდგარ სამშობლოს ლოცავდა. უცნაური კითხვა უღრღნიდა სულს, სხვებთან ერთად თვითონაც ხომ არ იქცა სამშობლოს გოლგოთაზე ამყვანად იმ ერთი ხელის მოწერით.

იქნებ, იქნებ... სხვა გზით უნდა ევლო ქვეყანას, იქნებ ეს აკვირ-  
ატებული დამოუკიდებლობა და თავისუფალი ქვეყნის გემბანზე  
ჯდომის სურვილი იქცა დაუსრულებელი ტანჯვის დაწყებად?

– უგოლგოთო აღდგომა ვის გაუგია. როგორც უფალი, სამშობ-  
ლოც გოლგოთიდან იწყება!

– ზვიადი ჩამოსულა სამეგრელოში!

სუფრაზე ახლადმემოსწრებული ნაცნობის ხმამ გამოიყვანა  
ფიქრებიდან:

– დედა ეტირებათ მალე, არ შერჩებათ.

– ვის ეტირება დედა? – იკითხა და ბიჭებს გადახედა.

პასუხი ჯერ არავინ გასცა.

– პუტჩისტებზე თქვა – ბოლოს ერთმა მეგობარმა ამოიღო ხმა,  
შემოსწრებულის ნაცვლად.

\* \* \*

გასროლის ხმამ გამოაღვიძა.

კორპუსი დამფრთხალმა ჭილყვავებმა ჩამოაბნელეს. ისეთი  
შეგრძნება ჰქონდა, რო ტყვიამ მის სხეულში გაიარა და სადღაც  
ხატების დაბლა კედელში გაიჭედა. თითქო მოძრაობა უჭირდა,  
მძიმედ წამოინია, მძინარე მეუღლეს და შვილებს გადახედა, წა-  
მოდგა, იტყოდი, რო სხვისი სხეული მიჰქონდა. აივანზე გავიდა,  
გაძარცვული ჭადრების ხეივანზე შემომჯდარი ყვავების ჩხავილი  
მოესმა, თვალეები დახუჭა. ნაგვემი, ჯვარცმული კაცი დაუდგა  
თვალწინ, შეტორტმანდა, მოაჯირს ჩამოეყრდნო, იგრძნო, რო  
წამებულ პრეზიდენტს მაცხოვარივით გამოესყიდა უკეთურო-  
ბის ჭაობში ჩაძირული ქვეყნის ცოდვეები. იგრძნო და ცრემლე-  
ბი წამოუვიდა. როგორ უნდოდა მის გვერდით ყოფილიყო... ისევ  
ჩაესმა ჯიხაშკარში გასროლილი ტყვიის ხმა.

კარგა ხანი იყო ასე, მოაჯირს ჩამოყრდნობილი, ბოლოს ცას  
აჰხედა და მოეჩვენა ჯვრიდან გარდამოხსნილ წამებულ მზეს  
ღრუბლები მოასვენებდნენ...

\* \* \*

– ვილაცას გრძელ გზაზე ახვედრებს თავის წილ ჯვარს, ზოგს გოლგოთას არგუნებს უფალი, შენი... უცნაური მოხუცის ხმამ მოაფხიზლა, წყაროსთან ჩამუხლულს თავს წამოადგა.

– შენი თანდაყოლილი ჯვარი მიძიმეც არის და მსუბუქიც; მისი სიმძიმე ილაჯს გართმევს და სისხლნარევი ოფლის ნაკადულს ტოვებს ამ დაუსრულებელ აღმართზე, მაგრამ როგორც კი გაგახსენდება, ვისთვის მიგაქვს ეს ჯვარი, უმალ საოცარ სიმსუბუქეს გრძნობ. ზოგი გვერდს უვლის ამ ოკრო-ბოკრო, ჟამთა ნიაღვრე-ბისგან ჩარეცხილ აღმართს, გვერდით სწორი გზაც მიდის, მაგრამ ის გზა „მამულისა წესისაებრ სვლაი“ არ არის.

სიყვარულს, სამშობლოს სიყვარულს თუ დაკარგავ, შენი სისხლი ისე უკვალოდ ჩაიკარგება, როგორც გამოგვალულ მინაში ქრება მდინარიდან მიგდებული ნაკადული. ბევრის სისხლს უდენია უქმად გამომშრალ, გამოკირულ მინაზე. შენი ცხოვრება, ექვსი ათეული წელი მამულს შეაღიე. ჩემ დროს რო გეცხოვრა, ხმალი არც მაშინ დაგიჟანგდებოდა. ბედნიერი კაცი ხარ, რო მამულისთვის ხარ და არასოდეს არამი არ იქნება შენთვის ეს დალოცვილი მინა!

ფეხზე წამოდგა. მოხუცს, რომელიც იერით სურათებზე ნანახ ბაბუამისს წააგავდა, ხელი შეახო და იტყოდი რო სისხლი აუდუღდა.

\* \* \*

– შორია კიდე? – მალ-მალე შეეკითხებოდა შვილიშვილი.  
– ცოტალა დარჩა. ხო არ დაილაღე.  
– არც ისე! – ბიჭი იხტიბარს არ იტყვდა. ხანდახან შეჩერდებოდა, შეიქაქანებდა და გზას გააგრძელებდა.

– რატო დაარქვეს ბაბუ ეგ სახელი?

ჭალარა კაცი შედგა, ხელი მოიჩრდილა, მზეში ამოვლებულ დაბლობს გადახედა, ფერდობზე აქა-იქ შერჩენილი ხეები დაღლილი მგზავრებივით მოჩანდნენ.

– ამ ადგილზე ამბობ?

– ჰოო, – თქვა ბიჭმა და უცნაური ფორმის ქვას დასწვდა, – ეე, გულს არა ჰგავს? – პაპის დასანახად შეათამაშა.

– საფუტკრეთი... – დამარცვლით თქვა კაციმა, – ბევრი ფუტკარი იყო, სადაც ფუტკარია, ხო იცი იქ რა არი?

– თაფლი! – წამოიძახა ბიჭმა და ისევ გულის ფორმის მონითალო ქვას დააცქერდა.

– სადაც თაფლია, იქ რა არი? – გაულიმა და შვილიშვილს გამომცდელი მზერით შეაცქერდა.

ბიჭი გაჩუმდა და მხრები აჩჩინა.

– სადაც თაფლია იქ რა იქნება?

– კრაზანებიც იქნებიან.

– კრაზანები... – თქვა და ახარხარდა, – სწორია, იმ ადგილს კრაზანებიც ეტანებიან, მაგრამ აქაურობას „საფუტკრეთი“ დაერქვა და არა „საკრაზანეთი“, – თქვა და ჩაფიქრდა: „საიდან მოიტანა კრაზანა, თუმცა... მართალი თქვა“.

– ბაბუ, აქ ვინ ცხოვრობდა? – ბიჭი ახლა სხვა ქვას დასწვდა.

– მოხუცი კაცი ცხოვრობდა, მე რო ხშირად მესიზმრება. აგე, გამოჩნდა უკვე ის ხე – როგორც მთის ნვერზე ღრუბლებიდან ამოცურებულ სალოცავს, ისე მიაჩერდა ტარიელი ცადაქნილ მუხას.

– რომელი ხე? – ბიჭმა პერანგის ღილები ჩაიხსნა.

– ხომ მოგიყევი ჩემი სიზმარი, საფუტკრეთელმა მოხუცმა ამ მუხასთან მომიყვანა სიზმარში, გარშემო რამდენჯერმე შემომატარა და ენის ლოცვა მათქმევინა. თვალდახუჭული ვიმეორებდი მის მიერ ნათქვამ სიტყვებს, როცა ლოცვა დავამთავრე და მუხას ავხედე, ნამდვილი სასწაული იყო – ფოთლების ნაცვლად ჩვენი დალოცვილი ანბანი გამოეფოთქა.

– იქ არი ჩვენი სისხლის სათავე, – მუხისკენ გაიშვირა თითი ტარიელმა, – იქიდან ვინყებით და არ ვმთავრდებით!

\* \* \*

მისი გოლგოთადქცეული ცხოვრების ფურცლების ჩემებური გარდასახვა ვცადე... ჭილყავებით ჩაბნელებულ კორპუსშიც გა-



ვათევიწე ღამე და ქართული ენის ლოცვაც ვათქმევიწე.

გაგრძელება იქნება...

ეს იყოს 60 წლის ტარიელ ფუტკარაძისთვის ჩემი საიუბილეო,  
ძმური არმაღანი.

**გიორგი სოსიაშვილი**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი

**III ნაწილი**

**ვიდეომელოცვები**



**საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია  
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის  
ონლაინკონფერენცია, მიმდინილი პროფ. ტარიელ  
ფუტყარაძის 60 წლის იუბილესადმი**

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორის – პროფ. ს. ვარდოსანიძის ფბ-განცხადება პროფ. ტარიელ ფუტყარაძის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებული ონლაინკონფერენციის შესახებ 2020 წლის 2 მაისს

*საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ქართველოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელს, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერ საქართველოს უზენაესი საბჭოს დეპუტატს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ტარიელ ფუტყარაძეს 9 მაისს 60 წელი უსრულდება, შექმნილი ვითარების გათვალისწინებით, 2020 წლის 9 მაისს ქართული უნივერსიტეტის ინიციატივით გაიმართება ონლაინკონფერენცია შემდეგი დღის წესრიგით:*

*შესავალი სიტყვა – ქართული უნივერსიტეტის რექტორი სერგო ვარდოსანიძე /ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის შესახებ/*

*გამოსვლები /რეგლამენტი 10 წუთი/:*

*პროფესორი მანანა ტაბიძე /ცოტა რამ დაბადების დღეზე/  
ფილოლოგიის დოქტორი ლევან ბებურიშვილი  
დუზჯეს უნივერსიტეტის რექტორი პროფესორი ნიგარ დემირჩან  
ჩაქარი **Prof.Dr. Nigar Demircan Çakar**  
პროფესორი როლანდ კოპალიანი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის რექტორი*

პროფესორი გიორგი სოსიაშვილი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი  
პროფესორი დავით გურგენიძე, ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი  
პროფესორი მაკა ბერიძე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი  
პროფესორი თეონა ხუფენია, ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი  
პროფესორი მერაბ ნაჭყებია, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
პროფესორი ნუნუ გელდიაშვილი, თელავის გოგებაშვილის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე  
ერდოღან შენოლი /ერეკლე დავითაძე/, თურქეთელი ქართველი შაჰრამ ონიკაძე, ირანელი ქართველი  
პროფესორი შალვა კირთაძე, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე  
პროფესორი კარლო კოპალიანი, ტექნიკური უნივერსიტეტის კანცლერი  
პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი  
პროფესორი ლევან ჯიქია, ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანი  
ისტორიის დოქტორი როინ მალაყმაძე, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექტორი  
სანდრო ბერიძე, ჟურნალ „ჭოროხის“ რედაქტორი  
პროფესორი ნომადი ბართაია  
პროფესორი როლანდ თოფჩიშვილი  
დოქტორანტი საიდ მულიანი  
დასაწყისი 12 საათზე  
კონფერენციაში მონაწილეობას შეძლებთ ბმულით  
<https://us04web.zoom.us/j/7956870325>

## სერგო ვარდოსანიძე

60 წელი მეცნიერისთვის დიდი არაფერია, ცხოვრება წინ არის და კიდევ ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი, მაგრამ ამ 60 წლის მანძილზეც პროფესორმა ტარიელ ფუტყარაძემ ძალიან ბევრი რამ გააკეთა როგორც ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისა და განვითარების თვალსაზრისით, ასევე ქართველოლოგიური მეცნიერების წინსვლა-განვითარებისათვის.

ბატონმა ტარიელმა თავისი საქმიანობა დაიწყო მშობლიური აჭარადან, ხოლო მას შემდეგ, რაც იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა, განსაკუთრებულად გამოიჩინა თავი როგორც ნიჭიერმა ახალგაზრდამ, ფრიადოსანმა. უნივერსიტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში. მან წარჩინებით დაიცვა ჯერ საკანდიდატო (1987), ხოლო შემდეგ სადოქტორო დისერტაცია (1998).

ბატონი ტარიელის მოღვაწეობიდან რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს გამოვყოფ: პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ ბატონი ტარიელი ისტორიული პიროვნება ბრძანდება – მას ხელი აქვს მოწერილი 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე. როდესაც ჩვენს გვერდით არის ისტორიული პიროვნება, ამას ჩვეულებრივად მივიჩნევთ ხოლმე, მაგრამ გავა დრო და ახალგაზრდები უფრო სხვანაირად დააფასებენ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელმომწერებს, ვინაიდან ამ დღიდან დაიწყო სრულიად ახალი ათვლა საქართველოს ისტორიაში. ამ ადამიანებმა ძალიან კარგად იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ! იცოდნენ, რომ მოსკოვი, საბჭოთა იმპერია ამისთვის დასჯიდა საქართველოს და დასჯიდა ყველა იმ პირს, რომლებმაც ხელი მოაწერეს აღნიშნულ დოკუმენტს... და, მართლაც, ბატონი ტარიელის მაგალითზე შეიძლება ვთქვათ, რომ მათ გოლგოთა გამოიარეს. ის ადამიანები, რომლებმაც ამ დამოუკიდებლობის სიკეთით ისარგებლეს და სარგებლობენ დღესაც, იყვნენ მთავარი

მდევნი ბატონი ტარიელისა და, მიუხედავად ყველაფრისა, მას თავისი პრინციპებისთვის, თავისი მოქალაქეობრივი ღირებულებებისათვის ერთი ნამითაც არ უღალატია.

მინდა განსაკუთრებული მაღლიერება გამოვხატო ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმართ, რომელიც განსაცდელის ჟამს ბატონ ტარიელს გვერდით დაუდგა.

კიდევ ერთი დეტალი: ადამიანების უმრავლესობა, რომელმაც 1991 წლის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე ხელი მოაწერა, საქართველოში სამხედრო გადატრიალების შემდეგ მძიმე მდგომარეობაშია. ბატონი ტარიელი არც სულიერად გატყდა და არც ფიზიკურად. იმ განსაცდელის ჟამს მან არაერთი სამეცნიერო ნაშრომი შექმნა და ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა როგორც საკუთარი ცხოვრების განმტკიცებისა და გაძლიერებისთვის, ასევე ქვეყნის სასარგებლოდ. ბატონმა ტარიელმა ღირსეულად გაუძლო ყველა განსაცდელს.

ენათმეცნიერების საკითხებზე მხოლოდ ერთ რამეს ვიტყვი: XIX საუკუნეში, როდესაც საქართველო რუსეთის იმპერიის ნაწილი იყო, რუსეთის რეაქციული ძალები ყველანაირად ცდილობდნენ ქართველთა დენაციონალიზაციას, კუთხური პატრიოტიზმის აღზევებას. აბა, რა რჯიდა უსლარს, როდესაც სვანებს ანბანს უქმნიდა, ან რა რჯიდა იმ ადამიანებს, რომლებიც მეგრულ ანბანს ქმნიდნენ და ცდილობდნენ, საქართველოს ერთიანობაში ბზარი შეეტანათ?!. თავის დროზე ამ ყველაფერს დაუპირისპირდა ილია ჭავჭავაძე. **„მამული, ენა და სარწმუნოება“** – ამ დროის ქვეშ გააერთინა მან მაშინდელი ქართველობა და მიმართა იმ მიზნებისაკენ, რომელსაც ერქვა საქართველოს სახელმწიფოებრივი და ეკლესიური თავისუფლების იდეა, ქართული უმაღლესი განათლების განვითარების იდეა. XIX საუკუნის ბოლოს დაწყებული ეს საქმე XX საუკუნის დასაწყისში წარმატებით დაგვირგვინდა – დამოუკიდებლობა მოიპოვა საქართველომ, თბილისში უნივერსიტეტი დაფუძნდა, უფრო ადრე კი, საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ ავტოკეფალია აღიდგინა, მაგრამ XX საუკუნის

20-იანი წლებიდან საბჭოთა იმპერიამ დაიწყო ბრძოლა ქართველთა დენაციონალიზაციისათვის. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ 1921-22 წლებში საქართველოს ნაპგლიჯეს ტერიტორიები: 51 000 კვ. კმ. ტერიტორია დაუმტკიცეს ჩვენს დიდ მეზობელს, თურქეთის რესპუბლიკას, 8 000 კვ. კმ – რუსეთის ფედერაციას გადასცეს, 13 500 კვ. კმ – სომხეთის რესპუბლიკას, ხოლო 14 000 კვ. კმ – აზერბაიჯანს. ასევე ავტონომიებად დაანანილეს საქართველო და, აი, ამ ნელი მოქმედების ნაღმებს დაურთეს ის, რომ დასავლეთ საქართველოშიც არანაკლებ სერიოზული პრობლემები შეიქმნა საქართველოს ცალკეულ კუთხეებთან მიმართებით. ამ მხრივ, დიდმა ქართველებმა: ივანე ჯავახიშვილმა, კონსტანტინე გამსახურდიამ, არნოლდ ჩიქობავამ და სხვებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ ეს გეგმა ჩაშლილიყო, მაგრამ მტერს არ ეძინა და არ სძინავს დღესაც. ბატონი ტარიელ ფუტყარაძე გახლავთ ის ადამიანი, რომელმაც ამ თვალსაზრისით ძალიან დიდი საქმე გააკეთა. მან შექმნა არაერთი საინტერესო ისტორიულ-ფილოლოგიური ხასიათის ნაშრომი, მათ შორის – **„ქართველოლოგიის ორგვარი დაგეგმა 1917-1935 წლებში“**, რომელშიც წარმოადგინა ივანე ჯავახიშვილისა და ნიკო მარის პოზიციათა შეპირისპირებითი ანალიზი. ასევე განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მეორე ნაშრომი ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის შესახებ – **„ქართველოლოგიის თანამედროვე გამონვევები“**. ბატონ ტარიელს ოპონირებას უწევენ ქართველთმოდულე, ჩვენი ერთიანობის მოწინააღმდეგე ძალები შიგნითაც და გარეთაც, მაგრამ ის მტკიცედ დგას იმ პოზიციაზე, რომელიც ემსახურება ჩვენი სამშობლოს ერთიანობას და იმ იდეას, რომელზეც ჩვენი წინაპარი მიგვანიშნებდა: **„ჩონგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო“**.

მინდა დაბადებიდან 60 წლის იუბილე მივულოცო ბატონ ტარიელს – ამ შესანიშნავ ადამიანს, პიროვნებას, რომელსაც დიდი ღვანლი აქვს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის განვითარების საქმეში და, რომელიც მისი დაარსებიდან დღემდე



ამ უნივერსიტეტშია; მინდა ვუსურვო მრავალჯამიერ სიცოცხლეს, წარმატება თავის შესანიშნავ ოჯახთან, მეგობრებთან, ამხანაგებთან და მოკეთებთან ერთად. ვუსურვებ, ყოველთვის ჰქონოდეს ასე ნათლად წარმოჩენის შესაძლებლობა საზოგადოებასთან და ასე პირნათელი იყოს იგი ღვთის წინაშე, სამშობლოს წინაშე, თავისი ერის წინაშე.

ბატონი ტარიელი ერთგულია იმ იდეისა, რომელიც საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში წარმოშვა და განავითარა მისმა უწმინდესობამ და უნეტარესობამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ. ამ უნივერსიტეტის დაფუძნებისთანავე უწმინდესმა მოგვცა ლოცვა-კურთხევა ქართველოლოგიური მიმართულების განვითარებაზე. ეს უნდა ყოფილიყო საყრდენი ძალა, რომლის საშუალებითაც პასუხი უნდა გასცემოდა ყველა იმ ქართველოლოგიურ გამოწვევას, რომელთა წინაშეც დგას ჩვენი ქვეყანა და იქნება კიდევ მომავალში.

ბატონო ტარიელ, გილოცავთ ამ დღეს. მინდა გისურვოთ მრავალჯამიერ სიცოცხლეს, წარმატებები და ბედნიერება!

### **სერგო ვარდოსანიძე**

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის რექტორი

## მანანა ტაბიძე

ფულოცავ ბატონ ტარიელს ძალიან ლამაზ თარიღს. ყურადღებას გავამახვილებ რამდენიმე დეტალზე, რათა დავინახოთ არა მხოლოდ როგორც მეგობარი, არამედ ფართო ქართველოლოგიურ კონტექსტში მოღვაწე სპეციალისტი.

პირველ რიგში, რა არის ქართველოლოგია? ჰუმანიტარული დარგის წარმომადგენლები, ჩვეულებრივ, მუშაობისას ყურადღებას ამახვილებენ ვიწრო დარგობრივ ინტერესებსა და საკითხებზე. ისინი ღრმად მიჰყვებიან თითოეულ საკითხს, მხოლოდ და მხოლოდ მოზაიკის ერთ პატარა ნატეხს ემსახურებიან, მაგრამ მთლიანობაში, ქართველოლოგია – ეს არის საქართველოსა და ქართველთა შემსწავლელ დისციპლინათა კონტექსტი, ერთობლიობა, რომელშიც ვერ მოხვდება ინდივიდუალურად ყველა სპეციალისტი, მიუხედავად პირადი სამეცნიერო დამსახურებებისა მეცნიერების სფეროში; არამედ მოხვდებიან მხოლოდ ისინი, რომლებიც ხედავენ ამ საკითხებს ისტორიის, ენათმეცნიერების, არქეოლოგიის, კიდევ მრავალი დარგის გადასახედიდან და სხვა რაკურსით იკვლევენ მათ მთლიანობაში.

ამ თვალსაზრისით, ტარიელ ფუტკარაძე განსაკუთრებული ფიგურაა; ის აგრძელებს იმ სკოლას, რომელიც თავის დროზე ჩამოყალიბდა უნივერსიტეტის გახსნასთან ერთად და რომლის იდეაც საქართველოსათვის მსახური ინტელიგენციის აღზრდა იყო. საქართველოს ბევრი უბანი აქვს, რომელშიც მას სჭირდება ერთგული ადამიანების სამსახური და მიმაჩნია, რომ წარმატებული ქართველოლოგი ის ადამიანია, რომელიც ამ უბანთა ერთობლიობას ემსახურება. ამიტომ გადაჭარბებული არ არის, თუ ვიტყვით: თანამედროვე ქართველოლოგიურ კვლევებში ტარიელ ფუტკარაძის შრომებს ძალიან მნიშვნელოვანი ადგილი უკავია.

როდესაც ჩვენ გვინდა ქართველთა ერთიანობა, ამ დროს მსოფლიო სახელმწიფოების გაუქმების გზას ადგას; როდესაც ჩვენ ენის გადარჩენა გვინდა, გვეუბნებიან, რომ ერთი საერთაშორისო ენა უნდა განვაავითაროთ და ვასწავლოთ ყველას, რადგან

ცალკეული ენების დრო არაა; როდესაც დიალექტების შენარჩუნება, მოფრთხილება გვინდა, ამ დროს დიალექტები მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატებად სჭირდებათ, რომელსაც ჩაინერენ, დადებენ თაროზე და საერთო მოხმარებაში არ იქნება; როდესაც ჩვენ გვინდა მცირერიცხოვანი, მაგრამ მშვენიერი ერი თავის საცხოვრისში ლაღად ვაცხოვროთ, ამ დროს გვეუბნებიან, რომ მთელ მსოფლიოში მიგრაციული პროცესები უნდა წავახალისოთ. აი, ამ დიდი ტენდენციის წინააღმდეგ წასვლა არასოდეს არ არის სიკეთის მომტანი ადამიანებისთვის: არა იმიტომ, რომ თვითონ ეს ტენდენცია აგრესიულად მტერია ვილაცის, არამედ იმიტომ, რომ გლობალიზაციურ მსოფლიოს ეს ჩანაფიქრი აქვს.

ტარიელ ფუტკარაძე, ღვთის ნებით, აღმოჩნდა უზენაესი საბჭოს დეპუტატი. მან ახალგაზრდობის უმნიშვნელოვანესი, პიროვნებად ჩამოყალიბების წლები ზვიად გამსახურდიას გვერდით გაატარა და იმ ხალხის გვერდით აღმოჩნდა, რომელიც საქართველოს ეწირებოდა და ეწირება დღესაც. ეს დაეხმარა მას, რომ სპეციალობის პრობლემატიკა დიდ ქართულ სივრცეში დაენახა. მას საქართველოს ყველა სატკივარი აქვს განხილული. სადაც კი პრობლემა შეიქმნებოდა, ტარიელი მაშინვე იქ აღმოჩნდებოდა ხოლმე: როდესაც სამცხე-ჯავახეთში უნივერსიტეტი არსდებოდა, ტარიელი იქ იყო; როდესაც აჭარაში რელიგიური ან საგანმანათლებლო პრობლემები გაჩნდებოდა, იქ იყო; როდესაც შიდა ქართლში გაგვიჭირდა, ის პრობლემატიკა მისი ინტერესების სფეროში აღმოჩნდა; როდესაც ფერეიდნელი ქართველების შინ დაბრუნების – თანამედროვე საქართველოსთან კავშირის გაძლიერების ტენდენცია გაჩნდა, ტარიელი ერთ-ერთი პირველი იყო ამ საქმეში; მოგესხენებათ, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიის ფარგლებში მცხოვრები ქართველები და მუჰაჯირები ისევ ტარიელის ზრუნვის საგანი არიან და მათი დიალექტური ნორმები და მასალები, მისი წყალობით, ყოველწლიური ექსპედიციების გზით შემოდის ჩვენს რეალობაში; ქუთაისის მახლობლად დასახლებული მესხეთელი თურქების მტკივნეული საკითხები იმ წუთში მოექცა ტარიელის მხედველობის ორბიტაზე; თქვენ იცით,

რომ ემიგრაციის პროცესი გაძლიერდა და ემიგრანტი ქართველები, რომლებიც მიმოფანტულნი არიან სხვადასხვა ქვეყანაში, აგრეთვე საჭიროებენ შვილებისთვის ქართულის ენის სწავლებას, სახელმძღვანელოები იქმნება; ენათმეცნიერების სივრცეში სადავო საკითხები ჩნდება, ამ ყველაფერში ტარიელის შრომები არის ჩაბმული.

საყურადღებოა, რომ ტარიელის შრომებში 1996 წლამდე უფრო მეტად ჭარბობს პოლიტიკური ტიპის წერილები, წმინდა გრამატიკული ხასიათის ნაშრომები – ფონეტიკისა და მორფოლოგიის საკითხებთან დაკავშირებული კი – 1996 წლიდან, როდესაც პუტჩის შემდგომი საქართველო სრულიად სიბნელემ მოიცვა და ომის შემდეგ გათანგული საზოგადოება განათლების საკითხებსა და მეცნიერებაზე ველარ ფიქრობდა. აი, ამ პერიოდში ტარიელი აღმოჩნდა იმ პროცესებთან, რომლებმაც, შეიძლება ითქვას, გადაარჩინა და ჩვენი ჰუმანიტარული წრეები სამეცნიერო სივრცეში დატოვა. ეს იყო ქუთაისში შესანიშნავი ყოველწლიური კონფერენციის – „ქუთაისური საუბრების“ ჩამოყალიბება, რომლის მასალები იბეჭდება სამეცნიერო კრებულში „ქართველური მემკვიდრეობა“.

„ქუთაისურმა საუბრებმა“ ბევრი საქმე გააკეთა – იმ პერიოდში, როდესაც ადამიანები გაყინული კუპონებით ვცხოვრობდით, ტარიელმა მოახერხა, საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან მეცნიერები შეეკრიბა. როგორ უნდა აამოძრაო ხელისუფლების სტრუქტურები, საუნივერსიტეტო სისტემა, რამდენი ადამიანის გულში უნდა გააღვივო ის განცდა, რომ ეს ყველაფერი საჭიროა და შედეგი მიიღო... ეს ყოველწლიური სამუშაო, ფაქტობრივად, აღმოჩნდა ჩვენთვის დიდი გადარჩენა. აკადემიური წიგნიც კი აღარ იყიდებოდა, არც ვიცოდით ვინ, სად, რას ბეჭდავდა და ერთმანეთში ვცვლიდით, ქუთაისში როცა ვხვდებოდით. იდეებს ვუზიარებდით ერთმანეთს, ვკამათობდით და ისახებოდა თანამოაზრეთა ჯგუფები. ამ თანამოაზრეებში ზოგი არ იყო ტარიელის მომხრე, ასე ვთქვათ, მაგრამ თავისთავად, ყველა ჯგუფის მეცნიერისათვის კონსოლიდაცია კარგი შედეგის მომტანი აღ-

მოჩნდა, იმიტომ რომ, ფაქტობრივად, „ქუთაისურმა საუბრებმა“ განაპირობა დიდი გამოწვევა სამეცნიერო სივრცისთვის.

მეცნიერება რალაცას უნდა ემსახურებოდეს; ტარიელმა და ამ „ქუთაისურმა საუბრებმა“ მთელი იმ თანამოაზრე და დამხმარე ჯგუფებით, ფაქტობრივად, გამოიწვია მთელი ქართული მეცნიერება; მოუწოდა, რომ საქართველოს რაც სტკივა, ბატონებო, იმ კითხვებს ვუპასუხოთ, საქართველოს რაც უჭირს, ის საკითხები გადავჭრათ. და რა უჭირდა საქართველოს?! – დაქუცმაცებისკენ მივყავდით იმ მდინარეს, რომელსაც თავიდან ვერ ვიშორებდით, რამდენჯერმე მორევის სახით შემოგვიტრიალდა 90-იანი წლების შემდეგ. ენობრივ საკითხთან დაკავშირებით არ შეიძლება შუალედური პოზიცია გქონდეს – საქართველო არის მთლიანი ქვეყანა, ყველა ქართული კილოკავი არის ქართული ენის ნაწილი და მკვებავი და თვითონ ნაკვები მისგან, ან არ არის საქართველო მთლიანი ქვეყანა და ჩვენ, ყველანი, არა ვართ ქართველები. ვინ სად დადგა, ეს ყველამ თავის თავს ჰკითხო. მინდა ვთქვა, რომ ქუთაისის უნივერსიტეტმა მართლაც ძალიან დიდი საქმე გააკეთა, როდესაც ტარიელს მისცა შესაძლებლობა, იდეები განეხორციელებინა.

ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ძალიან საინტერესო სურათი იკვეთება: ეს ჩვენი მოუწესრიგებელი, ხანდახან ზარმაცი, უსისტემო ერი ისტორიის პრიზმაში ძალიან ორგანიზებულია. საქართველოს მთლიანობისთვის, ქართული იდენტობის, ქართული თვითობის გადასარჩენად შეიქმნა უნივერსიტეტი, შემდეგ – მეცნიერებათა აკადემია, ენათმეცნიერების, ისტორიის და ბევრი სხვადასხვა ინსტიტუტი. საქართველოს სხვადასხვა ქალაქში შესაბამისი კათედრების დაარსებამ გვიჩვენა, რომ ეს გზა არის უწყვეტი. მართალია, რომ ხელს არ უწყობენ, მაგრამ მეცნიერები ერთად არიან, საქართველო გვტკივა, მაინც მივყვებით იმ გზას, რომელზედაც ჩვენთან ერთად, ძალიან საპატიოდ, მოაბიჯებს ტარიელ ფუტკარაძეც.

ვუსურვოთ მას, რომ ასეთი ოპტიმიზმით (თუ ოპტიმისტი არა ხარ, ასეთ საქმეებს არ შეეჭიდები), ასე ნიჭიერად, ასე დაუ-

ღალავად ევლოს, იმიტომ რომ ჩვენც არ გვადლევს მოსვენებას და გვაძულებს ვიმუშაოთ; მადლობა მას ამისათვის.

### **მანანა ტაბიძე**

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

## როლანდ კოპალიანი

არ მეგულება ქვეყნის მასშტაბით არც ერთი საგანმანათლებლო დაწესებულება, სასწავლო თუ სამეცნიერო-კვლევითი, რომლის წევრებისთვისაც უცხო იყოს ტარიელ ფუტკარაძე.

ბატონ ტარიელთან ქუთაისს აკავშირებს არაერთი ღონისძიება, არაერთ საკითხთან თანხვედრა, რომელიც დაკავშირებულია ჩვენს იდენტობასთან. იგი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ინტენსიურ კავშირს ინყებს 90-იანი წლებიდან. მოგეხსენებათ, ეს ურთულესი პერიოდი; ამ დროს აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში იმდროინდელი რექტორის, ბატონი მაგალი თოდუას თავკაცობით ყალიბდება დიალექტოლოგიის ინსტიტუტი და ამ ინსტიტუტს სათავეში უდგება ახალგაზრდა, მაგრამ საკმაოდ ცნობილი პიროვნება, ბატონი ტარიელ ფუტკარაძე. სულ მოკლე ხანში დიალექტოლოგიის ინსტიტუტის საქმიანობა ცნობილი ხდება: მან დასაბამი მისცა ქართველოლოგიის ამ ურთულეს მიმართულებას და გასაკვირიც არის, როგორ შეძლო ამ ერთმა პიროვნებამ ქვეყნის მასშტაბით ისეთი მოცულობითი სამუშაოების ჩატარება, რომელიც ტომებს ითვლის დღესდღეობით.

მე მინდა, მეგობრებო, განსაკუთრებით მოვეფერო ბატონი ტარიელის ოჯახს; მქონდა ბედნიერება, რამდენიმე დღის განმავლობაში ვყოფილიყავი იმ უბრწყინვალეს კუთხეში ჩვენი ქვეყნისა, რომელსაც ჰქვია ზემო აჭარა. არასდროს დამავიწყდება ღონისძიება, რომელიც დაბრუნებასთან არის დაკავშირებული; ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ჩემთვის, როგორც სოხუმელი კაცისათვის... არ დამავიწყდება ის სიტბო ოჯახური, რომელიც ბატონი ტარიელის დედისგან, დედმამიშვილებისგან და მისი წრისაგან მივიღეთ.

მე მინდა განსაკუთრებით მადლობა ვუთხრა იმ ხალხს, რომელმაც საკმაოდ ობიექტურად და არაგადამეტებულად შეაფასა ბატონი ტარიელის წვლილი, როლი, ხედვა ქვეყნის მასშტაბით და რომ არა ასეთი ფორსმაჟორული სიტუაცია, დარწმუნებული

ვარ, დღევანდელზე გრანდიოზული ღონისძიება შეიძლება მოწყობილიყო.

მინდა ამ გამორჩეულ პიროვნებას, გამოჩენილ მეცნიერს, მკვლევარს, პედაგოგს, ქვეყნის პატრიოტს, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანს, კარგ ორატორს მივულოცო საიუბილეო თარიღი, ვუსურვო მას და მის ლამაზ ოჯახს, ქალბატონ იასთან ერთად, დიდხანს სიცოცხლე, წარმატებები და გამარჯვებები.

ჩემო ბატონო ტარიელ, ჩემი ოჯახი და მთლიანად ჩვენი უნივერსიტეტის კოლექტივი დიდი სიყვარულით უერთდება ამ მილოცვას. მე დიდი იმედი მაქვს, უფლის ნებით, არაერთ საიუბილეო თარიღს აღვნიშნავთ; დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ, ბატონო ტარიელ!

**როლანდ კოპალიანი**

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
რექტორი



## ბიორგი სოსიაშილი

ბატონი ტარიელი არის გამოუსწორებელი ოპტიმისტი, დაბალანსებული, არაჩვეულებრივი მეცნიერი, ლექტორი, რომელმაც თაობები აღზარდა და ძალიან ბევრ ლექტორს არც დაესიზმრება ის სიყვარული, რომელიც ბატონი ტარიელისადმი გააჩნიათ მის სტუდენტებს. წელი არ გავა, რომ მან არ წაიყვანოს ჩვენი ახალგაზრდობა ხევსურეთში, საქართველოს მთიან მხარეებში, ასევე, ტაო-კლარჯეთში უამრავი ექსპედიცია უკავშირდება მის სახელს...

ის ცხოვრების განმავლობაში უანგაროდ აკეთებდა სიკეთეს, დოსტოვესკის აქვს ერთი გენიალური გამონათქვამი: „როდესაც ადამიანი სიკეთეს ხარჯავს და მერე სამაგიეროს ელოდება, დღიურ მუშად გადაიქცევა“, ბატონი ტარიელი, დოსტოვესკის ენაზე, არასოდეს ყოფილა დღიური მუშა, ის ყოველთვის იყო უშურველად, უანგაროდ მხარჯველი ამ სიკეთისა ჩვენი საზოგადოების წინაშე.

დღეს ქართველოლოგიას რომ გამოვაკლოთ ბატონი ტარიელის მიერ ჩატარებული ღონისძიებები, კონფერენციები, სიმპოზიუმები, სამეცნიერო საუბრები, ბევრი რამ დააკლდებოდა საქართველოს, ჩვენს საზოგადოებას. რა დიდი საფრთხის ქვეშ იქნებოდა ქართველოლოგია, ბატონ ტარიელ ფუტკარაძეს რომ არ ეტრიალა მუდმივად ალესილი ხმალი...

მისი მოღვაწეობა ძალიან ბევრ წახანაგს მოიცავს, ერთ-ერთი ყველაზე მთავარი მაინც არის მისი შეუდრეკელი ბრძოლა საინფორმაციო ომში – ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ განხორციელებულ ომში. ბატონი ტარიელის შრომები, განსაკუთრებით, ბოლო პერიოდში გამოქვეყნებული მისი მონოგრაფიები არის ამ საინფორმაციო ომში ჩვენი პოზიცია. ბევრი მეცნიერი, უნდა ითქვას, ჩვენდა სამწუხაროდ, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქართული ენის გახლეჩის საქმეს ემსახურებოდა; რომ არ ყოფილიყო ბატონი ტარიელი და მის მიერ ჩამოყალიბებული ასეთი მდგრადი სკოლა ენათმეცნიერებაში, მე ვფიქრობ, რომ დღეს შეიძლებოდა

მართლაც ყოფილიყო ის სავალალო შედეგი, რომლის მცდელობასაც ჰქონდა ადგილი მეგრულისა და სვანურის ცალკე ენებად გამოყოფასთან დაკავშირებით. ამაზე უამრავი გრანტი იქნა თავის დროზე შემოდინებული და ძალიან ბევრმა ადამიანმა მოითხოველი ამ ქართულ-მეგრულ-სვანური ლექსიკონებით.

ტარიელ ფუტკარაძის პოზიციამ დაიცვა ქართული ენა, ჩვენს ქართველოლოგიური სკოლა და დღეს, ვფიქრობ, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას: ჩვენს ენათმეცნიერებაში არსებობდა დიდი სულმნათი არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერული სკოლა და 21-ე საუკუნის დასაწყისში საქართველოში არსებობს ტარიელ ფუტკარაძის ენათმეცნიერული სკოლა, რომელსაც აქვს ჭეშმარიტად სწორი ორიენტირები და ჰყავს ძალიან ბევრი მიმდევარი. მისი თეორია ერთიანი ქართული სამწერლობო ენისა და დიალექტებისა ბევრ უნივერსიტეტშია დანერგული. მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრი ცდილობს ამ თეორიას დაუპირისპირდეს მავნებლური იდეებით, ეს არ გამოსდით და ვერც გამოუვათ იმიტომ, რომ მას ტარიელ ფუტკარაძემ დაუპირისპირა ძალიან მძლავრი, მყარი არგუმენტებით გამაგრებული პოზიცია.

როცა დაიწყო გოლგოთის გზა საქართველოში 90-იან წლებში, როცა გამოცხადდა დამოუკიდებელი რესპუბლიკა, გოლგოთის გზის დასაწყისში ქვეყნის სამსახურში იდგა ადამიანი, რომელმაც ხელი მოაწერა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს. მინდა ოპტიმისტურად ვთქვა, რომ სრულდება საქართველოში გოლგოთა, ახლოა საქართველოში გოლგოთის დასასრული და ისევ ამ ჩვენი ქვეყნის ინტელექტუალური ელიტის ერთ-ერთი მონინავე და მედროშეა ბატონი ტარიელ ფუტკარაძე! მინდა მადლობა გადავუხადო მას უანგაროდ განეული საქმიანობისთვის.

შეუძლებელია ადამიანმა მოახერხოს და დაამკვიდროს არამარტო გამორჩეულად ღირსეული მეცნიერის ნიშა, არამედ მართალი კაცის ნიშაც, იმიტომ რომ მისი ცხოვრება ჭეშმარიტებასა და სიმართლეზეა ორიენტირებული. მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ქალბატონ ნათელა ვაშაყმაძეს; დედისთვის დღევანდელი დღე – სამოცი წლის საიუბილეო თარიღის აღნიშვნა

– არის ძალიან მნიშვნელოვანი. მადლობა ოჯახს, რომ ამ რთულ გოლგოთის გზაზე, ეკლიან გზაზე, გაგინიათ ძალიან დიდი მხარდაჭერა. ოჯახს უდიდესი მნიშვნელობა აქვს და ბატონმა ტარიელმა მოახერხა, მიუხედავად რბევისა, შევიწროებისა (იდევენბო-და მისი სიტყვა, მისი თეორია), შეენარჩუნებინა ეს ყველაფერი. დღეს ჩვენ ბედნიერები ვართ, რომ ამას აღვნიშნავთ. დიდი მადლობა ქალბატონ ია ვაშაკიძეს, რომელიც ასევე მედგრად უდგას მხარში თავის მეუღლეს და ერთად წვევენ ცხოვრების ჭაპანს.

**გიორგი სოსიაშვილი**

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი

## მაკა ბერიძე

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი გილოცავთ, ბატონო ტარიელ; 60 წელი ქვეყნის სამსახურში... ჩემთვის, პირადად – ერთი ჩვეულებრივი მოკვდავისთვის, რომელიც ფიქრობს, რომ თუ ერისკაცობას აირჩევს ადამიანი თავისი ცხოვრების გზად და არ წავა ღვთის სამსახურში, ეს ყველაზე მაღალი შეფასებაა, რაც კი შეიძლება ინატროს ან ისურვოს; თუ მთელი ცხოვრება ქვეყნის სამსახურში გაატარეთ, ეს ნიშნავს, რომ თქვენი არსებობა, თქვენი დაბადება ამქვეყნად იყო გამართლებული და თუკი ამას აღიარებს მთელი საზოგადოება, მაშინ ვფიქრობ, რომ ეს დიდი ბედნიერებაა და ჩვენ ისლა გვრჩება, გავხდეთ ამ ბედნიერების თანაზიარნი და მონაწილენი.

ჩვენთვის, განსაკუთრებით, ჩემი თაობისთვის ეროვნული მოძრაობის დაწყებამდე პერიოდი, ეროვნული მოძრაობისა და მისი შემდგომი პერიოდებია ხოლმე საზომი. ბატონო ტარიელ, თქვენი ბიოგრაფია გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ ეროვნულ მოძრაობამდე, როგორც მეცნიერის განვითარება, ეროვნული მოძრაობის პერიოდში როგორც მოქალაქისა და მეცნიერის განვითარება და დღეს – თანამედროვეობაშიც თქვენი მოღვაწეობა არის მნიშვნელოვანი. თქვენი მოღვაწეობა არ ჩერდება, რაც მთავარია. ხაზს გავუსვამ იმას, რომ თქვენ თქვენი ცხოვრების, ალბათ, ყველა პერიოდში ბრძანდებოდით ძალიან თანამედროვე და ადეკვატური. მთავარი ღირებულებები არ იცვლებოდა, მაგრამ ინოვაციური ბრძანდებოდით ყველა დროს, ასეთი ბრძანდებით დღეს და ეს უმნიშვნელოვანესია იმისათვის, რომ თქვენი ესმის ყველა თაობას. თქვენ შეგიძლიათ მისცეთ ყველა თაობას სათქმელი ისე, როგორც მათ სჭირდებათ, როგორც ისინი აღიქვამენ და გაიგებენ.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი სწორედ ეროვნული მოძრაობის პირმშო გახლავთ. როდესაც ბატონი მერაბი ისტორიაზე საუბრობს ხოლმე, როგორ იწყებოდა ჩვენი უნივერსიტეტის ჩამოყალიბება, ის თავის თანამოაზრეებს თანამებრძოლებად მოიხსენიებს. თქვენ ამ სიაში ერთ-ერთი პირ-

ველი ბრძანდებით. უნივერსიტეტის განვითარების პირველი დღეებიდანვე ჩვენი უნივერსიტეტის ისტორია ინახავს ტარიელ ფუტყარაძის დამსახურებასაც და ამისთვის მინდა უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ.

უნივერსიტეტი დღესაც აგრძელებს ბატონ ტარიელთან შემოქმედებით საქმიანობას. იცით, ეს არ არის სამსახურებრივი საქმიანობა, ეს არის ის ურთიერთობა, რომელიც ღირებულებებს ეფუძნება და თუ დღემდე გრძელდება, მხოლოდ იმიტომ, რომ სწორედ ღირებულებებია საერთო. და რა არის ეს მთავარი ღირებულება? ეს არის ის მერჩულისეული „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირაცხების“, სადაც „ქართულითა ენითა ჟამი შეინირვის“; ჩვენი „ჟამისნირვა“ – ის ლექციები, რომლებიც ქართულ ენაზე აღევლინება, ქართულ ენაზე ტარდება ახალციხესა თუ ახალქალაქში.

ბატონო ტარიელ, ამ „ჟამისნირვაში“ რომ იღებდით მონაწილეობას და ქართულად აღავლენდით სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში, ამისთვის განსაკუთრებულ მადლობას გიხდით.

მეცნიერის ერთ მთავარ ღირსებასაც გავუსვამდი ხაზს: მეცნიერი, თავისი პირადი კარიერის გარდა, ორიენტირებულია მონაფეების აღზრდაზე. ეს, ერთი მხრივ, ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის და მეცნიერების განვითარებისთვის. ბატონო ტარიელ, აქვე გეტყვით, რომ თქვენ გარანტირებული გაქვთ აღიარება უკვე მოწაფეთა მოწაფეთაგან და ეს კარგიც არის.

და ბოლოს, ძალიან მოკრძალებულია ჩვენი საჩუქარი თქვენდამი. მოკრძალებული და ძალიან ფასეული, იმიტომ რომ ამას ვუფრთხილდებით, მინდა თქვენი 60 წლის იუბილეს აღსანიშნავად სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მადლობის სიგელი გადმოგცეთ მის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის. გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, თანამოაზრეთა, თანამებრძოლთა სიმრავლეს.

**მაკა ბერიძე**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

## წუნუ გელდიაშვილი

თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით, ვულოცავთ ბატონ ტარიელს საიუბილეო თარიღს. გულითადად გილოცავთ ამ მნიშვნელოვან თარიღს და გამოვხატავთ გულწრფელ პატივისცემას, პირადად, მე და მთელი უნივერსიტეტი. გისურვებთ ყოველივე საუკეთესოს როგორც პირად, ასევე სამეცნიერო, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ საქმიანობაში.

მინდა კონკრეტულად ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტს მივულოცო თქვენი იუბილე. ვფიქრობ, მართლაც დიდი ბედნიერებაა, რომ ბატონი ტარიელ ფუტკარაძე არის თქვენი უნივერსიტეტის პროფესორი; ის წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან სახეს ქართულ ენათმეცნიერებაში და ამით ქმნის თქვენი უნივერსიტეტის სახესაც ქართული ენათმეცნიერების და არა მხოლოდ ქართული ენათმეცნიერების მიმართულებით.

ზოგადად, როდესაც ადამიანი თავისი ცხოვრების მანძილზე ქმნის გარკვეულ პორტრეტს მეცნიერული მიმართულებით და ეს არის პორტრეტი წარმატებული, ღირებული, საქართველოს განვითარებისათვის მებრძოლი, მზრუნველი ადამიანისა, მართლაც საამაყოა, როცა ეს პიროვნება არის ამა თუ იმ უნივერსიტეტის სახე. ეს უკვე განაპირობებს და საფუძველს ხდის, უნივერსიტეტი იყოს მაღალრეიტინგული და ეკავოს ღირსეული ადგილი საქართველოს და არა მხოლოდ საქართველოს უნივერსიტეტთა შორის.

დღევანდელ სამყაროში მეცნიერებამ საზოგადოების უმაღლესი ფასეულობების ფორმირება უნდა მოახდინოს და, ალბათ, გარკვეულწილად ასეც არის; სწორედაც მეცნიერება უნდა იყოს ამ ქვეყნისა და საზოგადოების განვითარების, წინსვლის საფუძველი. არა მხოლოდ მე, ასევე ბევრი ფიქრობს ამ ქვეყანაში, რომ ბატონი ტარიელ ფუტკარაძე არის მნიშვნელოვანი ფიგურა ამ მიმართულებით და მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქართველი ხალხის, ქართველი საზოგადოების, საქართველოს განვითარებისა და წინსვლის საქმეში.

მის ბიოგრაფიას თუ თვალს გადავავლებთ, ყველასთვის ნათე-

ლი გახდება, რომ საქართველოს უახლესი ისტორია – მეცნიერული, საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ცხოვრება – განუყოფელია ბატონი ტარიელ ფუტკარაძის ბიოგრაფიისაგან. მისი ცხოვრება მგზნებარე, მჩქეფარე და ძალიან აქტიურია ამ თვალსაზრისით. ამის თქმის საფუძველს მხოლოდ მისი ბიოგრაფია, პროდუქციის გაცნობა და ცოდნა კი არ მაძლევს, არამედ – მასთან საქმიანი, კოლეგიალური ურთიერთობა. ხაზი მინდა გავუსვა ამ ურთიერთობების სპეციფიკას: ბატონმა ტარიელმა თავისი აკადემიურობით, განსაკუთრებით მაღალპროფესიული და სამართლიანი პრინციპების გათვალისწინებით თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტს, მის პროფესურას (განსაკუთრებით ქართული ფილოლოგიის მიმართულებით), მოგვცა შესაძლებლობა სისრულეში მოგვეყვანა კვლევები, გვეყოლოდა ახალგაზრდა მკვლევრები და ჩვენც მოკრძალებული წვლილი შეგვეტანა ქართული მეცნიერების განვითარების საქმეში.

ხანდახან ხდება ხოლმე, ეგოისტურად, ერთი და იმავე დარგის მეცნიერებაში კარჩაკეტილობა ურჩევნიათ; ამ მხრივ, ბატონი ტარიელი აღმოჩნდა სრულიად განსხვავებული, ძალიან აკადემიური, მეგობრული – მან მთელი საქართველოს მასშტაბით ხელი შეუწყო ქართული ენათმეცნიერების კვლევას.

ბატონი ტარიელის კვლევის სფეროები ძალიან აქტუალურია. ის ღიაა ურთიერთობებში და არ ერიდება დასვას საკამათო საკითხები, გამოკვეთოს საკუთარი პოზიცია გამოწვლილვითი გამოკვლევის საფუძველზე და არა მხოლოდ პირადი დამოკიდებულების მიხედვით. ეს გვეხმარება სხვებსაც, მივიდეთ ჭეშმარიტ აზრამდე.

ბატონ ტარიელს გათავისებული აქვს კრედო – შექმნას წიგნიერებისა და კულტურის მნიშვნელოვანი კერა. მასში განფენილია ამერიკელი ენათმეცნიერის სიტყვები: „მეცნიერული აზროვნების წინსვლა საზოგადოების საზრუნავია, საზოგადოებრივი ამოცანა“ და ეს კარგად ესმის მას.

მინდა მადლობა გადავუხადო ბევრ სადავო ტერმინსა და საკითხზე სწორი დასკვნის გაკეთებისათვის. გილოცავთ კიდევ ერთხელ და ვიცი, რომ კიდევ გაგვანებივრებთ საინტერესო ნაშ-

რომეზით, კიდევ ბევრ ახალგაზრდას გაუხსნით კარს სამეცნიერო  
ასპარეზზე; მინდა ჯანმრთელობა გისურვოთ, დალოცვილი ყო-  
ფილიყავით უფლისაგან!

**ნუნუ გელდიაშვილი**

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე



## კარლო კოპალიანი

ტარიელ, ჩემო მეგობარო, გილოცავ!.. პირველ რიგში, გისურვებ ჯანის სიმრთელეს, კარგად ყოფნას შენს ოჯახთან ერთად და შენს სათაყვანებელ სამშობლოსთან, საქართველოსთან ერთად. გილოცავ როგორც ტექნიკური უნივერსიტეტის, ასევე რექტორის – დავით გურგენიძის სახელით.

მინდა გაგახსენო 45 წლის წინანდელი ამბები: ჩვენ ბავშვობიდან მოვდივართ, 15 წლის ვიყავით, ერთმანეთი რომ გავიცანით და რამდენიმე წლის წინ აღვადგინეთ ურთიერთობა; ეს იყო ძალიან სასიხარულო, მით უმეტეს, გამომდინარე იქიდან, რომ ღირსეულად დაინყეთ ცხოვრება, ღირსეულად გაიარეთ და მიდინარე გამარჯვებებით.

მე ცალსახად ერთ სიტყვას ვიტყვი: თქვენ ხართ დიდი პატრიოტი, ძალიან დიდი კაცი იმ კუთხით, რომ მიდინარე ექვთიმე თაყაიშვილის გაკვალულ გზაზე; თქვენ ისეთ ღვაწლს სწევთ ჩვენი სამშობლოს აწმყოსა და მომავლის შენების საქმეში, რომ განუზომელია ამის შეფასება. გაივლის რამდენიმე წელი და თაობები შეაფასებენ, ტარიელ ფუტკარაძე რას აკეთებდა იმ ძნელბედობის ჟამს. თქვენ და მე საქართველოსთვის ძალიან განმსაზღვრელ გზაჯვარედინზე ყოფნის დროს მოგვინია პოლიტიკაში ყოფნა და იქაც ორიენტირი იყო სწორი, პატრიოტული, ქართული საქმე.

გენაცვალე, მაგარი ხარ, ძამო. გილოცავ, გლოცავ შენს ლამაზ ოჯახთან ერთად, შენს საქმესთან ერთად, შენს ქვეყანასთან ერთად; ბევრი სასიქადულო საქმე გეკეთებინოს ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. ძალიან დიდ პატივს გცემ, ჩემი ძმა ხარ, ჩემი მეგობარი და გენაცვალოს ჩემი თავი. გაუმარჯოს ტარიელ ფუტკარაძეს!

**კარლო კოპალიანი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კანცლერი

## შალვა პირთაძე

დღევანდელი დღე ეკუთვნის ადამიანს, რომლის არსი, ცხოვრების მიზანი არის ჩვენი ერის, ქვეყნის ბედნიერება, ჩვენი ენის ისტორიის მოძიება, დაცვა და წინა პლანზე წარმოჩენა. ძალიან დიდი მადლობა, ბატონო ტარიელ, პირველ რიგში, იმისთვის, რომ ვმეგობრობთ და არასდროს არ გავიწყდებათ არაფერი. განსაკუთრებით, ჭირში გვერდში დგომა გახასიათებთ და ლხინში – მით უმეტეს. ძალიან დიდი მადლობა იმისთვის, რომ თქვენით გავიცანი მე ტაო-კლარჯეთი და ფერეიდნელი ქართველები.

1993 წლიდან იწყება ჩვენი ურთიერთობა. უდიდესი ქართველის, ბატონი მაგალი თოდუას ხელშეწყობით შეიქმნა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი და მას ჩაუდგა სათავეში ბატონი ტარიელი. რაც ყველაზე მთავარია, ეს ინსტიტუტი იყო მაშინდელი მეცნიერების ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოხმაურება. ყველამ ძალიან კარგად იცის, რა მძიმე პერიოდია საქართველოში 90-იანი წლები და ამ დროს ქუთაისში ტარდება საერთაშორისო მასშტაბის კონფერენციები, სადაც მონაწილეობენ ბუმბერაზი მეცნიერები. მაშინდელ იმერეთის გუბერნატორს, ბატონ თემურ შაშიაშვილს ასეთი სიტყვები აქვს ნათქვამი: „ფუტკარაძე, კარი რომ მიუხურო, ფანჯრიდან შემოვა და მაინც გაგაკეთებინებს საქმესო“.

ნამდვილად აკეთებდა და აკეთებს დღესაც ეს ადამიანი იმ საქმეს, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის აუცილებელია.

ბატონო ტარიელ, ერთ-ერთი ყველაზე დიდი თვისება ადამიანისა, რომელიც თქვენ გახასიათებთ, არის ახალგაზრდა, ნიჭიერი თაობების წარმოჩენა და დანინაურება. თქვენს გაზრდილთა შორის მეც ერთ-ერთი ვარ; ძალიან დიდი მადლობა იმ ბევრი თვისებისთვის, რომლებიც მე თქვენგან შევიძინე, შევისისხლხორცე და ვამაყობ კიდევაც ამით.

ჩემი მეგობრები, ჩვენი უნივერსიტეტის წამყვანი პროფესორა ძალიან ბევრ საქმეს აკეთებს თქვენი ხელდასხმით.

ტაო-კლარჯეთის ქართველობა დღეს უფრო ახლოს რომ არის ჩვენთან, ამაში ლომის წილი თქვენ გეკუთვნით და ამას ვერასდროს დავივიწყებთ. ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა პირველი ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში 2003 წელს ჩაატარა. ამ ექსპედიციამ ჩასახა ის სიყვარული, რომელიც არასდროს განელებულა. დიდი ბედნიერება იყო იმ ადამიანების სულის ზეიმის ხილვა, რომლებიც იქ გვხვდებოდნენ.

რად ღირს ის საზეიმო დახვედრა, რომელიც შარშან, ფერეიდნიდან ფეხით წამოსულ სამ დიდებულ ქართველს მოუწყვეთ საზღვარზე... თქვენ იყავით მათი გზამკვლევი მთელ საქართველოში; აჩვენეთ საქართველოს ეს ფერეიდნელი გმირი ბიჭები და ამ ბიჭებსაც აჩვენეთ მათზე უზომოდ შეყვარებული ქართველები. აი, ეს არის ადამიანობა, კაცობა, რაც გამოგარჩევთ ძალიან ბევრისგან და მისაბაძს გხდით.

დიდებული ოჯახი, სამი შვილი, შვილიშვილები და წინსვლა ოჯახში – არაფერი არ გამოვიდოდა, რომ არა ფუტკარაძეების ის დიდი ღერძი, რომელიც მოდის შუახვევიდან – იმ ადგილის დედადან. ქალბატონი ნათელა ყველაზე ბედნიერი დედაა დღეს და არა მარტო დღეს; ასე უნდა იხაროს ქალბატონმა ნათელამ თავისი შვილების, შვილიშვილებისა და შემდგომი თაობების წარმატებით.

ახალგაზრდობას უნდა ვაჩვენოთ, რომ დაფასება სიცოცხლეშივე ეკუთვნის იმ ადამიანებს, რომლებიც ამას იმსახურებენ. თაობები ამით უფრო მეტს გაიგებენ, მეტად შეითვისებენ ჩვენი ქვეყნის სიყვარულს, ჩვენი ენის პატივისცემას. ყოველივე ეს თავმოყრილია ტარიელ ფუტკარაძეში და, იმედია, ერთ ხანს იქნებით, ბატონო ტარიელ, ბურჯად ამ საქმეში.

უფალი გვარავდეთ, უფალი იყოს თქვენ გვერდით! გამარჯვებას და გახარებას, მზეგრძელობას და დღეგრძელობას გისურვებთ!

**შალვა კირთაძე**

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
რექტორის მოადგილე

## როლანდ თოფჩიშვილი

დღეს ერთ-ერთი საუკეთესო დღე არის – ჩემი ძვირფასი მეგობრის, კარგი ქართველის, საქართველოს კარგი მოქალაქის, ბატონ ტარიელ ფუტკარაძის საიუბილეო თარიღია. ვულოცავ, დღეგრძელობას ვუსურვებ და შემოქმედებით წარმატებებს.

ბატონი ტარიელი, გარდა იმისა, რომ არის კარგი მეცნიერი, ამავე დროს არის კარგი ორგანიზატორი. ასე რომ არ ყოფილიყო, ვერ უხელმძღვანელებდა დიალექტოლოგიის იმ შესანიშნავ ინსტიტუტს, რომელიც ქუთაისის უნივერსიტეტში ბატონმა მაგალი თოდუამ დააფუძნა. იქიდან დაიწყო დიდი ეროვნული, საშვილიშვილო საქმის კეთება ბატონმა ტარიელმა და ჩვენი ურთიერთობაც მაშინ დაიწყო. ახალგაზრდობის წლებში, ამ ინსტიტუტის შექმნისას, როდესაც ბატონი ტარიელი ჩემთან მოვიდა და გვერდში დგომა შემომთავაზა, ცოტა უკან დავიხიე. ვფიქრობდი, რა შუაში ვიყავი დიალექტოლოგიის ინსტიტუტთან, მაგრამ მალე მან დამარწმუნა, რომ ეს აუცილებელი იყო. მე შეძლებისდაგვარად მხარში ვდექი ამ წლების განმავლობაში ბატონ ტარიელს.

მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო, რომ ქუთაისის უნივერსიტეტში კონფერენციებზე თავს იყრიდა ნალები

ჩვენი მეცნიერებისა, ჰუმანიტარული დარგის წარმომადგენლები: ისტორიკოსები, ენათმეცნიერები, ეთნოლოგები, არქეოლოგები, ფოლკლორისტები და რომ არა ეს „ქუთაისური საუბრები“, ეს სიმპოზიუმი, დარწმუნებული ვარ, მე, პირადად, ბევრ ნაშრომს ვერ შევქმნიდი. როდესაც ბატონი ტარიელი პრობლემას ჩამოაყალიბებდა, ჩვენ გვაიძულებდა, ამ პრობლემის ირგვლივ ჩვენს დარგში შეგვექმნა სამეცნიერო ნაშრომები და მადლობა, რომ მე ამ კონფერენციებზე ძალიან ბევრი რამე ვისწავლე ენათმეცნიერებისაგან, ფოლკლორისტებისაგან და ქართველოლოგიის სხვა დარგის წარმომადგენლებისაგან. ჩემ თვალწინ გაირბინა იმ ადამიანთა სახეებმა, რომლებიც ამ „ქუთაისურ საუბრებში“ იღებდნენ მონაწილეობას და ბევრი მათგანი დღეს ცოცხალი აღარ არის. დარწმუნებული ვარ, რომ ისინი იმ ქვეყნიდან მიესალმებიან

ბატონი ტარიელის იუბილეს და დიდხანს სიცოცხლეს უსურვებენ.

თურქეთში მოწყობილ ექსპედიციაში მონაწილეობდნენ როგორც სტუდენტები, ასევე მეცნიერ-თანამშრომლები, მათ შორის – მეც. ამ ექსპედიციების მიზანი იყო, თურქეთში მცხოვრები ქართველებისათვის გაეღვიძებინა ეთნიკური ცნობიერება და ამის მომსწრეც ვარ.

ტარიელი, როგორც შესანიშნავი მეცნიერ-ორგანიზატორი, თავისი მოღვაწეობით სტიმულს აძლევს ქართული მეცნიერების განვითარებას და ვუსურვებ, რომ ძალიან დიდხანს იყოს ამ სტიმულის მიმცემი ქართველოლოგიაში. ვადღეგრძელებ ბატონ ტარიელს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, სამეცნიერო ნარმატებებს ვუსურვებ.

**როლანდ თოფჩიშვილი**

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,  
პროფესორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

## ავთანდილ ნიკოლეიშვილი

მეგობრობისა და მეგობრული ფაქტორის წინა პლანზე წამოწევა მნიშვნელოვანია, მაგრამ არის ტარიელ ფუტკარაძის სამეცნიერო, საზოგადოებრივი, ეროვნული და კიდევ ბევრი ღვაწლი და დამსახურება, რომელიც სცილდება საურთიერთო მასშტაბებს. ჩვენ წინაშე ის წარმოჩნდა, როგორც ღირსეული გამგრძელებელი იმ დიდი სამეცნიერო, საზოგადოებრივი და პოლიტიკური ტრადიციებისა, რომლებიც ჩვენმა დიდმა მამულიშვილებმა დაამკვიდრეს.

ბატონი ტარიელის დახასიათებისას მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ ის არის არაგაკვალული გზით მავალი პიროვნება. არაგაკვალული გზით მიდის ის მეცნიერებაშიც, საზოგადოებრივ-ეროვნულ მოღვაწეობაშიც და ეს ყველაფერი ძალიან ფასეული და მნიშვნელოვანია.

ტარიელ ფუტკარაძე ცდილობს ისეთი საკითხები წამოსწიოს წინა პლანზე, რომლებიც ძალიან აქტუალური და პრობლემატურია. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან შეიძლება მის მეცნიერულ თეორიებს ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდეს, ის მყარი არგუმენტებით აღწევს კიდევ მიზანს; ეს ძალიან დიდი შენაძენია, რომლის გამოც ჩვენ მას უთუოდ უნდა ვუთხრათ დღეს განსაკუთრებული მადლობა.

ბატონო ტარიელ, ძალიან მიხარია, რომ თქვენს დიდ მოღვაწეობას საფუძველი ქუთაისის უნივერსიტეტში ჩაეყარა ბატონი მაგალი თოდუას დროს. თქვენ მიერ დამკვიდრებული ტრადიცია დღესაც წარმატებით გრძელდება ჩვენს უნივერსიტეტში. მხედველობაში მაქვს ის კონფერენციები, რომლებიც ნამდვილად იყო საერთაშორისო მასშტაბების მომცველი.

მადლობა უნდა გითხრათ, ბატონო ტარიელ, იმის გამო, რომ არამარტო საქართველოს მასშტაბით აღწევთ დიდ წარმატებებს ქართველოლოგიის მიმართულებით, არამედ საერთაშორისო დონეზეც. თურქეთში, ირანში და სხვა ქვეყნებში ბევრი რამ გაქვთ გაკეთებული; თქვენ გადეთ ხიდი, რომლითაც იქაური ქართველე-

ბი დააკავშირეთ საქართველოსთან.

არ შემოიძლია მადლობა არ გითხრათ იმის გამოც, რომ ახალგაზრდობა შემოიყვანეთ მეცნიერებაში და ბევრ მათგანს გაუკვალეთ გზა. თქვენი სკოლა არამარტო იმით არის განსაზღვრული, რომ თავად შექმენით თქვენი მძლავრი მიმართულება, არამედ ბევრი მხარდამჭერი, ბევრი ახალგაზრდა დააყენეთ იმ გზაზე, რომელიც წარმატებით მიდის ამ მიმართულებით და ბევრს უნდა ველოდოთ თქვენგან.

აუცილებლად უნდა ითქვას თქვენს აქტიურ პოლიტიკურ და სახელმწიფოებრივ ღვაწლზე, რომელიც თქვენი ცხოვრების განმავლობაში გასწიეთ.

მინდა ვისურვო, რომ ეს შემართება, ეს ძალა, ენერჯია, აქტიურობა გაგრძელდეს რაც შეიძლება დიდხანს; ეს იქნება არამარტო თქვენი წარმატება, არამედ ჩვენი ეროვნული ინტერესების დასაცავად და განსამტკიცებლად გადადგმული მძლავრი ნაბიჯი. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, წარმატებას!

**ავთანდილ ნიკოლეიშვილი**

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, გელათის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი

## ლევან ჯიქია

დიდი პატივისცემით ვულოცავ ბატონ ტარიელს იუბილეს.

თუ ბატონმა ტარიელმა ხელი მოკიდა საქმეს და მოგცათ პირობა, დარწმუნებული უნდა იყოთ და მშვიდად იყოთ, რომ ის ამ პირობას ნამდვილად შეასრულებს – ბოლომდე მიიყვანს საქმეს. მე მაოცებს ხოლმე ხანდახან მისი თვისება, ღირსეულად გაუმკლავდეს ნებისმიერ გამოწვევას და არ შეუშინდეს. ასევე, ჩემთვის არსებითია ყოველთვის მისი დამოკიდებულება სტუდენტების მიმართ. სტუდენტებთან ურთიერთობას ის არ იწყებს და არ ამთავრებს აუდიტორიაში, არამედ ეს აუდიტორიაში იწყება და მერეც გრძელდება. ამას ადასტურებს სტუდენტების მისდამი დამოკიდებულება.

მინდა მხნეობა და დიდხანს მოღვაწეობა ვუსურვო ბატონ ტარიელს ჩვენი უნივერსიტეტის და ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

იხარეთ მრავალჟამიერ, ბატონო ტარიელ!

## ლევან ჯიქია

ისტორიის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანი



## ლევან გუგუნიძე

გულოცავ ბატონ ტარიელს დაბადების დღეს და ვუსურვებ, რომ არ მოჰკლებოდეს მხნეობა, ის დიდი ენერჯია, რომლითაც ასე გულუხვადაა დაჯილდოებული ბუნებისაგან.

მოკლედ ვისაუბრებ ბატონი ტარიელის მოღვაწეობის იმ მხარეზე, რომელიც არის კიდევ ძირითადი აზრი მისი ცხოვრებისა და მთელი მისი მეცნიერული მოღვაწეობაც შემადგენელი ნაწილია ამ დიდი საქმისა. ეს გახლავთ სახელმწიფოებრივი თვითმეგნების ამალღებისათვის ბრძოლა და საზოგადოების სწორი ორიენტირებით აღჭურვა.

თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში ჩვენ არ გვქონდა საკუთარი სახელმწიფო, ამან დიდად დააკნინა და მოსპო სახელმწიფოებრივი აზროვნება ჩვენს საზოგადოებაში. სადღეისოდაც ჩვენს უმთავრეს პრობლემად სწორედ სახელმწიფოებრივი აზროვნების არასაკმარისი დონე რჩება. ამ კონტექსტში უმნიშვნელოვანესია ბატონი ტარიელის მსგავსი ადამიანების თავგამოდება, რომლებიც იღვნიან სახელმწიფოებრივი აზროვნების აღორძინებისათვის და ქართველი ერის ეროვნული სამოქალაქო ერთობის მიღწევისათვის.

ბატონი ტარიელის ნააზრევი იმთავითვე იმისკენ იყო მიმართული, რომ დაებრუნებინა საზოგადოებისათვის ეროვნული სრულფასოვნების განცდა და დაეძლია ის ეროვნული ნიჰილიზმი, რომლის დათესვასაც დიდი მონდომებით ცდილობდნენ და დღესაც ცდილობენ ჩვენი მტრები.

სწორედ ეს არის უმთავრესი მიზანი ტარიელ ფუტკარაძის ერთი საინტერესო წიგნისა: „აფსირტედან გამსახურდიამდე“, რომელშიც თავმოყრილია ავტორის 90-იანი წლების პუბლიცისტიკა, მიმართვები და გამოსვლები. ვფიქრობ, რომ ეს წიგნი წარმოადგენს ძვირფას მასალას საქართველოს უახლესი ისტორიის მკვლევართათვის და იგი, პირველ ყოვლისა, ფასეულია, როგორც დოკუმენტური მასალა, რომელშიც წარმოდგენილია, მაგალითად, ზვიად გამსახურდიას პუტჩისგებთან მოლაპარაკების დოკუმენტები.

ძალზე ძვირფასია თავად წიგნის ავტორის დღიურები, რომლებიც უშუალოდ პუტჩის მიმდინარეობის პერიოდშია დაწერილი და შთამბეჭდავად გადმოგვცემს პიროვნულ და ეროვნულ განსაცდელში მყოფი ადამიანების ნაფიქრსა და ნაგრძნობს.

რაც მთავარია, ამ წიგნშივე ჩნდება ის სახელმწიფოებრივი ორიენტირები, რომელთა მსახურებასაც მიუძღვნა ავტორმა მთელი თავისი ცხოვრება. აქედანვე იწყება მისი ბრძოლა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დღედ – 9 აპრილის და 14 აპრილის არა – დედაენის, არამედ სახელმწიფო ენის დღედ გამოცხადებისათვის.

ასევე, ძალზე საყურადღებოა ის წერილები, რომლებიც ეხება უკანონო პოლიტიკურ წარმონაქმნს – აჭარის ავტონომიას და, საზოგადოდ, აჭარაში განვითარებულ მოვლენებს. საგანგებოდაა აღსანიშნავი ის ფაქტი, რომ 1999 წლის სექტემბერში გამოქვეყნებულ სტატიაში ბატონმა ტარიელმა წინასწარ განჭვრიტა, პრეზიდენტის გადაყენების შემთხვევაში რომ დაიწყებოდა ძმათა მკვლელი ომი და დაიკარგებოდა რეალური დამოუკიდებლობის მოპოვების შანსი.

ორიოდე სიტყვით, აუცილებლად უნდა ვახსენოთ, აგრეთვე, გაზეთი „ქუჯი“, რომელიც გამოიცემოდა 2000-2002 წლებში ბატონი ტარიელის რედაქტორობით. მოგეხსენებათ, რა რთული იყო იმ პერიოდში, პოლიტიკური თვალსაზრისით, ისეთი გაზეთის გამოცემა, რომელსაც ექნებოდა ეროვნული პოზიცია და ვფიქრობ, ეს გამოცემა მომავალში შეფასდება ქართული ჟურნალისტიკისა და საზოგადოებრივი აზროვნების მკვლევართაგან.

თუ გადავხედავთ ამ გაზეთის ნომრებს, ვნახავთ, როგორი მრავალფეროვანია თემატური თვალსაზრისით და ეხება თითქმის ყველა ასპექტს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

უმთავრესი მიზანდასახულობა კი, როგორც ამ გაზეთის, ისე ბატონი ტარიელის ხსენებული წიგნისა, არის ბრძოლა 90-იანი წლების დასაწყისში განვითარებული მოვლენების სწორი, სამართლებრივი შეფასებისათვის. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, მაგალითად, გაზეთის ისეთი რუბრიკა, როგორიც არის **სიმარ-**

**თლის მრუდე სარკე და სინამდვილე.** საგულისხმოა ისიც, რომ გაზეთში იბეჭდება ინტერვიუები პოლიტიკურ ოპონენტებთანაც. საერთოდ, უნდა ითქვას, რომ ეროვნული მოძრაობის ბევრი წარმომადგენლისაგან ბატონ ტარიელს გამოარჩევს პოლიტიკურ ოპონენტებთან დიალოგის უნარი.

მინდა ორი სიტყვა ვთქვა ბატონი ტარიელის უკანასკნელ ხანს გამოცემულ ნაშრომზე, რომელიც, ალბათ, წიგნის სახითაც იქნება – „მაღლის შეთანხმება. ეროვნული გმირები. საქართველოს პერსპექტივა“. ვფიქრობ, ეს იქნება გზავნილი ეროვნული მოძრაობის ისტორიისათვის. მოგეხსენებათ, დასავლეთშიც არსებობს პრაქტიკა ასეთი სამეცნიერო გზამკვლევების შექმნისა და ეს ნაშრომი ამ ფუნქციას შეასრულებს ისტორიაში.

ვუსურვებ ბატონ ტარიელს დღეგრძელობას, ჯანის სიმრთელეს იმ დიდი მიზნების განსახორციელებლად, რომელთაც მან თავისი ცხოვრება მიუძღვნა.

**ლევან ბებურიშვილი**  
ფილოლოგიის დოქტორი

## მერაზ ნაჭყუბია

ფულოცავ ჩემს სულიერ მეგობარს, ძმას, ბატონ ტარიელს დღევანდელ იუბილეს. მინდა ოჯახს მივულოცო: ჩემს კოლეგას – ქალბატონ იას, მის შვილებს – ვაჟკაცებს, განსაკუთრებით – ქალიშვილს, რომლის ოპონენტიც მე ვიყავი და არის უსერიოზულესი მეცნიერი ქართველოლოგიაში: იმედია, ჩვენზე, მამაზე, დედაზე ბევრად ძლიერი იქნება თავის დარგში.

თითქმის ორმოცი წლის მეგობრობა გვაკავშირებს მე და ტარიელს, ეს ეხება არა მარტო სამეცნიერო, არამედ ცხოვრებისეულ, ყოველდღიურ ურთიერთობებს. მძიმე პერიოდიდან მოყოლებული, ტარიელი მუდმივ ყურადღებას აქცევდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოღვაწე ქართველოლოგებს, რომლებიც მონაწილეობდნენ „ქუთაისურ საუბრებში“, ასევე ლაზეთში და, საერთოდ, ტაო-კლარჯეთში ჩატარებულ ექსპედიციებში, რომელთაც ტარიელი, პრაქტიკულად, თავისი ფინანსებით ახორციელებდა; ჩვენი სტუდენტებიც ჰყავდა ჩართული.

რაც შეეხება სოხუმის უნივერსიტეტთან ბატონი ტარიელის დამოკიდებულებას: საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, ჩემთან ერთად, ტარიელის უშუალო მონაწილეობით იყო შექმნილი.

სოხუმის უნივერსიტეტში ქართველოლოგიის განვითარებაში ტარიელის ლომის წილია. ტარიელი არის კაცი, რომელიც გასცემს ხოლმე ძალიან ბევრს და ბევრი იღებს, მაგრამ, სამწუხაროდ, დღესაც ვერ ვხედავთ ბევრ კოლეგას, სიყმაწვილის დროიდან ერთად რომ მოვდიოდით. უმადურობა მეცნიერებაშიც და კაცობაშიც ყველაზე ცუდი სენია. ტარიელი ამას არ უკვირდება და მინც ყველას ეფერება. მე უამრავი ისეთი მომენტი ვიცი, რაც ოჯახის წევრებმაც არ იციან, მაგრამ ტარიელი, როგორც პრინციპული პიროვნება, როგორც ადამიანი, როგორც კაცთმოყვარე, ყველას ჰპატიობს. მე კაცობას ვუსვამ ამ შემთხვევაში ხაზს, ჯერ კაცი უნდა იყო და მერე – მეცნიერი, მოღვაწე და პოლიტიკოსი.

ჩემო ტარიელ, არაორდინალური ხარ იმიტომ, რომ

ავტორიტეტებს არ ეგუები; შენ არ ზიხარ კონიუნქტურულ ჩარჩოებში, რადგან აზრები და იდეები, რაც განუხებს, შეიძლება ზოგისთვის მისაღები იყოს, ზოგისთვის არა.

ტარიელ, მინდა მოგილოცო დღევანდელი დღე; ცხოვრების შუა გზაზე ხარ, პიკი აწი არის. როგორც სულიერ ძმას, როგორც მეგობარს, გისურვებ წარმატებებს, ჯანმრთელობას, სიყვარულს თქვენ და თქვენს ოჯახს.

**მერაბ ნაჭყებია**

ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორი

## მერაბ ჩუხუა

ბატონ ტარიელს ვულოცავ დაბადების დღეს!.. მინდა აღვნიშნო, რომ მისი სამეცნიერო გზის დასაწყისი ძალიან მნიშვნელოვანი იყო, მეტადრე იმ პერიოდში, როდესაც ის მოღვაწეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო შემდგომ – ენათმეცნიერების ინსტიტუტში.

ტარიელის ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი არის სწორედ ენათმეცნიერების ინსტიტუტის პერიოდი, საიდანაც მან აიღვა ფეხი, როგორც მეცნიერმა და გაიარა შესანიშნავი სკოლა – არნოლდ ჩიქობავას სკოლა, რომელსაც მაშინ ქალბატონი ქეთევან ლომთათიძე ხელმძღვანელობდა; ასევე, ბატონი თედო უთურგაიძე მონაწილეობდა ძალიან აქტიურად ბესარიონ ჯორბენაძის სემინარებში და სწორედ აქ ჩამოყალიბდა ტარიელი, როგორც ქართველოლოგი და ლინგვისტი.

დრომ წარმოაჩინა, რომ საქართველოს ისტორიაში, განსაკუთრებით, ბოლო პერიოდის ისტორიაში, ორი იდეა არის უკვდავი: თავისუფლების და ეროვნულობის იდეა. არის თუ არა მეცნიერება ეროვნული? ეს მეტად მნიშვნელოვანი კითხვა გახლავთ ჩემთვის და მე ვპასუხობ ამას ცალსახად დადებითად, რომ მეცნიერება, რა თქმა უნდა, არის არა მხოლოდ საქართველოს პირობებში, არამედ, საერთოდაც, ეროვნული, ვინაიდან ის ემსახურება ეროვნულ საქმეს, ეროვნული აღორძინების იდეას.

რაც შეეხება თავისუფლების იდეას, ეს იყო გაცხადებული საქართველოს მთელი ცხოვრების მანძილზე; საქართველოს ბრძოლა თავისუფლებისთვის დაგვირგვინდა კიდევაც 1980-90-იანი წლების მოძრაობით, რომელშიც ბატონ ტარიელ ფუტკარაძეს აქვს მეტად ღირებულ როლი. მისი მოღვაწეობა აჭარაში არის ძალიან პროდუქტიული, გამომდინარე იქიდან, რომ ბატონი ტარიელი რამდენიმე ხნის განმავლობაში იყო ბათუმის პრეფექტი.

როდესაც დაინერება ბიოგრაფია, ასევე მნიშვნელოვანია ლინგვისტური მოღვაწეობა: რა შექმნა ტარიელ ფუტკარაძემ? ყველაზე ღირებულ ლინგვისტურ ნააზრევში გახლავთ პარადიგ-

მა, რომელიც ტარიელ ფუტკარაძის სახელს უნდა ატარებდეს. ეს არის **ახალი პარადიგმა ქართველოლოგიაში**, რომელიც გვერდით დაუდგება არნოლდ ჩიქობავას, თამაზ გამყრელიძის და სხვათა პარადიგმებს, ვითარცა დამოუკიდებელი ორიგინალური ნააზრევი ქართველოლოგიაში.

ჩვენს მეცნიერებაში თეორიებს თავისი ადგილი უნდა მივუჩინოთ, აქ გამოორიცხულია რამე პოლიტიკურის შემოტანა, თუმცა არსებობს მომენტები, როდესაც უმნიშვნელოვანესია საზოგადოებრივი და სამეცნიერო აზრის ერთიანობა, გამთლიანება. ტარიელის თვალსაზრისში, მის ნააზრევეში და თუნდაც მისი პარადიგმის ფარგლებში შესაძლებლად მიმაჩნია სხვადასხვა მიმართულების მეცნიერთა გაერთიანება, ანუ წინააღმდეგობის მოშლა და **დიდი ქართველოლოგიური შეთანხმება საქართველოსთვის** – მე ასე დავარქმევდი. ამ მიმართულებას, რომელსაც ჩემს ლექციებში ვავითარებ, თავის ადგილს მივუჩენ, მაგრამ ვერავითარ შემთხვევაში ტარიელის მოწინააღმდეგეებს, ასე ვთქვათ, მოპაექრე ხალხს მტრებს ვერ დავარქმევდი, ვინც არ უნდა იყონ, ვინაიდან ტარიელი არასდროს არ გადის სამეცნიერო ფორმატიდან. მან არ იცის არასწორი, არარაინდული დარტყმები ამ მიმართულებით და მის მოპირდაპირე მხარესაც ამასვე ვურჩევდი.

ერთი წლის წინ ბატონ ტარიელთან პირად საუბარში ჩვენ შევთანხმდით და მან ეს დაამტკიცა კიდევაც შარშან ნოემბერში ზუგდიდის დიალექტოლოგიურ კონფერენციაზე, სადაც აბსოლუტურად განსხვავებული პოზიციის, მიმართულების წარმომადგენლები იღებდნენ მონაწილეობას; ტარიელმა ღირსეულად ჩაატარა ეს ღონისძიება და წარმოადგინა თავისი თვალსაზრისები.

გამარჯვების დღეს დაბადებულ კაცს – ტარიელ ფუტკარაძეს, როდესაც მსოფლიომ ახალი წესრიგი შექმნა, სხვა საკითხია, ვეთანხმებით – არ ვეთანხმებით, ბევრი რამ კიდევ ელოდება წინ.

**მერაბ ჩუხუა**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

## ერდოგან შენოლი (ერეკლე დავითაძე)

გილოცავთ, ბატონო ტარიელ, დღევანდელ დღეს; მიხარია, რომ თქვენი მეგობარი ვარ.

ჩვენი კავშირი ბატონ ტარიელთან 2008 წელს იწყება და ეს დღე ყოველთვის მახსოვს; მინდა დიდხანს ჯანმრთელი მენახოს და კიდევ რამდენიმე ათეული წელი გააგრძელოს თავისი საქმიანობა ჩვენი ხალხის და ჩვენი მშობლიური მხარის – საქართველოს წინაშე.

მან ღრმად იცის ზოგადად ქართული კულტურის და ქართული იდენტობის, ქართული სახელმწიფოებრივი პრობლემების შესახებ; კარგად იცნობს საქართველოს საზღვრებში თუ საზღვრებს გარეთ მცხოვრები ყველა ქართველის პრობლემებსაც. დაახლოებით, 12 წელია ვხედავ, რას აკეთებს ამ პრობლემების მოსაგვარებლად, ამ ქართული კულტურის და იდენტობის შესანარჩუნებლად.

140 წლის მერე სამშობლოდან მონყვეტილი ერთი ჩვეულებრივი ქართველი დასავლეთ თურქეთში თქვენ გისმენთ, ყველაფერს იგებს და ამასთანავე, მოკრძალებული სიტყვებით თქვენთან საუბარი რომ შეუძლია ამ უცხო გარემოში, ეს საოცრებად უნდა ითვლებოდეს.

გილოცავთ, ბატონო ტარიელ, მრავალჯამიერ თქვენი სიცოცხლე!..

ერდოგან შენოლი (ერეკლე დავითაძე)

თურქეთელი ქართველი



## მაკა სალია

პატივცემულ იუბილარს ვულოცავ დღევანდელ დღეს; არა მარტო მას, არამედ მის სტუდენტებს, კოლეგებს – ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ქართული საქმე, ქართველოლოგია, ქართული კულტურა.

მაქვს პატივი, ეს ძვირფასი ღირსშესანიშნავი თარიღი მივულოცო მას დუზჯეს უნივერსიტეტის სახელით. არ გაგიკვირდებათ, რომ სადაც ქართული საქმე კეთდება, იქ ყოველთვის იყო და არის ბატონი ტარიელი. დუზჯეს უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის მას.

ჩვენთვის – მისი მოსწავლეებისთვის ბატონი ტარიელი ყოველთვის იყო ნიმუში ქართველობის, ერთგულების, მამულიშვილობისა და ღირსების, ამ ფასეულობებით ვაგრძელებთ მის გზას აქ, სამშობლოდან შორს, თურქეთში. უღრმესი მადლობა მას იმ თანადგომისთვის, რომელსაც ყოველთვის ვგრძნობთ მისგან და კიდევ ერთხელ დიდი პატივისცემით, განყოფილებისა და დუზჯეს უნივერსიტეტის სახელით, ვულოცავთ იუბილეს საუკეთესო სურვილებით; მადლობა ყურადღებისათვის.

**მაკა სალია**

ფილოლოგიის დოქტორი, დუზჯეს უნივერსიტეტის პროფესორი

## საიდ გულიანი

მინდა დიდი სიყვარულით, მთელი გულით და სულით მივულო-  
ცო ჩვენთვის უსაყვარლეს, უძვირფასეს ადამიანს იუბილე. ბატონო  
ტარიელ, გილოცავთ, ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ და  
დიდხანს – ასეთი სიცოცხლე!

ბატონი ტარიელი ჩემთვის არის ძალიან კეთილი ძმა და მეგობარი,  
ამავდროულად, მკაცრი და მომთხოვნი ხელმძღვანელიც. ის უფალმა დააჯილდოვა უამრავი ნიჭით, მათ შორის, ერთ-ერთი  
უმთავრესი, რასთანაც ბატონი ტარიელ ფუტკარაძის სახელი  
ასოცირდება, არის ქართველობის და ქართული ენის სადარაჯოზე  
ყოფნა. ბ-ნი ტარიელი არა მხოლოდ საქართველოში აკეთებს ბევრ  
კარგ საქმეს ქართველებისთვის, არამედ, შეიძლება ითქვას,  
რომ ის ერთადერთი ქართველოლოგია, რომელსაც მჭიდრო კავშირები  
აქვს უცხოეთში მცხოვრებ ქართველებთან, მათ შორის – ისტორიულ  
დიასპორასთან. რა თქმა უნდა, ამაში ხელს უწყობს მისი საზოგადოებასთან  
ურთიერთობის ნიჭი და ორატორობა.

ბ-ნი ტარიელი თავისი მეცნიერობით და თავისი სხვა რესურსებით  
ხელს უწყობს უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს თავიანთი მეობისა  
და ქართველობის გაღვიძება-აღორძინებაში. უღრმესი მადლობა,  
ბ-ნო ტარიელ, ამისათვის. სიმართლე გითხრათ, მე რომ ვყოფილიყავი  
სახელმწიფოს მეთაური, ბ-ნ ტარიელს დავნიშნავდი დიასპორის  
მინისტრად იმიტომ, რომ ნამდვილად ეხერხება მას დიასპორასთან  
ურთიერთობა. დღევანდელი დღე მინდა მივულოცო მთელ საქართველოს  
და ქართველობას იმიტომ, რომ ბ-ნი ტარიელი მარტო თავის ოჯახს და  
თავის თავს არ ეკუთვნის; იმდენ საქმეს აკეთებს, რომ ნამდვილად მთელ  
მსოფლიოში მყოფ ქართველობას ეკუთვნის. ძალიან გვიყვარხართ და  
გაფასებთ, ბ-ნო ტარიელ!

ერთი ფაქტი უნდა გავიხსენო: ბ-ნ ტარიელთან ერთად ჩავედი  
ფერეიდანში. 40 წელი იქ ვცხოვრობდი; სოფლებში რომ მივდიოდით,  
მე ერთი-ორი კაცი მცნობდა, ბ-ნ ტარიელს კი – ყველა;

ცოტა მშურდა, რა ამბავია-მეთქი... ძალიან გვიყვარხართ, ბატონო ტარიელ, გაფასებთ და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ!..

**საიდ მულიანი**

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამის  
ქართველური ენათმეცნიერების მიმართულების დოქტორანტი

## ედიშერ ფუტკარაძე

მინდა წარმოგიდგინოთ პატარა შემოქმედება აკროსტიქის სახით, რომელიც ჩემს უფროს მეგობარს და კოლეგას, ბ-ნ ტარიელს მიუძღვნენ:

**ბ** კბილი სიტყვით მოუბარი,  
**ა** მაგდარი, სიბრძნის მთქმელი,  
**რ** ამდენი ნაშრომი შექმენ,  
**ი** ცის ყველამ ტარიელი?  
**ა** სე გველოს ცხოვრებაში,  
**ლ** აღად, იყავი დღეგრძელი,  
**ი** მედი ხარ ფილოლოგთა –  
**ფ** უტკარაძე ტარიელი.  
**ა** ხვად შექმენ ნაშრომები,  
**ბ** აო-კლარჯეთს ეფერები,  
**ქ** არგად იცი ენის ფასი,  
**ა** მაზე არ გაჩერდები.  
**რ** ადგან კვლავაც უნდა შექმნა,  
**ა** ხალ-ახალი შრომები.  
**ქ** ვირფასია, რომ შრომებთან  
**ა** რთად შენ გყავს მეგობრები.

წინსვლასა და წარმატებებს გისურვებ!

### ედიშერ ფუტკარაძე

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლისა და დიპლომატიის ფაკულტეტის პროფესორი, სისხლის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი

## ნინო მამარდაშვილი

უკვე 42 წელია, ვიცნობთ მე და ტარიელი ერთმანეთს; როგორი მოქალაქე, პოლიტიკოსი, მეცნიერი და ლექტორიც არის, ასეთივე საუკეთესო სტუდენტი იყო. მინდა მისი განსაკუთრებული თვისებები გამოვყო:

ტარიელი არის საქართველოზე შეყვარებული კაცი – ეს მისი გამორჩეული თვისებაა. ძალიან ერთგული და კარგი მეგობარია; ძვირფასი ოჯახის მამაა. რა თქმა უნდა, შემთხვევითი არ არის მისი არჩევანი – კარგი გემოვნება აქვს ტარიელს და იმიტომ აარჩია ასეთი შესანიშნავი მეუღლე, ქალბატონი ია, რომელიც, მართლაც, გვერდში უდგას მუდმივად. შესანიშნავი შვილები ჰყავთ; მოხიბლული ვარ ნათიას წარმატებებით: ამ ახალგაზრდა მეცნიერს ძალიან დიდი მომავალი აქვს.

კიდევ ერთხელ გილოცავ, ტარიელ, დიდი სიყვარულით, სიტბოთი, საუკეთესო სურვილებით; მინდა, რომ დიდხანს, ძალიან დიდხანს შეძლო გააკეთო ბევრი სასიკეთო საქმე. გილოცავ, გისურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს და აქტიურ, ლამაზ ცხოვრებას!..

### ნინო მამარდაშვილი

ფილოლოგიის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის პროფესორი

## ეკა დადიანი

მინდა, როგორც ბ-ნი ტარიელის პირველმა დოქტორანტმა, ვისარგებლო ამ პრივილეგიით და გამოვხატო ჩემი მადლიერება, განსაკუთრებული სიყვარული, მოკრძალება და მივულოცო მას ეს შესანიშნავი იუბილე.

ბ-ნი ტარიელის ერთ-ერთი გამორჩეული თვისებაა, ასპარეზი მისცეს ახალგაზრდებს. მე ჩემი მხრიდან ვიტყვი: ჩემი, როგორც მეცნიერის, ჩამოყალიბებაში განუზომელია ბ-ნი ტარიელის ღვაწლი და კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვეტყვი ამისთვის.

იშვიათია მეცნიერი, რომელსაც ამდენი დოქტორი ჰყავდეს გაზრდილი. მას აქვს უნიკალური თვისება, ახალგაზრდებში შეამჩნიოს, აღმოაჩინოს მათი შესაძლებლობები და ყოველმხრივ დაეხმაროს ამ შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენაში. ამის მომსწრე ვართ ჩვენ და ვიცით: მისი არაერთი აღზრდილი აქტიურად მოღვაწეობს სხვადასხვა უნივერსიტეტში, წარმატებული მეცნიერებიც არიან და ა.შ.

ბ-ნი ტარიელს დღეს ნამდვილად შეუძლია თქვას, რომ 60 წლის ასაკში არის ძალიან ძლიერი და ბედნიერი იმიტომ, რომ მის უკან დგას მყარი ოჯახი – არაჩვეულებრივი მეუღლე, შვილები, შვილიშვილები; ასევე – მისი აღზრდილები, მისი დაკვალიანებული მაგისტრანტები, დოქტორანტები, დღეს უკვე დოქტორები, ათასობით სტუდენტი; მათთან თავს ასევე ბედნიერად გრძნობს ბ-ნი ტარიელი, ვისთან ურთიერთობაც ძალიან ბევრს ახარებს.

კიდევ ერთხელ ვულოცავ მას და მიხარია, რომ ასე კარგად გამოიყურება დღეს. ბ-ნო ტარიელ, მინდა კიდევ დიდხანს, დიდხანს გიყუროთ ასე ენერგიულს და აქტიურს!..

## ეკა დადიანი

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ქართველოლოგიის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი

## როინ ყავრელიშვილი

ბატონ ტარიელს ვულოცავ იუბილეს!.. ის არის ჩვენი მასწავლებელი 90-იანი წლებიდან; სამცხე-ჯავახეთში, როცა თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალი გაიხსნა, იმ დღიდან ვიცნობ. 30 წელია, მე მასთან მაქვს ურთიერთობა და ვხედავ, რომ არის მართალი კაცი; სწორი გზა აირჩია როგორც მეცნიერებაში, ასევე პიროვნებებთან ურთიერთობაში.

ბ-ნო ტარიელ, მართალი კაცი ბრძანდებით. კარგი პიროვნება, ერის მოყვარული, მეგობრების მოყვარული და თქვენს მაგალითზე ძალიან ბევრი ადამიანი გაიზრდება, დარწმუნებული ვარ.

**როინ ყავრელიშვილი**

ისტორიის დოქტორი, სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის  
პროფესორი

## ბიძინა გურჩიანი

დღეს მე ამაყი ვარ იმით, რომ მეძლევა საშუალება, საქართველოს ძირძველი, მაღალმთიანი სვანეთის ერთ-ერთ უმშვენიერეს სოფელ ეცერიდან მივესალმო და მივულოცო დაბადების დღე ბ-ნ ტარიელს. ის მე გავიცანი ორი წლის წინ ქუთაისში, როდესაც ვესწრებოდი ჩემი ნაბოლარა ქალიშვილის დისერტაციის დაცვას მისი ხელმძღვანელობითა და თანადგომით; მხვდა წილად ბედნიერება, ბატონ ტარიელთან ერთად ქართული ტრადიციით სასმისიც ამელო.

დღეს მე ვიღებ ხელში სალ კლდეებში დაბადებული, გალალეებული ჯიხვის ყანწს, რომელიც სავსე არის ოჯახური 60-გრადუსიანი სვანური ორნახადი არყით... ბატონო ტარიელ, მე არ მაქვს იმ დონის გონება, რომ აღვწერო თქვენი ყოველგვარი მოღვაწეობა, მაგრამ მეცნიერებმა ილაპარაკეს თქვენს ღვაწლზე და მეამაყება, რომ თქვენი ნაშრომი ჩემი სამაგიდო წიგნია. დღესაც, მიუხედავად ჩემი ასაკისა, მე წიგნებს არ ვწყდები და მიხარია, რომ საქართველოს ჰყავს თქვენისთანა სასიქადულო მეცნიერები.

გისურვებთ ჯანმრთელობას დიდხანს და დიდხანს საქართველოს სასიქადულოდ, ასევე – ოჯახურ ბედნიერებას, წარმატებას პირად და საერთო საქმეში.

ამასთან ერთად, მინდა ვისარგებლო შემთხვევით: თქვენ ბედნიერი და გამარჯვებული კაცი ხართ იმიტომ, რომ დაბადებული ხართ მსოფლიოში ყველაზე სისხლიანი ფაშისტური რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლაში გამარჯვების დღეს.

**ბიძინა გურჩიანი**

ფილოლოგი, პენსიონერი პედაგოგი



## როლანდ ფუტკარაძე

ჩვენს გვარში აქტიურ და ენერგიულ პიროვნებას, რომელიც ამჟამად მუშაობს ფუტკარაძეთა საგვარეულო კავშირის წიგნზე, დიდი წვლილი მიუძღვის საგვარეულო კავშირის შექმნაში.

საგვარეულო კავშირის სახელით, მინდა მოგილოცოთ სამოცი წლის იუბილე და გისურვოთ ჯანმრთელობა, ბედნიერება და წარმატებები ცხოვრებაში.

ბატონი ტარიელი არა მარტო გვარისთვის, ოჯახისთვის, ნაცნობ-მეგობრებისთვის, კოლეგებისთვის საყვარელი პიროვნებაა და ყოველთვის ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს საქართველოს კეთილდღეობაში. ჩვენ ისე გვიყვარს ბატონი ტარიელი, რომ რამდენიმე ფუტკარაძე აჭარიდან ვაპირებდით ჩამოსვლას ამ დღეობაზე, მაგრამ ახლა ასე მოგვიწია მოლოცვა. დაგლოცავთ! მრავალჟამიერი ყოფილიყოს!

**როლანდ ფუტკარაძე**

ფუტკარაძეთა კავშირის წევრი

## **გურამ ფუტყარაძე**

ბატონო ტარიელ, გილოცავთ ამ შესანიშნავ იუბილეს. თქვენ ხართ დიდი ადამიანი არა მარტო ჩვენი კუთხისთვის, ჩვენი მხარისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის. დღევანდელი დღის აღსანიშნავად მინდა გაჩუქოთ აბუსერიძე ტბელის სურათი.

### **გურამ ფუტყარაძე**

მხატვართა კავშირის თავმჯდომარე

## **მიხეილ ლაბაძე**

მინდა მივულოცო ბატონ ტარიელს დაბადების დღე და ასევე მივულოცო მისი ოჯახის წევრებს: დედას, შვილებს და მთელ საქართველოს მისი დაბადების დღე. გაიხარეთ, ბატონო ტარიელ, ღმერთმა შეგაძლებინოთ იმაზე მეტის გაკეთება, რაც გაქვთ გაკეთებული.

### **მიხეილ ლაბაძე**

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მკვლევარი

## ტარიელ ფუტკარაძის სამადლოჯელი სიტყვა

ბატონო სერგო, პირველ რიგში, მინდა თქვენ გითხრათ მადლობა, რომ ასეთი ორგანიზება გაუკეთეთ დღევანდელ დღეს; კოვიდიანობის უამს მაინც შექმენით ეს გარემო, რომ ვყოფილიყავით სტუმრად თქვენთან ჩემს დაბადების დღეზე. მადლობას გიხდით!.. – ეს არ არის მხოლოდ ჟესტი; მართლაც, საოცრად კარგად დაგეგმეთ ეს ყველაფერი, შეიკრიბა მთელი ჩემი სამეგობრო, დიდი ნაწილი, ზოგი ვერ შემოუერთდა, მაგრამ მნიშვნელობა არ აქვს – ყველა აქ იყო სულით და გულით. დიდი მადლობა დღევანდელი, გამორჩეული „თამადობისათვის“ – თამადობა, რა თქმა უნდა, ბრჭყალებში, მაგრამ მაინც იყო სიმბიოზი აკადემიზმისა და სუფრის ელემენტებისა.

რა მომცა დღევანდელმა დღემ? ეს ძალიან კარგი კითხვაა, იმიტომ რომ სამოცი წელი მაინც შეჯამებაა; რალაც მომენტში ეს შეჯამება, თითქოსდა, არ მომწონდა, იმიტომ რომ, როგორ ვთქვა... თითქოს საკუთარი პანაშვიდიც კი დავინახე, მაგრამ არ მინდა, ჯერ ახალგაზრდა ვარ და არ მინდა ისე ვიფიქრო, თითქოს ჯამდება ცხოვრება. ჯერ კიდევ ყველაფერი წინ არის და ვიტყვი იუმორით: სამოცი წლის ბიჭი მზად ვარ, კიდევ ძალიან ბევრი რამე გავაკეთო და კიდევ გავაკეთებ ჩემი მეგობრების, ჩემი კოლეგების და ყველა სხვა ადამიანის თანადგომით, ვინც შემოვიდა დღეს აქ და ვინც შემოვა.

საინტერესო ნიუანსი იყო, რომ დღეს აქ ურთიერთსაპირისპირო მოსაზრების მქონე ადამიანები იყვნენ შემოსული. ძალიან მიყვარს ასეთი გამოთქმა: თუ მონვეულებიდან ვინმე არ მომწონს და დაბადების დღეა ჩემი მეგობრის, მე მაინც წავალ ჩემი მეგობრის დაბადების დღეზე – მე მიხარია, რომ დღეს, ჩემი მეგობრობის გამო, ურთიერთგამომრიცხავი ფსიქოლოგიის და ცნობიერების ადამიანები შემოვიდნენ და ითანამშრომლეს ამ ფორმატში; ეს არის სიყვარულით გაერთიანება, ეს არის ძმობით გაერთიანება; ხანდახან პირად ტკივილზე მალლა დადგომა მეგობრობა და ერთიანი საქმისადმი ერთგულება.

მე მინდა ვუთხრა მადლობა დედაჩემს, რომელიც მაინც ყველაზე მეტად განიცდიდა ამ დღეს; რა თქმა უნდა, მინდა მადლობა ვუთხრა ჩემს ძმებს, რომლებიც აქ არიან და ვიტყვი, რომ სანიმუშო ძმობაა ჩვენ შორის. რა თქმა უნდა, მადლობას ვუხდი ჩემს შვილებს, მაგრამ დღეს მე ვარ მილიარდელი:

მე დავწერე ერთი წერილი: „როგორ გავხდი მილიარდელი“, იმიტომ რომ ერთი დოქტორანტი ერთი მილიარდია და დოქტორანტები, შვილები, ასეთი ოჯახი, ასეთი მეგობრები და კოლეგები მილიარდობაა ჩემი, ეს ჩემი ყველა მილიარდი თქვენია, რადგან ჩვენ ვართ მილიარდელები ერთმანეთით.

მე მინდა ვუთხრა მადლობა ჩემს ქუთაისელ კოლეგებს, მეგობრებს. ბატონო როლანდ, უღრმესი მადლობა ძმობისთვის, მეგობრობისათვის. მადლობა ყველა ჩემს ქალაქს: ზუგდიდს, თელავს, ქუთაისი ხომ ჩემი მშობლიური ქალაქია, ასევე ბათუმს. ყველას გეფერებით, არ მინდა, რომ ჩამოვთვალო. ბატონო როლანდ (თოფჩიშვილი), ძალიან დიდი მადლობა, იმიტომ რომ ქუთაისში ყველაფერი თქვენი თანადგომით დაიწყო და მე ვფიქრობ, რომ დღეს გამრავალფეროვნებულია ქუთაისში სამეცნიერო ცხოვრება – იქ დარჩა ძალიან ძლიერი ფესვი.

ბევრს არ აინტერესებს ქართველოლოგია, მაგრამ ჩვენ მაინც ენთუზიაზმით გაგვაქვს ეს ყველაფერი და კიდევ გავიტანთ, იმიტომ რომ ჩვენს უკან არის ჩვენი სამშობლო და ჩვენ თუ არ ვიქნებით, ცუნამი მიაწყდება... ჩვენ ეს ცუნამი უნდა გავაჩეროთ მეცნიერებით, კაცობით, ჩვენი ღირსებით, ჩვენი მოღვაწეობით. ჩვენი ეს სამსახურთაღიანი შეხვედრა არის ძალიან სიმბოლური, რომ შეგვიძლია ერთად დგომა; ვერც ერთი ტანკი, მით უმეტეს, ეს სანყალი კორონა ჩვენ ვერ მოგვერევა და ჩვენს ერთიანობას დავლოცავდი დღეს, ბატონო სერგო, თქვენი თამადობით, თქვენი მეთაურობითა და ღირსეული წინამძღოლობით. ჩვენ, ყველანი, ვინარჩუნებთ ერთმანეთს და ქართულ საქმეს. დიდი მადლობა, რომ შედგა ეს დღე და დავლოცავ ყველა სტუმარს...

ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო  
ბიბლიოთეკის XII საერთაშორისო სამეცნიერო  
ონლაინკონფერენცია, მიძღვნილი  
პროფ. ტარიელ ფუტყარაძის 60 წლის იუბილესადმი.  
24-25 ოქტომბერი, 2020 წელი

### როლანდ კოპალიანი

მოგესალმებით, ძვირფასო მეგობრებო! პირველ რიგში, გულ-წრფელად დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ადმინისტრაციას და კოლექტივს, რომლებიც ყოველწლიურად გვანებიერებენ მსგავსი ღონისძიებებით. მე მქონდა პატივი, შარშან მიმელო მონაწილეობა კონფერენციაში, რომელიც ეძღვნებოდა შიდა ქართლს. დღეს არის საერთაშორისო კონფერენცია, რომელიც ეძღვნება აჭარას და რამდენადაც მახსოვს, შემდეგი კონფერენცია მომავალ წელს მიეძღვნება აფხაზეთს.

მე მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ვთქვა, რომ ეს კონფერენცია, რომლის თემაც არის აჭარა, ეძღვნება ჩვენი მეგობრის, გამოჩენილი, სახელოვანი ქართველის, პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის საიუბილეო თარიღს. მინდა, ორიოდე სიტყვა ვთქვა ამ პიროვნებაზე: იშვიათად მინახავს ჩემს სანაცნობო წრეში მსგავსი აქტიური, პროგრესულად, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და ამავდროულად უბრალო ადამიანი... ასე მგონია, თითქოს მთელი ჩვენი ცხოვრება იყოს გადაჯაჭვული ერთმანეთთან, არადა, ბ-ნ ტარიელთან ჩემს მეგობრობას სულ ახლახან ჩაეყარა საფუძველი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ მან თავისი ადამიანობით, ინტელექტით, უბრალოებით, ღირსეული კონკურენტუნარიანობით შეძლო მოენადირებინა ყველას გული. არ მეგულება ქვეყნის მასშტაბით არც ერთი საგანმანათლებლო სივრცე – სასწავლო თუ სამეცნიერო, რომლის ნევრებიც გამსჭვალული არ იყვნენ დიდი მოწინებითა და პა-

ტივისცემით ამ პიროვნებისადმი. ეს არის მისი დიდკაცობა და უბრალოება.

გამიმართლა იმ კუთხით, რომ შარშან ვიყავი მის ოჯახში, ჩვენი ქვეყნის ულამაზეს კუთხეში – ზემო აჭარაში, სადაც მომინია ბატონი ტარიელის ოჯახში დარჩენა... მაინტერესებდა, როგორ შეიძლება ადამიანმა თავი მოუყაროს ძალიან მოკლე პერიოდში (60 წელი არაფერია) ამდენ შრომასა და მიმართულებას ერთობლივად. დავინახე, რომ ბ-ნ ტარიელს ეს ბიძგი მისცა მისმა დიდმა ოჯახმა, იმ ბრწყინვალე კუთხეში, ხალხმა, რომელშიც მაღალი ხარისხით არის შემორჩენილი უფროსისადმი პატივისცემა, ტრადიციები, ქვეყნის სიყვარული. წელს მქონდა პატივი, კიდევ ერთხელ ვყოფილიყავი ბ-ნი ტარიელის სტუმარი მეუღლითურთ ზემო აჭარაში, სადაც მოხდა მართლაც ისტორიული მნიშვნელობის ღონისძიება. ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ მე იქ ჩვეულებრივ ფორმატში შევძლებდი ასვლას, მაგრამ რაღაცამ მომცა ეს ენერჯია, ძალა და მე თავისუფლად ავედი ზემო აჭარის ერთ-ერთ უმაღლეს წერტილში – მგონი, ზღვის დონიდან 2000 მ. სიმაღლეზე, სადაც მოხდა კუნტიჯვარის აღმართვა.

მეგობრებო, ძვირფასო კოლეგებო, ბ-ნ ტარიელს ქუთაისთან, რამდენადაც მე მაქვს ინფორმაცია, აკავშირებს ძალიან დიდი ხნის ურთიერთობა. ის იწყება 90-იანი წლებიდან. მე ეს უკვე ვთქვი, როცა ბ-ნი ტარიელის საიუბილეო თარიღი აღინიშნა ბ-ნი სერგო ვარდოსანიძის ინიციატივით, შემდეგ – ბ-ნი გიორგი სოსიაშვილის ინიციატივით და დღეს, ბ-ნო გია, დიდ მადლობას გიხდით კიდევ ერთხელ, რომ ამ დიდ ქართველს, ამ, მართლაც, ბუმბერაზ ადამიანს ვეხმიანებით იმერეთიდან.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ბ-ნო ტარიელ, დედათქვენს, ქ-ნ ნათელას ვუსურვო ჯანმრთელობა, დღეგრძელობა, თქვენს დიდ ოჯახს – წარმატებები და თქვენ კიდევ ერთხელ მინდა გითხრა: რა უნდა გისურვოთ, თითქმის ყველაფერი გაქვთ მონესრიგებული, გაკეთებული, მაღალ დონეზე წარმოდგენილი და წარმოჩენილი; ერთადერთი, რაც შემიძლია გისურვოთ, არის ჯანმრთელობა, ჯანმრთელობა და კიდევ ჯანმრთელობა. დანარჩენი,

ყველა წარმატება, ყველა რეგალია გაქვთ. მინდა კიდევ ერთხელ ჩემს კოლეგებს და ჩემს თავსაც მივულოცო თქვენი საიუბილეო თარიღი და უამრავი წარმატება გისურვოთ!

**როლანდ კოპალიანი**

ქუთაისი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
რექტორი

## ბიორგი კაკელიძე

მოგესალმებით!.. პირველ რიგში, მინდა, მივესალმო უშუალოდ ქუთაისის ბიბლიოთეკას – საქართველოს ერთ-ერთ საუკეთესო ბიბლიოთეკას, მის ხელმძღვანელსა და იმ ადამიანებს, რომლებიც იქ მუშაობენ და ატარებენ მართლა ფუნდამენტურ სამუშაოებს არა მხოლოდ ამ კონფერენციის სახით, არამედ ყოველდღიური სამუშაოს ფორმატში... ბუნებრივია, ძალიან მნიშვნელოვანია ეს კონფერენციები, რომლებიც ახლა პანდემიის პირობებში ტარდება, სამწუხაროდ, ონლაინფორმატში, თუმცა ამასაც, გარკვეულწილად, თავისი პლუსები აქვს – ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან ვეხმიანებით ერთმანეთს და ეს, ერთგვარად, სიმბოლურიც არის.

მინდა შევეხო აჭარის თემასაც. ჩემთვის აჭარა და აჭარელი არის გადარჩენისა და გამარჯვების ისტორია და ამ თვალსაზრისით, ყოველთვის სამაგალითოდ მივიჩნევ იმ ადამიანებს, რომელთაც უამრავი სირთულე, ტანჯვა გამოიარეს და არ დაუკარგავთ ქართველობა, ღირსება და სამაგალითოებად იქცნენ ნებისმიერი ჩვენგანისთვის... ისინი, განსაკუთრებით მაღალმთიან აჭარაში მცხოვრებნი, დიდ პატივისცემას იმსახურებენ.

ამავდროულად, ძალიან დიდი პატივისცემით მინდა მივულოცო იუბილე ბატონ ტარიელ ფუტყარაძეს, რომელსაც მე, წლებია, ვიცნობ. ის ჩემი მეგობრისა და კურსელის მამა გახლავთ; არის შესანიშნავი მეცნიერი. მახსოვს, სხვათა შორის, ის სულ პირველი სუფრა, როდესაც მასთან ვიყავით სტუმრად (ჯერ კიდევ პირველკურსელები გახლდით); ის ძალიან დიდი სიტბო, დარიგება და ზუსტი მინიშნებები, რომლებიც მაშინ ბ-ნმა ტარიელმა შემოგვთავაზა თითოეულ ჩვენგანს (რამდენიმე ადამიანი ვიყავით), დღემდე მახსოვს. ვრცლად აღარ ვისაუბრებ მის დიდ სამეცნიერო მოღვაწეობაზე და ვუსურვებ, პირველ რიგში, ამ კონტექსტის გათვალისწინებით (მიუხედავად იმისა, რომ მისი ასაკი დიდი არ არის და ნამდვილად არ მიეკუთვნება რისკჯგუფებს), ჯანმრთელობას. სხვა დანარჩენ ამბავს, ბუნებრივია, ის შესანიშნავად გაუმკლავდება და ამის მაგალითი მის-



მა ცხოვრებამ მოგვცა. ყოველთვის მიგულეთ თქვენს გვერდით.  
ძალიან დიდი მადლობა.

**გიორგი კეკელიძე**

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის  
დირექტორი

## მაკა პერიძე

მოგესალმებით, დიდი პატივისცემით მივესალმები ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკას, მოგესალმებით, პირადად, თქვენ, ბატონო გრიგოლ; მივესალმები თქვენს პროფესიონალ თანამშრომელთა გუნდს და გამოვხატავ უდიდეს პატივისცემას იმ ინსტიტუციის მიმართ, რომელიც წლების განმავლობაში არის მაგალითი საბიბლიოთეკო საქმიანობისა, მაგალითი იმისა, თუ სხვადასხვა დროს, გაჭირვებასა თუ ლხინში, წარმატებასა თუ წარუმატებლობაში, სხვადასხვა ხელისშემშლელ თუ ხელისშემწყობ პირობებში როგორ თანაბრად, თანაზომიერად, მედგრად შეიძლება საქმის ერთგულება.

ბევრი მიზეზი მქონდა, რომ დღეს ვერ ჩავრთულიყავი, ოჯახის წევრები თვითიზოლაციაში არიან კორონას გამო. ჩემი ჯანმრთელობაც მთლად სახარბიელო არ არის, თუმცა ძალიან დიდი იყო მოტივაცია, შემოვერთებოდი ამ კონფერენციას, ვინაიდან იგი უმნიშვნელოვანეს თემას, აჭარას ეხება. აჭარის ისტორია გახლავთ ყველაზე უფრო ახლოს ჩვენთვის, სამცხისთვის, ჯავახეთისთვის, ასევე სრულიად საქართველოსთვის; ამიტომ, ვფიქრობ, უმნიშვნელოვანესია გადაწყვეტილება, რომ დღევანდელი კონფერენცია მიეძღვნას აჭარას. რადგან ამდენი მეცნიერი იღებს მონაწილეობას – იკვლევს ამ თემატიკას, ვფიქრობ, რომ აჭარის მეცნიერული შესწავლის საკითხი სათანადო დონეზეა, რასაც მივესალმები და ძალიან მახარებს.

არაერთხელ მქონდა საშუალება, ბატონი ტარიელისთვის საიუბილეო თარიღი მიმელოცა. რა თქმა უნდა, კიდევ ერთხელ დიდი სიამოვნებით მივულოცავ ამ ადამიანს საიუბილეო თარიღს და ჩვენი გადასახედიდან მინდა ვთქვა: არ დავიღლებით, აღვნიშნოთ იმ ადამიანების ღვაწლი, არ დავიღლებით, მივულოცოთ იუბილეები, ვუსურვოთ წარმატებები და გამოვხატოთ თანადგომა იმ ადამიანების მიმართ, რომელთაც სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების ისტორიაში წვლილი მიუძღვით და უშუალოდ ყოფილან თანამონაწილე ამ უნივერსიტეტის

საქმიანობის. სწორედ ამ ფაქტიდან გამომდინარე, მივესალმები ბ-ნ ტარიელს, ვუსურვებ ისეთივე ხვავბარაქიან შემოქმედებით საქმიანობას, როგორც აქამდე ჰქონდა.

კიდევ ერთხელ მინდა დავაფიქსირო უდიდესი პატივისცემა ქუთაისის ილია ჭავჭავაძის საჯარო ბიბლიოთეკისადმი და გამოვხატო უდიდესი პატივისცემა იმისთვის, რასაც თქვენ მატერიალური თუ სულიერი თანადგომით იჩენთ ჩვენი უნივერსიტეტისადმი. უღრმესი მადლობა.

**მაკა ბერიძე**

სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის რექტორი

## მერაზ ბერიძე

მოგესალმებით, ბატონო გრიგოლ! მივესალმები ჩვენი კონფერენციის მონაწილეებს.

ამ ლამაზი შემოდგომის დღეს დისტანციურად გვინდა კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ერთმანეთი და ერთ-ერთი ყველაზე შესანიშნავი თემა, რომელსაც აჭარა ჰქვია. მე აჭარასთან ბევრი რამ მაკავშირებს. უპირველესად – ჩემი სამეცნიერო საქმიანობა, რომელიც დაიწყო აჭარაში; 1970–იან წლებში აჭარა სოფელ-სოფელ მოვიარე და ონომასტიკური მასალა ჩავინერე. სამწუხაროდ, მე ჯერ გამოცემული არა მაქვს ეს მასალა. ეს იყო ჩემთვის აჭარის ბოლომდე ახსნა – ბოლომდე გაგება, აჭარლობის – დიდი ქართველობის სრული შეგრძნება. ერთი მაგალითი მინდა მოვიყვანო: იქ მე რამდენიმე ღამე ოდაში გამითენებია და დილით, როცა გამოვსულვარ, მიგრძვნია ის, რასაც დიდი სტუმარმასპინძლობა, დიდი აჭარლობა ჰქვია. პირველად აჭარაში გავაცნობიერე, რას ნიშნავს მესხეთი, იმიტომ რომ აჭარლებმა, როგორც მეზობლებმა, პირველად მითხრეს: ჩვენ ახლა მესხეთში მივდივართო. საქართველოს არცერთ კუთხეში არ უთქვამთ ეს. არავინ ამბობს, როცა იმერეთიდან, კახეთიდან, სხვა რეგიონებიდან მიდიან, მესხეთში მივდივართო. ამბობენ: მივდივარ ახალციხეში, ახალქალაქში და ა.შ.

„ჩვენი მესხები“ – ეს სიტყვები აჭარაში გავიგე პირველად და იმ განცდით, იმ დამოკიდებულებით მოვდივარ დღემდე – ეს მავსებს. ამიტომ დიდი მადლობა მინდა მოგახსენოთ, რომ ამ შესანიშნავი კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობის საშუალება მომეცით. მადლობა, პირველ რიგში, ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკას, ბ-ნ გრიგოლს, მთელ კოლექტივს.

ამასთანავე, ჩემს მეგობარს, ჩემს ტარიელს მინდა მივულოცო 60 წელი.

60 წელი კარგია; როცა ბევრ და დიდ საქმეს აკეთებ, ბევრია და მოსავლიანია, მაგრამ ჩემი გადასახედიდან ვფიქრობ, რომ არც ისე ბევრია 60 წელი; უფროსი თაობის წარმომადგენლები

დამეთანხმებიან, რომ ჯერ ბევრი რამ წინაა. კიდევ ერთხელ მოგესალმებით და ტარიელს წარმატებას ვუსურვებ; იმედი მაქვს, რომ ის ბევრად მეტს შექმნის 60 წლის შემდეგ და კიდევ უფრო მეტად ფასეულს, ვიდრე მანამდე შექმნა. დალოცვილი ბრძანდებოდეთ!..

**მერაბ ბერიძე**

სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე

## ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ძვირფასო მეგობრებო, მეც ვუერთდები საერთო განწყობილებას და რამდენიმე ასპექტით მინდა გამოვხატო ჩემი დამოკიდებულება იმ ტრადიციისადმი, რომელიც დამკვიდრდა ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკაში: ეს ტრადიცია არის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ეს უპრეცედენტო მოვლენაა: არც ერთ ბიბლიოთეკას არასდროს ასეთი ტრადიცია არ დაუმკვიდრებია საქართველოში და ეს ძალიან მნიშვნელოვანია თუნდაც იმ თვალსაზრისით, რომ ამ კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები გამოდის კრებულების სახით. ეს ჩვენი მეცნიერებისათვის დიდი შენაძენია, რომელსაც არამარტო დღეს აქვს მნიშვნელობა.

ერთი კარგი მიმართულებაც შეიძინა ამ კონფერენციამ ბოლო პერიოდში – საქართველოს გარკვეულ კუთხეებს ეძღვნება და იქ არსებული ვითარება მეცნიერული შესწავლის საგნად არის ქცეული. ამჯერად ის აჭარას ეძღვნება. ამას მომავალში უფრო მეტი ფასი ექნება, როცა საქართველოს ყველა კუთხე იქნება წარმოჩენილი და ამით შეძლებისდაგვარად ერთ დიდ მატრიანეს შეექმნით. ამისთვის არ შეიძლება დიდი მადლობა არ ვუთხრათ კონფერენციის ორგანიზატორებს.

რაც შეეხება მეორე საკითხს: ეს კონფერენცია, რომელიც საქართველოს კუთხეებთანაა დაკავშირებული, გარკვეულ ასოციაციებს იწვევს ხოლმე ცალკეულ პიროვნებებთან, რომლებიც ამ კუთხის შვილები არიან. სავსებით ლოგიკურია და ბუნებრივი, რომ ჩვენი დღევანდელი კონფერენცია უკავშირდება ბ-ნ ტარიელ ფუტყარაძეს; იგი საუკეთესო ფორმით წარმოაჩენს იმ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, რომლებიც ქართულ მეცნიერებას აქვს საზოგადოდ და კონკრეტულად – ამ კუთხის შვილებს.

ერთი გარემოება მინდა აღვნიშნო: ბ-ნ ტარიელთან ხანგრძლივი მეგობრული ურთიერთობა მაკავშირებს და ამ ურთიერთობის პერიოდში ხშირად დავრწმუნებულვარ მის მრავალმხრივ საქმიანობასა და მოღვაწეობაში. მინდა გამოვყო... ხიდის გადების აქ-

ტიური მცდელობა ისტორიული ავბედობის გამო ქვეყნის სახელმწიფო საზღვრებს გარეთ დარჩენილ ქართველებთან. თურქეთში ჩვენ ბევრჯერ ვყოფილვართ ერთად და გავისხენებ 2009 წლის პერიოდს: 2 კვირის განმავლობაში, ფაქტობრივად, მთელი თურქეთი მოვიარეთ, უამრავ ქართველს შევხვდით და ამ შეხვედრების ორგანიზატორი, მეკავშირე, თუ შეიძლება ასე ითქვას, ბ-ნი ტარიელი იყო. ამ მოგზაურობის პერიოდში მოგროვილი მასალების შედეგად შეიქმნა ძალიან საინტერესო დოკუმენტური ფილმი, რომელიც არა მარტო საქართველოში, არამედ თურქეთის ქართველობაშიც გახდა პოპულარული.

ასევე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო ბ-ნი ტარიელის აქტიური ურთიერთობა ირანში, განსაკუთრებით, ფერეიდანში მცხოვრებ ქართველებთან; ასე აქტიურობაში განვლო მისი ცხოვრების სამოცმა წელმა. მივესალმები მას და ვუსურვებ ჯანმრთელობას! ასე შემართებით, ენერგიით კიდევ დიდხანს გაეგრძელებინოს თავისი მოღვაწეობა და საქმიანობა; დიდი მადლობა! წარმატებას ვუსურვებ ჩვენს კონფერენციას.

### **ავთანდილ ნიკოლეიშვილი**

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული  
ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

## ნოვადი ბართია

მოგესალმებით კონფერენციის მონაწილეებს! მოგესალმებით, ბ-ნო ტარიელ!.. აი, მაგიდაზე მიდევს თქვენი წიგნი „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“, რომელიც მართლა სამაგიდო წიგნია ყველა ქართველისათვის. თქვენ ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ისტორიის ფონზე გააშუქეთ ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები და დასახეთ ძღვევის გზები. ერთ მომენტს მინდა გავუსვა ხაზი: ბ-ნმა ტარიელმა ქუთაისში მოღვაწეობა რომ დაიწყო, იყო საშინელი 90-იანი წლები. მაშინ შეიქმნა დიალექტოლოგიის ინსტიტუტი. მაშინ ვერც მე და ვერც, ალბათ, სხვა ვერ წარმოიდგენდა, რომ გავიდოდა 20-25 წელი და ასეთ შედეგს მივიღებდით. ბ-ნმა ტარიელმა რომ პირველი კონფერენცია ჩაატარა, მას შემდეგ, ალბათ, 25-მდე ასეთი კონფერენციაა ჩატარებული ქართველოლოგიაში და ყველა მათგანს ლაიტმოტივად გასდევს ის, რაც თითოეულ ქართველს აწუხებს დღეს საქართველოში – ჩვენი ყოფიერების, ჩვენი ისტორიის პრობლემები. შეიძლება ითქვას, რომ ამ კონფერენციებზე წაკითხულ მოხსენებათა და წამოჭრილ პრობლემათა საფუძველზე შეიქმნა ეს წიგნი, რომელიც გამოვიდა ერთი წლის წინ; იგი გახლავთ ერთგვარი რეზიუმე იმ წლებისა, ამ კონფერენციებში მონაწილე სახელგანთქმულ მეცნიერთა ნააზრებისა. ეს ძალიან დიდი საქმეა, მე ვულოცავ მას ამ წიგნის გამოსვლას და ვულოცავ ყველა ქართველოლოგს, მთელს ქართველოლოგიას. ბ-ნი ტარიელის ინტერესების სფეროში მოიაზრება არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ქართველები. ბ-ნმა ავთანდილმა გაიხსენა მოგზაურობა ბ-ნ ტარიელთან ერთად თურქეთში, თუ რა სამუშაოებს ატარებდა ის იქ. მეც ასევე შემიძლია ვთქვა ფერეიდნის მიმართულებით, თუ რა ძალისხმევა გამოავლინა მან ქართულ-ფერეიდნულ ურთიერთობებთან დაკავშირებით.

მე ვულოცავ ბ-ნ ტარიელს ამ დღეს და ჯანმრთელობას ვუსურ-



ვებ! სხვა ყველაფერი აქვს და იცის კიდეც, რა უნდა გააკეთოს. ჩვენ მისგან კიდეც ძალიან ბევრ საქმეს მოველით; გმადლობთ!..

### **ნომადი ბართაია**

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ალმოსავლური ფილოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი

## **მაცვალა დავითაძე**

მე მივულოცავ ბატონ ტარიელს იუბილეს; სასიამოვნოა, როცა ერს ჰყავს ასეთი ადამიანი, ამნაირი შვილი, მით უმეტეს, თუ ეს ადამიანი წარმოადგენს საქართველოს იმ ძირძველ კუთხეს, რომელსაც აჭარა ჰქვია.

### **მაცვალა დავითაძე**

სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

## **რუსუდან ასათიანი**

მოგესალმებით; მივულოცავ ბ-ნ ტარიელს იუბილეს და აღვნიშნავ, რომ ეს დაბადების დღის განსაკუთრებული აღნიშვნაა, როცა შენ გეძღვნება სამეცნიერო კონფერენცია. ეს, მართლაც, ყველაზე დიდი საჩუქარია. მისი სამეცნიერო მოღვაწეობის შესახებ აქ წარმოდგენილი პროფესორები მოგახსენებენ; მე, უბრალოდ, მინდა მივულოცო ბ-ნ ტარიელს, როგორც მუდამ ახალგზრდას, მუდამ ენერგიულს და ვუსურვებდი, ასევე გაეგრძელებინოს თავისი ცხოვრება და მოღვაწეობა! გილოცავთ გულით, სულით!..

### **რუსუდან ასათიანი**

საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციის პრეზიდენტი

## **IV ნაწილი**

**პროფ. ტარიელ ფუტყარაძის  
საგანმანათლებლო და სამეცნიერო-  
კვლევითი მოღვაწეობის  
რამდენიმე ნახნაბი**



## საქმიანობა საგანმანათლებლო სფეროში

სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრი – ქართველური ენა და კულტურა საზღვრებს გარეშე, 2001 წელი (დამფუძნებელი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე); ამ ცენტრის ფორმატით 2001-2012 წლებში პროფ. ტარიელ ფუტყარაძემ დასავლეთ საქართველოს (სამეგრელო, იმერეთი, აჭარა...) საშუალო და უმაღლესი სკოლების მასწავლებელთათვის გამართა სემინარები და ტრენინგები შემდეგი თემების მიხედვით:

- ✓ ენისა და დიალექტის გამიჯვნის პრობლემა და ეროვნულობის საკითხი;
- ✓ დიდი კოლხური ცივილიზაცია (საზღვრები, ენა, დედაქალაქი);
- ✓ ბაბილონის გოდოლი – ენების აღრევის ფილოსოფიური არსი და ქართველთა ბიბლიური წინაპრები;
- ✓ ქრისტიანობის არსი; ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში;
- ✓ იოვანე ლაზი და პეტრე იბერი;
- ✓ ქართული სამწიგნობრო ენის ისტორია: ფუძე დიალექტის საკითხი, პერიოდიზაცია, ქართველურ დიალექტებთან მიმართება;
- ✓ ცდუნება – ზოგადსაკაცობრიო პრობლემა და ილიას „განდეგილი“;
- ✓ ქართველთა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების ისტორიული საფუძვლები და თანამედროვე იმპერიების იდეოლოგიური დივერსიები...

საქართველოს სამეურვეო საბჭოების ასოციაცია, 2004 წელი (დამფუძნებელი და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე); ამ ორგანიზაციის ფორმატით განხორციელდა რამდენიმე პროექტი:

- 2004-2006: „მესხ რეპატრიანტთა სოციალური რეინტეგრაციის ხელშეწყობა“ (Support Social Reintegration of Meskh Repatriates), დაფინანსდა საქართველოში ევროკომისიის-

ის წარმომადგენლობის მიერ, პარტნიორი ორგანიზაცია – „ტოლერანტი“. პროექტის ფარგლებში პროფ. ტარიელ ფუტყარაძემ იანეთის მესხთა დასახლებაში ჩაატარა სემინარები/ტრენინგები შემდეგი თემების მიხედვით:

- ✓ ძველი წინა აზია და მუშქების ქვეყანა; მუშქები, მოსხები, მესხები;
- ✓ სრულიად ქართლი ძვ.წ. II ათასწლეულის შუა პერიოდიდან I ათასწლეულის შუა პერიოდამდე;
- ✓ ქართველური ტომები წელთაღრიცხვათა მიჯნაზე;
- ✓ ისტორიული მესხეთი და სრულიად ქართლის აღორძინება ახ.წ. VIII საუკუნიდან;
- ✓ ენობრივი სიტუაცია ძვ.წ. III-II ათასწლეულების ანატოლია-კავკასიაში და საერთოქართველური ენა;
- ✓ ქართველთა სამწიგნობრო ენის ისტორიის საკითხები: ქართველური სამწიგნობრო ენის საყრდენი ენობრივი სისტემა;
- ✓ ქართველთა სამწიგნობრო ენის ისტორიის საკითხები: ქართული დამწერლობის ისტორია;
- ✓ ქართველთა თანამედროვე დიალექტები;
- ✓ მესხეთის ტრაგედია: საქართველო – ოსმალეთის, რუსეთისა და სპარსეთის დაპირისპირების ასპარეზი XVI-XX საუკუნეებში; მუჰაჯირობა და სომეხთა ჩამოსახლება;
- ✓ მესხეთის დარბევა 1918-21 წლებში;
- ✓ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის დეპორტაცია რუსეთის კომუნისტური იმპერიის მიერ 1944 წელს და ზემოიმერელთა ჩამოსახლება...

➤ 2004: „დასავლეთ საქართველოს თემის მობილიზაციის ინიციატივა“ (West Georgia Community Mobilization Initiative) – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს სამეურვეო საბჭოების ასოციაციისა და საერთაშორისო ორგანიზაციის: „ქეა კავკასიაში“ (CARE Caucasus) ერთობლივი პროექტი; პროფ. ტარიელ ფუტყარაძე

იყო პროგრამის მრჩეველთა კოლეგიის თავმჯდომარე; მისი მონაწილეობით დასავლეთ საქართველოს 10 საპილოტე სკოლაში ჩატარდა ტრენინგები სამეურვეო საბჭოების ინსტიტუტის შესახებ (სტრუქტურა, მიზნები, არჩევნები...); მომზადდა თემები:

- ✓ სამეურვეო საბჭოს წევრთა ეთიკის ნორმები;
- ✓ სკოლის მართვის რგოლებთან შეთანხმებული საქმიანობა;
- ✓ წარმატებული სამეურვეო საბჭოს წევრის თვისებები;
- ✓ სამეურვეო საბჭოს ძლიერი და სუსტი მხარეების, მოსალოდნელი საფრთხისა და შესაძლებლობების ანალიზი;
- ✓ სამეურვეო საბჭოს წევრთა შეხვედრების მომზადება (განცხადებისა და დღის წესრიგის მომზადება, ოქმის წარმოება);
- ✓ თემის რესურსების ანალიზი (ადამიანური და პროფესიული რესურსების მონაცემთა ბაზის შედგენა);
- ✓ თემში არსებული ადგილობრივი მომსახურების სახეების ანალიზი;
- ✓ სკოლის/თემის პრობლემებისა და საჭიროებების ანალიზი;
- ✓ პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება;
- ✓ ლიდერთა და სხვა პერსონაჟთა კომპეტენციების განსაზღვრა;
- ✓ მონაცემთა ბაზის შემუშავება;
- ✓ სკოლაში კონფლიქტების წარმოშობა და რეგულირება.

➤ 2005: „აღმოსავლეთ საქართველოს თემის მობილიზაციის ინიციატივა“ (Est Georgia Community Mobilization Initiative) – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს სამეურვეო საბჭოების ასოციაციისა და საერთაშორისო ორგანიზაცია „მერსი ქორის“ (Mercy Corps) ერთობლივი პროექტი; ამ პროექტის ფარგლებში ტრენინგები თემაზე: „სკოლების სამეურვეო საბჭოების მართვა“ ჩატარდა რუსთავის, გარდაბნისა და მარნეულის 41 სკოლის 82 წარმომადგენელს (1 მშობელი, 1 პედაგოგი); ტრენინგის

თემები (მასალები მომზადდა ტ.ფუტკარაძისა და ხ.ჯავახაძის მიერ):

- ✓ ამერიკის სკოლის საბჭოს წევრთა მუშაობის წარმატებული მაგალითები;
- ✓ სამეურვეო საბჭოს წევრის პრაქტიკული საქმიანობა;
- ✓ სამეურვეო საბჭოს საქმიანობის დაგეგმვა და მუდმივი განვითარება;
- ✓ სკოლის მართვაში საზოგადოების (თემის) აქტიური ჩართვა;
- ✓ სამეურვეო საბჭოს წევრთა ლიდერობა და გუნდური მუშაობის პრინციპები;
- ✓ სამეურვეო საბჭოს ანგარიშგება, მონიტორინგი, თვითშეფასება;
- ✓ ფონდების/დონორის მოძიება.

- 2005: „სამეურვეო საბჭოს წევრთა არჩევნების სახელმძღვანელო“ – მოამზადა საქართველოს სამეურვეო საბჭოების ასოციაციამ, დაურიგდა საქართველოს 500-მდე სკოლას. მასში წარმოდგენილი არჩევნების პროცედურები შესაძლებელს ხდიდა სკოლის სამეურვეო საბჭოს წევრთა არჩევნების ობიექტურად, გამჭვირვალედ და თანამონაწილეობის პრინციპების დაცვით წარმართვას (მაგ.: არჩევნებამდე თემის საინფორმაციო შეხვედრის ჩატარება, ბიულეტენის ნიმუშის შემუშავება, ხმების დათვლის პროცედურის გამარტივება და სხვ.). ბროშურის შედგენაში მონაწილეობდნენ: ხათუნა ჯავახაძე, მერი ელენ ჩათვინი (იმ პერიოდში ფონდ „ჰორიზონტის“ სოციალური პოლიტიკის მრჩეველი და პროექტ „სამეურვეო საბჭოს პროგრამის“ კონსულტანტი) და პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე (პროექტის მრჩეველთა კოლეგიის თავმჯდომარე).

**განათლების ეროვნული ინსტიტუტი, 2010 წლის 5 მარტი** (თანადამფუძნებელი და დირექტორი). ინსტიტუტის შექმნის მი-

ზანს წარმოადგენდა საგანმანათლებლო სტრუქტურებთან თანამშრომლობის გზით ახალგაზრდებში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების განმტკიცება, სახელმწიფო ენის სწავლება, სახელმძღვანელოებისა და დამხმარე სახელმძღვანელოების მომზადება, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მაღალკვალიფიციური სპეციალისტების აღზრდისათვის ხელშეწყობა და სხვ.

პროფ. ტარიელ ფუტყარაძემ ინსტიტუტის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებად დასახა ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა ტრენინგი, დისკუსია სწავლების პროცესის პრობლემურ საკითხებზე, კერძოდ:

1. რას ვასწავლით სკოლაში: ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკას თუ ქართულ სალიტერატურო ენას?
2. ბრუნვათა რაოდენობა ქართულში;
3. მწკრივთა რაოდენობა ქართულში;
4. „ვეფხისტყაოსანი“ – ორი სამყაროს გამოცდილება;
5. ილიას „განდეგილის“ სხვადასხვაგვარი გააზრება და სხვ.

**მომზადებული აქვს საგანმანათლებლო-შემეცნებითი ტრენინგების ციკლი: „მინც ვინ ვარ მე“, რომელიც მოიცავს 12 თემას (36 საათი).**

**მისი ინიციატივითა და ორგანიზებით გადაღებულია დოკუმენტური ფილმები:**

1. **მუჰაჯირი ქართველების შესახებ:**
  - ამასია /სატელევიზიო ფილმის სცენარის ავტორი და პროექტის მენეჯერი; TV რიონის ფილმები;
  - დუზჯე /სატელევიზიო ფილმის სცენარის ავტორი და პროექტის მენეჯერი; TV რიონის ფილმები;
  - სტამბოლი I /სატელევიზიო ფილმის სცენარის ავტორი და პროექტის მენეჯერი; TV რიონის ფილმები;
  - სტამბოლი II /სატელევიზიო ფილმის სცენარის ავტორი და პროექტის მენეჯერი; TV რიონის ფილმები;



- ტრაპიზონი /სატელევიზიო ფილმის სცენარის ავტორი და პროექტის მენეჯერი; TV რიონის ფილმები;
- ინეგოლი /სატელევიზიო ფილმის სცენარის ავტორი და პროექტის მენეჯერი; TV რიონის ფილმები.

**2. ეკომიგრანტების შესახებ:**

- მუხროვანი – TV „ერთსულოვნების“ დოკუმენტური ფილმი /იდეის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი/;
- ვაზიანი-კრწანისი – TV „აჭარის“ დოკუმენტური ფილმი /იდეის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი/;
- სამთანყარო-ფიროსმანი – TV „აჭარის“ დოკუმენტური ფილმი /იდეის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი/;
- პატარძელი-ნინოშინდა – TV „აჭარის“ დოკუმენტური ფილმი /იდეის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი/;
- შავშვები-მთისუბანი – TV „აჭარის“ დოკუმენტური ფილმი /იდეის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი/...

**3. ირანში დეპორტირებული ქართველების შესახებ – „ორი გზა“;**  
გადაიღო TV აჭარის შემოქმედებითმა ჯგუფმა /ნ. აბულაძე, რ. ჯორბენაძე/ 2016 წელს; იდეის ავტორი და სამეცნიერო ხელმძღვანელი – პროფ. ტ. ფუტყარაძე:

- „ორი გზა“ (ფერეიდანი I);
- „ორი გზა“ (ფერეიდანი II);
- „ორი გზა“ (ისპაჰანი I);
- „ორი გზა“ (ისპაჰანი II).

**აპაკი ნერეთლის, სამცხე-ჯავახეთის, სოხუმის სახელმწიფო  
უნივერსიტეტებსა და ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის ქართულ უნივერსიტეტში ნაკითხული სალექციო  
კურსები (1993-2020 წწ.)**

**ბაკალავრიატი:**

- ქართული ენის ფონეტიკა
- ქართული ენის მორფოლოგია
- ქართველოლოგიის შესავალი
- ქართველური დიალექტოლოგია (ზოგადი კურსი)
- ქართული ენის ისტორია

**მაგისტრატურა:**

- ქართველური ფონემატური სტრუქტურა (დიასისტემური ანალიზი);
- ქართული სამწიგნობრო ენის ფონემათა სინტაგმატური ანალიზი;
- ქართული საეკლესიო მწერლობის ენის ფონეტიკა;
- ქართველური დიალექტოლოგიის პრობლემური კურსი (ქართველურ ენა-კილოთა ისტორია, ფონეტიკა, მორფოლოგია და ლექსიკა);
- ქართველური ონომასტიკა;
- ქართველური სახელის პარადიგმა /საკვანძო საკითხები/
- ქართველური ზმნის პარადიგმა /საკვანძო საკითხები/
- ქართული სამწიგნობრო ენის ისტორია

**დოქტორანტურა**

- ქართველური ენათმეცნიერების ძირითადი პრობლემები
- ლინგვისტური კვლევა-ძიების თანამედროვე მეთოდები და ტექნოლოგიები
- ენობრივ-კულტურული სიტუაციის ისტორიული დინამიკა საქართველოში
- ქართველური ფონემატური სტრუქტურის საკვანძო საკი-

თხები (დიაქრონიული ანალიზი)

- სვანური კილოები /თეორიული კურსი/
- მეგრულ-ლაზური კილოები /თეორიული კურსი/
- ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები

## ქსკადიციების სელმკვანელოვა

ქართველოლოგიის ცენტრი დიდ ყურადღებას უთმობს სპეციალისტთა მიერ განმაზოგადებელი ხასიათის ქართველოლოგიური სამეცნიერო ნაშრომების შექმნას, გამოცემასა და პრეზენტაციას; უმაღლესი სასწავლებლებისთვის ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით მეთოდური სახელმძღვანელოების მომზადებას; ლინგვისტური რუკების დამზადებას და სხვ.

ქართველოლოგიის ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს როგორც უცხოელ ქართველოლოგებთან, ასევე, ზოგადად: ეთნოლოგებთან, ლინგვისტებთან, კულტუროლოგებთან, ისტორიკოსებთან, თანამედროვე ენციკლოპედიების სარედაქციო კოლეგიებთან.

ქართველოლოგიის ცენტრი კოორდინაციასა და ორგანიზებას გაუწევს თემატურ საერთაშორისო ქართველოლოგიურ

სემინარებსა და კოლოკვიუმებს, სადაც ხდება თანამედროვე ქართველოლოგიური კვლევების აპრობირება და უცხოელი ქართველოლოგების ინფორმირება, ასევე უცხოელ და ქართველ სპეციელისტებს შორის კვლევის შედეგებისა და ინფორმაციების გაცვლა. ქართველოლოგიის ცენტრის ერთ-ერთი მიზანია ახალი თაობის ქართველი და უცხოელი მკვლევრების შეხვედრებისა და ერთობლივი კვლევების ორგანიზება.

ქართველოლოგიის ცენტრი ხელს უწყობს ქართველოლოგიის მიმართულების მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს როგორც ქართული სამნიგნობრო ენის, ასევე, ქართული ენის ადგილობრივი სახესხვაობების (მეგრულ-ლაზურის, სვანურის, ფერეიდნულის, ტაოურის, კლარჯულის, ხევსურულის და სხვ.), ქართველური ფოლკლორისა და ეთნოგრაფიული მონაცემების შესწავლის პროცესში.

ქართველოლოგიის ცენტრის ერთ-ერთი მიზანია დისტანციური (საინტერნეტო) სწავლებით, ასევე ორკვირიანი საზაფხულო სკოლების ორგანიზებით ქართველ და უცხოელ დაინტერესებულ პირთ შეასწავლოს (ან გააცნოს): ქართული სამნიგნობრო ენისა და, ზოგადად, ქართველური ენობრივი სამყაროს ისტორია, ქართველური სამეტყველო ერთეულები (მეგრული, ლაზური, სვანური, იმერხელი, ტაოური და სხვა ქართველური ენობრივი ერთეულები); მსმენელებს შესაძლებლობა ეძლევათ, ისარგებლონ ცენტრის საველე ბაზებით, დაათვალიერონ საქართველოს ისტორიული და კულტურული ფასეულობები.

2010 წლიდან ქართული უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრი აწყობს სამეცნიერო ექსპედიციებს.

ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებითა და თანამშრომელთა აქტიური მონაწილეობით პერიოდულად ტარდება სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: **„ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“**.

ქართველოლოგიის ცენტრი 2011 წლიდან გამოსცემს ქართველოლოგიის ცენტრის ყოველწლიურ სამეცნიერო კრებულს: **„ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“** (2020 წლის ჩათ-

ვლით გამოცემულია 9 ტომი). ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით გამოიცა ორენოვან (ქართულ-სპარსულ) ჟურნალ „სამეცნიერო აზრის“ ორი ტომი.

ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებითა და თანამშრომელთა აქტიური მონაწილეობით საველე დიალექტოლოგიურ პრაქტიკას გადაინ ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ფილოლოგიის სპეციალობის ბაკალავრიატის VII-VIII სემესტრის სტუდენტები. ექსპედიცი-აში ჩართული არიან აგრეთვე ქართველური ენათმეცნიერების მიმართულების მაგისტრანტები და ფილოლოგიის მიმართულების დოქტორანტები.

სხვადასხვა დროს ქართველოლოგიის ცენტრში მუშაობდნენ: **პროფ. ტარიელ ფუტყარაძე** (ცენტრის ხელმძღვანელი 2010 წლიდან დღემდე), **პროფ. რევაზ შეროზია** (2011-2012 წლებში), **დოქტ. მიხეილ ლაბაძე** (2010 წლიდან დღემდე), **დოქტ. იაშა თანდილავა** (2011-2016 წლებში), **დოქტ. სვეტლანა ადამია** (2011-2018 წლებში), **დოქტ. ხატია ჯანგავაძე** (2011-2012 წლებში), **დოქტ. თამარ ლომაძე** (2013-2015 წლებში), **პროფ. თეიმურაზ გვანცელაძე** (2015-2018 წლებში); **დოქტ. სოფიო კეკუა** (2013 წლიდან დღემდე), **დოქტ. კესო გეჯუა** (2018 წლიდან).

ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში, ცენტრის თანამშრომლებისა და ქართული უნივერსიტეტის სხვა სპეციალისტების მონაწილეობით, საერთაშორისო და საუნივერსიტეტო პროექტების სახით მუშავდება რამდენიმე სამეცნიერო თემა:

1. საქართველოს ამჟამინდელ საზღვრებს მიღმა მცხოვრები ქართველების მეტყველება (დიალექტოლოგიური და სოციოლინგვისტური ასპექტები) /პროფ. ტ. ფუტყარაძე, პროფ. მ. ტაბიძე, ფილ. დოქტ. მ. ლაბაძე/;
2. ენობრივი სიტუაცია კავკასიაში /პროფ. ტ. ფუტყარაძე, პროფ. მ. ტაბიძე/;
3. ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები (ქართველური დიალექტოლოგია და ენობრივი სიტუაცია საქართველოში) /პროფ. ტ. ფუტყარაძე, პროფ. მ. ტაბიძე/;

4. ქართული სამნიგნობრო ენის ტექნოლოგიზება და ნორმები /პროფ. ტ. ფუტკარაძე/;
5. ქართული სამნიგნობრო ენისა და ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციები /პროფ. ტ. ფუტკარაძე, ფილ. დოქტ. ლ. ბებურიშვილი/.

## დანართი №2

საქართველოს საპატრიარქოს  
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტის  
ქართველოლოგიის ცენტრის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო  
ღონისძიებები  
(2010-2020)

1. 2010 წლის 27 მაისს, ქართველოლოგიის ცენტრისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სააგენტო „პროფილის“ ორგანიზებით, ჩატარდა ცნობილი ქართველი მოღვაწის – დუტუ მეგრელისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.
2. 2010 წლის 13 ოქტომბერს ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია, რომელიც მიეძღვნა 2009-2010 წლების „სრულიად საქართველოსა და ყოველთა ივერიელთა ერთობის ახალ ტრაქტატს“.
3. 2011 წლის 14-15 აპრილს ჩატარდა საქართველოს სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.
4. 2011 წლის მაისში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის – ილია II-ის 2011 წლის საშობაო ეპისტოლეში გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინებით ჩატარდა ორი კონკურსი: „ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის ამსახველი ვებგვერდი“ და „ქართველი ერის ენობრივ-ეთნიკური ერთიანობის ამსახველი ესე“. ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომლებმა (ტ. ფუტყარაძე, მ. ლაბაძე, ს. ადამია, ხ. ჯანგაძე) გააანალიზეს და დაწერეს რეცენზიები 15 საკონკურსო ვებგვერდსა და 84 ესეზე.
5. 2011 წლის 25-26 ნოემბერს ჩატარდა I საერთაშორისო კონ-

ფერენცია – „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“ (მასალები დაბეჭდილია);

6. 2011 წლის ნოემბერში ჩატარდა შიდასაუნივერსიტეტო კონფერენცია „**ფოლკლორული იუმორის ენა ქართულში**“.
7. ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელის ორგანიზებით, აკად. გურამ რამიშვილის ოჯახმა ქართველოლოგიის ცენტრსა და უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადასცა 100-ზე მეტი წიგნი პირადი ბიბლიოთეკიდან. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში გაიხსნა აკად. გურამ რამიშვილის ფონდი.
8. 2012 წლის 7-8 აპრილს, ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელის ინიციატივითა და ორგანიზებით, ასევე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის „ქართული ენის წრის“ წევრი სტუდენტებისა და ქართული ენის მიმართულების პროფესორების (ი. ლუტიძე, მ. ბერიძე) მონაწილეობით, ახალციხის უნივერსიტეტში ჩატარდა **საქართველოს სახელმწიფო ენის დღისადმი** მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.
9. 2012 წლის ივლისში გაიხსნა საზაფხულო „ქართველოლოგიური სკოლა“.
10. 2012 წლის 17-18 ნოემბერს შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში ჩატარდა ბაკალავრიატის სტუდენტთა რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენცია.
11. 2012 წლის 17-18 ნოემბერს, ქართველოლოგიის ცენტრისა და სტუდენტთა „ქართული ენის წრის“ ორგანიზებით, სამეგრელოში განხორციელდა ქართველოლოგიური ექსპედიცია სახელწოდებით: „**შოკოლადის ხე**“.
12. 2012 წლის 27-30 ნოემბერს ჩატარდა ქართულ-ირანული II საერთაშორისო კონფერენცია „**ქრისტიანობა და ირანი**“ (მასალები დაბეჭდილია).
13. 2012-2013 სასწავლო წელს, რექტორის, პროფ. სერგო ვარდოსანიძის ბრძანებით, უნივერსიტეტში შეიქმნა „**უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთათვის ქართული ენისა და საქართველოს ისტორიის შემსწავლელი ინტენსიური კურსე-**

ბი“; ქართული ენის სწავლებას კოორდინირება გაუწია ქართველოლოგიის ცენტრმა.

14. 2012 წელს ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომლის (მ. ლაბაძე) მონაწილეობით გადაღებულ იქნა დოკუმენტური ფილმი „**შურიშინე**“; ფილმში ასახულია თანამედროვე ლაზი მომღერლების შემოქმედება. ფილმის პრეზენტაცია შედგა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტსა და შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში.
15. 2013 წლის 15 იანვრიდან 25 აპრილამდე აჭარაში, ხელვაჩაურის რ-ნის სოფლებში: სარფსა და კვარიათში მ. ლაბაძემ და ი. თანდილავამ მოიპოვეს ლაზური გაბმული მეტყველებისა და ფოლკლორის ნიმუშები /მასალა შენახულია აუდიო- და ვიდეოჩანაწერების სახით.
16. 2013 წელს გაიმართა 14 აპრილისადმი მიძღვნილი ღონისძიებები.
17. 2013 წელს შედგა შეხვედრა სოჭელ (პლასტუნკელ) ქართველთა წარმომადგენელთან – რაულ ჯინჭარაძესთან, რომელსაც დახმარება გაეწია ქართული ენის შესწავლაში.
18. მომზადდა შეხვედრა ირანის პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარესთან, ბ-ნ მოჰამადალი ასფანანთან (ფანიაშვილთან), ასევე, ირანისა და თურქეთის ელჩებთან.
19. 2014 წლის 11-12 აპრილს ჩატარდა III საერთაშორისო კონფერენცია თემაზე: „**ქართული სალიტერატურო ენის სწავლება საქართველოს ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისა და სხვა ქვეყნების მოქალაქეთათვის: შედეგები, პრობლემები, პერსპექტივები**“ (მასალები დაბეჭდილია).
20. 2014 წლის 28-29 მაისს დიასპორის დღეების ფარგლებში ჩატარდა IV სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „**ირანის ქართველები: ისტორია და პერსპექტივები**“ (მასალები დაბეჭდილია).

21. შედგა შეხვედრა თურქეთელ ქართველებთან: გალიფ აიდინთან, სოსო ჩივაძესთან, ოსმან ქაიასთან და აიჰან მანიძესთან; მათ დახმარება გაენიათ ქართული ენის შესწავლაში.
22. 2014 წლის 19 ნოემბერს ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: **„ენასთან დაკავშირებული საკანონმდებლო საკითხები და ენობრივი პოლიტიკა საქართველოში“**.
23. 2014 წლის 1 დეკემბერს ჩატარდა კონფერენცია თემაზე: **„აფხაზოლოგიის ძირითადი პრობლემები თანამედროვე დისკურსში“**.
24. 2014 წელს, ქართველოლოგიის ცენტრის ორგანიზებით, ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. სერგო ვარდოსანიძე შეხვდა პროფ. ნიგარ დემირჩან-ჩაქარს – დუზჯეს უნივერსიტეტის პრორექტორს და პროფ. ილჰან გენჩს – დუზჯეს უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანს.
25. 2011-2013 წლებში ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომელი ი. თანდილავა მუშაობდა თურქეთის რესპუბლიკის რიზესა და ართვინის ილებში (ოლქებში) ლაზური ტექსტებისა და ლექსიკური მასალის მოსაპოვებლად.
26. 2014 წლის 8-10 მაისს ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომელმა თამარ ლომაძემ მონაწილეობა მიიღო ვარშავის, ლოდისა და ნოტინგემის უნივერსიტეტების მიერ ორგანიზებულ ლინგვისტიკის III საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში, რომელიც ვარშავაში (პოლონეთი) გაიმართა. მან წაიკითხა მოხსენება თემაზე: **„პიარის ენობრივი თავისებურებები ქართულ სინამდვილეში“**, მოიპოვა ერაზმუს მუნდუსის სტიპენდია და 2014-2016 წლებში იმყოფებოდა შვედეთში, მალმოს უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის ცენტრში სადოქტორო დისერტაციის თემასთან დაკავშირებულ საკითხებზე სამუშაოდ.
27. 2014 წლის ოქტომბერში ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომელთა ორგანიზებითა და ქართული უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტების მონაწილეობით მოეწყო დია-



- ლექტოლოგიური ექსპედიცია ხევსურეთში.
28. 2013-2016 წლებში ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომელი სოფიო კეკუა მუშაობდა ქართულ-აფხაზური ენობრივი ურთიერთობისა და გალის რაიონში არსებული თანამედროვე ტოპონიმიკური ტენდენციების საკითხებზე; მან ოკუპირებულ გალის რაიონში შეაგროვა ტექსტური და ტოპონიმიკური მასალა.
  29. 2015 წლის დასაწყისში გამოსაცემად მომზადდა ბათირა არაბულის წიგნი **„მითებში შობილთა მემკვიდრე“**, 22 აპრილს წიგნის პრეზენტაცია გაიმართა ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში.
  30. 2015 წლის 13 იანვარს ქართული უნივერსიტეტის წმიდა ილია მართლის სახელობის სხდომათა დარბაზში შეხვედრა შედგა ცნობილ ქართველ ენათმეცნიერთან – **პროფესორ თედო უთურგაიძესთან**.
  31. 2015 წლის 30 აპრილს რექტორმა, პროფ. სერგო ვარდოსანიძემ მიიღო ქართველოლოგიის ცენტრის სტუმარი, ამერიკელი პროფესორი კევინ ტუიტი, იენის უნივერსიტეტის (გერმანია) კავკასიოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი. შეხვედრას ესწრებოდა ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელი, პროფესორი ტარიელ ფუტყარაძე. საუბარი შეეხო ქართველოლოგიის, ზოგადად, კავკასიოლოგიის ცენტრების მდგომარეობას საზღვარგარეთ.
  32. 2015 წელს ორგანიზება გაუკეთდა **9 აპრილის საღამოს**, 14 აპრილს კი ჩატარდა საქართველოს სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი კონფერენცია: **„სახელმწიფო ენა საუნივერსიტეტო კურსებსა და სახელმძღვანელოებში“**.
  33. 2015 წლის 28-29 მაისს დიასპორის დღეების ფარგლებში ჩატარდა V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: **„თურქეთელი ქართველები: ისტორია და პერსპექტივები“** (მასალები მომზადდა გამოსაცემად).
  34. 2015 წელს ჩატარდა დისკუსია თემაზე: **ენა და პოლიტიკა ოკუპირებულ აფხაზეთში** (მთავარი მომხსენებელი: პროფ.

- თეიმურაზ გვანცელაძე).
35. 2015 წელს ჩატარდა დიალექტოლოგიური ექსპედიცია ტაო-კლარჯეთში.
  36. 2015 წლის 3-5 ოქტომბერს მოენყო დიალექტოლოგიური ექსპედიცია ხევსურეთში (მონაწილეობდნენ ქართული უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტები).
  37. 2015 წელს მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარსადგენი საკონფერენციო საგრანტო პროექტი: **„აზერბაიჯანში მცხოვრები ავტოქთონი ქართველები: ისტორია და პერსპექტივები“** (სამწუხაროდ, პროექტი არ დაფინანსდა).
  38. 2015 წელს საგრანტო კონკურსის – „საზღვარგარეთ არსებული ქართული მატერიალური და სულიერი მემკვიდრეობის სამეცნიერო კვლევებისათვის“ – ფარგლებში მომზადდა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში წარსადგენი პროექტი **„მუჰაჯირ ქართველთა და აფხაზთა შთამომავლების მეტყველება და ფოლკლორი“** (სამწუხაროდ, პროექტი არ დაფინანსდა).
  39. 2016 წლის 12 აპრილს, ქართული სახელმწიფო ენის კვირეულის ფარგლებში **თამაზ ჯოლოგუამ წაიკითხა საჯარო ლექცია დიმიტრი ყიფიანზე.**
  40. 2016 წლის 12 აპრილს გაიმართა მანანა ტაბიძის მონოგრაფიის: **„სოციოლინგვისტიკა“** პრეზენტაცია.
  41. 2016 წლის 13 აპრილს ქართული სახელმწიფო ენის კვირეულის ფარგლებში შედგა პროფ. **რევაზ შეროზიას და მიხეილ ლაბაძის წიგნის: „ხალხური სიბრძნე II: მეგრული და ლაზური იდიომები“** პრეზენტაცია.  
მოენყო შეხვედრა პროფ. რამაზ პატარიძესა და პროფ. გურამ ცერცვაძესთან.
  42. 2016 წლის 14 აპრილს ქართული სახელმწიფო ენის კვირეულის ფარგლებში ჩატარდა VI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია: **„ლექსიკოლოგიისა და ლექსიკოგრაფიის აქტუალური პრობლემები“.**

43. 2016 წლის აგვისტოში ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელის უშუალო მონაწილეობით მოენყო დიალექტოლოგიური ექსპედიცია ტაოში.
44. 2016 წლის 21 სექტემბერს „მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო ფესტივალ 2016-ის“ ფარგლებში პროფესორმა ტარიელ ფუტყარაძემ წაიკითხა საჯარო ლექცია თემებზე: „**ქართველოლოგიის ახალი გამოწვევები; ქართული ენის ტექნოლოგიზება; ქართველთა ეთნიკურ-ენობრივი ერთიანობა საინფორმაციო ომის კონტექსტში; ქართული ენის სწავლება საზღვარგარეთ**“.
45. 2016 წლის 20 ოქტომბერს შეხვედრა მოენყო ირანელ ქართველებთან, რომლებიც ქართულ უნივერსიტეტში ერთი წლის მანძილზე ისწავლიან ქართულ ენასა და საქართველოს ისტორიას. შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ საქართველოს დიასპორის მინისტრის მოადგილე ბატონი ზაალ სარაჯიშვილი, ირანის ისლამური რესპუბლიკის ელჩის მრჩეველი ბატონი აბას რეზაფული და სხვა წარმომადგენლები საელჩოდან.
46. 2016 წლის 28 ოქტომბერს ჩატარდა სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „**მრავალპარტიული არჩევნები (1990 წლის 28 ოქტომბერი)**“.
47. 2016 წლის ნოემბერში მოენყო დიალექტოლოგიური ექსპედიცია ხევსურეთში (მონაწილეობდნენ ქართული უნივერსიტეტის IV კურსის სტუდენტები).
48. 2016 წლის 10 ნოემბერს, ქართული უნივერსიტეტის პროფესორ მანანა ტაბიძისა და ქართველოლოგიის ცენტრის სხვა თანამშრომელთა ორგანიზებით, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისის საშუალო სკოლაში გაიმართა ქისტების დიდი განმანათლებლის, პანკისის ხეობაში პირველი ქართული საშუალო სკოლის დამაარსებლის, **უსუფ მარგოშვილის დაბადების 120 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო**, სადაც მისმა შვილიშვილმა, პროფესორმა ბელა შავხელიშვილმა წარადგინა წიგნი: „**რასაც დათეს...**“

49. 2016 წლის 18 ნოემბერს გაიმართა ქართული უნივერსიტეტის II სამეცნიერო კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ტარიელ ფუტყარაძემ და თანამშრომლებმა: თეიმურაზ გვანცელაძემ, მიხეილ ლაბაძემ, სოფიო კეკუამ და სვეტლანა ადამიამ.
50. 2016 წლის 24 ნოემბერს გაიმართა შეხვედრა პოლიტოლოგიის დოქტორთან, პროფესორ სტივენ ჯონსთან, რომელმაც წაიკითხა ლექცია თემაზე: „**2016 წლის 8 ნოემბრის არჩევნები ამერიკის შეერთებულ შტატებში და საქართველოს პერსპექტივები**“.
51. 2016 წლის 29 ნოემბერს მანგლისისა და წალკის ეპარქიის მიტროპოლიტთან, მეუფე ანანისთან (ჯაფარიძე) გაიმართა შეხვედრა: „**მიტროპოლიტი ანანია (ჯაფარიძე) – მღვდელმთავრობიდან 35 წელი**“.
52. 2016 წლის 9 დეკემბერს საქართველოს საპატრიარქოს ფონდ „ლაზარეს“ საგრანტო პროექტის – „**საერთო წარსული და მომავალი**“ – ფარგლებში ქართველოლოგიის ცენტრის მკვლევარი, პროფესორი თეიმურაზ გვანცელაძე თბილისის 83-ე სკოლის დევნილ მოსწავლეებს ესაუბრა აფხაზურ-ქართულ ურთიერთობებზე, საერთო წარსულსა და მომავლის პერსპექტივაზე.
53. 2016 წლის 13-14 დეკემბერს გაიმართა VII სამეცნიერო კონფერენცია „**შოთა რუსთაველი – 850**“. ქართულ უნივერსიტეტში „ვეფხისტყაოსნის“ იშვიათი გამოცემების გამოფენა მოაწყო საქართველოს პარლამენტის ეროვნულმა ბიბლიოთეკამ. ქართულ უნივერსიტეტსა და ეროვნულ ბიბლიოთეკას შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი.
54. 2016 წლის 20 დეკემბერს გაიმართა სტუდენტური კონფერენცია „**ხევსურეთი – 2016**“.
55. 2016 წლის 6 დეკემბერს ჩატარდა მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი. მოხსენება წაიკითხა ფილოლოგიის დოქტორ-

მა ნათია იაკობიძემ, რომელმაც მსმენელს გააცნო ანგელა ლინკეს „გენერაციული გრამატიკისა“ (2010) და ბეატრის ლინკესა და ენტონი კროხის „ბუნებრივი ენის სინტაქსის“ (2012) ძირითადი პრინციპები. სემინარში სტუდენტთა დისკუსია შეაჯამეს პროფესორებმა: მანანა ტაბიძემ და ტარიელ ფუტყარაძემ. სემინარის მუშაობა შეაფასა ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ.

56. 2017 წლის 17 იანვარს გაიმართა მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი. მოხსენება **„მანქანური თარგმანის ისტორია და დღეს არსებული პრობლემები“** წაიკითხა ქართველური ენათმეცნიერების მიმართულების დოქტორანტმა მანანა ხვინგიაშვილმა. მოხსენების შემდეგ გაიმართა დისკუსია, რომელშიც მონაწილეობდნენ ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტები: სოფიო კეკელიძე, ირინა იაკობიძე, კესო გეჯუა, ანა მოდებაძე, იამზე ფუტყარაძე, ნინო მალრაძე, ფილოლოგიის დოქტორები: მიშა ლაბაძე, ნათია იაკობიძე, პროფესორები: მანანა ტაბიძე, ტარიელ ფუტყარაძე და თეიმურაზ გვანცველაძე.
57. 2017 წლის 31 იანვარს გაიმართა შეხვედრა ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორთან, ქართველოლოგ ჰიროტაკე მადეასთან.
58. 2017 წლის 28 თებერვალს გაიმართა მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი. მოხსენება **„ქართული ენის სწავლება სკოლაში“** წაიკითხა ქართველური ენათმეცნიერების მიმართულების დოქტორანტმა შორენა ცაბაძემ.
59. 2017 წლის 14 მარტს გაიმართა მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი. ცენტრის მკვლევარმა, ფილოლოგიის დოქტორმა მიხეილ ლაბაძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე: **„ლაზურ კილოთა შესწავლა თანამედროვე თურქეთში და მათი კოდიფიცირების ცდები“**.
60. 2017 წლის 16 მარტს გაიმართა ამირან არაბულის წიგნის **„ისევ სულუქცევრად საკითხავნი“** წარდგინება.

61. 2017 წლის 22 მარტს გაიმართა მწერლის, პროფესორ გიორგი სოსიაშვილის ახალი წიგნების: „**თეთრი ქალაქი**“, „**წითელი უდაბნო**“, „**დიცის წარწერები**“ წარდგენა.
62. 2017 წლის 25 აპრილს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, გიორგი ლავთაძემ, ნაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „**საუნივერსიტეტო განვითარების გამოწვევები თანამედროვე საქართველოში**“.
63. 2017 წლის 16 მაისს გაიმართა მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი. მოხსენება „**ქართული საგალობლებისა და აზერბაიჯანული მარსიების შეპირისპირებითი ანალიზი (გლოვის უანრი)**“ ნაიკითხა ცნობილმა პუბლიცისტმა და მთარგმნელმა ოქტაი ქაზუმოვმა.
64. 2017 წლის 25 მაისს გაიმართა შეხვედრა პანკისის ხეობის უხუცესთა საბჭოს წევრებთან. გვესტუმრნენ: ზელიმხან წუნაშვილი – პანკისის ხეობის უხუცესთა კავშირის თავმჯდომარე; ზაურ გუმაშვილი – პანკისის ხეობის უხუცესთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე; ელიზბარ მაროშვილი – პანკისის ხეობის უხუცესთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე; ხასო ხანგოშვილი – პანკისის ხეობის უხუცესთა კავშირის გამგეობის წევრი.
65. 2017 წლის 27, 28 და 29 სექტემბერს „**მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალ 2017-ის**“ ფარგლებში ჩატარდა VIII საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: „**ენობრივი სიტუაცია კავკასიაში**“.
66. 2017 წლის 31 ოქტომბერს გაიმართა მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი; განხილულ იქნა დოქტორანტ ბაკურ გოგოხიას წიგნი „**ლაზური გვარსახელები**“. მოხსენება წიგნის შესახებ წარმოადგინა ფილოლოგიის დოქტორმა მიხეილ ლაბაძემ. წიგნის განხილვას დაესწრო ავტორი.
67. 2017 წლის 21 ნოემბერს ჩატარდა მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი. დოქტორანტმა მაგდა ყიქაბერიძემ წარმოადგინა მოხსენება „**ქართლის სოფელი სოფრომ მალობლიშვილის მოგონებების მიხედვით**“. ოპონენტი: ლევან

ბებურიშვილი.

68. 2017 წლის 18 დეკემბერს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა, გერმანიის არქეოლოგიის ინსტიტუტის ევრაზიის განყოფილების მეცნიერ-თანამშრომელმა, პროფ. ჯონი აფაქიძემ წმიდა ილია მართლის სახელობის საკონფერენციო დარბაზში წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: **„კოლხური კულტურის ბრინჯაოს მეტალურგია და განძების ფენომენი (მახასიათებლები და გავრცელების არეალი)“**.
69. 2017 წლის 19 დეკემბერს გაიმართა დისკუსია თემაზე: **„ვინ და როდის შექმნა ქართული ანბანი“**.
70. 2017 წლის 19 დეკემბერს ჩატარდა მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი; დოქტორანტმა ლიკა ოთინაშვილმა წარმოადგინა მოხსენება **„მორფოლოგიურ-სინტაქსური ანალიზატორი და ქართული ტექსტების კორპუსი“**.
71. 2018 წლის 5 მარტს ჩატარდა მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი, რომელზეც ცენტრის ხელმძღვანელმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა ტარიელ ფუტყარაძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე: **„ტერმინოლოგიური შეცდომები ბათუმის მხარისა და ბათუმის ოლქის შესახებ 1918-1921 წლებში შექმნილ ოფიციალურ დოკუმენტებში“**.
72. 2018 წლის 11 აპრილს ჩატარდა ფილოლოგიის დოქტორ ლევან ბებურიშვილის საჯარო ლექცია: **„ქართული ენა - საერთაშორისო ენა: ენის ფუტუროლოგიური კონცეფცია და გალაკტიონ ტაბიძე“**.
73. 2018 წლის 17-19 აპრილს ჩატარდა საქართველოს სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი IX სამეცნიერო კონფერენცია თემაზე: **„ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება სკოლაში“**.
74. 2018 წლის 10 მაისს გაიმართა მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფ. ტარიელ ფუტყარაძემ წაიკითხა მოხსენება თემაზე **„ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“**.

75. 2018 წლის 22 მაისს, ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელის ინიციატივით, უნივერსიტეტს ესტუმრა ცნობილი მუსიკოსი, თურქეთელი ქართველი ბაიარ შაჰინი-გუნდარიძე. სტუმარს მიესალმნენ: ქართული უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ქართველოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელი, პროფესორი ტარიელ ფუტკარაძე, ფერეიდნელი ქართველი საიდ მულიანი, სტუმარმა მადლობა გადაუხადა მასპინძლებს გულთბილი მიღებისათვის და სტუდენტებთან ერთად შეასრულა ქართული ხალხური სიმღერები. შეხვედრა დასრულდა უკვდავი „სულიკოს“ ერთობლივი შესრულებით.
76. 2018 წლის 27 სექტემბერს „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალ – 2018-ის“ ფარგლებში ჩატარდა X სამეცნიერო კონფერენცია: „**პავლე ინგოროყვა – 125**“.
77. 2018 წლის 6 ნოემბერს გაიმართა მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარი. ვასილ ტროშინმა წარმოადგინა მოხსენება: „**ოთხნოვანი (ქართულ-ინგლისურ-რუსულ-სომხური) ლექსიკონის მონაცემთა ბაზა (ლექსიკა-ფრაზეოლოგიზმები)**“.
78. 2018 წლის 22 ნოემბერს გაიმართა შეხვედრა პოეტ **თემურ ჩალაბაშვილთან**.
79. 2018 წლის 27 ნოემბერს გაიმართა შეხვედრა პროფ. ავთანდილ ნიკოლეიშვილთან, რომელმაც წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე: „**საქართველო: აზია თუ ევროპა (ქართველ მწერალთა თვალთახედვით)**“.
80. 2018 წლის 20 დეკემბერს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრის, ბატონ ზაურ ქობალიას წიგნის „**დაბრუნება დაბადებაში**“ განხილვა.
81. 2018 წლის 27 დეკემბერს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები შეხვდნენ **ემერიტუს პროფესორ ყუყუნა ფეიქრიშვილს**.
82. 2019 წლის 1 მარტიდან ქართველოლოგიის ცენტრმა დაი-



წყო მუშაობა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფუნდამენტური კვლევების კონკურსში გამარჯვებულ პროექტზე: „**ქართველურ-თურქულ სამეცნიერო კოდთა შერევის კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჭაჯირების შთამომავალთა მეცნიერების მიხედვით**“. მოპოვება-შესწავლა-გამოკვლევისა და შესრულების ვადაა 3 წელი, ბიუჯეტი – 180 000 ლარი. ჩართულია ცენტრის ყველა თანამშრომელი. მუშავდება საკითხის შესახებ არსებული ნაშრომების ანოტირებული ბიბლიოგრაფია. 2019 წლის ივლისში იგეგმება პირველი ექსპედიცია ფაცა-ორდუ-სინოპის რეგიონში.

**83.** 2019 წლის 28 მარტს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წმიდა დავით აღმაშენებლის სახელობის სხდომათა დარბაზში ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, ზვიად გამსახურდიას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია – „ზვიად გამსახურდია 80“. ღონისძიებაზე მონაწილე იყვნენ: საქართველოს დამოუკიდებლობის აქტზე ხელმომწერი დეპუტატები, დიპლომატიური კორპუსის წამომადგენლები. კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა ქართული უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა სერგო ვარდოსანიძემ. დიპლომატიური კორპუსის სახელით მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა საფრანგეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი, ბატონი პასკალ მენიე.

**84.** 2019 წლის 14-18 აპრილს საქართველოს სახელმწიფო ენის – ქართული ენის – დღეების ფარგლებში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:

- **15 აპრილს** – დისკუსია თემაზე: „**საქართველოს სახელმწიფო ენა: თანამედროვეობა და გამოწვევები**“. შეხვედრას უძღვებოდა მესამე კურსის სტუდენტი ანა მამუკაშვილი;

- **17 აპრილს** – ქართული მხატვრული სიტყვის ზემი: „ო, ენაჲ ჩემო!“ ღონისძიებას უძღვებოდა მეორე კურსის სტუდენტი ანა პაპუნაშვილი;
- **18 აპრილს** – როსტომ ჩხეიძის წიგნის: „**ჟარგონი და მეტსახელი და კიდევ ტოპონიმისა და ხეთური სამყარო**“ განხილვა. ღონისძიებას უძღვებოდა ნათია იაკობიძე. წიგნის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს: ნათია იაკობიძემ, ხატია ჯანგავაძემ, მანანა ხვინგია, მიხეილ ლაბაძემ; ასევე, ქართული უნივერსიტეტის პროფესორებმა: მანანა ტაბიძემ და ტარიელ ფუტყარაძემ. მწერალმა მადლობა გადაუხადა მომხსენებლებს მისი ლინგვისტური რომანის განხილვისათვის და საჩუქრად გადასცა წიგნი: „**ახალი ელვაზარი – პავლე ინგოროყვა პოეტთა და პროზაიკოსთა წარმოსახვაში**“

**85.** 2019 წლის 17 აპრილს ჩეჩნეთიდან (რუსეთის ფედერაცია) არქეოლოგებმა: აზამათ ახმაროვა და სულთან ისაევმა ქართველოლოგიის ცენტრს გადმოუგზავნეს მათ მიერ ჩეჩნეთში – მეღბესტისა და ითონყალის თემებში ახლად აღმოჩენილი წარწერები, რომელთა ნაწილიც ასომთავრული და ნუსხური ანბანით ჩეჩნურ ენაზეა შესრულებული, ნაწილი კი ქართულია. მათ შესახებ მოხსენება მოამზადა ქართველოლოგიის ცენტრის მკვლევარმა, ფილოლოგიის დოქტორმა მიხეილ ლაბაძემ.

**86.** 2019 წლის 8-18 ივლისს პროექტის – „**ქართველურ-თურქულ სამეცნიერო კოდთა შერევის კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჭაჯირების შთამომავალთა მეცნიერების მიხედვით**“ – ფარგლებში მოენყო პირველი მივლინება თურქეთის შუა შავიზღვისპირეთში (ფაცა-ორდუ-სინოპი). მივლინებით იმყოფებოდნენ: ქართველოლოგიის ცენტრის და პროექტის ხელმძღვანელი – პროფ. ტარიელ ფუტყარაძე, ცენტრის თანამშრომლები: მიხეილ ლაბაძე, სოფიო კეკუა, კესო გეჯუა, ასევე დუზჯეს უნივერსიტეტის თანამშრომლები: მაკა სალია და ფევზი ჩელები. მოპოვებული ვიდეო-

და აუდიომასალა შეადგენს, დაახლოებით, 48 საათს.

87. 2019 წლის 16 სექტემბერს გაიმართა შეხვედრა ფერეიდ-ნელ ქართველებთან: ისმაილ დავითაშვილთან, ომიდ გუგუ-ნაშვილთან და შაჰრამ ონიკაძესთან, რომლებიც 31 დღის განმავლობაში ფეხით მოემართებოდნენ საქართველოსკენ. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოში ირანის ისლამური რესპუბლიკის საელჩოს მეორე რანგის მრჩეველი მოჰამად ყობადი რადი.
88. 2019 წლის 25 სექტემბერს, „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალ – 2019-ის“ ფარგლებში, პროფესორმა ტარიელ ფუტყარაძემ წაიკითხა საჯარო ლექცია: **„ქართული ენის ზმნის მწკრივთა სისტემა“**.
89. 2019 წლის 27 სექტემბერს, „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალ – 2019-ის“ ფარგლებში, ჩატარდა XI სამეცნიერო კონფერენცია **„ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“**.
90. 2019 წლის 30 სექტემბერს, „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალ – 2019-ის“ ფარგლებში, ქართველოლოგიის ცენტრმა წარმოადგინა მოხსენება თემაზე: **„თურქეთის შუა შავ-იზღვისპირეთში მცხოვრებ ქართველურენოვან მუჰაჯირთა შთამომავლების სამეცნიერო კოდები და განსახლების არეალი“**.  
(მომხსენებელი: ქართველოლოგიის ცენტრის ასოცირებული მკვლევარი, ფილოლოგიის დოქტორი მიხეილ ლაბაძე).
91. 2019 წლის 16 ოქტომბერს ქართული უნივერსიტეტის სტუდენტებისათვის ჩატარდა ქართველოლოგიის ცენტრის XII სამეცნიერო კონფერენცია – **„მერაბ კოსტავა – 80“**. ღონისძიებაზე მონეული იყვნენ ზვიად გამსახურდიას შვილები, კონსტანტინე და ცოტნე გამსახურდიები, მერაბ კოსტავას შვილი თამთა კოსტავა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატები და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლები.

92. 2019 წლის 26 ნოემბერს, მუდმივმოქმედი სემინარის: „ქართველოლოგიური საუბრები მრგვალ მაგიდასთან“ ფარგლებში გაიმართა დისკუსია თემაზე: „ქართული ენა – ქართველთა (საქართველოს მოქალაქეთა) გამაერთიანებელი ფენომენი გლობალისტურ ეპოქაში“. დისკუსია გახსნა ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ტარიელ ფუტყარაძემ, რომელმაც ვრცლად ისაუბრა შემდეგი სამი პრობლემის შესახებ: 1) ქართული ენის სწავლება; ვებპორტალის შექმნა, რომელიც ორიენტირებული იქნება უცხოეთში მცხოვრებ 4 000 000 ქართველზე; 2) ქართული, როგორც საქართველოს მოქალაქეთა საკომუნიკაციო ენა (არსებული პრობლემების ანალიზი); 3) ქართულიდან და ქართულად ავტომატური თარგმანების კომპიუტერული პროგრამების შექმნის კოორდინაცია.

თანამედროვე გამონვევების გათვალისწინებით, არსებული პრობლემების შესახებ ისაუბრეს ასევე მონვეულმა სტუმრებმა: ფოტოჟურნალისტმა გოგა ჩანადირმა; ენათმეცნიერმა, კავკასიოლოგმა თეიმურაზ გვანცელაძემ; პროფესორმა გიორგი ხორბალაძემ; ენათმეცნიერმა ლია ქაროსანიძემ; ისტორიკოსმა, ქართველოლოგმა საიდ მულიანმა; პროფესორმა ამირან არაბულმა; პროფესორმა ნინო მამარდაშვილმა. შეხვედრა შეაჯამა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანმა, პროფესორმა ლევან ჯიქიამ.

შეჯამებისას ითქვა, რომ აუცილებელია საზოგადოების ყველა რგოლის (მეცნიერები, ფართო საზოგადოება, ხელისუფლება) მჭიდრო თანამშრომლობა და კოორდინაცია.

93. 2012 წლიდან ყოველწლიურად გამოიცემა კრებული „ქართველოლოგიის აქტუალური პრობლემები“. 2020 წლის მონაცემებით, გამოცემულია ცხრა ტომი.

## დანართი №3

### პროფ. ტარიელ ფუტკარაძის ბოლო საგრანტო პროექტი

2019 წლის თებერვლიდან ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის ქართველოლოგიის ცენტრმა შოთა რუსთაველის სახელობის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით დაიწყო ფუნდამენტური კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო გრანტების 2018 წლის კონკურსში გამარჯვებული პროექტის **„ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის კანონზომიერებები ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველების მიხედვით“** (FR-18-14869) განხორციელება; ხელმძღვანელი – პროფ. ტარიელ ფუტკარაძე, კოორდინატორი – მიხეილ ლაბაძე, მონაწილენი: სოფიო კეკუა, კესო გეჯუა, მაკა სალია-ბეშიროღლუ, ფევი ჩელები.

პროექტის მთავარი მიზანია თურქეთში მცხოვრებ ქართველურენოვან მუჰაჯირთა მეტყველებაში ქართველურ-თურქული სამეტყველო კოდების შერევის კანონზომიერებათა დადგენა, ასევე – ზოგადად მეტყველების ნიმუშების ჩანერა, შესწავლა და შეპირისპირებითი ანალიზი.

საანალიზო მასალა ჩაინერება თურქეთის იმ მხარეებში, სადაც დღემდე ცხოვრობენ 1878-1883 და 1914-1917 წლებში აჭარიდან, ტაოდან, ლივანადან, შავშეთ-იმერხევიდან, მაჭახელადან, ლაზეთიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა ქართველურენოვანი შთამომავლები.

პროექტი გათვლილია სამ წელიწადზე და, პირველ რიგში, გულისხმობს თურქეთის სამ რეგიონში, სადაც დღეს უფრო კომპაქტურად სახლობენ ქართველურენოვანი მუჰაჯირების შთამომავლები (ფაცა-ორდუ-სინოპი, დუზჯე-საქარია, ბურსა-ინეგოლი), დიალექტოლოგიურ-ფოლკლორული მასალის ჩანერასა და ენათმეცნიერულ ანალიზს; შესაბამისად, ერთი წელი ეთმობა ერთ რეგიონს.

თურქეთის ქართველთა მეტყველებაში დასტურდება ქართვე-

ლურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევის ორგვარი სახეობა:

- ქართველური დომინირებით, როცა ძირითადია ქართველური მეტყველება და ერთეობა თურქული ლექსიკური ერთეულები ან ფრაზები;
- თურქული დომინირებით, როცა შესაბამისად, ძირითადია თურქული მეტყველება და ერთეობა ქართველური ლექსიკური ერთეულები ანდა ფრაზები.

სამეტყველო კოდთა შერევა ქართველური დომინირებით უფრო 50 წელზე მეტი ხნის პირებისთვისაა დამახასიათებელი, ხოლო უმცროსი თაობის მეტყველებაში დასტურდება სამეტყველო კოდთა შერევა თურქული დომინირებით.

ქართველურ-თურქულ სამეტყველო კოდთა შერევა თურქულენოვანთა მიერ მუდამ აღიქმება „ქართულ აქცენტად“, რამდენადაც, დომინირების მიუხედავად, ამ დროს მაინც აშკარად საგრძნობია ქართული ორთოეპიულ-ინტონაციური ნორმების დიდი გავლენა. იმ ქართველებს, რომლებმაც მშობლიური ენა არ იციან (ანდა სუსტად იციან), მაგრამ ქართულენოვანი მშობლები ჰყავთ, ყოველგვარ სიტუაციაში ახასიათებთ ეს „ქართული აქცენტი“. ამის გამო, სამწიგნობრო ქართულსაც უფრო იოლად სწავლობენ.

პროექტის ფარგლებში ფიქსირებული იქნება, აგრეთვე, დიალექტური მეტყველების თავისებურებანი, ეთნოგრაფიული ხასიათის ტექსტები და ზოგადად, ზეპირსიტყვიერებითი მასალა, კერძოდ: ლექსები, ლეგენდები, ზღაპრები, ანდაზები, გამოცანები, წყევლები, დალოცვები, შელოცვები... ჩანერილი მასალა მეცნიერულად გაანალიზდება და მიღებული მონაცემები შეუპირისპირდება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში/თურქეთში (აჭარაში, მაჭახელაში, ლაზეთში, ლივანაში, იმერხევში, ტაოში) მცხოვრებ ქართველთა დიალექტებს და სამწიგნობრო ენის მონაცემებს.

კვლევის პროცესში მოპოვებული მასალა შეუპირისპირდება ყველა იმ კუთხის მასალას, საიდანაც მუჰაჯირები არიან წამოსულები. ასევე ერთმანეთს შევუპირისპირებთ ქართველ მუჰა-

ჯირთა შთამომავლების უფროსი, საშუალო და უმცროსი თაობის მეტყველებებს, რითაც გაირკვევა, თუ რა შეინარჩუნეს, ან რა უფრო მეტად დაკარგეს მათ, როგორია ზოგადად, მათი მეტყველების განვითარების კანონზომიერებები, რა თავისებურებები იჩენს თავს სხვადასხვა თაობაში ქართველური და თურქული სამეტყველო კოდების შერევის თვალსაზრისით და ა.შ.

მოპოვებული და დამუშავებული მასალა შევა სამეცნიერო მიმოცევაში:

გამოკვლევები გამოქვეყნდება როგორც შემაჯამებელი მონოგრაფიის, ისე სტატიათა სახით (საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში).

პროექტის პირველ ეტაპზე – 2019 წლის 8-19 ივლისს ქართველოლოგიის ცენტრის ექსპედიციამ იმუშავა თურქეთის შავიზღვისპირეთის შემდეგ მხარეებსა და სოფლებში (გამუქებულია ის დასახლებული პუნქტები, სადაც უშუალოდ იმუშავა ქართველოლოგიის ცენტრის 2019 წ. 8-19 ივლისის ექსპედიციამ):

რიზეს ილის ფაზარის (ათინას) ილჩე: **ჰამიდიე (Hamidiye);**

**გირესუნის** ილის მერქეზ-ილჩე: **ამბარალანი (Anbaralan);**

**გირესუნის** ილის **ბულანჯაქის** ილჩე: **კიშლა ქოჲ (Kışla köyü),** თექმეზერი (Tekmezer), ქუჩუქდერე (Küçükdere), თეფეჭრანი (Tepeviran köyü), თეფე ქოჲ (Tepe köyü), ყაადიბი (Kayadibi), ენი ქოჲ (Yeni köyü), შემშეთინი (Şemşetin), ერექლული (Eriklik), ქუშლუანი (Kuşluvan), ჰაჯი ეთიმი (Hacı Yetim köyü), **დამუდერე (Damudere);**

ორდუს ილის **ფაცას** ილჩე: საზჯგები (Sazcılar köyü), ილიტერი (İliver köyü), ეუსუფელი (Yusuflu köyü), ყაბახდალი//სამება (Kabakdağı köyü), თახთაბაში (Tahtabaş köyü), ბაჯანალი (Bacanak köyü), დორაერი (Duayeri köyü), ჩერქეზდალი (Yenikent), ააზმა (Aya-zlı köyü), ხოილი (Hoylu köyü) ზაჭო (Kanakbaşı köyü), ჯაბურანი (Cabran köyü), ყარათაში (Karataş köyü), ჩიბუხლი (Çubuklu köyü), ჯეჯილო (Cecilo köyü), დუგუნლული (Düğünlük köyü), ბოზდალი (Bozdağı köyü), ხატიბდალი (Hatipdağı köyü), გუჭეზი (Güvez köyü).

ორდუს ილის **უნის** ილჩე: **მიტრაპოლი (Güzelyalı köyü), ექინჯული (Ekincik köyü), ჩაბაში (Çaybaşı köyü), თექირაზი (Tekkiraz), ახ-**

ქუში (Akkuş köyü), აუჯელერი (Yüceler köyü), სარიჯალი (Sarıcallı);

სამსუნის ილის ჩარშამბას ილჩე: მუსლიბე (Muslubey), ყარად-ერე (Karadere köyü), ქუშედაე ქესთანეფუნლარი და ზედაე ქესთანე-ფუნლარი (ორივე ერთ სოფლად ითვლება, Kestanepınarı köyü), ააზმა (Ayazma köyü), მუმულუ (Mumlu), ყარამუსტაფა (Karamustafalı köyü), ჩათალი (Çatak), ახაბა (Ahubaba köyü), ახგუნე (Akgüney köyü), დერეჩათი (Dereçatı köyü), ყაჭლალი (Kavgalı köyü);

სინოპის ილის მერქეზ-ილჩე: ლალა (Lala köyü), მენექსე (Mekse köyü), ალიოღლი (Alioğlu köyü); ყორუჯული (Korucuk köyü), ორდუ (Ordu köyü), ჩობანლარი (Çobanlar köyü), ქაბალი (Kabalı köyü), გულლუ (Göllü köyü), ერიქლი (Erikli), ყარაფუნლარი (Karapınarı köyü), აჰმეთერი (Ahmetyeri köyü), ავლიანი (Avlıyanı köyü), თანრიალი (Tanrıyalı köyü);

სინოპის ილის ერფელექის ილჩე: ერფელელი (Erfelek köyü), ჰამიდიე (Hamidiye), ვეისელი (Veysel köyü), დეირმენჯი (Değermenci köyü), აბდურამანფაშა (Abdürrahmanpaşa köyü), ასანდერე (Hasandere köyü), სახარამბაში (Sakaranbaşı köyü), ყილიჯლი (Kılıçlı köyü), თოსუმბე (Tosunbey), ბაშარანი (Başaran), თექე (Tekke), ენიჩამი (Yeniçam köyü);

სინოპის ილის გერზეს ილჩე: აყყირაჯი (Akkıraç köyü), აუჭალი (Yuvalı), ხიზარჩაე (Hızarcay köyü);

სინოპის ილის აიანჯიქის ილჩე: ბუეუქდუზი (Büyükdüzü köyü), ომერდუზი (Ömerdüzü köyü);

სინოპის ილის თურქელის ილჩე: საზიქილა (Sazkişla köyü), აჯიქუ (Hacı köyü);

ამასიის ილის მერქეზ-ილჩე: აქიაზი (Akıyazı), ბელდაღი (Beldagı köyü), ჩათალჩამი (Çatalçam köyü), აუჭა (Yuva köyü);

ამასიის ილის თაშოვას ილჩე: თენექე (Altınlı), ჩერმული (Ilıcapınarı köyü), ტათლიფუნლარი (Darmaderesi);

**შენიშვნა:** „მერქეზ-ილჩე“ ნიშნავს უშუალოდ ილის (პროვინციის) ადმინისტრაციული ცენტრის თვითმმართველობას დაქვემდებარებულ ტერიტორიას.









საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის

დადგენილება

**206** ტ. ა. ფუტყარაძის ძ. ბათუმის პრეფექტად დანიშვნის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

დანიშნოს ტარიელ ალექსანდრეს ძე ფუტყარაძე ქალაქ ბათუმის პრეფექტად.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. გამსახურდია**.

თბილისი, 1991 წლის 4 მარტი.



ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს  
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sanngu.edu.ge

№: 3/59

05 05 2020 წ.

**საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის  
სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა  
და სამართლის სკოლის ქართველოლოგიის მიმართულების ხელმძღვანელს,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ტარიელ ფუტყარაძეს**

ბატონო ტარიელ,

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი მოხარულია მოგილოცოთ, თქვენ, ცნობილ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, დაბადების 60 წლისთავი.

გზა, რომელიც თქვენ განვლეთ, იყო რთული, ეკლიანი, წინააღმდეგობრივი, მაგრამ ამაღლებული. თქვენ ისტორიული პიროვნება ბრძანდებით, რომელსაც წილად გზვდით პატივი, როგორც უზუნაესი საბჭოს წევრს, სხვა ქართველ მამულიშვილებთან ერთად, ხელი მოგეწერათ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტზე და ამის გამო მიგელთ რუსეთის იმპერიისა და ჩვენი გადაგვარებულ თანამემამულეთა ნაწილისგან ეკლის გვირგვინი. მიუხედავად უმძიმესი ფსიქოლოგიური ტერორისა და დევნისა, არასოდეს თქვენი პრინციპებისათვის არ გიღალატიათ. გამოჩეულია თქვენი მეცნიერული საქმიანობა, თქვენ ემსახურებით იმ სტრატეგიული ფუნდამენტის დაცვას, რასაც ეყრდნობა ქართული სახელმწიფოებრიობა - ერთიანი ქართული ეროვნული და ეკლესიური ცნობიერება. თქვენი ინიციატივით არის კარგი თანამშრომლობა თურქეთის, ირანის ქართველობის დედასამშობლოსთან მჭიდრო კავშირისა. თქვენი ხელმძღვანელობით არაერთმა ახალგაზრდამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია და წარმატებით მოღვაწეობს საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში, თქვენ ბრძანდებით არაჩვეულებრივი ქართული ოჯახის პატრონი და წინამძღოლი.

გილოცავთ საიუბილეო თარიღს და გისურვებთ წელთა სიმრავლეს, ჯანმრთელობას, ახალ წარმატებებს როგორც პირად, ასევე საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე.

პატივისცემით,

რექტორი, პროფესორი



სერგო ვარდოსანიძე



№ 3/424

02.10 2020 წ.

### საქართველოს ეროვნული პრემიის კომისიას

პროფ. ტ. ფუტყარაძის მონოგრაფია: „ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“ დაიბეჭდა 2019 წელს საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის გრიფით (ISBN 978-9941-26-433-7). წიგნი მოიცავს შესავალსა და ხუთ თავს (გვ. 19-159). გამოკვლევას დართული აქვს წინასიტყვაობა, სადაც შეფასებულია ტ. ფუტყარაძის გამოკვლევის ძირითადი წახნაგები (გვ. 11-18). წინასიტყვაობას ხელს აწერს რედაქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მერაბ ჩუხუა. წიგნის დანართში დაბეჭდილია გამოუქვეყნებელი საარქივო მასალა და რამდენიმე მნიშვნელოვანი სხვა დოკუმენტი (გვ. 185-276) და დარგის აღიარებული სპეციალისტების რეცენზიები; კერძოდ: ზუგდიდის შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ფილოლოგიის დოქტორის რევაზ შეროზიას რეცენზია (გვ. 314-318), აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელის, ფილოლოგიის დოქტორის, პროფესორ ეკა დადიანის რეცენზია (გვ. 307-313) და ისტორიის დოქტორის ნუგზარ ანთელავას რეცენზია (გვ. 299-306). გამოკვლევას ერთვის, ასევე, ინგლისურენოვანი რეზიუმე და პირის სახელების, ენების, დიალექტების და კილოკავების, ერების, ტომების, ეთნიკური ჯგუფების, ტერმინების... საძიებლები (გვ. 319-340).

პროფ. ტ. ფუტყარაძის გამოკვლევა არის მაღალი სამეცნიერო დონის აქტუალური გამოკვლევა. ნაშრომში საარქივო მასალებისა და საერთაშორისო ქსელში არსებული კვლევების საფუძველზე არგუმენტირებულადაა გადასინჯული ლინგვისტური

ქართველოლოგიის სფეროში არსებული საბჭოური იდეოლოგიები. ნაშრომი დაწერილია პოსტსაბჭოთა პერიოდის ქართველოლოგიის გამოწვევების გათვალისწინებით. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საერთაშორისო სამეცნიერო ველში დღეს ფართოდ გავრცელებული დაუსაბუთებელი კვალიფიკაციების კრიტიკულ ანალიზს. ტ. ფუტკარამის მონოგრაფიას დიდი მნიშვნელობა აქვს ლინგვისტური ქართველოლოგიის დაგეგმვისა და განვითარების მიმართულებით.

ვფიქრობთ, წარმოდგენილი გარემოებები საკმარისი საფუძველია, მხარი დავუჭიროთ პროფ. ტარიელ ფუტკარამის გამოკვლევის („ქართველოლოგიის თანამედროვე გამოწვევები“) წარდგენას საქართველოს პრეზიდენტის მიერ 2020 წლის 15 სექტემბერს გამოცხადებულ კონკურსში, რომლის მიზანია მეცნიერების სფეროში საქართველოს ეროვნული პრემიის მინიჭება.

ს.გ.



პროფესორი სერგო გარდასანიძე  
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი  
ქართული უნივერსიტეტის რექტორი



T.C.  
**DÜZCE ÜNİVERSİTESİ**  
**Fen - Edebiyat Fakültesi Dekanlığı**  
Kafkas Dilleri ve Kültürleri Bölümü  
GÜRCÜ DİLİ VE EDEBİYATI ANABİLİM DALI



09. 05. 2020.

### მ ი ლ ო ც ვ ა

დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის პროფესორ-მასწავლებლებში უღრმესი პატივისცემითა და მაძლიერებით ვულოცავთ 60 წლის იუბილეს - გამოჩენილ ქართველოლოგს, საზოგადო მოღვაწეს, პროფესორ ტარიელ ფუტკარაძეს.

ვუსურვებთ მხნეობას, წინსვლას და კვლავ დიდ წარმატებას.

დუზჯეს უნივერსიტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებით:

ისტორიის ხელოვნებათმცოდნე, ფილოლოგიის დოქტორი ფეკვი ჩელები

ასოც. პროფ. მაკა საღია

ასოც. პროფ. შორენა ლომაია

ფილოლოგიის დოქტორი მარიამ სულხანიშვილი

---

Konuralp Yerleşkesi-81620-DÜZCE Tel: (0380) 541 24 04  
Faks: (0380) 541 24 03

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
SAMTKHE-JAVAKHETI STATE UNIVERSITY



## მადლობის სიგელი

რალაქა

წითფესიანი ცხრიელ თუჯანაძეს

სამკენეჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ძილუაწუობისა და  
განსაკუთრებული დამსახურებისათვის.




სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო  
უნივერსიტეტის რექტორი,  
ასოციურებული პროფესორი: მარეა ბერნიძე

*მ. ბერნიძე*

გაცემის თარიღი: 2020 წლის 9 მაისი.





"ვაცად მაშინ ხარ საქები,  
 თუ ეს წესი წესად დარგე:  
 ყოველ დღესა მენ თავს ჰკითხო:  
 -აბა, მე დღეს ვის რა ვარგე?"

**ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის  
 საჯარო ბიბლიოთეკა**



**ს ა მ ა დ ლ ი ბ ე ლ ი**

ცნობილ ქართველოლოგს,  
 ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს,  
 პროფესორ

**ცანიალ ფუცკარაძეს**

გილოცავთ 60 წლის იუბილეს.  
 მადლობას გიხდით მრავალწლიანი  
 თანამშრომლობისა და ბიბლიოთეკის  
 სამეცნიერო საქმიანობის განვითარებაში  
 შეტანილი უდიდესი წვლილისათვის.

ბიბლიოთეკის დირექტორი: *ვ. კახიანი* გ. ქიქელიანი

24 ოქტომბერი, 2020 წელი



ქუთაისის ილია ჭავჭავაძის სახელობის  
საჯარო ბიბლიოთეკა

Kutaisi Ilia Tchavtchavadze Public Library

XII საერთაშორისო სამეცნიერო  
კონფერენცია

XII International Scientific Conference  
Program

ბ რ ო ბ რ ა მ ბ

October 24-25<sup>th</sup>, 2020

24-25 ოქტომბერი, 2020 წელი

Dedicated to

ე ძ დ ე ნ ე ბ ა

the 60th anniversary of Professor Tariel Putkaradze, a well-known Kartvelologist and a member of the Supreme Council of Georgia, Doctor of Philological Sciences, who signed the Act of State Independence of Georgia

ცნობილი ქართველოლოგის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტზე ხელმოწერილი საქართველოს უზენაესი საბჭოს დეკლარაციის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ ტარიელ ფუტყარაძის 60 წლის იუბილეს



2



3



# მადლობის სიგელი

გადაეცემა ...ტარიელი...მუცყარაძეს.....

საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრისათვის გაწეული ღვაწლისა და თანადგომისათვის

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი  
უწმიდესი და უნეტარესი ილია II

ქართული საზღვრებს გარეთ



# მადლობის სიგელი

ჯილდოდება

...ქაბაშვილ...მ. მ. მ. მ. მ. მ.

საქართველოს საზღვრებს გარეთ მცხოვრებ ქართველთათვის

გაწეული ეროვნული ღვაწლისთვის.

არასამთავრობო ორგანიზაცია  
... ქართველები საზღვრებს გარეთ ...





200: 1000 2 5  
1600 2000000!

ISBN 978-9941-499-00-5



9 789941 499005